



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა
სალომე ზვიადაძე

ძველი ქართული ტიპიკონი:
ლიტურგიული ტრადიცია და სიახლე

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნესტან სულავა, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალციხე
2022 წელი

განაცხადი

მე, სალომე ზვიადაძე, ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

სალომე ზვიადაძე

2021, 20 დეკემბერი

სარჩევი

ანოტაცია ქართულ ენაზე.....	5
ანოტაცია ინგლისურ ენაზე	8
შესავალი	10
თავი I - ტიპიკონების შექმნის ისტორია და ტრადიცია ქრისტიანულ სამყაროში.....	22
1.1. წმ. პახომი დიდის მოღვაწეობა	28
1.2. ტაბენისელთა მონასტრის საერთო წყობა	37
1.3. წმ. ბასილი დიდის მოღვაწეობა	45
1.4. წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, ანუ „სამოღვაწეო წიგნი“ და სხვა ასკეტიკური თხზულებები	53
თავი II - არასრულად მოღწეული ქართული ტიპიკონები	61
2.1.1. წმ. გრიგოლ ხანცთელის ტიპიკონი	61
2.1.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან გიორგი მერჩულის თხზულების მიხედვით	69
2.2.1. ათონის ივერონის მონასტრის ტიპიკონი.....	72
2.2.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან „იოვანე და ეფთჳმე მთაწმინდელების ცხოვრების“ მიხედვით	84
თავი III - სრულად მოღწეული ქართული ქტიტორული ტიპიკონები	89
3.1.1. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი	89
3.1.2. ტიპიკონის ხელნაწერები და გამოცემები	91
3.1.3. ქართული და ბერძნული ტიპიკონების შედარებითი ტექსტოლოგიური დახასიათება	94
3.2. შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი	155
3.3. ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი	181
თავი IV - ქართულ ტიპიკონთა საერთო მახასიათებლები.....	199

4.1. სამოხელეო ტერმინები ტიპიკონებში	199
4.2. წირვა–ლოცვის დროს სიწმინდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“)	212
4.3. ქალების, უწვერული ყრმებისა და ბერძენთა მონასტერში არ დაშვებისათვის	215
4.4. ტანსაცმელი/სამოსი	219
4.5. ზომა–წონისა და ფულის ერთეულები, ძვირფასი თვლები	221
დასკვნა	224
გამოყენებული ლიტერატურა	
1. წყაროები	229
2. სამეცნიერო ლიტერატურა	231
ლექსიკონი	239

ანოტაცია

ნაშრომში „ძველი ქართული ტიპიკონი: ლიტურგიული ტრადიცია და სიახლე“ მიმოხილულია ქართული მონასტრების სრულად და არასრულად მოღწეული ტიპიკონები. სამწუხაროდ, ბევრი ტიპიკონი არ შემოგვრჩა: ხანციტის მონასტრის ტიპიკონი ფრაგმენტული სახით ასახულია გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანციტელის ცხოვრება“, ათონის ივერთა მონასტრისა კი – გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთვიმის ცხოვრებაში“ ჩართული ერთ მონაკვეთად. სრულად შემონახულია: პეტრიწონის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ორ ენაზე: ქართულ და ბერძნულ ენებზე, 1084 წ.; შიომღვიმისა, არა უგვიანეს 1125 წლისა; ვაჰანის ქვაბთა, 1212–1227, სხვა შეხედულებით, 1125–30 წწ.

ხანციტის ტიპიკონი შექმნა კლარჯეთის მონასტერთა მაშენებელმა გრიგოლ ხანციტელმა, ათონის ივერთა მონასტრისა – ექვთიმე ათონელმა, პეტრიწონისა ორივე ენაზე – გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ვაჰანის ქვაბთა – მხარგრძელმა, შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი კი არის პალესტინის საბა განწმენდილის ტიპიკონის სვიმეონწმინდური რედაქცია, რომელიც არსენ იყალთოელმა თარგმნა და მისივე ინიციატივით დავით აღმაშენებელმა სახელმძღვანელოდ დაუწესა მის მიერ ახლად აშენებულ შიომღვიმის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერს. ყველა ამათგანი ქრისტიანობისა და, საზოგადოდ, საქართველოს ისტორიის გამორჩეული მოღვაწეა.

ნაშრომში გამოწვლილვით შესწავლილი და განხილულია ტიპიკონების შექმნის ისტორია და ტრადიცია, VI საუკუნეში 13 ასურელი მამის მოსვლის შემდეგ ფართოდ გაშლილი სამონასტრო მშენებლობისა საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსა და ტაო–კლარჯეთში. შემდგომ ხანებში ქართველი ბერ-მონაზვნები სამოღვაწეოდ ახლო აღმოსავლეთსა და საბერძნეთს მიაშურებდნენ ხოლმე. შეიძლება დავასახელოთ იერუსალიმის, პალესტინის, სინას, ათონის, შავი მთის, კვიპროსის ეკლესია–მონასტრები, რომლებშიც ჩვენი მამები აქტიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ. მათი საქმიანობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ ბერძნული და სირიული ლიტერატურის ისტორიისთვისაც.

ძალიან საყურადღებოა აგრეთვე ე.წ. ქტიტორული ტიპიკონები, რომელთაც კერძო პირები თავიანთ აშენებულ ეკლესია-მონასტრებს უწესებდნენ. ისინი აგებულია ძირითადი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წესების დაცვით, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლოცვას მაშენებელთათვის და მათ მოხსენიებას გარდაცვალების შემდეგ.

ტიპიკონებში ძირითადი ყურადღება ექცევა ყოფით მხარეს – როგორი იყო მონასტრებში ლოცვის, შრომის პირობები, ურთიერთობა; შედარებით ნაკლებია საუბარი ლიტურგიკულ საკითხებზე, გარდა შიომღვიმის ტიპიკონისა – ამის შესახებ ნათქვამია, რომ მსახურება მიმდინარეობს „დიდი სვნაქსრის“ მიხედვით, რაც ყველასთვის საერთო და მისაღები იყო.

ნაშრომში გადმოცემულია პირველი მეუდაბნოეების, წმინდა ანტონი დიდის, წმინდა პახომი დიდის, წმინდა ბასილი დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა, მათი მონასტრების შექმნის ამბავი, მსგავსება და განსხვავება მათ შორის; მათ ისეთი მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას, რომ იგი მერე ფართოდ გავრცელდა მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში და, მცირედი ცვლილებებით, დღემდე არსებობს. აქ განხილულია ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, ანუ „სამოღვაწეო წიგნი“ და სხვა ასკეტიკური თხზულებები, ასევე, ქართული ლექციონარები, რადგან საქართველოს ეკლესიაში პირველ ეტაპზე ღვთისმსახურების წესდება არ იყო სრულად ჩამოყალიბებული და მის ფუნქციას ლექციონარი ითავსებდა. ყოველივე ეს შესანიშნავად იცოდნენ ჩვენმა წინაპარმა წმიდა მამებმა და თავიანთი სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეობისას სწორედ ამ წყაროებს ეყრდნობოდნენ, საღვთისმეტყველო საქმიანობის პირველ ეტაპზე მათ იყენებდნენ.

მართალია, ბერ-მონაზვნები განდევილურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ სცილდებოდნენ საწუთროს. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან და საერო პირებთან, რაც ფართოდ არის ტიპიკონებში წარმოდგენილი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს მათი ცხოველი დაინტერესება ქართული საქმეებით, მათი ზრუნვა, რომ ქართულ საზოგადოებას ძალიან მალე ჰქონოდა წვდომა იმ ლიტერატურულ და სხვა პროცესებთან, რომლებიც ბიზანტიის იმპერიისა და სხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა. მათი პატრიოტული

სულისკვეთება კარგად ჩანს იმით, რომ ტიპიკონებით იკრძალება ბერძენი მოწესების შემოყვანა ქართულ მონასტრებში.

ბულგარეთში მდებარე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად, არის შედგენილი. ქართულად იმიტომ, რომ ეს მონასტერი გრიგოლ ბაკურიანის ძემ ქართველებისთვის დააარსა და მათ არ იცოდნენ „ბერძული წარკითხვა“, იურიდიული ძალის მქონე კი ბერძნული ტექსტი იყო, რადგან მონასტერი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ტექსტი ძირითადად ერთნაირია, მაგრამ არის მცირეოდენი განსხვავებები ქართულ და ბერძნულ რედაქციებში, რაც ნაშრომში დაწვრილებით არის აღნიშნული.

დასახელებულ ტიპიკონთაგან გამოირჩევა შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი, რომელშიც უფრო მეტია ლიტურგიკული ნაწილი, ხოლო ტიპიკალური – გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარიდან“ არის შეტანილი.

ძალიან საინტერესოა ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი – ეს არის ერთადერთი სრულად შემორჩენილი ტიპიკონი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მონასტრისა.

ტიპიკონები შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას. ნაშრომში განხილულია ტიპიკონებში გადმოცემული სამოხელეო ტერმინები, წირვა–ლოცვის დროს სიწმინდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“), მონაზონთა ტანსაცმელი, ზომა–წონისა და ფულის ერთეულები, ძვირფასი თვლები და ნივთები. ერთვის წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი და ლექსიკონი.

Annotation

In our work: “the Ancient Georgian religious way of living: literary novelty and tradition (textual analysis” we discussed the Georgian religious ways of living - some of them completely and others incompletely. Unfortunately many of them are disappeared and do not exist in the textual traditions: The Khandzta monastery living style and holly services are partially described in the work of Giorgi Merchule “Life of Grogol Khandzteli” and Aton Iveria Monastery – in “Ioane and Ekvtime Livings” of Giorgi Mtatsmindeli included as an abstract. Fully is kept Petritsoni religious service of Grigol Bakuriani in Georgian and Greek languages of 1084. Also we must mention Shiomghvime monastery of 1125 and Vahani Kvabs of 1212-1227 based on the other conception – 1125-30.

Khandzta church service was established by Grigol Khandzteli (Klarjeti monastery builder) and the Aton’s Iveria Monastery – Ekvtime Atoneli, Petritsni – Grigol son of Bakuriani, Vahani Kvabi – Mkhargrdzeli. Shiomgvimi monastery service is based on Svimeontminduri edition, which was translated by Arsen Ikaltoeli and by his initiative was made a doctrine of Shiogvime monastery by David Agmashenebeli, each of them are the honorable people for both Christianity and Georgia generally.

The work thoroughly describes the religious style of living, the history of their creation and traditions. In VI century after settling down 13 Asurian fathers the building of churches became very active, especially in the eastern Georgia and Tao-Klarjeti. After some period, Georgian religious representatives later used to visit the east parts and Greece for religious services, such holly places as Jerusalem, Palestine, Sina mountain, Atoni, black mountain, Cyprus churches and monasteries, where the active literary activities were taken by our holly fathers. Their honor is important not for only Georgian, but Syrian and Greek Literary history well.

Very important are so called triktorial religious services, based on which were ruled by the authorities of the churches and monasteries. They are established based on the orthodox rules and symbols and the special attention is paid to the pray for the builders especially after their death. The special attentions is also paid to the style of pray, work and relations among the monks, the less attention is said about the liturgy itself. The holly service was made based on the “Big Svinaksary”, which was understandable for everyone.

In the work we come across the lives and activities of the first monks of desert: Antoni Big, Pakhomi Big and Basili Big, their honor in building the churches and monasteries and the differences in style and symbols among them. Their orthodox rules are still active and almost

nothing has been changed even today. For example, Basili Big Asketikoni – is discussed as well. Also we come across the “Lektsionaries” which played the role of liturgical services at the first time. All these had been perfectly known by our ancestors and they used this religious rules and traditions in their activities.

Though the monks and nuns lived separately they still did not completely isolate themselves from the rest of the world. From this standpoint it is very interesting to discuss their relationship with the state and ordinary civil people. Thanks to them it was possible to be aware of the religious literary novelties and other processes. Their patriotism is shown in the prohibition when the Greek priests had no right to settle down in the Georgian monasteries.

In Bulgaria Petritsoni Monastery holly service is composed in two languages Georgian and Greek. As Grigol son of Bakuriani established it for Georgians. From the juridical standpoint more valid was the Greek text as the monastery was built on the territory of Greece. The texts basically are the same but there are still some changes in them and it is well shown in the work.

From the mentioned holly religious services the Shiomgvime Monastery service must be separated from the rest ones which is rich of the liturgy elements, the special terms, natural stones, clothes of the monks, monetary elements and other precious things are in the given sources, also the bibliography and dictionary.

შესავალი

საქართველოში წმ. ნინოს შემოსვლას და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას მოჰყვა ტაძრების მშენებლობა, საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა, ახალი ესთეტიკის ჩამოყალიბება, გაჩნდა განათლებული სასულიერო ფენა, განდეგილი მეუდაბნოეები (ჯიქია 2004).

VI საუკუნეში 13 ასურელი მამის მოსვლის შემდეგ საქართველოში ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა, წყაროების მიხედვით, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში. დროთა განმავლობაში ეკლესია-მონასტრები მძლავრ კულტურულ კერებად იქცა – ითარგმნებოდა უახლესი ქრისტიანული ლიტერატურა, იქმნებოდა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებები, სასულიერო პოეზია. ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლები, რომლებიც იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი გახდა, რომ მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და საბერძნეთში გავრცელდა. შეიძლება დავასახელოთ იერუსალიმის, პალესტინის, შავი მთის, ათონის, სინას, კვიპროსის ეკლესია-მონასტრები. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა შუა საუკუნეების შუა ხანებამდე.

ხშირად მონასტრებს აშენებდნენ კერძო პირები თავიანთი და ახლობლების სულის საოხად და მოსახსენებლად და მათ მკვიდრთ სამუდამო საზრდოს უჩენდნენ. ამავე დროს უწერდნენ განსაკუთრებულ წესებს, რომლის მიხედვითაც მონასტრის მშობას უნდა ეცხოვრა.

ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ცხოვრებაში – ისინი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დიდი კულტურული და სამეურნეო ცენტრებიც იყვნენ. ერთ ჭერქვეშ ბევრი ადამიანის ცხოვრება გარკვეულ ორგანიზებას მოითხოვდა, საჭირო იყო ზრუნვა მათი სულიერი და მატერიალური ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გარკვეული ტექსტი, რომელსაც ქართულად წეს-განგება, ბერძნულად კი ტიპიკონი (τυπικόν) ეწოდება – ღვთისმსახურების ყველასთვის სავალდებულო წესი, წესდება.

ჩვენამდე მოღწეული ეს წესები, „ტიპიკონი, ანუ წესდება, რომელსაც ქართულად ძველად აგრეთვე „წესი“, „განგება“ ან „წესი და განგება“ ეწოდებოდა“ (შანიძე 1986, 14), არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი წყარო იმ დროის არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების, არამედ ენის, ქვეყნის ისტორიის, სოციალური ურთიერთობების, სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების, ლიტერატურისა და ისტორიისა და ა.შ. შესასწავლად. ამასთანავე ეს ტექსტები შეიცავს ბევრ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ მონაზვნები, როგორ ატარებდნენ წირვა–ლოცვისგან თავისუფალ დროს; როგორ შრომობდნენ არსობის პურის მოსაპოვებლად, როგორ იკვებებოდნენ, იმოსებოდნენ, რა ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან; ხშირად მშობლიური ქვეყნისგან შორს, როგორ დაუღალავად იღვწოდნენ მისთვის და სხვ.

ტიპიკონები შეიცავს ეკონომიკური და სამეურნეო ხასიათის ძალიან საინტერესო ცნობებს, ტერმინოლოგიას, იურისპრუდენციის მასალებს – როგორი იყო იერარქია მონასტრებში, სამოხელეო თანამდებობათა დასახელებას; ჩამოთვლილია საეკლესიო წირვა–ლოცვის დროს სიწმიდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“), ძვირფასი თვლები, ზომა–წონის ერთეულები, ფულის დასახელებები, მნიშვნელოვანი ისტორიული პირების ბიოგრაფიული მონაცემები, გადმოცემულია ისტორიული მოვლენები და ა.შ.

Τυπიც ბერძნული სიტყვაა და ქართულად „სახეს“, „ხატს“ ნიშნავს. ეს არის ღვთისმსახურების ყველასთვის სავალდებულო წესი, წესდება. იმის მიხედვით, რომელი ეკლესიის ტრადიციებს მიჰყვებოდა, საქართველოს ეკლესია შესაბამის ტიპიკონს იყენებდა სახელმძღვანელოდ.

V-X საუკუნეებში საქართველოს ეკლესია მიჰყვებოდა იერუსალიმურ წესს. X-XII-ში – კონსტანტინოპოლისას, XII-XVIII-ში – საბაწმიდისას (პარალელურად მოქმედებდა გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარიც“).

ტიპიკონი ორგვარია: სამრევლო, ანუ მსოფლიო და სამონასტრო. სამრევლო ტიპიკონიც ორი სახისაა: იერუსალიმისა, იგივე ქრისტეს საფლავისა, და კონსტანტინოპოლისა – აია სოფიისა, ანუ დიდი ეკლესიისა.

სამონასტრო ტიპიკონებია: პალესტინური – საბაწმიდისა; კონსტანტინოპოლის – სტოდელთა მონასტრისა და ათონის, მთაწმიდისა.

ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულის – ომების, მტრის თითქმის განუწყვეტელი შემოსევების, მარცვა–რბევის, გადაწვა–განადგურების, ძველი ნუსხების ნებსითი თუ უნებლიე დაზიანებისა და სხვათა გამო ჩვენი ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი ფურცელი და ლიტერატურული ძეგლი დაიკარგა, მათ შორის, ტიპიკონებიც. არ გვაქვს საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელთა, ასურელი მამების, არც უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანცთელის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც მან შეიმუშავა „სიბრძნით გასაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთაგან გამორჩევით შეკრებული“ (ძეგლები, 1963: 265) და არც სხვათა წესდებები. ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს სრული სახით შემორჩენილი სამი ტიპიკონი:

პეტრიწონის მონასტრის – გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე, 1084 წ.

ვაჰანის ქვაბთა –1214–27, სხვა თვალსაზრისით, 1225–30 წ.წ.

შიომღვიმის მონასტრისა – 1123 წლის ახლოს.

არასრულად ჩვენამდე მოაღწია გრიგოლ ხანცთელის მონასტრისა და ათონის ივერთა მონასტრის ტიპიკონებმა. კიდევ შემორჩენილია ფრაგმენტი,წესი და განგებაჲ უცნობი მონასტრისაჲ (1191–1212), რომელიც ნათლისმცემლის მონასტრის საბუთებში იპოვა და პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ (კაკაბაძე 1924, 71-75); დაბეჭდილია „ქართული სამართლის ძეგლებში“ (დოლიძე 1970, 132–134).

ყველა ეს ტიპიკონი არის გამოცემული, მაგრამ დღემდე ერთად თავმოყრილი, შედარებული ერთმანეთთან და ისტორიულ ჭრილში განხილული არ ყოფილა.

ჩვენი სადისერტაციო თემის მიზანია ძველი ქართული ტიპიკონის შესწავლა ისტორიულ ჭრილში; ქართული ტიპიკონის სრული ტექსტის შემცველი პეტრიწონის, ვაჰანის ქვაბთა და შიომღვიმის მონასტრების, აგრეთვე არასრულად მოღწეული ხანცთისა (ტაო–კლარჯეთისა) და ათონის მონასტრების ტიპიკონების ურთიერთმიმართების დადგენა; რა პრინციპები დაედო საფუძვლად მათ შედგენას, რომელ ტრადიციას მისდევენ და რა ადგილი დაიკავა თითოეულმა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, რა ადგილი უჭირავს ტიპიკონებში ჰაგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიასა და ჰომილეტიკას.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ერთიან ისტორიულ ჭრილში შესწავლა წარმოაჩენს საქართველოს ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი კრებულის ლიტურგიულ ღირებულებას. ამ კუთხით ტიპიკონები სათანადოდ შესწავლილი არ არის. შევეცდებით, პრობლემა საერთო – ლიტურგიულ და ლიტერატურულ კონტექსტში განვიხილოთ.

სადისერტაციო ნაშრომი იქნება ახალი სიტყვა არა მხოლოდ ქართული, არამედ ბერძნულენოვანი ქრისტიანული ტიპიკონების კვლევის ისტორიაში, რადგან ძველი ქართული ტიპიკონი მაცხოვრის საფლავის ტაძრის (პალესტინურ–საბაწმიდური), ანტიოქიური ეკლესიისა და კონსტანტინეპოლური ტიპიკონების საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ იგი არ იმეორებს და სიტყვასიტყვით არ მიჰყვება უცხოენოვან ტექსტებს. ქართულ ტიპიკონებში გათვალისწინებულია ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართველ წმიდა მამათა სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი. ამ მიმართულებით კვლევა მხოლოდ ფრაგმენტულია და მონოგრაფიულად დამუშავებული არ არის.

კვლევის მეთოდი. კვლევისას გამოყენებულია ძირითადად ისტორიულ–შედარებითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები, რათა უკეთ წარმოჩნდეს ტიპიკონების ღირებულება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მათი რაობის, წარმომავლობის, სამონასტრო ცხოვრებასა და საღვთისმსახურო პრაქტიკაში მათი მნიშვნელობისა და ისტორიულ–ფილოლოგიური მასალის განსაზღვრა.

მონასტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მხოლოდ სულიერ, არამედ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართული სახელმწიფოს გაერთიანებასა და აღორძინებას წინ უძღოდა ეკლესიის გაძლიერება, მაგ.: გრიგოლ ხანცთელის ეპოქა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს.

ტიპიკონების კვლევის ისტორია. როგორც ცნობილია, საქართველოში X საუკუნემდე მოქმედებდა ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი, რომელსაც მოციქულებრივ ღვთისმსახურებას უწოდებდნენ. პირველ საუკუნეებში არ არსებობდა ღვთისმსახურების ერთიანი წესი, ყველა ქრისტიანული თემი თავისებურად ადიდებდა ღმერთს. უპირველესად გალობდნენ ფსალმუნებს, ისმენდნენ მოციქულთა მონათხრობს ქრისტეს ცხოვრების შესახებ (სკაბალანოვიჩი

2011, 23) – ჯერ ზეპირად, შემდეგ კი, როდესაც ქრისტიანობა ფართოდ გავრცელდა, ეპისტოლეებით, რომლებსაც მოციქულები სხვადასხვა ქალაქში გზავნიდნენ. იკითხებოდა ასევე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნები, რომელთა საფუძველზეც შემდეგ, IV საუკუნეში, ბერძნულ ღვთისმსახურებაში ჩამოყალიბდა ლექციონარი, ანუ ღვთისმსახურების პროცესის ამსახველი კანონი – ლიტურგიკული დღესასწაულებისათვის განკუთვნილ საკითხავთა მთელი წლის კრებული (დანელია 1987, 463). ლექციონარებზე მსჯელობა იმიტომაც საჭირო, რომ საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურების წესდება ადრეულ ეტაპზე არ იყო სრულად ჩამოყალიბებული და მის ფუნქციას ლექციონარი ითავსებდა. ლექციონარის შედგენილობა ასეთი იყო: ყოველი დღის საკითხავები სახარებიდან და სამოციქულოდან, ძველი აღთქმის წიგნებიდან, კერძოდ, დავითნისა და საწინასწარმეტყველოს ტექსტებიდან, აგრეთვე იმ დღის წმინდანის საგალობლები.

პროფესორი კ. დანელია აღნიშნავს, რომ ქართული ლექციონარი, ისევე, როგორც სირიული და სომხური თარგმანები, მეტად მნიშვნელოვანია ბერძნული ორიგინალის თავდაპირველი რეკონსტრუქციისათვის, რადგან ბერძნული დედანი დაკარგულია.

ქართული ლექციონარის მეცნიერული შესწავლა დაიწყო კ. კეკელიძემ. იგი დააინტერესა თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ სვანეთში მოიპოვება იერუსალიმური ღვთისმსახურების წესის შემცველი ხელნაწერი VII-VIII საუკუნისა (გაზეთი „Новая речь“, N 167, 1910). მან 1911 წლის აპრილში იმოგზაურა სვანეთში, სადაც შეისწავლა ლატალისა და კალის ხელნაწერები და მათ საფუძველზე 1912 წელს გამოსცა იერუსალიმის კანონის ქართული თარგმანის კალენდარული ნაწილი, რომელსაც დაურთო რუსული თარგმანი, გამოკვლევა და საღვთისმსახურო ტერმინების ლექსიკონი (კეკელიძე 1912).

ქართული ლექციონარის ხელნაწერთა ტექსტის კალენდარულ-ლიტერატურული ნაწილი გამოსაცემად მოამზადა მიქელ თარხნიშვილმა (თარხნიშვილი 1960); მან პარიზული ლექციონარის ყველაზე სრული ნუსხა შეავსო ლატალის ხელნაწერიდან, კრიტიკულ აპარატში უჩვენა იკითხვისები ლატალის, კალისა და 982 წელს იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი სინის მთის ხელნაწერიდან, ასევე გრაცში დაცული ხანმეტი ხელნაწერისა და ჰაემეტი პალიმფსესტის

ფრაგმენტებიდან. მ. თარხნიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაშრომის ქართული ტექსტი და მისი ლათინური თარგმანი ორ წიგნად გამოსცეს რენე დრაგემ და ჟერარ გარიტმა 1959–1960 წლებში (გარიტი 1958).

ქართულ ლექციონარებს იკვლევს აგრეთვე ბერნარ უტიე; მან გამოავლინა იერუსალიმური კანონის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერები და მოახდინა ყველა (პალიმფსესტური და არაპალიმფსესტური ფრაგმენტები) ბიბლიურ საკითხავთა ხელნაწერების ერთგვარი კლასიფიკაცია, კერძოდ, გამოყო დიდფორმატიანი სრული ხელნაწერები, გამოკრებილი ლექციონარის ხელნაწერები და შემოკლებული ხელნაწერები, ხელახლა შედგენილი უფრო მცირე საკრებულოსთვის; სხვა ხელნაწერებიც გვაწვდიან ცნობებს კანონის შესახებ, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ არსებობს კანონები, რომლებიც შესულია ახალბიზანტიური ლიტურგია (უტიე 1979) და, ამავე დროს, შენარჩუნებულია, როგორც მიშელ ვან ენსბროკი ამბობდა, უძველესი პალესტინური დღესასწაულების საკითხავები (ენსბროკი 1983, 32, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს შრომები ლექციონარებსა და მრავალთავებზე შრომები, მათ შორის მონოგრაფია (ენსბროკი 1975).

ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები (ტ. I, ნაწ. 1) 1987 წელს გამოსცა კ. დანელიამ. II ნაწილი გამოიცა 1997 წელს.

ქართული, ე.წ. ხანმეტი ლექციონარის ქ. გრაცის უნივერსიტეტში დაცული ხელნაწერის (54 ფურცელი) ფოტოპირები შეისწავლა ა. შანიძემ და გამოაქვეყნა ჯერ ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში 1927 წელს, ტ. VII, გვ. 125–152, შემდეგ კი გამოსცა ცალკე წიგნადაც: ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპური რეპროდუქცია, გამოსცა და და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944. ეს ტექსტი ლიტურგიკული თვალსაზრისით შეისწავლა მ. თარხნიშვილმა. ორივე მეცნიერის დასკვნით, ხანმეტი ლექციონარი გადაწერილია VII საუკუნეში, მაგრამ მისი პირვანდელი ტექსტი ასახავს V საუკუნის I ნახევრის იერუსალიმური ღვთისმსახურების პრაქტიკას. ამასთან, VII საუკუნის ხანმეტ ნუსხაში ძველი ტექსტი შეუცვლიათ ახალი რედაქციის ტექსტებით ბიბლიის ქართული თარგმანიდან (თარხნიშვილი 1960).

აკაკი შანიძემ შეისწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში (ახლანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცული VIII საუკუნის ჰაემეტი პალიმფსესტი (51 ფურცელი) და გამოაქვეყნა (შანიძე 1923, 354–388).

ქართული ლექციონარის სხვადასხვა მხარეს სწავლობდნენ ჰ. ლეები, ე. მეტრეველი, მ. ვან ენსბროკი და სხვები.

საკლესიო ტიპიკონთან დაკავშირებულია ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწდო იადგარი“, რომელიც შეიცავს ღვთიმსახურებისათვის განკუთვნილ საგალობლებს მთელი წლისათვის, მაგრამ იგი მხოლოდ ჰიმნოგრაფიულ მასალას არ შეიცავს, მასში ლიტურგიის აღსრულებისათვის საჭირო მითითებებია, რომელთა გამო მას ლიტურგიკული დანიშნულებაც აქვს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს არის განსაზღვრული აღნაგობის, ნიშან-თვისებებისა და ლიტურგიკული ფუნქციის კრებული (იადგარი 1980, 691).

უძველეს, ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარი აღმოაჩინა და პირველმა აღწერა ა. ცაგარელმა (ცაგარელი 1888,1, 38, 126, 159-163; ცაგარელი 1889, IX-X, 17-21). მან მიიჩნია, რომ ეს არის VII საუკუნეში გადაწერილი „სადღესასწაულო“ ან „თვენი“.

კ.კეკელიძემ ჭილ-ეტრატის იადგარში მიაკვლია აბოს საგალობლებს და გამოაქვეყნა ცნობა ამის შესახებ სტატიაში „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“ (კეკელიძე 1905, 3-6; კეკელიძე 1960, 414-417). დაათარიდა IX საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილად, თავად ტექსტი კი უფრო ადრეული უნდა იყოს. „თვენი“ არ არის, რადგან მასში მარხვანიც და ზატკიც შედის, მაგრამ ე. მეტრეველი შენიშნავს, რომ იადგარების შესწავლის მაშინდელი ვითარების გამო კ. კეკელიძეს არ შეეძლო, ზუსტად განესაზღვრა ჭილ-ეტრატის ხელნაწერის რაობა და შინაარსი (იადგარი 1980, 658).

კ. კეკელიძემ ამ ხელნაწერის აღწერილობა რუსულ ენაზეც გამოაქვეყნა (კეკელიძე 1908, 351–372). შინაარსის გადმოსაცემად დაურთო ტექსტის სრული ან ნაწილობრივი სლავური თარგმანი, აბოს საგალობლების ქართული ტექსტი სრულად (კეკელიძე 1912, 26-28). აღწერილობის ჭილ-ეტრატის ტექსტთან შედარების შედეგად ელენე მეტრეველმა დაასკვნა, რომ საგალობლების ერთი და იმავე სტრუქტურის მქონე დღესასწაულები და დღეები სხვადასხვანაირია, ამასთან შეიცავს მრავალგვარ – ჟამისწირვისა და მწუხრის, ცისკრის კანონსა და სხვა დანიშნულების მცირე

საგალობლებს – ტექსტებს, ამასთან, კვლავ გაურკვეველია ხელნაწერის ბოლო 12 ფურცლის შედგენილობა(უძველესი იადგარი 1980, 658).

1912 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა თავისი შრომა Иерусалимский Канонарь, აღნიშნა, რომ შეინიშნება ლიტურგიკული კავშირი და ნათესაობა ჭილ–ეტრატის იადგარსა და ლექციონარს შორის, ასევე, განიხილა მათი ურთიერთმიმართების ზოგიერთი მხარე და საკითხი (კეკელიძე 1912, 352).

ა. მარტიროსოვმა, ა. შანიძემ და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, 1977 წელს გამოსცეს ჭილ–ეტრატის იადგარის სრული ნუსხა, რაც ძალიან დიდი შენაძენია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომელთაც აქვთ საშუალება, ისარგებლონ აკადემიურად გამოცემული კრიტიკულად დადგენილი ტექსტით. ა. შანიძემ გამოცემას დაურთო ძეგლის აღწერილობა, შეეხო აღწერის თარიღსაც; იგი არ ეთანხმება არც ამ ძეგლის პირველ მკვლევარს ა. ცაგარელს, რომელმაც იგი XII საუკუნით დაათარიღა, არც კ. კეკელიძეს, რომელმაც IX საუკუნეს მიაკუთვნა და ორთოგრაფიული და ენობრივი მოვლენების კვლევის შედეგად ასკვნის, რომ „ჭილ–ეტრატის გადაწერის დროდ შეიძლება XI საუკუნის დასაწყისი მივიჩნიოთ” („ჭილ–ეტრატის იადგარი“ 1977, 219). ხელნაწერი მნიშვნელოვანია ტიპიკონური თვალსაზრისითაც.

ფრანგმა მეცნიერმა ბ. უტიემ 1979 წელს გამოაქვეყნა რეცენზია ჭილ–ეტრატის იადგარის გამოქვეყნების გამო (უტიე 1979, 661). (B.OU, 661). ამავე ნაშრომში ბ. უტიეს მიერ მოცემულია ჭილ–ეტრატის იადგარის ზოგიერთი საგალობლის ბერძნული მოდელები, რომლებიც ბერძნულ ლიტურგიკულ კრებულებში დაიდებნა.

საბაწმიდურ–სინური წარმოშობის სხვადასხვა ტიპის ხელნაწერების შესწავლის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის წმიდა ადგილებში მოგზაურობის დროს შედგენილი სინური კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობები; ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული სინური ხელნაწერების აღწერილობა, რომელიც ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეადგინეს 1956 წელს მიღებული სინის მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ყველა ქართული ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე (სინურ ხელნაწერთა აღწერილობა I -1956, II-1956).

საყურადღებო და მნიშვნელოვანია სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ხელნაწერთა აღწერილობა (სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი კოლექცია, 2005).

აგრეთვე ავსტრიელი მეცნიერის ჰელმუტ ლეების მონოგრაფიული გამოკვლევა „საგალობლები იერუსალიმის სამრევლო ღვთისმსახურებაში“ (V-VIII სს.) (ლეები 1970). ავტორმა გამოიკვლია და შეეცადა, ჭილ-ეტრატის იადგარის საფუძველზე აღედგინა გალობისა და საგალობლების ადგილი და როლი იერუსალიმის უძველეს სამრევლო ღვთისმსახურებაში, ამავე დროს ეს ნაშრომი არის გამოკვლევა უძველესი იადგარის ლექციონარული ფენის შესახებაც.

ა. შანიძემ დაადგინა, რომ ეს ხელნაწერი შეიცავს იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნს, რომელშიც ოთხთავიდან ამოკრებილი საკითხავებია მოყვანილი, არის ტიპიკონური შენიშვნებიც... მისი სვინაქსარული ცნობები მარტივია იოანე-ზოსიმეს მიერ X საუკუნეში შევსებულ („კრებად თთუეთად წელიწდისათად“) კალენდარსა (Sin. 34) და პროფ. კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ განჩინება-განწესების VII საუკუნის რედაქციაზეც და ასკვნის, რომ ეს ძეგლი წარმოადგენს იერუსალიმში შემუშავებული კანონის (ანუ „წესისა და განგების“, ანუ კიდევ „მართლმორწმუნე მოძღუართა განჩინებისა და განწესების“) უძველეს რედაქციას, ენის ფორმებითა და პალეოგრაფიული ნიშნებით კი დაახლოებით VIII საუკუნისა უნდა იყოს (შანიძე 1923, 357–358).

ქართული ლექციონარის თაობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ათანასე რენუმ – მან 1967–71 წლებშიგამოსცა სომხური ლექციონარის უძველესი ხელნაწერები და დაურთო ვრცელი გამოკვლევა, შეეხო ქართულ ლექციონარსაც – მისი აზრით, ეს ტექსტი იცვლებოდა თავის პროტოტიპთან მიმართებით და ასახავს იერუსალიმური კანონის განვითარების სურათს VI საუკუნის II ნახევრიდან VIII საუკუნის II ნახევრამდე (რენუ 1971).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. მეტრეველის, ც. ჭანკიევისა და ლ. ხევსურიანის დამსახურება ამ საქმეში. მათი ფუნდამენტური ნაშრომი – უძველესი იადგარი (იადგარი 1980) ბევრ ახალსა და საინტერესოს გვაწვდის ტიპიკონის, წესდებისთაობაზეც. კერძოდ, ელ. მეტრეველმა შეისწავლა იერუსალიმური ლექციონარის კავშირი უძველეს იადგართან და გამოარკვია, რომ იადგარი

აღმოცენდა იერუსალიმური ლექციონარის საფუძველზე; რომ უძველესი იადგარი არ არის დამოუკიდებლად თარგმნილი ძეგლი – მან ლექციონარისგან მიიღო კალენდარი, განგებები და პოეტური მასალა, ცალკე კრებულად ჩამოყალიბდა ლექციონარის ქართული თარგმანის ლიტურგიკულ–ჰიმნოგრაფიული მასალის საფუძველზე, რომელიც თანდათან ივსებოდა ბერძნულიდან თარგმნილი ახალი პოეტურ–ლიტურგიკული ტექსტებით. ასე მივიღეთ ორფენოვანი ჰიმნოგრაფიული კრებული, რომლის პირველი ფენა ემთხვევა ლექციონარის მასალას და ეს ორი ძეგლი კომპლექსურად უნდა შევისწავლოთ (იადგარი 1980, 662–663). გამომცემლებმა შეისწავლეს იერუსალიმური ლექციონარის ხელნაწერები და გამოცემები, ხანმეტი ლექციონარი, ჰაემეტი ლექციონარისა და კანონის ურთიერთმიმართება, უძველესი იადგარის ცალკე კრებულად გამოყოფის დრო და პირობები; დაადგინეს, რომ უძველესი იადგარის ლექციონარისგან ცალკე კრებულად გამოყოფის ქვედა ზღვარი არის VI საუკუნის 70–იანი წლები, ზედა კი, საფიქრებელია, არ გადასცდებოდა VII საუკუნის შუა წლებს (უძველესი იადგარი 1980, 688). ამდენად, ამ დროისათვის უკვე არსებულა კანონის ქართული რედაქცია, როგორც უფრო ადრეული რედაქციის (ხანმეტის ტიპის) ბერძნული ლექციონარის შესაბამისად შევსებულ–გადამუშავებული ვარიანტი, პოეტური ტროპარებით გამდიდრებული (უძველესი იადგარი 1980, 689). მიმოხილულია უძველესი იადგარის ძირითადი ნუსხები, შესწავლილია იადგარის პლასტური ბუნება – აქ შესულია როგორც ადრეული, VI-VII, ასევე VII-VIII და IX საუკუნეების პოეტური ფენები, რომლებიც თვისობრივად ერთმანეთისგან განსხვავდებიან და იერუსალიმური ადრეიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ.

ელ. მეტრეველმა ქართული ვრცელი კანონის შესწავლისა და სხვა ლექციონარებსა და სომხურ კანონთან შედარების შედეგად დაადგინა, რომ ქართული ვრცელი კანონი VIII საუკუნეში არ უთარგმნიათ, რადგან ხანმეტი ლექციონარის ტექსტს შეიცავს და არ შეიძლება, ისინი სხვადასხვა დროს შესრულებულ ორ თარგმანად მივიჩნიოთ. შეიძლება ვთქვათ, რომ ხანმეტ ლექციონარში შევიდა ბერძნულ ლექციონარში მიმდინარე ცვლილებები, შეივსო ახალი ხსენებებითა და ტროპარებით და ჩამოყალიბდა ვრცელი კანონის თავდაპირველი ვარიანტი (უძველესი იადგარი 1980, 670–72).

რაც შეეხება ჰაემეტ ლექციონარს, ელ. მეტრეველი ასკვნის, რომ ჰაემეტი ლექციონარი არის ვრცელი კანონის ადრეული ვერსია. მასში შედის მთელი კალენდარული წლის სახარების საკითხავები და დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში ერთი ბერძნული დედნიდან მომდინარე ერთი თარგმანის შევსება-განვითარების სხვადასხვა ეტაპია ასახული (იადგარი 1980, 683).

ელ. მეტრეველის აზრით, „ქართული ლექციონარის ისტორია უნდა დავიწყოთ ხანმეტი ლექციონარით, რომლის თარგმნის დრო VI საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს. განვითარების სხვადასხვა ეტაპების ამსახველი ლექციონარების ღვთისმსახურებაში მოქმედების ფარგლებია VI-X საუკუნეები“ (იადგარი 1980, 684). ყოველივე ეს გათვალისწინებულია წესდებაში ლიტურგიის შემადგენელი ნაწილების შესახებ მსჯელობისას, რა ადგილი ეკავა ტიპიკონებში ლიტურგიულ კომპონენტებს.

ქართული ლექციონარის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესორმა კორნელი დანელიამ. მან შეისწავლა და გამოსცა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ფონდში (N 3) დაცული X-XI საუკუნეების მიჯნის ქართული ხელნაწერი, კერძოდ ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები გამოსცა იგი (დანელია 1987). მეორე ტომი გამოვიდა 1997 წელს, მასაცერთვის ვრცელი გამოკვლევა და ლექსიკონი (დანელია 1997). დიდია ამ გამოცემათა მნიშვნელობა ფილოლოგიის, ენათმეცნიერული, ისტორიული და სხვა საკითხების შესასწავლად.

კ. დანელიამ დაადგინა, რომ „ბიბლიური საკითხავების საგრძნობი ნაწილი დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს და არა ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანიდან მზამზარეულად შეტანილს ლექციონარში. ...და, არსებითად, ქართული სამწერლო ენის დამოუკიდებელი და ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია“ (დანელია 1987, 469).

აქვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველი აღთქმის წიგნთა საკითხავების ქართულ თარგმანში ვლინდება ქართული სამწერლო ენის გრამატიკული, ლექსიკური და სტილური შესაძლებლობანი (დანელია 1987, 471). ამასთან, „პირველმთარგმნელთ თავიანთი ნაღვაწი გაცნობიერებული ჰქონდათ არა მხოლოდ სარწმუნოებრივი დანიშნულების, არამედ საერთო-სახელმწიფოებრივი ღირებულების ქართული სამწერლო კულტურის სასაძირკველ-ფუნდამენტურ

მეგლებად“ (დანელია 1987, 472). თარგმნიდნენ ეროვნული მსოფლგაგებით, სპეციფიკური სიტყვები გადმოჰქონდათ არა უთარგმნელად, არამედ ნაკლებეკვივალენტური სიტყვით, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ ბარბარიზმები და ნასესხები ლექსიკა.

ლექციონარი მღვდელმსახურებისას საკითხავ ტექსტებს შეიცავს, არსებითად, „გამოკრებილი ბიბლია“, ამიტომ ლექციონარის საკითხავებისა და ბიბლიური თარგმანის ურთიერთმიმართება ერთ–ერთი კარდინალური საკითხია, რასაც ბევრი მეცნიერი იკვლევს და საბოლოოდ დადგენილი არ არის, ლექციონარში საკითხავები ადრე არსებულ ბიბლიურ წიგნთა თარგმანიდან არის შეტანილი –ამ აზრისა არიან მ. თარხნიშვილი და ბ. უტიე, ასევე კ. კეკელიძე ცხრაას ათიან წლებში, რაც მერე შეიცვალა – თუ ლექციონარის შემდგენლები თარგმნიან –ერთი კი ცხადია: ლექციონარისა და ბიბლიური თარგმანის დღემდე მოღწეულ ტექსტებში მსგავსი და იდენტური საგრძნობლად მეტია, ვიდრე განსხვავებული (დანელია 1987, 514). ამ საკითხს იკვლევდა აგრეთვე პ. ინგოროყვა.

კ. დანელიამ განიხილა ჩვენამდე მოღწეული ბიბლიისა და ლექციონარების ტექსტები, დაიმოწმა პარალელური ტექსტები და დაასკვნა, რომ „ლექციონარის ბიბლიური საკითხავები კალენდარულ ნაწილთან ერთად ხელახლა ითარგმნებოდა და თუ ეს ასეა, მაშინ მნიშვნელობა ლექციონარების საკითხავებისა, როგორც უძველესი დამოუკიდებელი ნათარგმნი წერილობითი ძეგლისა, ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანის ისტორიისათვის კი მცირდება, მაგრამ სამაგიეროდ უფრო წარმოჩინდება მისი დიდი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის ისტორიის შესასწავლად“ (დანელია 1987, 532).

თავი I

ტიპიკონების შექმნის ისტორია და ტრადიცია ქრისტიანულ სამყაროში

ქრისტიანობის შემოსვლისთანავე გაჩნდა ღვთისმსახურების შესრულების საჭიროება. ადამიანები უნდა გარკვეულიყვნენ ახალი მოძღვრების არსში. თავდაპირველად ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა მოციქულთა ეპისტოლეები, რომლებსაც ისინი უგზავნიდნენ სხვადასხვა ქალაქის მორწმუნეებს და განუმარტავდნენ მათთვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხს. მოგვიანებით, როცა ეს მოძღვრება ძალიან გავრცელდა, გაჩნდა აუცილებლობა, ჩამოყალიბებულიყო მწყობრი სისტემა, რომელიც ერთიანი იქნებოდა ყველა ქრისტიანული საზოგადოებისათვის. პირველ ეტაპზე ეს უნდა ყოფილიყო საღმრთო წერილი ან სახარება, რომელსაც ხალხს წაუკითხავდნენ ღვთისმსახურების დროს (კეკელიძე 1980, 573), შემდეგ კი ეკლესიის ცენტრალიზაციამ ღვთისმსახურების ერთსახედ ჩამოყალიბების, საერთო წესების შემუშავების საჭიროება წარმოშვა (ჭილაძე 2016, 12). შეიქმნა გარკვეული და ყველასთვის სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა. ამ წესს ბერძნულად ჰქვია *τυπικόν*, რაც „სახეს, ხატს, მაგალითს“ ნიშნავს. ეკლესიაში ცნობილია სამრევლო და სამონასტრო ტკპოსი ან წესი. თავის მხრივ, ცნობილია ორნაირი სამრევლო ტკპოსი: იერუსალიმისა, ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლისა – აია სოფიის, ანუ დიდი ეკლესიისა. სამონასტრო ტკპოსის სამი სახეობა არსებობდა: პალესტინაში – საბაწმიდისა, კონსტანტინოპოლში – სტოდიელთა მონასტრისა და ათონზე – მთაწმინდისა. ის წიგნი, რომელშიც ჩაწერილი იყო ეს საზოგადო წესი ღვთისმსახურებისა ან ტკპოსი, სალიტურგიკო მწერლობაში ცნობილია „ტკპიკონის“ სახელით. ტკპიკონი ითვლება ღვთისმსახურების რეგულატორად, მისი საერთო სულისა და მიმართულების გამომხატველად. ეს არის „ყველა მღვდელმსახურისთვის სახელმძღვანელო“ ერთგვარი წესდება (კეკელიძე 1980, 574).

საქართველოს ეკლესია, ბუნებრივია, გაივლიდა განვითარების იმავე გზას, რაც სხვა ქვეყნების ეკლესიამ განვლო. მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქართველოში წმ. ნინოს შემოსვლას და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დადგა საჭიროება ხალხში ქრისტიანული ცოდნის

გავრცელებისა და ღვთისმსახურების ჩატარებისა, რასაც მოჰყვა ახალი წესრიგი და ესთეტიკა, ტაძრების მშენებლობა, საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა ¹ , ჩამოყალიბდა განათლებული სასულიერო ფენა, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მთლიანად უძღვნიდნენ ღმერთს, ე.წ. განდევნილები, ანუ მეუდაბნოენი. პალესტინაში უკვე არსებობდა ანტონი დიდისა და პახომი დიდის დაარსებული მონასტრები.

მეოთხე საუკუნის მოღვაწემ, ღირსმა მამამ, წმ. პახომი დიდმა, თვით ანგელოზისგან მიიღო მონაზონთა საერთო საცხოვრისში მცხოვრებთა მონაზვნური განაწესი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქრისტიანულ სამყაროში შექმნილ დანარჩენ სამონაზვნო ტიპიკონებს, მათ შორის ქართულსაც (წმ. გრიგოლ ხანცთელის, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა და სხვ.).

სავარაუდოა, რომ სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღების შემდეგ მალევე უნდა დამკვიდრებულიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამება“, რომელშიც ნათქვამია: „ეპისკოპოსი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ კაცისა ვისიმე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყვსა“. ა. ჯიქიას აზრით, აქ „წმიდა კაცი მონაზვნად დაყუდებულად უნდა მივიჩნიოთ“ (ჯიქია 2004).

საქართველოში სამონასტრო ცხოვრების განვითარებას სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირებენ ასურელი მამების – იოანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის – შემოსვლას, რაც კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, VI საუკუნეში უნდა მომხდარიყო (კეკელიძე 1956, 19–52). ასურელ მამათა სამოღვაწეო არე ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ–კახეთს მოიცავდა და მდიდარი სამონასტრო კომპლექსები, მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები დაგვიტოვეს. პირველი ტიპიკონები, რომლებიც ქართულ ეკლესიაში გამოიყენებოდა, თარგმნილი იყო. კ. კეკელიძემ საგანგებოდ შეისწავლა და 1912 წელს გამოსცა კიდევ მონოგრაფია „Древнегрузинский архиератикон“. მათი მოღვაწეობის შემდეგ იწყება ზრუნვა, რათა ქართულად შექმნილიყო წესდებები, რომლებიც ქართულ ეკლესიასაც მიესადაგებოდა და საერთო ქრისტიანულ ტრადიციას ასახავდა. ამ თვალსაზრისით

¹ ტაძარში, სულ მაღლა, გუმბათში დახატულია ქრისტე, ხელში დიდი წიგნით. ესაა ქრისტე პანტოკრატორი ანუ ყოვლისმპყრობელი. წიგნი გვანიშნებს, რომ ღვთაება ქვეყანას განაგებს სიბრძნით, რომ ყველაზე მაღალი ღირსება ამ ქვეყნად სიბრძნეა. ამიტომაც, რომ თვით ყრმას ბავშვისთვის შეუფერებელი, ნამდვილი ბრძენკაცის მზერა აქვს (სირამე 1982, 55).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე VIII-IX საუკუნეების დიდი მოღვაწე გრიგოლ ხანცთელი, რომელიც არაბთა შემოსევებისა და შავი ჭირისაგან გაუკაცრიელებულ ტაო-კლარჯეთში, „უქმთა მათ უდაბნოთა შინა“, „საღმრთოთა წოდებითა“ მოვიდა, საფუძველი ჩაუყარა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას და თუ „მოსვლადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მკვცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განზნეულ იყვნეს თითოდ ანუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ... მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმკნდეს და მკვცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოდ განემართა“ (ძეგლები 1963,264).

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ VIII საუკუნის ბოლოს ტაო-კლარჯეთშიც უკვე მრავლად არიან განდეგილები, ისინი ანგელოზებრივად, სხვადასხვაგვარი განდეგილური წესებით ცხოვრობდნენ „სივრცესა მას შინა უდაბნოდსასა, რომელნი - იგი იზარდებოდეს მძოვრთა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა, და რომელთამდე ესმოდა სახელი და რომელთამდე ფარულად იყვნეს“ (ძეგლები 1963, 253).

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმ. გრიგოლი მათგან სწავლობდა: „რომელთაგანმე ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე სიმშვიდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, ანუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უძღურებასა და კელთ-საქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა“ (ძეგლები 1963, 253).

ქრისტიანული ღვთისმსახურება უფლის ბრძანების შესაბამისად, საღმრთო მოძღვრების საფუძველზე დაწესდა, რაც შემდეგ წმ. მოციქულებმა² განავრცეს. ქრისტიანული ღვთისმსახურების პირველი ჩანასახები შეიძლება „მოციქულთა საქმეებსა“ და მათ ეპისტოლეებში აღმოვაჩინოთ.

უცხოელი მკვლევარი მიხეილ სკაბალანოვიჩი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს „მოციქულთა ღვთისმსახურებას“/“მოციქულებრივ ღვთისმსახურებას“ უწოდებს და წერს, რომ ქრისტეს აღდგომით ფრთაშესხმული მოციქულები და ქრისტეს სხვა მოწაფეები ჯერ ტაძარსა და სინაგოგაში იკრიბებოდნენ, შემდეგ – ხან

² ახლად დაარსებულ ქრისტიანულ ეკლესიებში ღვთისმსახურების პირველი წესები თავად წმ. მოციქულებმა დაადგინეს. მაგ.: პეტრე მოციქულის მიერ დაარსებულ ანტიოქიის ეკლესიაში წმ. პეტრეს ლიტურგია სრულდებოდა, ალექსანდრიის ეკლესიაში - მისი დამაარსებლის მარკოზ მოციქულისა, იერუსალიმში - ამ ქალაქის პირველი ეპისკოპოსის, იაკობ მოციქულისა, ათენში - მისი ეპისკოპოსის დიონისე არეოპაგელისა და ა.შ. (კოჭლამაზაშვილი 2006,152).

ერთი, ხან მეორე ქრისტიანის სახლში³, სადაც მთელ დღეს ლოცვა-გალობაში ატარებდნენ. იკითხებოდა ძველი აღთქმის საკითხავები. გალობდნენ ფსალმუნებს. აქ მხოლოდ ქრისტიანებს შეეძლოთ აღესრულებინათ „პურის განტეხა“, რასაც არაერთხელ მოიხსენიებს წიგნი „საქმე მოციქულთა“ და ევქარისტიული ხასიათის საერთო ტრაპეზად მოიაზრება. მაცხოვრის საიდუმლო სერობის მაგალითის მიხედვით, ეს ტრაპეზი სადამოს იმართებოდა. ყოველდღიური, მთელი დღის ლოცვების რიგში ეს იყო მათი ბოლო მაღალი მომენტი, კულმინაცია, რითაც მთავრდებოდა მთელ დღეს მზარდი ლოცვითი აღფრთოვანება... ეს ტრაპეზი, ისევე, როგორც მაშინდელ ქრისტიანთა მთელი დღე, მთლიანად ლოცვით, უფლის ქებით იყო გამსჭვალული (სკაბალანოვიჩი 2011, 25). აქვე დავიმოწმებთ ზოგიერთ ადგილს: „და იყენეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა“ (საქმე 2, 42). „და დღითი-დღედ განკრძალულ იყენეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა. აქებდეს ღმერთსა და აქუნდა მაღლი ყოვლისა მიმართ ერისა, ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი-დღედ ეკლესიასა“ (საქმე, 2,46-47). ასე დაედო სათავე ალაპებს, ანუ სიყვარულის სადამოებს, რომლებიც ქრისტიანულ ეკლესიაში IV საუკუნემდე არსებობდა და მაშინ, როცა ევქარისტია მისგან გამოიყო და გადატანილ იქნა დილით ან შუადღეს, მათ საფუძველზე აღმოცენდა ახლანდელი სადამოს მწუხრი თავისი პურის კურთხევით, – აღნიშნავს მ. სკაბალანოვიჩი (სკაბალანოვიჩი 2011, 25), იგი გამოჰყოფს კვირა დღის – კოლ. 2.16. გალ. 4, 8-11, რომ. 14-5-6, ებრ. 4, 4-9. 1კორ. 16:12. 1 კორ. 5, 7-8, აღდგომის – (პასხის) საქმე, 13, 2. იოანე 19,4, 18, 28. შდრ.13.1 და დიდი მარხვის დღესასწაულებს, თუმცა აქვე მოაქვს ისტორიკოს სოკრატესის სიტყვები, რომ არ არსებობს იმ მოსაზრების დამადასტურებელი წერილობითი მოწმობა, რომ ის მოციქულებმა პეტრემ და პავლემ დააარსეს (სკაბალანოვიჩი 2011, 47).

³თავდაპირველი ქრისტიანული ტაძარი არის domus ecclesiae (ეს ტერმინი აღნიშნავდა წირვა-ლოცვის აღსასრულებელ უძველეს ადგილებს). ეკლესიის შეკრებისა და პურის ევქარისტიული განტეხის ადგილი... ტაძარი განიცდებდა და შეიგრძნობდა, როგორც საკრებულო, როგორც ქრისტეში ცისა და მიწისა და ყოველი ცოცხალი ქმნილების ერთად შეკრება, რაც არის კიდევ ეკლესიის არსი და მოწოდება (შემეანი 2014, 29).

მოციქულთა ქადაგებითა და სასწაულებით ქრისტიანთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა⁴. ისინი დადიოდნენ ქვეყნითი ქვეყნად, აარსებდნენ ქრისტიანულ ეკლესიებსა და თემებს, მოძღვრავდნენ ზეპირად და წერილობით და მოციქულთა ეპისტოლეებში ამისი მრავალი მაგალითი გვხვდება: „ეტყოდეთ თავთა თქუენტა ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულთა თქუენითა ღმერთსა“ (ეფეს., 5: 19)... „და სიტყუად იგი ქრისტესი დამკვდრებულ იყავნ თქუენ თანა მდიდრად ყოვლითავე სიბრძნითა; ასწავებდით და ჰმოდღურიდით თავთა თქუენტა ფსალმუნითა, ქებითა და გალობითა, სულიერითა მადლითა უგალობდით გულთა შინა თქუენტა ღმერთსა“ (კოლ. 3:16) და მისთ., მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება.

ე. კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, რომ მოციქულებთან ერთად და შემდეგ ღვთისმსახურების დახვეწასა და გავრცელებაში დიდია ეკლესიის ცნობილი მამების, მაღალი სასულიერო იერარქების, მღვდლებისა და სხვათა წვლილი – დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა წესები. ღვთისმსახურების ყოველი ელემენტი – კითხვა, ლოცვა, გალობა, საღმრთო მოქმედება – საღმრთო მოძღვრების ამა თუ იმ ნიუანსს გამოხატავდა (კოჭლამაზაშვილი 2006, 147).

სავარაუდოა, რომ პირველი საუკუნეებიდანვე უნდა გამოჩენილიყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მთლიანად უძღვნიდნენ უფალ მაცხოვარს, იესო ქრისტეს, უარყოფდნენ ამქვეყნიურ, საწუთო ცხოვრებას და ისწრაფვოდნენ, რაც შეიძლება მეტად მიახლოებოდნენ მას – უდიდეს სიკეთესა და სათნოებას და ამაში რომ ხელი არაფერს შეეშალა, ტოვებდნენ საცხოვრისს და უკაცრიელ ადგილებში გადიოდნენ. „ბერ-მონაზვნური ცხოვრება, როგორც განსაკუთრებული მოვლენა, ეგვიპტეში წარმოიშვა და აქედან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ მონაზვნობა გაჩნდა სწორედ ქრისტიანობის დევნის დამთავრების შემდეგ... და ისინი ოფიციალური ქრისტიანობის ერთგვარ საპირწონედ იქცნენ... მონაზვნები საზოგადოებიდან უდაბნოში თავიანთი გასვლით აღასრულებდნენ ეკლესიის წინასწარმეტყველურ და ესქატოლოგიურ მოწოდებას, შეახსენებდნენ ქრისტიანებს, რომ ღვთიური სამეფო ამქვეყნიური არაა...

⁴ ძველი ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ა. დვორკინი აღნიშნავს, რომ ახალი რწმენა სწრაფად გავრცელდა არა მხოლოდ დამასკოში, არამედ ანტიოქიაში, სირიის დედაქალაქში... სადაც წარმართებმა მის მიმდევრებს შეარქვეს ქრისტიანები და ისინიც სიხარულით უწოდებდნენ თავიანთ თავს ამ დამაცირებელ მეტსახელს (დვორკინი 2020, 68).

მონაზვნობის ძირითადი თვისება მისი ფუნდამენტურად ბიბლიური ხასიათია. უდაბნოში არ არის არც წყალი, არც სიცოცხლე, ის სიკვდილისა და ეშმაკის სამეფოა. უდაბნოში გასვლა აღიქმებოდა, როგორც განწმენდის აქტი“ (დვორკინი 2, 2020, 112-113). ასე გაჩნდნენ პირველი განდევილები ეგვიპტესა და მცირე აზიაში. მათ შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი III საუკუნის დასასრულამდე, როცა ეგვიპტის უდაბნოში გამოჩნდა ანტონი დიდი (251–356), რომელიც ეგვიპტეში განდევილურ-სამონაზვნო ცხოვრების დამაარსებლად ითვლება⁵.

„ანტონი დიდი დაიბადა შეძლებულ კოპტურ ოჯახში 250 წელს (გარდაიცვალა 355 წ.), მალე დაობლდა, სკოლაში არ უსწავლია, არ იცოდა არც წერა-კითხვა და არც ბერძნული ენა. დაახლოებით 20 წლისა იქნებოდა, როცა ეკლესიაში მოისმინა უფლის სიტყვები- „უკუეთუ გნებავს, რათა სრულ ხოლო იყო, წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მ.19, 21), - რამაც მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა: განუყო გლახაკებს მშობლების მთელი ქონება და უდაბნოს მიაშურა - ჯერ თავისი სოფლის განაპირას, მერე და მერე - უფრო შორს. თავისი ცხოვრების პირველ პერიოდში მას ჰქონდა სასტიკი ბრძოლები ეშმაკთან“ (დვორკინი 2, 2020, 113) და მკაცრად ჩაკეტილ განდევილურ ცხოვრებას ეწეოდა უდაბნოში, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი სახელი გაითქვა და უამრავმა ადამიანმა მიაშურა სულის საცხოვნებლად, ვერ გაწირა ამდენი სული და ცხოვრების შემდეგი წესი დაუდგინა: განმარტოების მსურველნი განალაგა სხვადასხვა მანძილით დაშორებულ სენაკებში; თითოეული მათგანი თავისი შრომით ირჩენდა თავს და ისე მკაცრად იცავდნენ მამა ანტონის დარიგებას, არც ერთი მათგანი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა და ერთ ყლუპ წყალს არ დალევედა მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე. დიდი სულიერი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი მოძღვრისა და ერთმანეთის მიმართ და გარეგნულად ცალ-ცალკე მყოფნი, ერთ სულიერ ძმობას წარმოადგენდნენ. შაბათ-კვირას ერთად ლოცულობდნენ, ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, საუბრობდნენ თავ-თავიანთ გამოცდილებაზე. შემდეგში ღირსი ანტონის მოწაფეებიც ასე აწყობდნენ მონასტრებს.

ანტონი დიდის მოღვაწეობის „შემდეგ სამოც თუ სამოცდაათ წელსაც არ გაეცლო, რომ მონაზონთა სავანეებით გაივსო ეგვიპტის ყველა უდაბნო. მონასტრები

⁵მკვლევარი ა. მიხაილოვი აღნიშნავს, რომ პირველ განდევილად მიჩნეულია ნარკის იერუსალიმელი (201–217 წწ.); მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ტ. VII, 144.

იყო ალექსანდრიასთან ახლოს, 5 000 მონაზონს ნიტრიის მთაზე ითვლიდნენ, მრავალრიცხოვანი სამშობლები ჰქონდათ სკიტის უდაბნოში, მემფისისა და ბაბილონის მიმდებარე მხარეები მთლად მონაზვნებით ჩანდა დასახლებული... წარმართული ტაძრები მონაზონთა საცხოვრისებად გადაიქცა“ (კაზანსკი 1871, 50).

ღირსი ანტონის ცხოვრებიდან არ ჩანს, რომ მას ან მის მოწაფეებს ეზრუნათ მონასტერში განდევილთა ერთად ცხოვრების მოსაწესრიგებლად რაიმე წესების შექმნისათვის⁶. ცოტა მოგვიანებით ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ღირსმა **პახომი დიდმა** (290–346), ღვთიური ბრძანებით, რომელიც მას ანგელოზმა ამცნო და და გადასცა საწერი დაფა, რომელზეც მონაზონთა საერთო საცხოვრისის მოწყობისა და ყოფის წესები იყო ჩამოწერილი.

1.1. წმ. პახომი დიდის მოღვაწეობა

წმიდა ღირსი პახომი (286-349 წწ.) წარმოშობით იყო ეგვიპტელი, კოპტი ზემო თებედან (Фиванды), წარმართი; სიჭაბუკის წლები წმინდად და ზნეობრივად გაატარა; 20 წლისა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მოხვდა ქალაქ ოქსირინთში, მოიხიბლა იქაური ქრისტიანი მოსახლეობის კეთილგანწყობილებითა და გულითადობით. ომიდან დაბრუნების შემდეგ მონათლა თავის სოფელ შენობოსკში, იხილა წინასწარმეტყველური სიზმარი, აღივსო ჭემმარტ ღმერთთან ერთიანობის სურვილით, გავიდა უდაბნოში და დაემოწაფა ცნობილ განდევილ პალამონს. ისინი მთელი დღე ლოცულობდნენ, ფსალმუნებდნენ, საუბრობდნენ საღვთისმეტყველო საკითხებზე; ამავე დროს ხელსაქმობდნენ – ცხვრის მატყლისგან (ტყავისაგან)

⁶ ცნობილია ღირსი ანტონის ასკეტიკური შინაარსის შვიდი ეპისტოლე. მის დიდ ავტორიტეტსა და სამონასტრო მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ ჰაგიოგრაფიული მწერლობის, ახალი „ცხოვრება–მოქალაქობის“ ჟანრის წარმოშობას. ანტონი დიდის გარდაცვალებისთანავე (357 წ.) ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსმა ათანასე დიდმა დაწერა ამ ჟანრის პირველი თხზულება „ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი“ (გაბიძაშვილი 2010, 293), რომელიც გამოსცა ივ. იმნაიშვილმა (1970, 1975 წწ.). გარდა ეპისტოლეებისა, ანტონი დიდი არის „ავტორი და მთხრობელი მრავალრიცხოვანი დამოძღვრა–დარიგებებისა და გამონათქვამ–აფორიზმებისა, რომლებიც შესულია სხვადასხვა შედგენილობისა და დანიშნულების ასკეტიკურ–პათეტიკურ კრებულებში“ (გაბიძაშვილი 2010, 284).

აკეთებდნენ ბეწვის სამოსს – არა გაჭირვების გამო, არამედ სხვების დასახმარებლად და უფრო იმიტომ, რომ ფიზიკური შრომით დაეღალათ თავიანთი სხეულები.

პალამონი განსაკუთრებით სთხოვდა პახომს, ღამეები ლოცვით გაეთენებინა და თუ შეამჩნევდა, რომ მას თვლემა ერეოდა, გარეთ გაჰყავდა და ავალებდა, გადაეტანა ქვიშა ერთი ადგილიდან მეორეზე. ასე ასწავლა, გადაჩვეოდა ღამით ძილს. ამასთანავე, მათ ჰქონდათ ჩვევა, ლოცვის დროს ჯვარის სახედ გაშლილი ხელებით მდგარიყვნენ – ასე ინარჩუნებდნენ შინაგან მგზნებარებას და ძილსაც იგერიებდნენ.

მათი ყოველდღიური საკვები იყო პური და მარილი, რასაც იშვიათად რაიმე მწვანილს უმატებდნენ, რა თქმა უნდა, ძმრისა და ზეთის გარეშე. ის კი არა, ზოგჯერ ფერფლსაც ურევდნენ, რომ გემო დაეკარგვინებინათ. გამონაკლისი აღდგომის, საზეიმო დღესაც არ დაიშვებოდა. „ადრინდელი ქრისტიანული ასკეტიზმის არსი მდგომარეობდა უქორწინებლობასა და ბავშვობის შენარჩუნებაში. დანარჩენი, რასაც განდეგილები მიმართავდნენ - მარხვა, ღამე სიფხიზლე - მხოლოდ სულისთვის სხეულის დამორჩილების საშუალება იყო“ (პოსნოვი 1991, 224).

პახომი გულმოდგინედ ითვისებდა თავისი ბერის (старец) გაკვეთილებს მისი ცხოვრების მაგალითით და ფხიზლად დარაჯობდა თავის სულს, ყოველნაირად ცდილობდა, დაეცვა მისი სიწმინდე, ჩაეხშო თვით უმცირესი მანკიერი მოძრაობაც კი, განედევნა ამაო სოფლიური სურვილები და ეფიქრა მხოლოდ სულის ხსნაზე, როგორც ეს გადმოცემულია წმინდა წერილში სული წმიდის მიერ. იყო განსაკუთრებით მორჩილი, თავმდაბალი, მოთმინე და იმდენად წარმატებული ამ სათნოებებში, რომ მისი მოძღვარი გაკვირვებული იყო და ვერ მალავდა კმაყოფილებას თავის სულში.

ღირსი პახომი უმოწყალოდ ექცეოდა თავის სხეულს. უდაბნოში შეშის შესაგროვებლად ფეხშიშველი გადიოდა და მშვიდად უძლებდა ეკლიანი მცენარეებისა და წვრილი კენჭებისგან მიყენებულ ჩხვლეტას და ტკივილს – ამ დროს ფიქრობდა ქრისტეს ეკლის გვირგვინსა და ლურსმნებზე, რითაც იგი ჯვარზე გააკრეს. უდაბნოს სიჩუმეში ლოცულობდა და ესაუბრებოდა უფალს. ცხოველმყოფელი ლოცვით ევედრებოდა, განემტკიცებინა მტრის (ეშმაკის, სატანის) წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მარტო საკუთარი თავისთვის კი არ ლოცულობდა, არამედ ყველა ქრისტიანისთვის, რომ ღმერთს ისინიც გამოეხსნა მტრის მახისაგან.

ღმერთი უნერგავდა ღირს პახომს ადამიანების ასეთ ცხოველ სიყვარულს, რადგან ბევრი სულის გადასარჩენად ამზადებდა. ერთხელ იგი, უდაბნოში განმარტოებული, ერთ ადგილას, რომელსაც ტაბენისი ერქვა – არის ვერსია, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ქ. სიენის ახლოს მდებარე ნილოსის კუნძული – განსაკუთრებით გულმხურვალედ, ჩვეულებრივზე დიდხანს ლოცულობდა, როცა ზეციდან ჩამოესმა ხმა: „დაამტკიცე შენი აქ ყოფნა, პახომი, და ააშენე მონასტერი, რადგან ბევრნი მოვლენ შენთან იმისათვის, რომ გადარჩნენ სამონაზვნო ცხოვრების გზით, და შენ უხელმძღვანელებ მათ იმ წესებით, რომელსაც მე ახლავე გამოგიზავნი“ (თეოფანე 1892, 14). ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მის წინ გაჩნდა დიდი სამონაზვნო სქემით შემოსილი ანგელოზი და გადასცა სპილენძის საწერი დაფა, რომელზეც ეწერა სამონაზვნო ცხოვრების წესები მათთვის, ვინც მისი ხელმძღვანელობით ცხოვრებას მოისურვებდა.

რა ეწერა ფირფიტაზე, გადმოგვცემენ პალადი ჰელენოპოლელი „ლავსაიკონში“, სოზომენე, დიონისე მცირე და ნიკიფორე კალისტა. პალადი აღნიშნავს (*Patrologie latinae*, t. 50), რომ ფირფიტაზე ეწერა შემდეგი:

1. ნება მიეცი ყველას, ჭამონ იმდენი, რამდენიც უნდათ.
2. თითოეულს დაუნიშნე სამუშაო თავისი ძალის მიხედვით.
3. არ აუკრძალო არც მარხვა, არც ჭამა.
4. მძიმე საქმე დაავალე მათ, ვინც უფრო ძლიერია და მეტს ჭამს, ცოტა და იოლი დავალება კი მიეცი სუსტებს, რომლებიც მოღვაწეობას მიჩვეული არ არიან.
5. სენაკები მოაწყვე ცალ–ცალკე სახლებში და თითო სენაკში იცხოვროს სამმა მონაზონმა.
6. საკვები ყველამ ერთად მიიღოს.
7. ძილის დროს არ უნდა იწვნენ – გააკეთონ თავიანთთვის დაქანებულზურგიანი სკამი/დასაჯდომი, მასზე გაიშალონ ლოგინი და დაიძინონ.
8. მათ ღამეც უნდა ეცვათ ტილოს ლევიტონი და შემოჭერილი ჰქონდეთ ქამარი.
9. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს თხის (ან ცხვრის) ტყავის მილოტი, ურომლისოდ არც ძილი და არც ჭამა არ შეიძლება.

10. შაბათს და კვირას ქრისტეს წმინდა საიდუმლოს მისაღებად მიეახლონ მხოლოდ კუნკულ–ბარტყულით (თავსაბურავი), შეიხსნან ქამარი და გაიხადონ მილოტი.

11. თავსაბურავი–კუნკული იყოს შესაკრავის გარეშე, როგორც ბავშვის ქუდი და ეკეროს ალისფერი ჯვარი.

12. ძმები დაყავი 24 დასად 24 ბერძნული ასოს შესაბამისად ალფა და ბეტადან მიყოლებით ომეგამდე. სხვებზე უბრალო და უბოროტო ბერებს უწოდეთ– იოტა, ურჩებს და მძიმე ხასიათის პატრონებს –ღ– ქსი – ამდენად, თავად ასოს ფორმით გამოიხატება თითოეული დასის ადამიანის მიდრეკილება, ხასიათი და ცხოვრება. ასობის მნიშვნელობა გასაგები უნდა იყოს მხოლოდ სულიერი მოძღვრებისათვის.

13. სხვა წესდებით მცხოვრები მონასტრიდან მოსულ ადამიანთან ერთად არც ჭამა, არც სმა არ შეიძლება – მხოლოდ მგზავრობის დროს შეეძლოთ პახომის მოწაფეებს მათი ტიპიკონის არმცოდნე ბერთან ერთადეჭამათ პური.

14. გარედან მოსული ადამიანი არ შეიძლება შევიდეს მონასტერში და თუ შევა, სამუდამოდ უნდა დარჩეს.

15. ახალმოსულს მხოლოდ სამი წლის მკაცრი გამოცდის შემდეგ შეეძლება, შეუდგეს სერიოზულ სამონაზვნო მოღვაწეობას.

16. ტრაპეზზე ყველას უნდა ეხუროს კუნკულ–ბარტყული, რათა ერთმა ძმამ ვერ დაინახოს, როგორ ჭამს მეორე.

17. ტრაპეზის დროს ასევე არ შეიძლება ლაპარაკი და აქეთ–იქით ყურება, მხოლოდ მაგიდასა და საკუთარ თეფშს უნდა უცქირონ.

18. თუ რამე დასჭირდებათ, უნდა ანიშნონ მორიგე მეტრაპეზეს.

19. მონაზვნებმა ყოველდღე შეასრულონ 12 ლოცვა, ასევე საღამოს – 12, ღამეც – 12 და სამი – მე-9 ჟამზე.

წმ. პახომის აზრით, ეს ცოტა იყო, რაზეც ანგელოზმა უპასუხა: ამდენი იმიტომ დავადგინე, რომ სუსტებმა ადვილად, დამძიმების გარეშე აღასრულონ წესი. სრულყოფილი ვინცაა, იმას წესდება არ სჭირდება, თავის სენაკში ისედაც მთელ თავის ცხოვრებას ღვთის ჭკრეტაში ატარებს. წესდებას მე ვაძლევ იმათ, ვისი გონებაც

სათანადოდ მომწიფებული არაა, რომ მათ, როგორც ურჩმა მონებმა, ღვთის შიშით მაინც შეასრულონ ცხოვრების საერთო წესები და სულის თავისუფლება მოიპოვონ.

ასეთი წესდება გადასცა ანგელოზმა მამა პახომს და აღასრულა რა თავისი სამსახური, განშორდა (თეოფანე 1896, 17).

მამა პახომმა ყველაფერი უამბო თავის მოძღვარს და სთხოვა, წაჰყოლოდა იმ ადგილის სანახავად, სადაც ღმერთმა ასეთი მოწყალება გამოიჩინა მის მიმართ. პალამონმა დიდი მადლობა გადაუხადა ღმერთს მისი მოწაფის გამორჩევისათვის და სიხარულით გაჰყვა. მითითებულ ადგილზე მათ ააშენეს პატარა სენაკი და მოუწოდეს ღმერთს, ეკურთხებინა იგი. პალამონმა დალოცა პახომი და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა თავის სამყოფელში. მათ დადეს აღთქმა, არასოდეს მიეტოვებინათ ერთმანეთი, რასაც პახომი სიხარულით ასრულებდა, სანამ პალამონი ცოცხალი იყო. მოხუცს დაეწყო ტკივილები, რაც მისი თავშეკავებული ცხოვრებით იყო გამოწვეული. ღირსი პახომი არ მოსცილებია, დიდი სინაზითა და მზრუნველობით უვლიდა და ბოლოს, მოძღვარმა მის ხელში დალია სული. მამა პახომმა იგი დიდი პატივით დაასაფლავა, დაბრუნდა სენაკში და გააგრძელა თავისი ჩვეულებრივი ღვთის სათნო შრომა და ცხოვრება.

უფალმა შეუმსუბუქა თავისი მოძღვრის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება ღირს მამას იმით, რომ მოუვლინა ღვიძლი უფროსი ძმა იოანე, რომელსაც თავადაც ქრისტეს გზით სიარული გადაეწყვიტა. ორივემ დიდი სიხარული და ნუგეში განიცადა, რადგან პახომს თავისი ნათლობის შემდეგ არც ერთი ნათესავი არ ენახა. ახლა ისინი ერთი განზრახვით, ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთს აქეზებდნენ კეთილი საქმეებისა და მოსაგრეობისათვის.

ძმები დღე და ღამე სწავლობდნენ ღვთის მცნებებს, ყოველდღე ურიგებდნენ ღარიბებს თავიანთი შრომით მოპოვებულ საკვებს ისე, რომ ხვალინდელ დღეზე არ ზრუნავდნენ. ეცვათ ტილოს ტანსაცმელი, რომელსაც მხოლოდ მაშინ იხდიდნენ, როცა უნდა დაებანათ. პახომი საცვლების შიგნით ხშირად იცვამდა ცხვრის ტყავის ბეწვიან სამოსს, რომ ჭეშმარიტად მოეთვინიერებინა ხორცისმიერი შფოთი. ჭამდა ძალიან ცოტას, ძილის დროს ჯდებოდა სენაკის შუაში, არაფერს არ ეყრდნობოდა. ასეთ მძიმე ღვაწლს ეწეოდა იგი 15 წელი. ერთხელ მთელი 40 დღე არ სძინებია,

ვედრებოდა ღმერთს, მიეცა მისთვის ძალა, საერთოდ არ დაეძინა, რომ უფრო კარგად გამკლავებოდა სულის ხსნის უხილავ მტრებს.

ბოლოს ღირს პახომს გაახსენდა ღვთის აღთქმა, რომ მასთან ბევრი ძმა შეიკრიბებოდა და ხორციელ ძმასთან, იოანესთან ერთად დაიწყო მათთვის სენაკების მომზადება.

მალე მისი ძმა გარდაიცვალა. ღირსი პახომი მარტო დარჩა. ბოროტი სულები სასტიკად ებრძოდნენ – ღმერთმა დაუშვა ეს განსაცდელი მასზე იმიტომ, რომ განემტკიცებინა ყველა ჯურის ეშმაკზე გამარჯვებით, მიენიჭებინა ძალაუფლება მათი განდევნისა, რომ მათთვის თავზარდამცემი ყოფილიყო მისი დანახვაც კი.

ბოლოს დადგა ძმათა შემოკრების ჟამიც. შუალამის ლოცვაზე მდგარ ღირს პახომს გამოეცხადა ანგელოზი უფლისა: „ღმერთს ნებავს, რომ ამიერიდან მიიღო ძმები და მკაცრი მოღვაწეობითი ცხოვრების გზის გავლით მიჰგვარო მას“ (თეოფანე 1892, 21) – სამჯერ გაუმეორა და განშორდა. მამა პახომმა მადლობა შესწირა ღმერთს და გულმოდგინედ შეუდგა მისი ნების აღსრულებას: ღებულობდა მისდამი მოლტოლვილებს, რომელთაც სურდათ, მონაზვნური ცხოვრებით დამონებოდნენ უფალს, სათანადოდ გამოსცდიდა მათ სიმტკიცეს და მხოლოდ ამის შემდეგ შემოსავდა სამონაზვნო სქემით.

ერთ–ერთი პირველები მოვიდნენ მომავალი დიდი მამები პეტრონიუსი, თეოდორე განწმენდილი და ორსისი. სანამ ახალმოსულები ცოტანი იყვნენ, თავიდან ღირსი პახომი თვითონ აკეთებდა ყველაფერს მონასტერში, უფლის მცნების მიხედვით, თვითონ ემსახურებოდა ყველას, რომ მათ მხოლოდ ღვთისთვის შეეწირათ მთელი თავიანთი დრო და სულიერი შრომა. ამასთან აცნობდა მათ მონასტრული ცხოვრების წესებს – ლოცვის, ხელსაქმის, საჭმლისა და სასმლის, ძილისა და სიფხიზლისა და სხვ. – ნაწილობრივ, იმას, რაც ღვთის ნებით გადასცა ანგელოზმა, ნაწილობრივ – როგორც ცხოვრება და გამოცდილება კარნახობდა. მამა პახომი საზეიმო დღეებში წირვის ჩასატარებლად და ზიარებისათვის მღვდელს ახლო სოფლებიდან იწვევდა – მას სურდა, რომ მონასტერში ყველა თანასწორი ყოფილიყო და არავის ჰქონოდა უპირატესობა სხვათა წინაშე, ძმებს არ გასჩენოდათ მანკიერი აზრები და დიდი მონაზვნური შრომით მოპოვებული მადლი არ დაეკარგათ (თეოფანე 1892, 21). თავიდან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ტაბენისის

მონასტერში მხოლოდ კოპტები მოსაგრეობდნენ, შემდეგ მოვიდნენ ბერძნები და რომაელებიც... ღირსი პახომი სწავლობდა ბერძნულ ენას, რომ თავად შესძლებოდა მათთან ურთიერთობა (ღირსი პახომი დიდი, იხ. ლინკი).

ღირსი პახომის მონასტერში დამკვიდრებული ბრძნული წესების ამბავი ფართოდ გავრცელდა და სულის ცხონების სურვილით ანთებული ადამიანების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. წინასწარ აშენებული მონასტერი უკვე ვეღარ იტევდა აქ დამკვიდრების მსურველებს, დადგა ახალი საცხოვრისი აშენების საჭიროება.

ახალი მონასტერი, სახელად პაბო, უდაბნო ადგილას აშენდა და მომავალში დიდი და სახელოვანი, სხვა მონასტრებზე აღმატებული გახდა, მაგრამ ღირსი პახომის წესდებით მცხოვრებ ყველა მონაზონს ტაბენისელები ერქვათ, პირველი მონასტრის სახელის მიხედვით.

მალე მამა პახომის სამწყსოს შემოუერთდა ორი სხვა მონასტერი – შებენოსკა და მონხოსი. მამა პახომმა იქ გამოცდილი მონაზვნები გაგზავნა და თავისი წესები დაამყარა. ესეც არ იყო საკმარისი და მან შემდეგ ააშენა უკვე სხვა ხუთი მონასტერი. ამათ გარდა, კიდევ ერთი დედათა მონასტერიც ნილოსის მეორე მხარეს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ღირსი პახომის დამ, რომელმაც, მძის მსგავსად, გადაწყვიტა, მონაზვნური ღვაწლით ემსახურა ღვთისთვის. შემდგომში მამა ორსისმა და თეოდორე განწმენდილმა კიდევ სხვა მონასტრები ააშენეს.

ღირსი პახომის მონასტრებში უამრავი ადამიანი მოსაგრეობდა. ყველა მათგანი ღირს პახომს მშობელი მამასავით შესცქეროდა, ისიც ყველას ერთნაირად უნაწილებდა თავის სითბოსა და მზრუნველობას, ყველა სათნოებაში მაგალითს აძლევდა თავის სამწყსოს, ყოველ წუთს მათზე ზრუნვაში ატარებდა. ღირსი პახომი და მისი მონაზვნები ზრუნავდნენ არა მხოლოდ თავიანთი ცხონებისა და სიკეთის, მოყვასის ხსნისა და კეთილდღეობისათვისაც (ღირსი პახომი დიდი, იხ. ლინკი). მიუხედავად იმისა, რომ ღირსმა პახომმა თვისი ნებით კი არა, ღვთის ბრძანებით იტვირთა მრავალი სული, იყო კანონიერი მოძღვარი მათი, მას ეს მოვალეობა აღქმული ჰქონდა, როგორც სრული უარყოფა საკუთარი თავისა სხვათა სამსახურში. სწორედ ამიტომ გადმოდიოდა მასზე დიდი მადლი ღვთისა, ბრძნულად ხელმძღვანელობის უნარის მიმნიჭებელი, რასაც მოწმობდნენ მის მონასტერში მცხოვრები მონაზვნები (თეოფანე 1892, 24–25).

ღირსი პახომი უდიდესი მოთმინებით, სიყვარულით, სიმდაბლით ასწავლიდა და მოძღვრავდა თავის სამწყსოს, რომელიც, მისი კეთილი მაგალითით შთაგონებული, ღირსეულად იდგა ღვთის სამსახურში.

ღირს მამას მიაჩნდა, რომ მორჩილება არის სამონასტრო წესების ყველაზე მტკიცე საფუძველი და მონაზვნობის სულის მაცხოვრებელი, ამიტომ თავისი მოწაფეებისაგან ყველაზე მეტად ამ სათნოების დაცვას ითხოვდა და დარღვევის არცერთ შემთხვევას დაუსჯელს არ ტოვებდა (მის ცხოვრებაში მოყვანილია მაგალითები). იგი ყველას ასწავლიდა, რომ ჩუმი უნდა ეკეთებინათ სიკეთე, ღვთის წინაშე და არა ადამიანების დასანახად და მათგან ქების მისაღებად. ამასთანავე, იგი ზრუნავდა, რომ მძიმე შრომის შემდეგ ყველა ძმას დაესვენა და ძალა მოეკრიბა (ცხოვრება პახომი დიდისა, იხ ლინკი).

ღირსი პახომი მოივლიდა და მოიხილავდა ხოლმე თავის მონასტრებს, აკვირდებოდა მონაზონთა საქმიანობას, შედიოდა სენაკებშიც, რათა ენახა, რას აკეთებენ ძმები, ხომ არ სჭირდებათ რამე... ამ დროს გაცემდა ბევრ განკარგულებას, უხსნიდა ძმებს წმ. წერილს, განამტკიცებდა სუსტებს, ყველას უნერგავდა სურვილს, მამაცურად შებრძოლებოდნენ ეშმაკის ხრიკებს... ის დაუცხრომლად მიმოდიოდა, სანამ შეეძლო, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში კი თეოდორე განწმენდილს მიავლენდა ხოლმე, ხშირად მონასტრის წინამძღვრებს მეტად საჭირო რჩევა-დარიგებას წერილებით უგზავნიდა (თეოფანე 1892, 36–37).

ღირს პახომს სიამაყისა და თავმოყვარეობის გრძნობა საერთოდ არ გააჩნდა, ამის ნაცვლად მის სულში ღრმა, ყოვლისმომცველი მორჩილება სუფევდა. იმდენად მცირედ მიაჩნდა თავისი თავი, რომ უფლის წინაშე ლოცვას ვერ ბედავდა და წმინდანების მეშვეობით მიმართავდა. არც სხვებზე ძალა მდგომად თვლიდა თავს – სწამდა, რომ ღმერთმა სხვებზე ზრუნვისთვის განაწესა – არასოდეს არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან და ვერ იტანდა ზედმეტ ყურადღებას, იმდენად, რომ ერთხელ, ციებ-ცხელებით გატანჯულმა, არაფრით არ მიიკარა ცხვრის ტყავის ჩასაცმელი, რასაც თეოდორე სთავაზობდა და უბრალო „ჭილობი“ მოიხურა, რასაც ჩვეულებრივ ყველა ძმა ატარებდა. მეორეჯერ ტირილით თქვა უარი, შეეჭამა ბროწეულის რამდენიმე მარცვალი; საერთოდ არ იღებდა არავისგან არანაირ მომსახურებას, თუ თვითონაც სამაგიეროდ არაფერს გაუკეთებდა.

მამა პახომის მორჩილება იმდენად სრულყოფილი იყო, რომ სხვა მონასტერში სტუმრად მყოფი, მის წინამძღვარს ემორჩილებოდა და როცა ვინმე სულიერ თემებზე საუბრობდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, ჰქონდა მოთმინების დიდი უნარიც (თეოფანე 1892, 38–39).

ამბა არიგებდა მონაზვნებს, რომ მათ ყოველნაირად დაეცვათ თავი ამსოფლიური ამოებისაგან; გულიდან ამოეღოთ ლამაზი ტანსაცმლის, ძვირფასი სახლების, საერო ცოდნის სურვილიც კი. „მორწმუნე ადამიანის მთელი სილამაზე ღვთის მცნებათა განუხრელ აღსრულებაა“, – ასწავლიდა იგი (თეოფანე 1892, 42).

მამა პახომი ძმებს ურჩევდა, სხვადასხვა ცდუნებასთან საბრძოლველად გამოეყენებინათ ორი იარაღი: პირველი, ღვთის შიში, რომელიც მუდამ უნდა ღვიოდეს ყველა ქრისტიანის გულში და მეორე, ყოველთვის გაემხილათ თავიანთი უხერხული და შემაშფოთებელი გრძნობები გამოცდილი ბერებისათვის, რომლებიც გასწავლიან, როგორ სძლიო და გათავისუფლდე მათგან. „როგორც ცეცხლი წმენდს მეტალს, ისე ღვთის შიში ასუფთავებს კაცის გულს ყოველგვარი ვნებისაგან და აქცევს მას ღვთის რჩეულ ჭურჭლად“, – ამბობდა მამა პახომი. ასევე, ასწავლიდა ძმებს, ებრძოლათ სხვა ვნებების – პატივმოყვარეობის, სიზარმაცის, შურის, ცნობისმოყვარეობისა და ყოველგვარი უწმინდურობის წინააღმდეგ, რასაც მტერი მონაზვნების გულში თესავს. ამაზე ის ყოველდღე ესაუბრებოდა ძმებს, გარდა ამისა, ყოველი მოსახერხებელი შემთხვევითაც უსაბუთებდა (თეოფანე 1892, 43).

მაღალზნობრივი ცხოვრებითა და სულიერი სიბრძნით გამორჩეული ღირსი პახომი ყველა მონაზვნის საერთო სულიერ მამად იქცა, ისინი რწმენით მოდიოდნენ მასთან რჩევისთვის ყველა თავიანთი სულიერი საჭიროების გამო მისი თუ სხვა მონასტრებიდან; სხვადასხვა მონასტრის წინამძღვრებიც მძიმე მდგომარეობისას მას მიმართავდნენ, როგორც ჭკრეტის უნარით ზეგარდმო დაჯილდოებულ ადამიანს (თეოფანე 1892, 44).

წმ. მამის ასეთი სიბრძნისა და სიფხიზლის გამო მის მონასტრებში ყვაოდა ყოველგვარი ქრისტიანული და მონაზვნური სათნოებები. შეიძლება ითქვას, რომ ღირსი პახომის მიერ შემოღებულ–დამყარებული ბერობის ეს ხარისხი იყო ადამიანის სულების გადასარჩენად მოვლენილი ღვთის სასწაული და მაგალითი, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყობა ქრისტიანული სრულყოფისათვის თავგამოდებულთა

მშობა. ამას ასე აღიქვამდა თავად ღირსი პახომიც, ოღონდ ყველაფერს მიიჩნევდა ღვთის ყოვლისშემძლე მადლის წყალობად, რომელმაც იგი კეთილმორჩილ იარაღად აქცია და ძალიან მადლიერი იყო ამისათვის (თეოფანე 1892, 45).

ღირსი პახომი ფლობდა სულიწმიდის მრავალ ნიჭს: კითხულობდა ფარულ აზრებს, ჰქონდა ხილვები, სულებზე ძალაუფლება, კურნავდა ყოველგვარ ავადმყოფობას, განსაკუთრებით ძლიერი იყო ძალა მისი ლოცვისა, ღმერთი ყოველთვის ისმენდა თავისი მონის თხოვნას.

ღირსი პახომი გარდაიცვალა 348 წელს, 56 წლისა, იმ მხარეში გაჩენილი ჭირით; სიკვდილის წინ დაიბარა ყველა მონასტრის მამასახლისი, უკანასკნელად დამოძღვრა, თავის შემდეგ მთავარ წინამძღვრად დანიშნა პეტრონიუსი და მშვიდობით განისვენა სულიერ სიხარულში, რითაც სახე გაუბრწყინდა.

წმ. პახომის მიერ დაწერილი ტიპიკონის გარდა, შემორჩენილია წერილებიც ნეტარი იერონიმეს ლათინური თარგმანით (Patr. lat. t., 23).

ღირსი პახომი დიდის წესდება, როგორც აღნიშნავენ, შეიცავს მამა ორსისისა და თეოდორე განწმენდილის მიერ ჩამატებულ პუნქტებსაც.

1.2. ტაბენისელთა მონასტრის საერთო წყობა

წმ. პახომმა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში სულ ცხრა მამათა და ერთი დედათა მონასტერი ააშენა, თეოდორემ – ოთხი მამათა და ერთი – დედათა. თითოეულ მონასტერში იდგა 30 ან 40 ცალკე სახლი, 12 ან 13 სენაკით, რომელშიც, ანგელოზის ბრძანებისამებრ, სამი ძმა ცხოვრობდა (თეოფანე 1892, 90).

ყოველ მონასტერს ჰქონდა თავისი ტაძარი, სატრაპეზო, სამზარეულო, პურის საცხობი, საავადმყოფო, სასტუმრო, სურსათის, ტანსაცმლის, სამუშაო იარაღებისა და მასალების საწყობები (ცალკე შენობები), ასევე თავისი ბაღი, ბოსტანი და სახნავ-სათესი მიწები. ყველა მონასტრის ბერები ერთი სულით, ერთიანი მმართველობითა და მეურნეობით შეკავშირებულ ერთ ძმობას შეადგენდნენ. მათ განაგებდათ ერთი მთავარი ამა; ამასთან, ყველა მონასტერს ჰყავდა თავისი წინამძღვარი, რომელიც მთლიანად მთავარზე იყო დამოკიდებული და მთელი მონასტერი ხელში ეჭირა. მონასტრის წინამძღვარს ემორჩილებოდნენ სახლის ზედამხედველები, მათი

თანაშემწეები, კერძო იკონომოსები, მოლარე, მემსგეფსე და ყველა სხვა პირი, ვინც მონასტერში ამა თუ იმ, დროებით ან მუდმივ, სამუშაოს ასრულებდა (თეოფანე 1892, 91).

მთავარი ამბა – წინამძღვარი. ღირსი პახომი თითოეულ ახალაშენებულ მონასტერს თავის წინამძღვარს უნიშნავდა, მაგრამ ყველა მონასტერი მას მიიჩნევდა თავის საკუთარ მამად, წინამძღვრად, ის უშუალოდ ღმერთმა დაადგინა; მასაც უნდოდა, რომ ყველა მონასტერს ყოველთვის ერთი ხელმძღვანელი ჰყოლოდა, ამიტომ თავისი სიკვდილის წინ დაიბარა ყველა მონასტრის წინამძღვარი და ჰკითხა, ვის ისურვებდნენ მის შემდეგ. მათ არჩევანი ღირს პახომს მიანდეს, მანაც პეტრონიუსი დანიშნა მთავარ მამად. პეტრონიუსმა თავის შემდეგ ასევე დანიშნა ორსისი, ორსისმა – თეოდორე განწმენდილი. აქედან ჩანს, რომ ტაბენისელების მრავალი მონასტრისგან შემდგარ ძმობას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ერთი მთავარი მოძღვარი, რომელიც ღვთისგან დადგენილი პახომის შემდეგ ყველა მონასტრის წინამძღვრის საერთო თანხმობით უნდა აერჩიათ – ამასთან მათ შეეძლოთ, თავიანთი უფლებამოსილება გადაეცათ ხორცთაგან გამავალი წინამძღვრისათვის, რომელიც (გარდაცვალების წინ) თავისი სურვილით უნიშნავდა მთავარ მამას და ემორჩილებოდნენ ამ არჩევანს.

მთავარ მამას ჰქონდა თავისი მონასტერი – თავიდან ეს იყო ტაბენისი, მერე – პაბო. ეს ცვლილება ჯერ კიდევ პახომი დიდის დროს მოხდა. ტაბენისის წინამძღვრად მან ღირსი თეოდორე განწმენდილი დანიშნა.

მთავარი მამის მოვალეობა იყო, ფხიზლად ეხელმძღვანელა მონასტრებისთვის, რომ ყველგან მკაცრად დაეცვათ არსებული წესები და ძმებს წარმატება მოეპოვებინათ სულიერ ცხოვრებაში.

მამა ხშირად თვითონ მოივლიდა მონასტრებს. ეცნობოდა მდგომარეობას, ესაუბრებოდა ძმებს მონაზვნური ცხოვრების საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში უგზავნიდა ხოლმე წერილებსაც. ამასთან, სხვა წინამძღვრები ვალდებული იყვნენ, თავად მოენახულებინათ მთავარი მამა და მოეხსენებინათ, რა ხდებოდა მათ მონასტრებში.

მთავარი მამა წელიწადში ორჯერ, აღდგომას და 13 აგვისტოს, თავისთან მართავდა საერთო შეკრებას. სააღდგომოდ მასთან იკრიბებოდნენ ყველანი ყველა

მონასტრიდან – გარდა იმათი, რომელთაც მონასტრის მოსავლელად ტოვებდნენ – ისინი ერთად აღნიშნავდნენ ბრწყინვალე აღდგომას, მარიამობის წინადღეს კი მასთან მოდიოდნენ მონასტრის წინამძღვრები, სახლის ზედამხედველები და ვისაც მამა რაიმე საქმეზე დაიბარებდა. ამ შეკრებებზე განიხილავდნენ ეკონომიკურ საკითხებს, აბარებდნენ ანგარიშს მთავარ იკონომოსს, აქვე აგვარებდნენ ყველა ადრე გადაუწყვეტელ პრობლემასაც.

ტაბენისელი მამები და ძმები ალექსანდრიის პატრიარქის უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ, მთავარ მამასაც იგი ამტკიცებდა (თეოფანე 1892, 91–93).

მონასტრის წინამძღვრები/მამები. მთავარი მამა თვითონ ირჩევდა და გზავნიდა წინამძღვარს ყველა მონასტერში. იგი ვალდებული იყო, ეზრუნა იმისათვის, რათა ძმებს ზუსტად დაეცვათ დადგენილი წესები სულიერი სრულყოფის მიზნით. მონასტრის წინამძღვარი მთავარი მამის მონაცვლე, მისი თვალი, ყური და ენა იყო. ღირსი პახომი წინამძღვრებს არიგებდა, რომ პირველ რიგში თვითონ დაეცვათ მკაცრად წესდება და მაგალითის მიმცემი და მასწავლებელი ყოფილიყვნენ სხვებისთვის. მეორეც, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მათთვის, ვისაც სისუსტეს შეამჩნევდნენ, გაეღვიძებინათ მათი მოშურნეობა და საჭირო გზაზე დაეყენებინათ. ამ მხრივ მონასტერი არის ზნეობრივი სამკურნალო, წინამძღვარი კი – მისი პირველი სულიერი მკურნალი.

წინამძღვარი განაგებდა ყველას და ყველაფერს მონასტერში: ნიშნავდა სახლის ზედამხედველებს, რომლებიც მეთვალყურეობდნენ წესდების დაცვას და ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას, ყოველ დილას აძლევდა მათ განკარგულებებს; იგი იღებდა ახალ წევრს სავანეში, მიუჩენდა ადგილს სახლში და მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე სამუშაოს. მხოლოდ მისი ნებართვით შეიძლებოდა მონასტრიდან გასვლა და მნახველების მიღება.

წინამძღვარი ზრუნავდა ძმათა სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვისთვისაც: ყოველკვირეული საუბრებით როგორც ერთად, ასევე ცალკე ძმებისთვის საინტერესო საკითხებზე. ამასთან, არ უნდა გადაეტვირთა ისინი ფიზიკური შრომით. ერთნაირად მიეწოდებინა სულიერი და ხორციელი საზრდო, არ გამოერჩია ძმები, ყველას ერთნაირი ზრუნვითა თუ სიმკაცრით მოპყრობოდა.

ცნობილია, რომ მონასტრებში წინამძღვრის გარდა იყო მეორე მოწესე, თანაშემწე, მაგრამ მისი მოვალეობები წესდებაში გაწერილი არ არის (თეოფანე 1892, 94–96).

სახლის ზედამხედველი. ყოველ მონასტერში იყო 30 ან 40 სახლი. თითოეულ სახლს წინამძღვარი უნიშნავდა ზედამხედველსა და მის თანაშემწეს. სავანეში მტკიცე წესრიგი და მშვიდობა ზედამხედველზე იყო დამოკიდებული, ამიტომ წესდებაში დაწვრილებით არის მოცემული მათი უფლება–მოვალეობები. ამ ხარისხს მხოლოდმაღალი ზნეობითა და გონიერებით გამორჩეულ გამოცდილ ადამიანებს ანიჭებდნენ. იგი სამართლიანი, მშვიდობისმოყვარე, გულშემატკივარი, მოწყალე, თავისი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნი და მტკიცე ადამიანი უნდა ყოფილიყო, მოშურნე საკუთარი და სხვათა სულების ხსნა–გადარჩენისა, თავისუფალი ყველა კაცობრივი ვნებისგან, უფროსების მორჩილი და მათი დავალებების აღმსრულებელი, ყველაფერში თავშეკავებული და მოკრძალებული. მას სახლში, ეკლესიაში, სატრაპეზოში, სამუშაოზე თვალ–ყური უნდა ედევნებინა ძმებისთვის, მისი ნებართვის გარეშე არავის შეეძლო, რამე ემოქმედა. მასვე უნდა ესწავლებინა ახალმღებულები წევრისთვის მონასტრის წესები და საქმიანობა. მას უნდა მიეღო და დაერიგებინა ძმებისთვის, რაც სჭირდებოდათ. თუ ვინმე შეუძლოდ გახდებოდა, საავადმყოფოში წაეყვანა. მისი ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა ვინმესთვის რაიმეს მიცემა, გამორთმევა, ვინმესთან წასვლა ან რაიმეს ქონა–შენახვა. მასვე ევალებოდა ძმათა სულიერი წმინდა ცხოვრებისათვის ზრუნვაც, ნუგეშისცემა და დაწყნარება მათი. ამასთანავე, მას არ შეეძლო, რამე ემოქმედა თვითნებურად, ყველაფერი წესდებით იყო განსაზღვრული ან ამბა ავალებდა, მისთვის უნდა მოეხსენებინა, რაც მოხდებოდა სახლში. თუ რამე გამოეპარებოდა ან არ ეტყოდა წინამძღვარს, თვითონ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა (თეოფანე 1892, 97–100).

ყოველ სახლში იყო აგრეთვე **ზედამხედველის თანაშემწე** – ასრულებდა ზედამხედველის მოვალეობას მისი არყოფნის დროს, ებარა სამუშაო იარაღები, ინახავდა და საჭიროების დროს აძლევდა ძმებს გარეცხილ ტანსაცმელს, წიგნებს (თეოფანე 1892, 100).

ჰყავდათ **იკონომოსი** და **მოლარე**, კიდევ დროებითი ან მუდმივი სხვადასხვა მოხელე და **მემსგეფსე**. იკონომოსი განაგებდა სამეურნეო საქმეებს მონასტერში,

მოლარე – მონასტრის გარეთ. მას იკონომოსი აძლევდა ფულს საჭირო საქონლის შესაძენად, მისთვისვე უნდა ჩაებარებინა ანგარიში და დარჩენილი თანხა, ისე, რომ ერთი ღამეც არ უნდა ჰქონოდა თავის სენაკში. სავარაუდოდ, მასვე ევალებოდა ძმათა ნახელავის გაყიდვაც.

ამასთან, ყველა მონასტრის სამეურნეო საქმეებს განაგებდნენ ერთი **მთავარი იკონომოსი** და **მოლარე**. მათ ევალებოდათ დიდი რაოდენობის მონასტრის ნაწარმის გაყიდვა, ყველა სავანისთვის საჭირო სამუშაო მასალისა და იარაღების, ტანსაცმლის, სურსათისა და ა.შ. შესყიდვა. ისინი იმავე მონასტერში ცხოვრობდნენ, რომელშიც მთავარი ძამა.

იკონომოსები და მონასტრის წინამძღვრები აგვისტოს შეკრებაზე ანგარიშს აბარებდნენ მთავარ იკონომოსს, ის კი ვალდებული იყო, დიდი საერთო კრების წინაშე წარმოედგინა თავისი საქმიანობის შედეგები. მთავარი იკონომოსი, მონასტრის წინამძღვრები და იკონომოსები შემოსავალ-გასავალს სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავდნენ.

მონასტრების ერთიანი სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობა ღირსმა პახომმა ჩამოაყალიბა იმიტომ, რომ, რაც შეიძლება, ცოტა ადამიანი ყოფილიყო დაკავებული ყოფით-მატერიალური საზრუნავით და ძმებს მთელი თავიანთი დრო და ენერჯია სულის სრულყოფისათვის მიეძღვნათ (თეოფანე 1892, 101).

მონასტერში აუცილებლად იყო საავადმყოფო, რომლის ზედამხედველი **მესნეულე** (ექიმი) იყო. ჰქონდათ ცალკე სახლი მომლოცველებისა და სტუმრებისათვის და მას **მესტუმრე** და **მეკარე** განაგებდნენ. ამ სახლებში სამსახურისთვის რიგ-რიგობით საუკეთესო და გამოცდილ ძმებს ირჩევდნენ და ისინი თავიანთ მორჩილებას უდიდესი ყურადღებითა და მონდომებით ასრულებდნენ. მათ ეხმარებოდნენ სხვა სახლებიდან ისინი, ვისი მემსგეფსეობის (კვირეული სამსახურის) რიგიც იყო.

ბადისა და ბოსტნისათვის წესდებაში ცალკე სახლი არ აღინიშნება, მაგრამ ჩანს, რომ ჰყავდათ მცველი, რომლის ნებართვის გარეშეც არაფრის ქმნა არ შეიძლებოდა. მოსავალს მემსგეფსეები იღებდნენ, კვირეულ სამსახურს მთელი სახლი ერთად ასრულებდა.

საერთომონასტრულ კვირეულ მომსახურეთა გარდა, იყვნენ მცირე მემსგეფსენიც, რომლებიც სახლში ასრულებდნენ მორჩილებას. მემსგეფსეებს მორჩილება ჰქონდათ მონასტრის გარეთაც, სადაც ერთი ან რამდენიმე სახლი ან მთელი მონასტერი გადიოდა. ამ შემთხვევაში მათ ახლდნენ მემსგეფსე, მესნეულე, მეტრაპეზე, მეკარე, რომლებიც გარეთაც ისევე ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, როგორც მონასტერში ყოფნისას.

შემდეგ წესდებაში განხილულია მონასტერში მიღების, მონაზონთა სამოსის, ღვთისმსახურების, ზიარების, შრომის, კვების, ძილის, შინაგანი სულიერი ცხოვრების, ზნეობრივი, ავადმყოფობისა და საავადმყოფოს, უცხოთა მიღების, მნახველების დაშვებისა და მონასტრიდან გასვლის, ძმათა დამარხვის, ბავშვთა აღზრდის, დედათა მონასტრისა და ეპიტიმის საკითხები. ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე მათგანზე (თეოფანე 1892, 101–107).

ტანსაცმელი. ნათქვამია, რომ ძმები ატარებდნენ შემდეგ სამოსს: ლევიტონი, ქამარი, საბეჭური, კუნკულ–ბარტყული, მილოტი, მანტია, სანდლები, გზაში კვერთხიც მიჰქონდათ. ზოგიერთი ეს სამოსი ანგელოზის მიერ გადმოცემულ წესებშიც იხსენიება.

ლევიტონი არის ტომრის მსგავსი ტილოს მუხლამდე ჩასაცმელი, იდაყვებამდე სახელოებით. მოკლე სახელო ნიშნავს, რომ მათ მოიკვეთეს ყველა სოფლიური ჩვევა და საქმე, ტილო (მიცვალებულს ტილოში გახვეულს მარხავდნენ) – რომ ისინი მკვდარი არიან ყველაფერი მიწიერისთვის.

ტილოს ქამარი წელზე ჰქონდათ შემოჭერილი. სამოსის რეცხვის დროს მასში ჩაიტანდნენ და იწევდნენ ლევიტონს.

საბეჭური ტილოსი – სიმბოლოა იმისი, რომ ყოველ წამს მზად არიან ღვთის სამსახურისთვის.

კუნკულ–ბარტყულა იყო ბავშვის ქუდის მსგავსი, ზემოთ წაწვეტებული, მხრებამდე დაშვებული ფარფლებით. მასზე აღნიშნული იყო მონასტერი და სახლი, რომელსაც ქუდის პატრონი ეკუთვნოდა. ეკერა ალისფერი ჯვარიც. კუნკულ–ბარტყულა ნიშნავს, რომ მათ უნდა იცხოვრონ წმინდად და უბიწოდ, როგორც ჩვილმა ბავშვებმა, დაიმარხონ ბავშვური გულწრფელობა და უბრალოება.

მილოტი, თხის ტყავის, კისერთან შესაკრავი, ლევიტონის სიგრძის მოსაცმელი – ატარებდნენ ელია წინასწარმეტყველისა და ყველა იმათი მიბადებით, ვისზეც წერს მოციქული: „იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა“ (ებრ. 11, 37) – ნიშნად იმისა, რომ მათ მოაკვდინეს ხორციელი ვნებები, აღარ გააჩნიათ არაფერი წარსული ცხოვრებისაგან და რომ ყოველთვის ახსოვდეთ ელია წინასწარმეტყველი, რომელიც მამაცურად ებრძოდა არაწმინდა გულისთქმებს.

მონაზვნებს სანდლებსა და კვერთხსაც აძლევდნენ, სანდლებს – მხოლოდ სამუშაოზე გასვლისას. **კვერთხი** მოაგონებდა, რომ მათ არასოდეს უნდა იარონ უიარალოდ, როდესაც ყოველი მხრიდან უყევენ ვნებები – ქოფაკი ძაღლები და ესევიან უხილავი მხეცები, უწმინდური სულები, არამედ უნდა შეიარაღდნენ ჯვრით, მხნეობდნენ უფლის ვნებათა ხსოვნით და მოშურნეობით ბაძავდნენ მას საკუთარ თავში ხორციელი ადამიანის მოკვდინებით.

თითოეულ ძმას ჰქონდა ორი ლევიტონი, მესამე – გაცვეთილი, ძილისა და მუშაობის დროს ჩასაცმელი და ორი კუნკულ–ბარტყული, დანარჩენი – ყველაფერი თითო. ძმები თვითონ რეცხავდნენ თავიანთ ტანსაცმელს და ვალდებული იყვნენ, გაფრთხილებოდნენ და მოევლოთ (თეოფანე 1892, 107–112).

მწირთა/უცხოთა მიღება. ყველა მონასტერთან იყო სასტუმრო, სადაც იღებდნენ ყველა მომსვლელს სქესის, სარწმუნოებისა და მდგომარეობის განურჩევლად, მაგრამ მონასტერში არავის უშვებდნენ მონაზვნებისა და სასულიერო პირების გარდა, ისიც, იშვიათად, წინამძღვრის ნებართვით.

ქალების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდნენ, მაგრამ მათთვის ცალკე სამყოფელი იყო განსაზღვრული (თეოფანე 1892, 141–143).

ბავშვები მონასტერში. მონასტერში მიჰყავდათ მზრუნველთა გარეშე დარჩენილი ობოლი ბავშვები ან მათი მშობლების თხოვნითა და ნებართვით, რაც ქართულ მონასტრებში მკაცრად იყო აკრძალული.

ბავშვები ცხოვრობდნენ ცალკე სახლში. გამოცდილი და გონიერი ზედამხედველი და აღმზრდელ–დამრიგებლები ჰყავდათ, სხვებთან ერთად იკვებებოდნენ, მაგრამ დღეში ორჯერ, ამასთან, არ ჩანს, რომ მათთვის რამე განსაკუთრებული მზადდებოდა. სავალდებულო არ იყო, ბავშვები დასწრებოდნენ ყველა ღვთისმსახურებას. ზოგჯერ მონასტრის ძმებთანაც ერთად მუშაობდნენ.

წესდებით იკრძალებოდა ბავშვებთან გართობა–მხიარულება, ხუმრობა–თამაში, მკაცრად ისჯებოდა მათთან მეგობრობა, ფხიზლად კონტროლდებოდა ბავშვების ქცევა. განსაკუთრებით ურჩებს, ვისზეც დარიგება არ მოქმედებდა, ცემითაც წურთნიდნენ, სანამ არ შეიძენდნენ ღვთის შიშს, არ დაემორჩილებოდნენ კეთილ ნებას და მონასტრის წესებს (თეოფანე 1892, 144–145).

დედათა მონასტრები. წმ. პახომისა და წმ. თეოდორეს მიერ დაარსებული დედათა მონასტრები ნილოსის გაღმა, მეორე ნაპირზე იყო გაშენებული. მათი სულიერი და ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნავდნენ გამოცდილი, განსაკუთრებით ბრძენი და გონიერი ასაკოვანი მონაზვნები, მხოლოდ მათ შეეძლოთ იქ თავისუფლად სიარული. სავანეში მიღება, წესრიგის დაცვა და დედების რჩენაც კი დამოკიდებული იყო მამათა მონასტრის წინამძღვარზე. დედა წინამძღვარი განაგებდა მხოლოდ მონასტრის შიდა საქმეებს, წესრიგის დაცვას, ისიც მთავარი მამის ავტორიტეტით, მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით მისი დანიშნული ბერების მეშვეობით. მონასტერში მყოფი დედების მონახულება შეეძლო მხოლოდ მის ძმას, მამას და მისი შვილების მამას წინამძღვრის თანხმობით მისგან დანიშნული ბერის თანდასწრებით.

ეპიტიმია. ადამიანი იმდენად უძლურია, რომ მონასტრის კედლები და ღვთის შიშიც ვერ იცავს გადაცდომისაგან, ამიტომ წესდებაში შეტანილია ეპიტიმიაც მრავალი, ამა თუ იმ მცირე და დიდი დანაშაულისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპიტიმის გამოყენებამდე ძმას რამდენჯერმე აფრთხილებდნენ, მოეკვეტა ცოდვა და მხოლოდ ამის შემდეგ სჯიდნენ. ეპიტიმის უკიდურესი ზომა როზგით ცემა იყო და მას ძალიან იშვიათად, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ (თეოფანე 1892, 146–148).

ღირსმა პახომმა, ღვთის ნებითა და მითითებით, დააარსა მონასტრები, რომლებშიც მონაზონთა ცხოვრების ყველა წუთი გათვლილი იყო. მამა პახომმა და მისმა მოწაფეებმა შეძლეს, ჩამოეყალიბებინათ მონასტრების ფართო ქსელი, შეავსეს ანგელოზისგან მიღებული წესდება იმ საკითხებით, რასაც ცხოვრება კარნახობდა. მათი გამოცდილება მთელ ქრისტიანულ სამყაროში გავრცელდა და იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, დღემდე მოქმედებს.

ღირსი პახომი დიდის დაწყებული მოღვაწეობა ღირსეულად გააგრძელა მისმა უმცროსმა თანამედროვემ, წმ. ბასილი დიდმა.

1.3. წმ. ბასილი დიდის მოღვაწეობა

წმ. ბასილი დიდი დაახლოებით 330 წელს დაიბადა კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში კონსტანტინე დიდის იმპერატორობის დროს. იგი კეთილშობილებით, სიმდიდრით, ნიჭიერებითა და საღვთო მოშურნეობით ცნობილი გვარისა და ოჯახის ჩამომავალი იყო (ხინთიბიძე 1968, 7). წმ. ბასილის დედა, ემილია, მოწამის შვილიშვილი იყო; მამა, უფროსი ბასილი – ნეოკესარიელი ადვოკატი და რიტორიკის ცნობილი მასწავლებელი. მათ ჰყავდათ ათი შვილი: ხუთი ვაჟი და ხუთი ქალი, რომელთაგან ხუთი – ბასილი, მაკრინა (ხს. 19 ივლისს), გრიგოლ ნოსელი (ხს. 10 იანვარს), პეტრე სებასტიელი (ხს. 9 იანვარს) და ღირსი თეოზვა დიაკონისა (ხს. 10 იანვარს) – ქრისტიანულმა ეკლესიამ შემდეგში წმინდანად შერაცხა (მიხაილოვი, 2004: 131-136). გრიგოლ ნოსელის მკვლევარი გ. ფლოროვსკი აღნიშნავდა, რომ მათ „სახლში ასკეტური და მაღალი კულტურა სუფევდა“ (ფლოროვსკი 1931, 123).

სარწმუნოების პირველი თესლი ბასილის სულში ბებია, მაკრინემ ჩააგდო, მამა, მჭევრმეტყველებისა და ფილოსოფიის მასწავლებელი, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას და საერო მეცნიერებებს ასწავლიდა (ხინთიბიძე 1968, 9). 14 წლის ბასილის მამა გარდაეცვალა და ორი-სამი წელი ნეოკესარიის მახლობლად, ქალაქგარეთ გაატარა ბებია მაკრინეს მამულში, რომელიც შემდგომში მონასტრად გადაკეთდა. აქედან ბასილი ხშირად დადიოდა კესარიაში ოჯახის მოსანახულებლად.

მაკრინეს გარდაცვალების შემდეგ ბასილი კესარიაში დაბრუნდა, სწავლობდა სხვადასხვა მეცნიერებებს საუკეთესო მასწავლებლებთან და ყველა აღაფრთოვანა. მერე კონსტანტინოპოლში, ცნობილ რიტორ ლიბანიოსთან სწავლობდა რიტორიკას, შემდეგ კი გადავიდა ტრადიციული ფილოსოფიური სკოლებით მდიდარ ქალაქ ათენში (თეოფანე 1892, 214), რომელიც მთელი ელინური სიბრძნის დედად ითვლებოდა. აქ შეხვდა იგი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს, რომელთანაც სიკვდილამდე მეგობრობდა. ათენში შეისწავლა გრამატიკა, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, ფიზიკა, მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ იგრძნო,

რომ საერო განსწავლულობა ქრისტიანული სრულყოფის მამიებელს ბევრს ვერაფერს მისცემდა, ამიტომ გადაწყვიტა, იმ ქვეყნებში წასულიყო, სადაც ქრისტიანი მოღვაწეები ცხოვრობდნენ და მათგან ესწავლა ქრისტიანობა - მეცნიერებათა მეცნიერება (ხინთიბიძე 1968, 9).

დაახლოებით 357 წელს წმ. ბასილი კესარიაში დაბრუნდა. ქალაქის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნით რამდენჯერმე გამოვიდა საჯაროდ და თავისი ორატორული ხელოვნებით აღაფრთოვანა მსმენელები. 27 წლის ასაკში ადვოკატი და რიტორიკის მასწავლებელი იყო, მაგრამ მალე ღვთის სიყვარულით აღსავსე განერიდა ამსოფლიურ საზრუნავს და ღვთის გზას დაადგა (თეოფანე 1892, 215).

წმ. ბასილიმ მონაზვნური ცხოვრების წესის გასაცნობად იმოგზაურა ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში, მოინახულა ღვაწლმოსილი მეუდაბნოეები, მოსაგრეები. ეგვიპტეში, სადაც იმხანად ბერ-მონაზვნობა ყვაოდა, არქიმანდრიტ პორფირის სახლში, საღვთისმეტყველო თხზულებებით მდიდარ ბიბლიოთეკაში მთელი წელი სწავლობდა ღვთისმეტყველებას. ეგვიპტეშივე გაიცნო მრავალი სახელოვანი მოღვაწე: მაკარი დიდი და მაკარი ალექსანდრიელი, პავლე და სხვები. ეგვიპტიდან პალესტინასა და მესოპოტამიაში გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსალოცად და იქაურ მოღვაწეთა ცხოვრების გასაცნობად, თუმცა ჯერ ათენში წავიდა, რათა ენახა თავისი მასწავლებელი ევბულე, ქრისტეს სჯულზე მოექცია და ამით გადაეხადა ის სიკეთე, რაც მას ევბულემ უყო. ევბულე ბასილიმ ქალაქგარეთ ნახა, როცა იგი სხვა ფილოსოფოსებს რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრებოდა. ბასილის არ გაუმჟღავნებია თავისი ვინაობა, ისე ჩაება კამათში, სადავო საკითხიც გადაჭრა და ახალი კითხვაც დაუსვა ყოფილ მასწავლებელს. მსმენელებს გაუკვირდათ, ვინ ბედავდა სახელგანთქმულ რიტორთანპაექრობას.

ევბულემ წმ. ბასილისთან ერთად იერუსალიმში მოინახულა წმინდა ადგილები, შემდეგ კი წარუდგნენ ეპისკოპოს მაქსიმეს და სთხოვეს, იორდანეში მოენათლა ისინი. გაქრისტიანებული წმ. ბასილი და ევბულე ერთი წელი დარჩნენ იერუსალიმში, მერე კი გაემგზავრნენ ანტიოქიაში, სადაც მთავარეპისკოპოსმა მელეტიმ ბასილი დიაკვნად აკურთხა. ცოტა ხნის შემდეგ ბასილი ევბულესთან ერთად კაპადოკიაში დაბრუნდა. როდესაც კესარიას მიადგნენ, მთავარეპისკოპოს ლეონტის ეჩვენა, რომ ქალაქს უახლოვდებოდა კაცი, რომელიც შემდგომში მისი

მთავარეპისკოპოსი გახდებოდა. ლეონტიმ მოიხმო მთავარდიაკონი, ეპისკოპოსები და რამდენიმე მორწმუნე, სთხოვა, ქალაქის აღმოსავლეთ კარიბჭესთან დახვედროდნენ და პატივით მიეგვარათ მისთვის ქალაქში შემოსული ორი მგზავრი. მათ შეასრულეს მღვდელმთავრის ბრძანება და მიეგებნენ ევბულესა და ბასილის. როდესაც ისინი ლეონტის წარუდგინეს, იგი განცვიფრდა, რადგან სიზმარში სწორედ ეს ორი კაცი იხილა. მთავარეპისკოპოსი ესაუბრა მგზავრებს, გაოცებული დარჩა მათი სიბრძნით, სტუმრები თავისთან დაიტოვა და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა (მიხაილოვი 2004, 131-136).

კაპადოკიაში დაბრუნებულმა ბასილიმ მთელი სიმდიდრე მოწყალებად გასცა. მას შემდეგ, რაც მიიღო ცხოვრებისაგან განდგომის გადაწყვეტილება, პირველი, რაც მოინდომა, იყო, მოეძებნა მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც უხელმძღვანელებდა ცხოვრებაში. კაპადოკიაში ასეთი ვერავინ იპოვა, მოიარა ალექსანდრია, მესოპოტამია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე. შეითვისა მათგან სხვადასხვა სათნოება, აღენთო საღმრთო შურით, ისე მოეწყო თავისი ცხოვრება, როგორც განდგომილებთან ნახა და ისწავლა (თეოფანე 1892, 216). თანამოაზრე და ახლობელი ხელმძღვანელი არ ჰყავდა. კესარიასა და მის მახლობელ მიდამოებში იყვნენ ბერები, ბასილიმაც მათ მიაშურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესენი ვერ იყვნენ სათანადო სიმაღლეზე, ამიტომ ყველაფერი თვითონ, თავიდან უნდა გაეკეთებინა (თეოფანე 1892, 219).

დიდმა ბასილიმ არ დააყოვნა საქმეც, მაგრამ არ უნდოდა მონასტრის აგება კესარიაში. სავარაუდოა, რომ დიდი ხნის წინ გადაწყვიტა, დაფუძნებულიყო იქ, სადაც მისი დედა და და მოღვაწეობდნენ მცირე მონასტერში. დედათა ეს სავანე მდებარეობდა პონტოში, პატარა ქალაქ ივორიდან 7–9 სტადიონის დაშორებით, მდინარე ირისის ნაპირზე. სწორედ მის გაღმა, დედათა მონასტრის პირდაპირ გაშლილ ვაკეზე აღმართული ტყიანი გორა მოეწონა წმინდა ბასილის სამონასტრედ და იქ დასახლდა რამდენიმე ადამიანთან ერთად (თეოფანე 1892, 220).

გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიწერილ წერილში წმ. ბასილიმ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები, ოცნებები, როგორი მონასტერი უნდოდა, რომ ჰქონოდა. აღუწერა გარემო, მერე – რატომ დასახლდა აქ. კერძოდ:

ჯერ ერთი, ადამიანებისგან მოშორებულია; აქ არაფერი შეგიშლის ხელს, ეცადო გონებით მდუმარებას.

წუთისოფლისგან განშორება მარტო ის კი არ არის, რომ სხეულით იყო ცალკე, არამედ სულითაც მოსწყდე ყოველგვარ ვნებას. ეს უზრუნველობით ავსებს სულს, ათავისუფლებს ყველა ცხოვრებისეული და ყოფითი საზრუნავისგან და საშუალებას აძლევს მას, მთელი ძალით მიიღოს, შეითვისოს ღვთიური სწავლება (თეოფანე 1892, 223).

გონება არ იფანტება გარეგნულ საგნებზე, არც ერთობა ამქვეყნიური გრძნობების გავლენით, უღრმავდება, ჩადის თავის თავში, იქიდან კი მალდება აზრით ღმერთის საკითხამდე. ყოფითი საზრუნავისაგან თავისუფალი სული მთელ ძალას მიმართავს იქითკენ, შეიძინოს წარუვალი სათნოებები: უმანკობა, გონიერება, სიმამაცე, სამართლიანობა და ყველაფერი სხვა, ამათგან გამომდინარე, რაც ასეთ მოშურნე ადამიანს ავალდებულებს, ყველაფერი სათანადოდ გააკეთოს (თეოფანე 1892, 223).

უდიდესი ნეტარებაა, ამქვეყნადვე ვბაძავდეთ ანგელოზურ ცხოვრებას: დილით, გათენებისთანავე, ვისწრაფოთ, პატივი მივაგოთ შემოქმედს გალობით, მზე რომ ამოვა, ვაკეთოთ საქმე ლოცვით; საქნარი შევანელოთ ფსალმუნის გალობით – მასზე მეტად ხომ არაფერს მოაქვს სიხარული და სიმშვიდე (თეოფანე 1892, 223–224).

ყველაზე მთავარი, რასაც ვეძებთ, რაც გვევალება, არის, შევისწავლოთ საღვთო წერილი. ვისწავლოთ ყველაფერი საუკეთესო: იოსებისგან – კეთილგონიერება, იობისგან – მოთმინება, დავითისა და მოსესგან – მორჩილება და ურისხველობა.

კითხვასთან ერთად საჭიროა ლოცვა, სულ უნდა გვახსოვდეს ღმერთი; ეს ნიშნავს, რომ ამის საშუალებით, ჩვენში გაჩნდება, ჩასახლდება ღმერთი, გავხდებით ტაძარი ღვთისა, როცა ღვთის ხსოვნა არ ბრკოლდება მოულოდნელი ვნებიანი მოძრაობით, აირეკლავს ყველაფერს, რასაც უნდა მისი მიტყუება თავშეუკავებლობისაკენ და ატარებს დროს იმ საქმეში, რასაც სათნოებებისკენ მიჰყავს (თეოფანე 1892, 224).

გრიგოლ ღვთისმეტყველი ჩამოვიდა მეგობართან. ის და ბასილი ერთად ლოცულობდნენ, შრომობდნენ და კითხულობდნენ წმ. წერილს (ე.ხინთიბიძე, 1968:

25). ბასილი და გრიგოლი უსაზღვრო თავშეკავებით გამოირჩეოდნენ: მათ კელიებში არ იყო კერა ცეცხლის დასანთებად, საზრდელიც ძალზე მწირი ჰქონდათ. ისინი თლიდნენ ქვებს, რგავდნენ და უვლიდნენ ხეებს, ეზიდებოდნენ ტვირთს, ფიზიკურად შრომობდნენ. ამსოფლიური ამოებისაგან განრიდებულნი სწავლობდნენ წმინდა წერილს, ეცნობოდნენ მის განმარტებებს, კერძოდ, ორიგენეს ნაშრომებს, რომლის თხზულებების მიხედვითაც შეადგინეს კრებული „ფილოკალია“ („სიკეთისმოყვარება“). არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც ამ საკითხის შესახებ (მიხაილოვი 2004, 142-143).

მამა ბასილის ძმობა სწრაფად იზრდებოდა შემომატებულ თითო-თითოდ მცხოვრებთა ხარჯზე.

ერთად ცხოვრების წესებს თავად ცხოვრება ადგენდა აღმოსავლეთის მაგალითებზე მიწინააღმდეგებით, მათში ადგილობრივად საჭირო პირობების ჩართვით. “წმ. ბასილიმ პირველმა ჩამოაყალიბა მორჩილების ინსტიტუტი და შეიმუშავა მონაზვნად აღკვეცის წესები“ (დვორკინი 2, 2020, 116). ბასილის თავისი წესები შემოქმონდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ხედავდა ან უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ასე ითხოვდა ცხოვრებისაგან განდგომილთა ყოფის არსი: ყველაფერს წინასწარ კარგად აწონ-დაწონიდა, მოიფიქრებდა, რომ მერე სხვებსაც აზრიანად შეესრულებინათ, იმის რწმენით, რომ სხვანაირად არ შეიძლება. თავისი წესებისთვის რომ გონივრული სინათლე მოეფინა, ის ძმებს ესაუბრებოდა, განუმარტავდა, მოჰყავდა მაგალითები საღვთო წერილიდან, მამათა სწავლებათაგან. შემდეგ გადაწყვიტა, ეს საუბრები ჩაეწერა კიდეც (თეოფანე 1892, 227–228).

ბასილი დიდის შრომები არ შემოიფარგლებოდა მარტო ამ ერთი თავისი პონტოს სავანის მოწყობით – ის სანიმუშო იყო. წმ. ბასილი დადიოდა პონტოში, აფხიზლებდა არიანული მწვალებლობით შერყეულთ, განამტკიცებდა რწმენაში; მსურველებს იღებდა ზოგადცხოვრებულთა ძმობაში. მის წესდებაში არის მითითება, რომ მისი სავანის ახლოს უნდა იყოს სხვა ასეთივენი, ისინი უნდა დაეხმარონ ერთმანეთს, წინამძღვრებმა კი ჟამითი-ჟამად უნდა მოითათბირონ ხოლმე. ეს ძალიან ჰგავს იმას, რაც ღირსმა პახომმა შემოიღო (თეოფანე 1892, 228).

წმ. ბასილიმ ღვთივსათნო ცხოვრების მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა თავის მონასტრებს, თუმცა იძულებული გახდა, ცოტა ხნით დაეტოვებინა ისინი კესარიასში

არეულობის გამო. ეპისკოპოსმა დიონისემ მიიწვია მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე არიანელების წინააღმდეგ საბრძოლველად, აიყვანა პრესვიტერის ხარისხში (362 წ.) და დაავალა, ექადაგა. ეს ეპისკოპოსი მალე გარდაიცვალა, მისი შემცვლელი ევსევი რაღაც დროის შემდეგ გულწყებულ იქნა წმ. ბასილის მიმართ, რის გამოც წმინდანმა დატოვა კესარია და პონტოში დაბრუნდა (თეოფანე 1892, 228). მასთან ჩამოვიდა წმ. გრიგოლიც.

იმავე ხანებში წმ. ბასილიმ, ბერების თხოვნით, დაწერა ზნეობრივი ცხოვრების წესების სახელმძღვანელო – ტიპიკონი/ასკეტიკონი. თავისი ცხოვრებისეული მაგალითითა და ქადაგებებით ბასილი დიდს სულიერი სრულყოფილებისაკენ მიჰყავდა კაპადოკიელი და პონტოელი ქრისტიანები. მრავალი ისწრაფოდა მისკენ, როგორც გამოცდილი და ღვთივსულიერი მოძღვრისაკენ. „ბასილი დიდის ორივე წესი (დიდი და მცირე ასკეტიკონი) სტრუქტურულად განსხვავდება გვიანდელი სამონასტრო ტიპიკონებისაგან. ეს სამონაზვნო წესები გახლავთ პასუხები კითხვებზე, რომლებსაც ის მიუგებდა დაინტერესებულ მოწაფეებს, რომელთა შორის არ იგულისხმებიან მხოლოდ ბერ-მონაზვნები, არამედ სახარების მცნებების სრულყოფილად დაცვის სურვილის მქონე ქრისტიანები“ (ჯორბენაძე 2022, 74-75).

იმპერატორ კონსტანტინის (337-361), კონსტანტინე დიდის შვილის, მეფობაში გავრცელდა არიოზის ცრუსწავლება და ეკლესიის სიწმინდის დაცვამ ორივე წმინდანის სამსახური მოითხოვა. წმ. ბასილი დიდი კესარიაში დაბრუნდა. 362 წელს მელეტი ანტიოქიელმა იგი დიაკვნად აკურთხა, შემდეგ კი, 362 წელსვე, ევსევი კესარიელმა მღვდლად დაასხა ხელი. წმ. ბასილიმ სახელი გაითქვა თავისი სიბრძნითა და სიწმიდით. მას პატივს სცემდნენ, ქება-დიდებას ასხამდნენ... ამან, ადამიანური სისუსტის გამო, ეჭვი ჩაუსახა ევსევს. მან წმ. ბასილის შევიწროება დაიწყო. ბერები აღდგნენ წმ. ბასილის დასაცავად. საეკლესიო განხეთქილების საფრთხე რომ მოესპო, წმინდანი უდაბნოს დაუბრუნდა (მიხაილოვი 2004, 137) და მონასტრების კეთილმოწყობას შეუდგა. როცა ხელისუფლების სათავეში არიანელი იმპერატორი ვალენტი (364-378) მოვიდა, მართლმადიდებლობას მძიმე ხანა დაუდგა. მოსალოდნელი დიდი ბრძოლის წინ ეპისკოპოს ევსევსის თხოვნით წმ. ბასილი სასწრაფოდ დაბრუნდა კესარიაში. ამ დროიდან მოყოლებული, ეკლესიის მართვა-

გამგეობა ფაქტობრივად წმ. ბასილი დიდის ხელში გადავიდა (მიხაილოვი 2004, 137-138). იგი ყოველდღიურად წარმოთქვამდა ქადაგებებს, ხშირად დღეში ორჯერაც. ერესებთან ბრძოლაში მას ეხმარებოდა ძმა, გრიგოლ ნოსელი, როგორც მწერალი და ღვთისმეტყველი (ფლოროვსკი 1931, 124). ამ ხანებში შექმნა მან საღვთო ლიტურგიის ტიპიკონი, საუბრები „ექუსთა დღეთათვის“, ისაიას წინასწარმეტყველების 16 თავისა და ფსალმუნების განმარტებები⁷, მონაზვნური ცხოვრების წესების მეორე კრებული - „ასკეტიკონი“ (ეფრემ მცირის თარგმანით - „სამოღვაწეო წიგნი“) და 3 წიგნი არიანელი მოძღვრის ევნომიუსის წინააღმდეგ (თეოფანე 1892, 233-235).

მართლმადიდებლური სწავლების სიწმინდისთვის მეზრძოლი წმ. ბასილი გულმოწყალე და ღვთისმოყვარე ქრისტიანი იყო: გლახაკებს აპურებდა, მწირებს და უსახლკაროებს თავშესაფარს აძლევდა, ზრუნავდა ქალწულებზე, წერილობით თუ სიტყვიერად წეს-განგებას უდგენდა მონაზვნებს (ჯორბენაძე 2022, 78-79; მიხაილოვი 2004, 138).

ევსევი კესარიელის სიკვდილის შემდეგ, 370 წელს, მისი კათედრა წმ. ბასილიმ დაიკავა. როგორც კესარიელ ეპისკოპოსს, მას 11 პროვინციის 50 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა. წმ. ათანასე დიდი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი (ხს. 2 მაისს) ღმერთს ემადლიერებოდა იმის გამო, რომ კაპადოკიის ეკლესიას წმ. ბასილი მოუვლინა ეპისკოპოსად (მიხაილოვი 2004, 138).

წმინდა მღვდელმთავარს ეკუთვნის მრავალი წერილი ეკლესიების, ეპისკოპოსების, სამღვდელოებისა და კერძო პირების მიმართ. წმ. ბასილი დიდის დაუცხრომელი მოღვაწეობა აძლიერებდა ერეტიკოსთა სიძულვილს მისდამი.

იმპერატორი ვალენტი მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს დევნიდა, აძევებდა და სასტიკი მეთოდებით ავრცელებდა არიანობას. ამ მიზნით ჩამოვიდა ის კაპადოკიაში და წმ. ბასილისთან გაგზავნა პრეფექტი დომინიციუს მოდესტი, რომელიც მას ქონების ჩამორთმევით, განდევნით, წამებითა და სიკვდილით დასჯითაც კი დაემუქრა, მაგრამ ბასილის შეშინება არავის შეეძლო, მას ღმერთი აძლიერებდა (თეოფანე 1892, 237-240).

პრეფექტმა იმპერატორს კესარიის ეპისკოპოსის შეურყევლობა ამცნო, რომ ისინი დაამარცხა ეკლესიის წინამძღვარმა. დიდი სიმტკიცე გამოიჩინა წმინდანმა

⁷ბასილი დიდის გარდაცვალების შემდეგ „ექუსთა დღეთათვის“ და ევნომიუსთან პოლემიკა მისმა ძმამ გრიგოლ ნოსელმა დაასრულა (ფლოროვსკი 1931, 126).

თავად იმპერატორის წინაშეც და ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვალენტიზე, რომ მან მხარი არ დაუჭირა არიანელებს, რომლებიც ეპისკოპოსის გადასახლებას ითხოვდნენ. უფლის შობის დღესასწაულზე, როცა ტაძარში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ვალენტიც შეერია მათ, რათა ეჩვენებინა თავისი ერთობა ეკლესიასთან. ფსალმუნთა გალობა მეხთატეხასავით ჩაესმა იმპერატორს. მან იხილა მშვენივრად შემკული ამბიონი და საკურთხეველი, შიშითა და კრძალვით გარინდული სამღვდელოება და ტრაპეზთან მდგომარე წმ. ბასილი დიდი, რომელიც ანგელოზებრივი სიწმიდით აღასრულებდა ღვთისმსახურებას (მიხაილოვი 2004, 138-139).

წმ. ბასილი მკაცრად ადევნებდა თვალ-ყურს საეკლესიო კანონის დაცვას. მის დროს სამღვდელოებაში უღირსი ვერ გაერეოდა. ის დაუზარლად მოიხილავდა თავის ეკლესიებს, მიუკერძოებლად სჯიდა საეკლესიო დისციპლინის დამრღვევებს (მიხაილოვი 2004, 139-140). კესარიაში წმ. ბასილი დიდმა ორი – მამათა და დედათა მონასტერი ააგო 40 მოწამის სახელობის ტაძართან, სადაც მათი წმინდა ნაწილები ინახებოდა. მღვდელმთავარს დაქვემდებარებული მიტროპოლიის მღვდელმსახურები, ბერ-მონაზონთა მიზაძვით, მეტად ღარიბულად, წმინდად და კეთილმსახურებით ცხოვრობდნენ. წმ. ბასილი დიდმა მიაღწია სამღვდელოების განთავისუფლებას გადასახადებისაგან. მთელ თავის სახსრებსა და თავისი ეკლესიების შემოსავალს გლახაკებს ახმარდა, დააარსა დავრდომილთა თავშესაფრები, კესარიაში ააგო სასტუმრო მწირთათვის (მიხაილოვი 2004, 140). სწეულებებმა, რომლებიც სიყმაწვილიდანვე თან სდევდა წმინდანს, მკაცრმა და თავშეკავებულმა ცხოვრებამ, სამწყსოზე ზრუნვამ და წინააღმდეგობებთან ბრძოლამ წმ. ბასილის ფიზიკური ძალები გამოაცალა. 379 წლის 1 იანვარს⁸, ეპისკოპოსობის მე-9 წელს, 49 წლის ღირსი მამა გარდაიცვალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აკურთხა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომ კონსტანტინოპოლის კათედრა დაეკავებინა და პატრიარქი გამხდარიყო (მიხაილოვი 2004, 141).

⁸ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 378 და 377 წლებსაც (მიხაილოვი 2004, 141).

1.4. წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, ანუ „სამოღვაწეო წიგნი“ და სხვა ასკეტიკური თხზულებები

განუზომელია წმ. ბასილი დიდის//კაპადოკიელის ღვაწლი ქრისტიანული სასულიერო მწერლობის ჩამოყალიბების საქმეში. მას ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები ამ მწერლობის თითოეული დარგის ფორმირებაში, მათ შორის ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის თეორიული საფუძვლების შექმნაში. ეს ფაქტი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მან, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობის მიღების (358-360 წწ.) შემდეგ სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის უდაბნოები შემოიარა, პონტოში დაბრუნებისთანავე დააარსა მონასტერი და თავადაც მონაზვნად აღიკვეცა. სწორედ წმ. ბასილი აღიარეს მცირე აზიაში მონაზვნური ცხოვრების დამამკვიდრებლად. მანვე სამონასტრო ცხოვრებას საფუძვლად დაუდო წესები, რომლებიც თავმოყრილია ძირითადად მის „ასკეტიკონში“ და ზნეობრივი ჰომილიების შემცველ სხვა კრებულებში, კერძოდ, „ითიკაში“ და სხვ. (გაბიძაშვილი 2006, 24-25).

ბასილი კესარიელის შემოქმედება ძალზე პოპულარული იყო საქართველოში და ბევრი ხელნაწერთაა მოღწეული. აქტიურად იკვლევდნენ მას ქართველი მეცნიერები: თ. ჟორდანიას (ჟორდანიას 1892), კ. კეკელიძე (კეკელიძე 1957; მისივე, 1980), გ. გოზალიშვილი (გოზალიშვილი 1965), ე. ხინთიბიძე (ხინთიბიძე 1962, N 3; მისივე, 1969; მისივე, 1968), ი. აბულაძე (აბულაძე, I, 1975; მისივე, 1964; მისივე, 1955), მ. კახაძე (კახაძე 1947), ნ. ქაჯაია (ქაჯაია 1981; მისივე, 1992). ეს კვლევები ძირითადად მიმართული იყო კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით და მთარგმნელობით მეთოდთან/თავისებურებებთან დაკავშირებით.

წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანები ბერძნულიდან არის შესრულებული და როგორც ე. ხინთიბიძემ დაადგინა, ქართული ხელნაწერები ოთხ, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ რედაქციას გვიჩვენებს. თავდაპირველად უნდა დავასახელოთ წმ. ბასილის „ასკეტიკონის“ წმ. ეფრემ მცირისეული თარგმანი, რადგან იგი, მართალია, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია არის, მაგრამ სხვებთან შედარებით სრულია. ამიტომ ითვლება 1-ელ რედაქციად (ხინთიბიძე 1968, 73). ამ რედაქციის „ასკეტიკონი“ მხოლოდ ორი

ქართული ხელნაწერით არის ცნობილი: A 132 (XII ს.), Ir-184v; A 689 (XIII ს.), Ir-184v (მისი ბერძნული დედანი გამოცემულია: Migne, Patr. Graecae, ტ. 31, 653-1429; მითითებულია ე. ხინთიბიძის დასახელებული მონოგრაფიიდან, 1968).

წმ. ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონის“ შედგენილობა ამ ორი იდენტური ხელნაწერის მიხედვით ასეთია: 1. შესავალი სტატიები: „ვრცლად დაწყებად სიტყვსა“, „გამოსახვა წიგნისა“, „სიტყუად სარწმუნოებისათჳს“, „პირველი სიტყუად თავთა განსაზღვრებისა“, „ასკეტიკონი ბასილი ეპისკოპოსისა“. ძირითადი სტატიები: 1. „კითხუად მოლუაწეთად“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „ვრცელი წესები“ (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 905-1052). თხზულება წარმოადგენს წმ. ბასილისადმი დასმული 55 შეკითხვისა და მისი პასუხების კრებულს. ამ თხზულებას წინ უძღვის „თავნი გავრცელებითთა საზღუართანი“, რაც დასახელებული „ვრცელი წესების“ ინდექსს წარმოადგენს (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 901-905). 2. „განწესებად შემოკლებითთა განსაზღვრებათანი“, რომელსაც „მოკლე წესებსაც“ უწოდებენ, რადგან იგი 313 მოკლე კითხვა-მიგებას შეიცავს (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 1080-1305). ამ თხზულებასაც წინ უძღვის „თავნი შემოკლებითთა განსაზღვრებათანი“, რომელიც „მოკლე წესების“ ინდექსია (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 1052-1077). 3. „კანონი ბრალეულთანი“ – მონაზონთა ამა თუ იმ დანაშაულისათვის შესატყვისი სასჯელის ზომები - ეპიტიმები (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 1305-1313). 4. „მეკანონის მიმართ“ არის წმ. ბასილის ეპისტოლე, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქრისტიანის მორალურ-ზნეობრივი ნორმები (აქ წმ. ბასილის ორი (173-ე და 22-ე) ეპისტოლეა შეერთებული (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 32, 648-649; 288-293). 5. „თავად-თავადი განსაზღვრებად წამებითა წმიდათა წერილთადათ“, ანუ სამეცნიერო ლიტერატურაში „მორალურ წესებად“ წოდებული თხზულება, რომელიც „ასკეტიკონის“, როგორც კრებულის, ძირითადი ტექსტის შემადგენელ ნაწილად ითვლება, შედგება 80 წესისაგან, ანუ თავისაგან, და წარმოადგენს ამონაწერებს ახალი აღთქმიდან სხვადასხვა საკითხის შესახებ, რომლებსაც ახლავს მოკლე განმარტებანი (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 632-869). 6. „სიტყუად მოლუაწებითი განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს“ წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. ბასილის „II სიტყვის“ სახელით ცნობილ თხზულებას (ბერძ. ტექსტი: PG, ტ. 31, 625-648). 7. „სიტყუანი მათდა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხორებისა მოლუაწე

იყუნენ“ – სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „სამონასტრო კონსტიტუციების“ სახელითაც, რომელიც შესავლისა და 30 ქვეთავისაგან შედგება. ეს თხზულება წარმოადგენს წმ. ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ბოლო თავს, რომლის ქვეთავებში ჩამოყალიბებულია მონაზვნური ცხოვრების როგორც სულიერი, ასევე ყოფითი მოღვაწეობის წესები (ბერძ. ტექსტი: PG, 31, 1316-1428; ხინთიბიძე 1968, 77-78).

წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის **II რედაქციამდე** ხინთიბიძემ მიიჩნია მხოლოდ ერთ (ქუთ. K-61, 1788 წ.) ხელნაწერში შეტანილი ტექსტი, რომელიც წმ. ეფრემ მცირის მიერ შესრულებული „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის შემოკლებული ვარიანტია და რომელიც, შესაძლებელია, პრაქტიკული საჭიროებისათვის იყოს შექმნილი (ხინთიბიძე 1968, 73). „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ვასილი კესარიელისა ასკეტიკონისაგან გამოკრებული კითხვაჲ მოღუაწეთაჲ“ შედგება 46 თავისაგან: პირველი 9 თავი გამოკრებილია ეფრემის ნათარგმნი „ასკეტიკონის ვრცელი წესების“ 55 კითხვა-პასუხიდან. მომდევნო თავი – 10-35, ეფრემის ნათარგმნი „ასკეტიკონის“ „მოკლე წესების“ 313 კითხვიდან. მომდევნო 11 თავი (36-46) – „სამონასტრო კონსტიტუციების“ 30 მონაკვეთი; თავი 45 შეესატყვისება „სამონასტრო კონსტიტუციების“ მე-20 თავს. „ასკეტიკონის“ გამოკრებულ II რედაქციაში არ არის შეტანილი წმ. ეფრემის ნათარგმნი „ასკეტიკონის“ არც ერთი შესავალი სტატია, „წესების“ ინდექსები, „მორალური წესები“, მე-11 სიტყვა, არც ეპისტოლეები და ეპიტიმეები (ხინთიბიძე 1968, 80-83).

ერთი ხელნაწერთაა შემონახული წმ. ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანის **III რედაქცია** - A 63, 1710 წ., Ir-223r. ეს არის წმ. ეფრემის თარგმანისაგან განსხვავებული თარგმანი, უფრო მეტიც, ფიქრობენ, რომ მათი ბერძნული დედნებიც ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდნენ. ამ თარგმანს სამეცნიერო ლიტერატურაში პროკოპი მღვდლის თარგმანად მიიჩნევენ წმ. ეფრემ მცირის მიერ მოწოდებული ცნობის საფუძველზე, რომ, როდესაც იგი შესდგომია წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ თარგმნას, შეუტყვია, რომ ეს თხზულება უკვე ნათარგმნი იყო ვინმე პროკოპი მღვდლის მიერ. წმ. ეფრემი 15 წლის განმავლობაში ცდილობდა, მიეკვლია და გასცნობოდა ამ თარგმანს, მაგრამ უშედეგოდ და ეს თხზულება მხოლოდ 15-წლიანი ლოდინის შემდეგ უთარგმნია. პროკოპის თარგმანი A 63 ხელნაწერში

შეტანილი ტექსტი ეგონათ, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, გაარკვია ე. ხინთიბიძემ თავის მონოგრაფიაში - ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები 1968, 82-87.

წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ანონიმისეული თარგმანი, ძირითადად, ბასილის „ასკეტიკონის“ წმ. ეფრემის თარგმანის სტატიათა ჩამონათვალის მსგავსია, თუმცა აშკარაა განსხვავებანი მათ შორის. კერძოდ: შესავალი სტატიები შეესატყვისება წმ. ეფრემისეული თარგმანის შესავალ სტატიებს: თავნაკლულობის გამო ფრაგმენტულად არის შემორჩენილი ორი სტატია, რომლებიც იმავე სახელწოდებისა უნდა ყოფილიყო, როგორც წმ. ეფრემთან („ვრცლად დაწყება სიტყვისა“ და „გამოსახვა წიგნისა“) – სტატია სათაურით „სიტყუად სარწმუნოებისათჳს“, ეფრემთან მესამეა, ხოლო ანონიმთან – მეორე. თავების ჩამონათვალი ორივეგან შინაარსობრივად უმეტესად იდენტურია, თუმცა განსხვავებულია ფრაზეოლოგია, ასევე, თავების რიგიც და რაოდენობაც, რადგან ეს ორი განსხვავებული ბერძნული რედაქციის ტექსტის სხვადასხვა თარგმანია.

წმ. ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ **IV რედაქციად** უნდა ჩაითვალოს ის ტექსტი, რომელიც I, II და III რედაქციების ტექსტებზე გაცილებით ძველია და შესულია ერთადერთ Sin. 35, 907 წელს გადაწერილ ხელნაწერში. ამ კრებულში შეტანილია ბასილის ასკეტიკური თხზულებები: 1. „თქუმული მონაზონთა მიმართ“ (215v-217r), 2. „კანონი განწესებული მონაზონთათჳს, რომელნი ქრისტესთჳს ერთად შეკრებულ არიან“ (217r-273r) და იგივეა, რაც „მოკლე წესები“ (ხინთიბიძე 1968, 87-88).

წმ. ბასილი დიდის თხზულება „თქუმული მონაზონთა მიმართ“, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „მე-15 სიტყვას“ უწოდებენ (J.G. Gribomont, *Historie...*, 317-319), იშვიათად გვხვდება ბერძნულ „ასკეტიკონებშიც“ (ბერძნული ტექსტის მხოლოდ ნაწყვეტია გამოქვეყნებული გრიბომონის მიერ), ხოლო ქართულად მხოლოდ Sin. 35-შია წარმოდგენილი. ბერძნულ ტექსტთან შედარებით, როგორც ჟ. გრიბომონი აღნიშნავს, ქართული ტექსტი განსხვავდება როგორც დასაწყისით, ასევე დასასრულით (ვიმოწმებთ ე. ხინთიბიძის წიგნიდან „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები 1968, 118). „კანონი განწესებული

მონაზონთათვის“ ამ ხელნაწერის მეორე თხზულებაა, რაც იგივე „მოკლე წესებია“, რომელიც IV რედაქციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

ამ რედაქციის „მოკლე წესები“ ყველა რედაქციაში შემავალ ანალოგიურ თხზულებათაგან ყველაზე თავისებური ვარიანტია. აქ 300 კითხვა-მიგებაა წარმოდგენილი. მათი რიგიც სპეციფიკურია.

ამრიგად, წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ქართული IV რედაქცია, მართალია, მხოლოდ ორ სტატიას შეიცავს, მაგრამ იმდენად ძველია სხვებთან შედარებით და ყველასგან განსხვავებული, რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მისმა დეტალურად შესწავლამ და ანალიზმა ელგუჯა ხინთიბიძე მიიყვანა დასკვნამდე, რომ წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ სწორედ ეს თარგმანი წარმოადგენს პროკოპი მღვდლის თარგმანს და არა A 63-ში დაცული ტექსტი („მოკლე წესების“ ქართული და ბერძნული ყველა რედაქციის ტექსტების სათვალავთა შესატყვისობების ცხრილი შეადგინა ე. ხინთიბიძემ (ხინთიბიძე 1968, 110–113). ამ გამოკვლევაში „ასკეტიკონის“ ყველა რედაქციის ტექსტი შედარებულია, მოცემულია ანალიზი, მიკვლეულია თითოეული სტატიის შესაბამისი ბერძნული დედნები და ქართულთან უმცირესი დეტალების განსხვავება-მსგავსებაც არის გამოვლენილი.

წმ. ბასილი დიდის ასკეტიკური ხასიათის თხზულებები, ძირითადად, თავმოყრილია ზემოგანხილული „ასკეტიკონის“ კრებულში, მაგრამ ცალკეული თხზულებები, რომლებსაც ასკეტიკური და ზნეობრივი შინაარსი აერთიანებს, გვხვდება დამოუკიდებელი სახით ან ზნეობრივ-ჰომილეტიკურ კრებულებშიც, როგორცაა „ითიკა“ და სხვ., და ჩართულია „ასკეტიკურ“ კრებულებშიც; მაგ., A 1101 (1047 წ.) ხელნაწერი „ასკეტიკონი“, რომელიც შეიცავს მრავალი ავტორის მიერ მონაზვნურ თემატიკაზე დაწერილ თხზულებებს, როგორებიცაა: ისააკ მონაზონის „სწავლანი“, აბრაამ მონაზონის, ამონა მონაზონის, მარკოზ მონაზონის თეზისები და სხვ. აქ აგრეთვე შეტანილია რამდენიმე თხზულება წმ. ბასილი დიდის „ითიკიდან“ წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანით, რომლებიც წმინდა ასკეტიკურ თხზულებებს არ განეკუთვნება, ყოველ შემთხვევაში - უმეტესობა, თუმცა ამ სტატიათა მთარგმნელის, ეფთვიმე მთაწმინდელის, ანდერძი დაბეჯითებით ამტკიცებს მათ „ასკეტიკურობას“: „ესე განწესებაჲ მოლუაწეთაჲ და უდაზნოს მყოფისა

სარგებელისა გამოჩინებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ, მე, გლახაკმან ეფთვიმე ვთარგმნე“ (A 1101, 248r). (გაბიძაშვილი 2006, 29–30).

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მცდელობა, წმ. ეფთვიმეს ნათარგმნი წმ. ბასილი დიდის „სწავლათა“ ციკლი, რომელიც „ითიკის“ კრებულშიც არის შესული (ე.ი. ეფთვიმეს ნათარგმნია) და ასკეტიკურ კრებულშიც (A 1101 (1047 წ.), 83r-134r - თ. მთ (49)), წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ კიდევ ერთ, მეხუთე რედაქციად გამოცხადებულიყო (ქაჯაია 1992, 65-71).

წმ. ბასილი დიდის ასკეტიკური ან ასკეტიკურთან მიახლოებული შინაარსის თხზულებები ზემოდასახელებული შრომებით არ ამოიწურება. ბევრ მის „სიტყვაში“, ეპისტოლესა თუ კანონიკური შინაარსის თხზულებაში ხშირად ვხვდებით ასკეტიკური ხასიათის მსჯელობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმ. ბასილი დიდის ეპისტოლეს წმ. გრიგოლ ნაზიანზელის მიმართ, რომელიც აღწერს წმ. ბასილის მონაზვნური ცხოვრების დასაწყისს და აყალიბებს მონაზვნობის ძირითად წესებს. იგი სამჯერაა თარგმნილი ქართულად, რაც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება. უძველესი მისი თარგმანი, „...წმიდისა ბასილისი პასუხი გრიგოლის წიგნისაჲ“, რომელსაც არაბულიდან გადმოღებულად მიიჩნევენ, ერთადერთი X ს. ხელნაწერით (H 622) შემოგვრჩა. მეორედ იგი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა თარგმნა ბერძნული დედნიდან (A 1101 1047 წ.), ბოლოს კი – წმ. ეფრემ მცირემ ბერძნულიდან წმ. ეფთვიმეს თარგმანზე დაყრდნობით: A 132 (XII), A 292 (1800წ.): „ეპისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი ღმერთშემოსილისა გრიგოლის მიმართ“ (სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია წმ. ბასილი დიდის მეორე ეპისტოლის (წერილის) სახელწოდებით), დაწერილია წმ. ბასილის გაქრისტიანებისა (358 წ.) და მონაზვნად შედგომის პირველ წლებში (იხ. აქვე, 46–47).

წმ. ბასილი დიდის კანონიკური ეპისტოლეები „დიდი“ და „მცირე“ სჯულის კანონების მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ის „ეპიტომები“, რომლებიც მონაზონთა სასჯელის ზომებს განსაზღვრავენ, თავმოყრილია წმ. ბასილის სახელით ცნობილ კანონიკურ კრებულში, რომელსაც „კანონნი შეცოდებულთანი“ ეწოდება და ეხმიანება ასკეტიკური მწერლობის საკითხებს (გაბიძაშვილი 2006, 31–33). ასკეტიკურ თხზულებებში მოცემულია ის ზნეობრივ-ეთიკური წესები და სამონასტრო წესები

და სამონასტრო განრიგება, რომლებიც განაგებდნენ მცირე აზიის იმდროინდელ უდაბნოებში ბერმონაზონთა ცხოვრებას (ქურციკიძე 1983, 06). წმ. ბასილის დიდს მხარში ედგა ძმა, თავადაც ცნობილი საეკლესიო მოღვაწე წმ. გრიგოლ ნოსელი.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანები ქრისტიანობის გავრცელების დროიდანვე ესწრაფოდნენ ღმერთთან სრულ ერთიანობას და ამისთვის ტოვებდნენ სოფელს, ცალ-ცალკე ან ჯგუფად გადიოდნენ უდაბნოში, მაგრამ მხოლოდ ანტონი დიდისა და ღირსი პახომის სახელს უკავშირდება მათი გაერთიანება და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება. ამასთან, ანტონის მონასტრები, როგორც ვნახეთ, არის ლავრის ტიპისა – ანუ თითოეული განდევილი ცხოვრობს ცალკე, თავისი შრომით ირჩენს თავს და შაბათ-კვირას იკრიბებიანსაერთო ევქარისტიაზე, მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას – პახომისა კი – ზოგადცხოვრებულთა, ანუ კვინობიტური (κίβος βίος – ერთად ცხოვრება), რადგან მონაზვნები ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. სწორედ ღირსმა პახომმა, ანგელოზისგან მიღებული მითითებითა და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, შეიმუშავა წესები, რომლებშიც გამოწვლილვით იყო განსაზღვრული დღისა და ღამის ყოველი წუთი მონაზვნის ცხოვრებისა. აქვე უნდა ითქვას, რომ იყო ტრადიცია, განმარტოებით ცხოვრების მსურველებისთვის მხოლოდ კვინობში ცხოვრების, გამოცდილების შეძენისა და მონაზვნურ ღვაწლში წარმატების შემდეგ მიეცათ განრიდების კურთხევა.

„იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ივირონს, მონასტერში მცხოვრები 300-ზე მეტი ბერის გარდა, ჰყავდა მარტომყოფი ბერებიც, მოსენაეები, რომლებიც არ იყვნენ მოწყვეტილნი მონასტრის ცხოვრებას და საშური საქმის დროს მათთან ერთად გადიოდნენ სამუშაოდ (ძეგლები 1967, 83).

მონასტრის წესდებას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ პახომი დიდის ტიპიკონი მკაცრია, აქაურ ბერმონაზვნებს უფრო მეტი მოთხოვნები აქვთ, ვიდრე ბასილის დიდის მონასტრებში. ისინი მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს, უნებართვოდ ნაბიჯის გადადგმა და ღამის ერთმანეთთან გადალაპარაკებაც ეკრძალებათ, იშვიათ შემთხვევაში, ისიც მხოლოდ წინამძღვრის ლოცვა-კურთხევით შეუძლიათ მონასტრის დატოვება, არ აქვთ უფლება თავის ტანსაცმელზეც კი, იკრძალება უცხოთა შემოყვანა...

ბასილის ტიპიკონითაც სავალდებულოა საერთო წესების დაცვა, მაგრამ მათ, ქრისტიანული მოყვასის სიყვარულიდან გამომდინარე, შეეძლოთ, ჰქონოდათ ურთიერთობა ერისკაცებთან, დახმარებოდნენ მათ: იფარებდნენ მწირებსა და უპოვართ, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, ზრუნავდნენ ობლებზე, აფუძნებდნენ სკოლებს. მცირე აზიასა და პალესტინაში კვინობიზმი (ზოგადცხოვრებულთა მონასტერი) წარმოადგენდა სამონასტრო ცხოვრების ყველაზე სრულყოფილ ფორმას, რომელშიც ლოცვასა და შრომასთან ერთად მთავარი და მნიშვნელოვანი ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი მცნებისა და უპირველესი ქრისტიანული სათნოების – მოყვასის სიყვარულის საქმით აღსრულება იყო.

თავად სამონასტრო წესებიც ფორმით განსხვავდება: პახომისეული პუნქტებადაა ჩამოწერილი და თანმიმდევრულად განსაზღვრავს მონასტრის ყოველი წევრის უფლება-მოვალეობასა და საქმიანობას, ბასილისა კი კითხვა-მიგების, საუბრის ფორმითაა მოცემული და, შეიძლება ითქვას, უფრო დახვეწილია, მოყვანილია პარალელები, ციტატები საღვთო წერილიდან. არსებობს ო. ბარდენჰევერის, პ. ალარისა და ჟ. გრიბომონის მოსაზრება, რომ ბასილი დიდმა თანამოსაგრეებთან თავისი საუბრის ჩაწერა დაიწყო 358, 359 ან 360 წლებში სწორედ პონტოში მონასტრის დაარსებისას, რასაც ე. ხინთიბიძეც იზიარებს (ხინთიბიძე 1968, 35–36).

თავი II

არასრულად მოღწეული ქართული ტიპიკონები

როგორც აღვნიშნეთ, არასრულად ჩვენამდე მოაღწია გრიგოლ ხანცთელის მონასტრისა და ათონის ივერთა მონასტრის ტიპიკონებმა: ისინი შემორჩენილია არა როგორც სამონასტრო წესდება, არამედ ქართული აგიოგრაფიული მწერლობის შესანიშნავ ძეგლებში – გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რომელშიც წმ. გრიგოლის მიერ შედგენილი ტიპიკონის მხოლოდ მცირე ნაწილია დაცული დაგიორგი მთაწმიდელის წიგნში „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“, რომელშიც ერთ მონაკვეთად ჩართულია ივირონის ტიპიკონი. მიუხედავად იმისა, რომ ტიპიკონის ტექსტები არასრულია, მაინც ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს და დიდად მნიშვნელოვანია ქართული მონასტრების ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

2.1.1. წმ. გრიგოლ ხანცთელის ტიპიკონი

შემორჩენილია გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების ერთადერთი ხელნაწერი, რომელსაც თავდაპირველად იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში მიაკვლია ნ. ჩუბინაშვილმა 1842 წელს, მაგრამ ერთხანს კიდევ უცნობი დარჩა ქართველი საზოგადოებისათვის. ცნობები იერუსალიმში მისი არსებობის შესახებ გამოქვეყნდა 1883 წელს. 1901–1902 წლებში სინას მთასა და იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მათ იპოვეს გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების შემცველი ხელნაწერი, რომელიც აღწერა, ტექსტი გადმოწერა, მეცნიერულად გამართა, გამოკვლევა დაურთო და რუსული თარგმანითურთ გამოსცა ნ. მარმა 1902 წელს (მარი, 1911). ეს იყო „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ქართული ტექსტის პირველი პუბლიკაცია. ლათინურად

თარგმნა და გამოსცა პაულ პეეტერსმა 1923 წელს. 1956 წელს დ. ლანგმა გამოაქვეყნა მისი ინგლისური პარაფრაზი.

როგორი იყო ცხოვრების წესი მონასტერში VIII საუკუნის ბოლოს, ხანციტის წესდების შექმნამდე, ზუსტად ვერ ვიტყვით, რადგან იმდროინდელ ტიპიკონსჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ დაახლოებით შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ; „გრიგოლ ხანციტელის ცხოვრებაშიც“ ვკითხულობთ, რომ გრიგოლი და მისი თანამოაზრეები თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში კლარჯეთში იმჟამად არსებულ ერთადერთ მონასტერში, ოპიზაში, მივიდნენ „და ორისა წელიწადისა ჟამთა იყვნეს ოპიზას მამად გრიგოლ და მოყუასნი მისნი ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაჲთა, ვითარცა იყო წესი მის ჟამისა მონაზონთაჲ“ (ძეგლები 1963, 253). აქ ნახსენები „წესი“ გულისხმობს არსებული წესდების ტექსტს, რომელსაც გამოიყენებდნენ, ემყარებოდნენ სამონასტრო ცხოვრების წარმართვისას და ლიტურგიის აღსრულებისას და შეიძლება ეს ძველქართული არქიერატიკონი, იერუსალიმური კანონარი ან მსგავსი ნაშრომი ყოფილიყო, რაც ტიპიკონისწინა დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ. ფიცხელი შრომა რას ნიშნავს, შეიძლება დავადგინოთ ამავე ტექსტიდან და სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდანაც (იხ. შემდეგ ექვთიმესეული ტიპიკონი).

ბერი კუედიოსის „დაძინების“ შემდეგ ხანცთაში „ნებითა ღმრთისაჲთა“ გამრავლდნენ ქრისტეს მსახური ძმები. მამა გრიგოლმა, ცხადია, უკვე იცოდა, როგორი მონასტერი უნდა ჩამოეყალიბებინა, ამიტომ თავიდანვე დიდი ყურადღებით არჩევდა ძმობის წევრებს. იგი „არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოდ, უზაკუველი და უდრტუნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით“ (ძეგლები 1963, 258).

მამა გრიგოლის ამგვარი ძალისხმევის შედეგად იყვნენ მისი მოწაფეები ყველასაგან სათნოებით გამორჩეულნი, ბაძავდნენ მოძღვარს და შემდეგში უმტკივნეულოდ მიიღეს მის მიერ შემოღებული “ფრიად ფიცხელი კანონი”.

მამა გრიგოლმა პირველად ააშენა ხანციტის მონასტერი და, სავსებით სამართლიანად, გადაწყვიტა, თავის დაარსებულ მონასტერში დაეწესებინა „წესი საღმრთოდ, ბრძენთაგან განუკითხველი“ (ძეგლები 1963, 264). ამისთვის თვითონ

მეორე იერუსალიმად წოდებული კონსტანტინოპოლი⁹ და „ყოველნი საჩინონი საბერძნეთისა წმიდანნი ადგილნი მოიარა და მოილოცა“ (ძეგლები 1963, 264) – რაც არ გასჭირვებია, რადგან „მრავალთა ენათა წურთილ იყო“ (ძეგლები 1963, 264) – იერუსალიმში მიმავალ თავის სულიერ მეგობარს კი დაჰვედრა „საბა–წმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემა“¹⁰ (ძეგლები 1963, 264). მით უფრო, რომ იმ დროს, როგორც ლ. მენაბდე აღნიშნავს, საბაწმინდაში მოღვაწეობდა მაკარი ლეთეთელი, „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სავსე სიბრძნითა“ (მერჩულე), ქართლიდან, სოფ. ლეთეთიდან, 864 წელს მრავალთავის გადამწერი, გრიგოლ ხანცთელის მოწაფე იყო და შორეულ პალესტინაში მოღვაწეობის ჟამსაც არ წყვეტდა კავშირს თავის განსწავლულ მოძღვართან. გრიგოლ ხანცთელისა და მაკარი ლეთეთელის ურთიერთობა ცხადყოფს, რომ საბაწმინდელ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოსთან“ (მენაბდე 1992, 128). თუმცა ბოლომდე ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს: მაკარი გრიგოლის მოწაფეა და ამ დროს რა ასაკისაა, არ ვიცით. ვერც იმას ვიტყვით, წესდების წამოღებისას იქ იყო თუ არა. კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებულ გრიგოლს იერუსალიმიდან ჩამოსულმა კაცმა „მოართუა საბა–წმიდისა განგება და წერილი“ (ძეგლები 1963, 265). ყველაფერი რომ გააანალიზა და შეაჯერა, გრიგოლ ხანცთელმა განაწესა „წესი თვისისა ეკლესიისა და მონასტრისა და სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასე დაუღვევნელთა კეთილთა“ (ძეგლები 1963, 265).

წმ. გრიგოლ ხანცთელი, როგორც მის ცხოვრებაშია აღნიშნული, საფუძვლიანი ქრისტიანულ–საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლების მქონე, მრავალი ენის მცოდნე ადამიანი იყო. ამასთან, „რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებლად აკსოვდა (ძეგლები 1963, 282)... ხოლო ახლისა სჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძველისაცა შჯულისანი, არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აურაცხელნი

⁹XII საუკუნიდან „მეორე იერუსალიმად“ ქართულ წყაროებში გელათიც მოიხსენიება.

¹⁰ა.შანიძე აღნიშნავს ამ ფაქტს და წერს: “არ მოიპოვება ცნობა, მოუვიდა თუ არა გრიგოლს დაბარებული საბაწმინდური წესი. არც ის არის ნათელი, რა იგულისხმება ამ „წესში“. თითქოს უფრო წესდება უნდა იგულისხმებოდეს“ (შანიძე 1985, 15). საკვირველია, როგორ გამოეპარა დიდ მეცნიერს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ეს დეტალი.

წარმოითქუმოდნენ უწიგნოდ ენითა მისითა... და სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდის ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“ (ძეგლები 1963, 282). გარდა ტიპიკონისა, მას დაუწერია „სულისა მიერ წმიდისა საწელიწდომ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“ (ძეგლები 1963, 281).

გიორგი მერჩულე დანანებით ამბობს: „განგებად ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას...რადთა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა“ (ძეგლები, 1963: 266). მაგრამ „თითო სიტყუად ყოვლისაგან“ რომ ამოვკრიფოთ თხზულების ტექსტიდან, შემდეგ სურათს მივიღებთ: არც მამა გრიგოლისა და არც მოწაფეთა სენაკებს საკვამური არ ჰქონდათ, “რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა და არცა ღამე სანთელი აღანთიან”, ღამე ზეპირად ფსალმუნებდნენ, დღისით მუდმივად წიგნს კითხულობდნენ და ლოცულობდნენ (ძეგლები 1963, 267). სენაკში ჰქონდათ მხოლოდ „მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითომ სარწყული წყლისათვის“ (ძეგლები 1963, 266). საჭმლის ან სასმლის მსგავსი სენაკში არაფერი გააჩნდათ; რასაც ტრაპეზზე ერთად ჭამდნენ, იმით კმაყოფილდებოდნენ. მრავალი მათგანი სრულიად არ სვამდა ღვინოს, „ხოლო რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იკუმევედეს“ (ძეგლები 1963, 267). გრიგოლ ხანცთელის დროს ყველა ეს წესი ზედმიწევნით მტკიცედ იცვებოდა, „რამეთუ ტალანტი მონაზონისად მარხვად არს“ (ძეგლები 1963, 268). გიორგობის თვეში გიორგიწმიდობამდე ყველს არ იხმევდნენ, „ეგრეთვე ქრისტეს-შობისა მარხვანი და წმიდათა მოციქულთანი საეკლესიოდ დიდითა მოლუაწებითა და კეთილად-კრძალულებითა გარდაიჭდიან“ (ძეგლები 1963, 268); აღარფერს ვიტყვით დიდ, ანუ აღდგომისწინა მარხვაზე. „ეგრეთ ჰყოფდიან ყოველსა მამანი ჟამსა შინა ჩემთა“, როგორც ეკლესიის განგებაშია ჩაწერილი, – აღნიშნავს ავტორი (ძეგლები 1963, 366).

წმ. გრიგოლი თავად ყველაფერში მაგალითის მიძცემი იყო და ყველაზე მკაცრად მარხულობდა, სანიადაგოდ დღეში ერთხელ ცოტა პურსა და წყალს იხმევდა, ხოლო „თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმგბრითა... ღვინომ კულად სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის“ (ძეგლები 1963, 267).

ეს ყოფა-ცხოვრება. საკუთრივ ლიტურგიკულ მსახურებასა და წირვის თანმიმდევრობას ხანცთაში ინდივიდუალური სახე ჰქონდა, რადგან “არა აქუნდა

ჩუეულებად სწრაფით თქუმისად ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბლად და გჯანად იყო ლოცვა მათი“ (ძეგლები 1963, 266).

ღამისთევის განგება “შემწუხრებიდან განთენებამდე” გრძელდებოდა, ღამისთევის წინადღით სრულდებოდა ჟამნები და ჟამის-წირვა შემატებული კვერქსებით. კვირის წირვებიც განსხვავებულ საგალობელთა ჩართვით აღესრულებოდა (ძეგლები 1963, 266).

ხანცთაში გარდაცვლილებს დიდი პატივით ასაფლავებდნენ. უხდიდნენ სამი, შვიდი და ორმოცი დღის პანაშვიდებს. ამას გარდა, წელიწადში „200 დღე განწესებული იყო ხანცთას დამარხულთათვის და განყოფად პაქსიმადისა (იხ. ლექსიკონი) პირველითგანვე განწესებულ არს“ (ძეგლები 1963, 266).

უაღრესი პატივით ემსახურებოდნენ ხანცთელი მამები ღვთის ტაძარს. ლოცვისას ერთმანეთთან გადალაპარაკება, კედელს მიყრდნობა, ძილი და უკრძალველად ჯდომა წარმოუდგენელი იყო, კედელსა და კვერთხს მხოლოდ მოხუცებულები ეყრდნობოდნენ. „საკურთხეველისა მსახურებასა ფესუედითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურება“ (ძეგლები 1963, 266).

იყო თუ არა ტიპიკონით დასჯის მეთოდები განსაზღვრული, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღნიშნული არ არის. ავტორი ამბობს მხოლოდ, რომ “სარწმუნოთა მონაზონთა კეთილად იღუწიდა, ხოლო ბრალეულთ სინანულად მოაქცევდადა ურჩთა სამართლითა სრულიად განასხმიდა“ (ძეგლები 1963, 303). ჰაგიოგრაფს მოაქვს ოპიზელი ბერის ნათქვამი: „სიჭაბუკესა ჩემსა სამ-გზის ოპიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისგან უკეთურებისაგან სლვათა ჩემთაჲსა“ (ძეგლები 1963, 303).

ტექსტში პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ ხანცთელ ბერებს, უეჭველია, დიდი შრომა უწევდათ არსობის პურის მოსაპოვებლად – სახნავ-სათესი არ ჰქონდათ, მოროჭიკებული საზრდო კარაულის ზურგით უნდა მოეტანათ, დიდი ჭირით დაუნერგავთ მცირე ვენახი და აგრეთვე მტილები. თავად მამა გრიგოლს “შრომაჲ დიდად უყუარდა, არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე ჰელითა თვისითა იქმოდა“ (ძეგლები 1963,308).

ასევე, გამოყოფილად არ აღინიშნება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ტიპიკონით განსაზღვრული იქნებოდა იერარქიის, უფროს-უმცროსობის საკითხიც და ამას ყველა

განუხრელად ემორჩილებოდა. მოწაფეებმა კი, „ვითარცა საცხოვარნი, შეჰრაცხნეს თავნი თჳსნი“ (ძეგლები 1963,280). „იყავნ ნებაჲ შენი და ნუ ნებაჲ ჩემი!“ – ასე ემორჩილებოდნენ მამა გრიგოლს ყველანი, თვით ეპისკოპოსთა შორის უპირატესი ეფრემ მაწყვერელიც კი, რის მოწმობად ჯავახეთის კრების ეპიზოდის მოხმობა შეიძლება (ძეგლები 1963, 287). აგრეთვე მატოც“თჳნიერ ნებისა თჳსისა დაემორჩილა“ მოძღვრის უცილობელ ბრძანებას და გახდა მერეს დედათა მონასტრის მღვდელი (ძეგლები 1963, 284). არ შეიძლება, არ აღინიშნოს „გარდარეული სიმდაბლჭეპიფანჭსი“ (ძეგლები 1963, 292); მამა გრიგოლმა მთელი ძმობისა და სხვა მონასტრიდან მოსულთა თვალწინ ჟამისმწირველ ეპიფანეს, ხანცთის მამასახლისს, კვერთხი ჩაარტყა თავში, გაჩუმდით, უთხრა და განმოსვა უბრძანა. მან მორჩილებით, უდრტვინველად შეასრულა მოძღვრის მოთხოვნა, ცოტა ხნის შემდეგ კი მისივე ბრძანებით ისევ შეიმოსა სიხარულით და „აღვიდა საკურთხეველად მძლე ამპარტავნებისა სენტა“ (ძეგლები 1963, 293). ეს ყველაფერი მამა გრიგოლმა იმისთვის გააკეთა, რომ ყველასთვის ცხადეყო მამა ეპიფანეს „სრული საღმრთოდ სიმდაბლჭ“ (ძეგლები 1963, 293), რაც ეპიფანეს არ აკლდა, მაგრამ ასეთი მორჩილი მღვდლისგან იყო საჭირო სხვათათვის მორჩილების მაგალითის მიცემა.

არა მხოლოდ მამა გრიგოლი, ხანცთელი ბერებიც დიდად ზრუნავდნენ საღმრთო წესიერების დასაცავად. როგორც ყველა მოღწეული წესდებით, ხანცთაშიც აკრძალული უნდა ყოფილიყო უწვერულ ყრმათა შემოყვანა, რასაც ადასტურებს არსენსა და ეფრემთან დაკავშირებული ეპიზოდი. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მოძღვრის დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდათ, წესისა და ტიპიკონის დარღვევას მასაც არ პატიობდნენ. მონასტერში ყრმების, არსენისა და ეფრემის მოყვანას დრტვინვა მოჰყვა. ძმებმა პირისპირ ამხილეს მამა გრიგოლი. „ვითარცა ესმა კეთილი იგი გულისსიტყვაჲ“, მან ძალიან გაიხარა, დაუმაძლა და დაარწმუნა, რომ ეს გამონაკლისი უფლის ბრძანებით დაიშვა (ძეგლები 1963, 272).

მარხვის, ლოცვის, სიმდაბლისა და მორჩილების გარდა მამა გრიგოლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოყვასის სიყვარულს – თვით იყო „მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ მოღუაწე“ (ძეგლები 1963, 308) – და სიყვარულს ძმობის წევრთა შორის იესო ქრისტეს სიტყვისაებრ. სწორედ ეს დაუბარა ხანცთელ და შატბერდელ ბერებს შატბერდიდან საბოლოოდ წასვლისას: „დაიმარხენით უფლისა ბრძანებანი

ერთმანერთისა პატივითა და სიყუარულითა ყოვლისა თანა სათნოებისა, სიმდაბლითა უეჭუელითა და წმიდათა შინა ეკლესიათა თქუენტა ურთიერთას ულოცევდით” (ძეგლები 1963, 309).

არ შეიძლება, გრიგოლ ხანცთელის მიერ შემუშავებულ წეს–განგებასთან დაკავშირებით მოკლედ არ შევხვით ედიშერ ჭელიძის მოსაზრებას ამის თაობაზე. პატივცემული მეცნიერი წიგნში „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა“ (ჭელიძე 2005, 565, სქოლიო 95) ცდილობს, დაასაბუთოს, რომ გრიგოლ ხანცთელმა „მეორე იერუსალიმი“ – კონსტანტინოპოლი, საბერძნეთის გამოჩენილი წმინდა ადგილები მოიხილა და იერუსალიმის საბაწმიდის განგება ჩამოატანინა არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ხანცთის – და სხვა სამონასტრო ცენტრების – წეს–განგება შეედგინა, არამედ არსებითად და პირველ რიგში სწორედ იმიტომ, რომ საბაწმინდური ძეგლის საფუძველზე შეექმნა „განგება ეკლესიისა“, რაც „იერუსალიმურ ლექციონარად“ და „დიდ კანონად“ არის ცნობილი. კ. კეკელიძის აზრით (კეკელიძე 1912; კეკელიძე 1980, 574–75), სწორედ ეს კანონი უნდა ყოფილიყო საქართველოში გამოყენებული მეათე საუკუნის დამლევამდე. ეს აზრი ჰქონდა გამოთქმული ე. მეტრეველს (იადგარი 1980, 667). ე. ჭელიძეს მიაჩნია, რომ „იერუსალიმური კანონარი“ არა მხოლოდ სამრევლო, არამედ სამონასტრო ღვთისმსახურების ტიპოსიცაა, განკუთვნილია საკუთრივ დიდი მონასტრებისთვის იერუსალიმში, პალესტინაში, საბაწმიდასა თუ ტაო–კლარჯეთში, გამოკრებილი სახით კი – ამა თუ იმ სამონაზვნო კრებულისათვის. მეცნიერს მოჰყავს პარალელები, თანხვედრი ადგილები სხვადასხვა კრებულებიდან, გადამწერ–შემდგენელთა ანდერძ–მინაწერები იმის დასასაბუთებლად, რომ საქართველოს ეკლესიაში გავრცელებული საბაწმინდური „განგება ეკლესიისა“ ადრინდელ (ხანცთელამდე დროის) თარგმანს კი არ წარმოადგენს, მამა გრიგოლმა შექმნა; ეყრდნობა გიორგი მერჩულის ნათქვამს, რომ IX-X საუკუნეებში ტაო–კლარჯეთში მოქმედებდა წერილობით არსებული „განგება ეკლესიისა“, რაც კაპიტალური საწელიწდო ტიპოსი, იგივე ქართულ ენაზე არსებული ერთადერთი ანალოგიური ძეგლი „იერუსალიმის ლექციონარი“ უნდა ყოფილიყო: მათი კალენდარულ–ჰეორტოლოგიური ფორმატი თითქმის ერთნაირია; მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ისიც, რომ გრიგოლ ხანცთელმა „დიდი კანონის“ მსგავსი

საფუძვლიანი წეს-განგების შესადგენად გამოიწერა საბაწმინდური განგება. ის, რომ გრიგოლ ხანცთელმა დიდი შრომა გასწია ამ დოკუმენტის შესადგენად, საშუალებას აძლევს ე. ჭელიძეს, დაასკვნას, რომ მას უნდოდა, შეეცო ქართული ეკლესიის დანაკლისი, რადგან საქართველოში იმ დროს ყოვლისმომცველი „განგებად ეკლესიისად“ ჯერ კიდევ არ არსებობდა – წინააღმდეგ შემთხვევაში არსებულის გამეორება ან გადაკეთება გონივრული არ იქნებოდა. მკვლევარი, სათაურიდან გამომდინარე, „განგებად ეკლესიისად“ (და არა „მონასტრისად“), გამორიცხავს ალბათობას, რომ ხანცთელის წესდება მხოლოდ ყოველდღიური სამონასტრო მსახურებისა და დისციპლინური ნაწილი იყო – მისი აზრით, განზოგადებული სათაური, „განგებად ეკლესიისად“ საქართველოს მთელ ეკლესიაში მიღებულ კალენდარულ ხსენებათა და სადღესასწაულო განგებათა შემცველი ტიპიკონი იყო და ასკვნის, რომ გრიგოლის შექმნილი „განგება“ მერჩულის დროსაც მოქმედებდა – ცხადია, უშვებს, რომ ყველა ლიტურგიკულ-სადვთისმსახურო ტექსტის მსგავსად, დროთა განმავლობაში მასაც შეიძლებოდა განეცადა ცვლილებები.

თუ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტიპიკალურ მონაცემებს ათონურ ქართულ ტიპიკონს შევადარებთ, მწირი მონაცემების მიუხედავად, დავინახავთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებას; აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს:

გრიგოლ ხანცთელი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იღვწოდა მონასტრის ძმათა ერთიანობისა და ერთსულოვნებისათვის, თავად, ვითარცა ერთი ძმათაგანი, შრომობდა და ყველა ჭირ-ვარამს ინაწილებდა. დიდი მოღვაწე სიკვდილშიც დიდი და დიდსულოვანი იყო: ანდერძით დაიბარა, საერთო სასაფლაოზე სხვებთან ერთად დაემარხათ, რადგან მიაჩნდა, რომ „არა უმჯობეს ვარ ძმათა ჩემთა სათნოებათა მოგებითა“ (ძეგლები 1963, 315).

2.1.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან გიორგი მერჩულის თხზულების მიხედვით

სახელმწიფოსა და ქრისტიანული ეკლესიის ურთიერთობა ყველა ეპოქაში მნიშვნელოვანი იყო. ძველი ეკლესიის ისტორიის მკვლევარი პროფ. ვ. ბოლოტოვი აღნიშნავს, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხი, გაცნობიერება იმისა, რა მიეკუთვნება ღმერთს და რა - კეისარს, არსებითად იურისპრუდენციის სფეროს განეკუთვნება (ბოლოტოვი 201841-45).

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა ყოველთვის იყო სახელმწიფოს დასაყრდენი და ეს კარგად ჩანს ქართულ ჰაგიოგრაფიაში ჩვენამდე მოღწეული პირველი თხზულებიდან და შემდგომ. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ გამაზდენებული პიტიახშის განდგომილი მეუღლე არა მხოლოდ თავის რწმენასა და ღირსებას, სახელმწიფოს ინტერესებსაც იცავს და ქვეყნის გამაერთიანებელი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მხარეს დგას, მიუხედავად იმისა, რომ არც ვახტანგ მეფე და არც სახელმწიფო პოლიტიკა ტექსტში ნახსენებიც არ არის.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს საკვლევ ტიპიკონებში და საზოგადოდ, ყველა სასულიერო ლიტერატურულ ნაწარმოებში სასულიერო პირებისთვის უმთავრესია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი¹¹. ეს აზრი ყველაზე მკვეთრად და კატეგორიულად გამოთქვა გრიგოლ ხანცთელმა აფხაზეთის მეფე დემეტრესთან საუბარში: „სარწმუნონი და ჭემმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჳელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲდან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროჲსათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათვის მწუხარებაჲ ადგილთა გლოვისათა, მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა, რომელთა სიგლახაკეთა შინა დიდსა მყოფთა აღაშწნნეს წმიდანი უდაბნონი თჳნიერ ქუეყანისა

¹¹ აქ არ შეიძლება არ მოვიხმოთ პროტოპრესვიტერი ა. შემეანი. თავისუფლების შესახებ იგი ამბობს, რომ „პირველად ეს სიტყვა ახლებურად გაბრწყინდა ნამდვილად, ჯერ უმაგალითო შინაარსითა და არაჩვეულებრივი ძალით აღივსო ქრისტეს სახარებისეული სწავლებით... სახარებაში არის ქრისტეს იდუმალი სიტყვები: „და სცნათ ჭემმარიტი, და ჭემმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუნენ“ (იოანე, 8, 32); ამასვე ამბობს პავლეც: „აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა, მტკიცედ დეგით და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თავს-იდებთ“ (გალატ. 5, 1). (შემეანი 2000, 91).

მეფეთა ბრძანებისა, შეწევნითა ყოვლისა შემძლებელისა ღმრთისადათა“ (ძეგლები 1963, 269–270).

გიორგი მერჩულე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მამა გრიგოლი „პატივ-ცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ და ჟამთა მისთა არავინ ურჩ-იყო სიტყუათა მისთა, უფროდს ხოლო კელმწიფენი მის ჟამისანი“ (ძეგლები 1963, 274) – მის სიტყვას უსმენენ, მის თხოვნას ასრულებენ – გავიხსენოთ თუნდაც შატბერდში ტაძრის ასაგებად ნებართვის გამოთხოვა – ის კი არა, მეფეების, აშოტისა და ადარნასეს, პირად საქმეშიც ერევა და ისინი ვერ ეწინააღმდეგებიან. „ჯორციელად ძლიერსა კელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიეს, შექურვილთა მათ საღმრთოდთა შურითა“ (ძეგლები 1963, 267) – არცთუ სიამაყის გარეშე აღნიშნავს ავტორი და ასეთივე საზეიმო იქნებოდა ეს ფაქტი სხვა სასულიერო პირებისთვისაც.

ყოველთვის და ყველასთვის რბილი და გაწონასწორებული, „მაღლად მხედი“ მამა გრიგოლი მძვინვარე და შეუვალია ჯავახეთის კრების წინ ეფრემისათვის – იმიტომ, რომ მან იცის, რა დიდი საქმეების გაკეთებას აპირებს უფალი არსენის ხელით ერისა და ეკლესიისათვის (ძეგლები 1963, 287). ასევე ძირშივე აღკვეთა ერისკაცთა მიერ ეკლესიის საქმეში ჩარევის მცდელობა, როცა ღვინომესმულმა გუარამ მამფალმა გაბედა და ჰკითხა: ერისკაცმა უცხოეთში მოგზაურობისას რამდენ კეთილი წესი ნახოს, რაც ჩვენს ქვეყანაში არ იპოვება და თვითონ ასწავლოს ხალხს, „კეთილი არსა და ანუ არა?“ – თუ რამე ახალს გაიგებს ერისკაცი, სჯობს, ჩუმად იყოს, თუ დუმილი არ შეუძლია, მაშინ თვითონ კი არ იქადაგოს, თავის ეპისკოპოსს უთხრას და თუ საჭიროა, მან ასწავლოს თავის სამწყსოს (ძეგლები 1963, 290), – იყო პასუხი.

არა მხოლოდ მამა გრიგოლი, ყველა სხვა სასულიერო მოღვაწე სრულიად დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისაგან. ამის საუკეთესო დადასტურებაა საბა იშხნელის ეპიზოდი, რომელმაც მეფის პირველ მიპატიჟებაზე კადნიერი უარი განაცხადა. არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა“ (ძეგლები 1963, 273–74) – მოიტანეს ამბავი მივლინებულთა. ბაგრატ კურაპალატმა თვითონ დაიბრალა, ცუდად მოვიქეცი, თქვენ რომ არ მიგაწერინეთ წერილი, – უთხრა მამა გრიგოლს. თვითონაც დაწერა მეორე ეპისტოლე და მამა გრიგოლის წერილთან ერთად გაუგზავნა. ნეტარი საბა დაემორჩილა... „უფროდს ხოლო წიგნსა მამისასა“ და მეფე ბაგრატს, მის

ნახევრად ხუმრობით ნათქვამ საყვედურზე – „ჯერ–არს კელმწიფეთა მორჩილება, რადასათვის არა მოხუდ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ – ასე უპასუხა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოდ მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოდ, დაუსაბამოდ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთა, და უფროდ შენსა ჯერ–არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერავის კელეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“ (მ. 6,24; ლ. 16,13). არამედ აწ სიტყუთა ძმისა და მოძღურისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“ (ძეგლები 1967, 274).

საინტერესოა ბაგრატ კურაპალატის პასუხი: იგი დაეთანხმა საბას, ქება შეასხა, შემდეგ მოინახულა იშხანი, შეუყვარდა ეს ადგილი და აშენდა კიდევ ტაძარი საბას სულიერი და ღმრთისმსახური მეფის ხორციელად მოღვაწეობით (ძეგლები 1967,274).

საბა იშხნელივით ფიქრობდნენ სხვა მოღვაწე მეუღაბნოეებიც. ხანცთაში შეკრებილმა მამებმა, რომლებიც „იყვნეს მსგავს წმიდათა უკორცოთა“, დიდად გააოცეს და გაახარეს აშოტ კურაპალატის ძენი, ადარნერსე, ბაგრატი და გუარამი: წმინდა მამებო, თქვენ რომ გიყურებთ, გვგონია, რომ ზეცაში წმინდათა ბანაკში ვართ, რადგან თქვენ სულით მარადის ღვთის წინაშე მდგომარე ხართ (ძეგლები 1963, 275), – ესღა უთხრეს ადფრთოვანებულმა ბაგრატიონებმა ბერებს.

წმინდა მამებმა ფრიადი ლოცვით შეჭურნეს ისინი, ღირსეულად შეიფერეს ნათქვამი და უთხრეს: თქვენც ღმრთის შვილნი ხართ, თქვენ, მეფეებს, მოგცათ უფალმა, რომ უკვდავ კელმწიფეთა წმინდა ეკლესიები ააშენოთ მოკვდავი მეთოდით, „შეწევნაჲ მათი უხილავად საჭურველ–ყო თქუენდა უფროდ ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მკედართა. და ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი, ესე წმიდანნი უდაბნოთა მამანი, არიან ჯორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენტა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა თქუენდა“ (ძეგლები 1967,275–76).

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ განუზომელია გრიგოლ ხანცთელის ღვაწლი ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში, საქართველოში სამონასტრო ცხოვრების

ჩამოყალიბებაში, ქვეყნის გაერთიანებაში, ზნეობრივ აღზრდაში... მან ჩაუყარა საფუძველი ხანცთისა და შატბერდის ლიტერატურულ სკოლას, რომელიც მერე ისე გაიზარდა, რომ მცირე აზიასა და საბერძნეთშიც გავრცელდა და უხვი ნაყოფი გამოიღო.

2. 2.1. ათონის ივირონის მონასტრის ტიპიკონი

ათონის ივირონის მონასტერი აშენდა 980–983 წლებში. „იგი დააარსეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა იოვანე მთაწმინდელმა და თორნიკემ... მათი ინიციატივით ათონზე საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების მიზნით. მათი დაკვეთით იღვწოდა ქართველ მწიგნობართა მოზრდილი ჯგუფი, მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ხელნაწერი“ (მენაბდე 1989). 979 წელს მეფე დავით კურაპალატი საბერძნეთის სამეფო კარს – დაქვრივებულ დედოფალსა და მცირეწლოვან უფლისწულებს – დაეხმარა აჯანყებული ფეოდალის, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისათვის საქართველომ მიიღო „ზემო ქვეყნების“ გამგებლობა, გამარჯვებულმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა კი დიდი განძი, რომლითაც იოანე მთაწმინდელთან ერთად ათონის, აიონ–ოროსის ნახევარკუნძულის შუაგულში, ზღვის ნაპირას, შეიძინა მიწა და ააგო ღვთისმშობლის მიძინების სახელობის უმშვენიერესი ტაძარი და მონასტერი, რომელიც მოკლე ხანში საზღვარგარეთ ქართველთა მთავარ საეკლესიო–სამონასტრო და კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრად იქცა.

ათონის წმიდა მთის, ივერიის მონასტრის, ივირონის, პირველმა წინამძღვარმა, მამა იოვანემ უანდერძა ძმათა თვისთა: „დაიმარხე თუზაკუველი მორჩილება და განუკუეთელი ერთობა და მშვიდობა... რადთა ამასაცა საწუთროსა უმფოთველი ცხორება დასრულოთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხორება და საუკუნოდ დაიმკვდროთ კაცთ–მოყუარებითა ქრისტეს მეუფისადათა“ (ძეგლები 1967, 59). მანვე გარდაცვალების წინ „ყოველი ხელმწიფება და უფლება მამასა ეფთჳმეს მისცა, რადთა, რომელიცა განგება და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასტერსა და

მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“ (ძეგლები 1967, 57, XII). წმ. ეფთჳმემაც, ზეგარდამო მადლით, „სადმრთონი წესნი და განგებანი“ განაჩინა: „პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჯნაქსარსა, სრულებით და დაუკლებელად“ (ძეგლები 1967, 69).

საკუთრივ ლიტურგიკულ მსახურებასა და წირვის თანმიმდევრობაზე „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ მეტი არაფერია ნათქვამი, იგულისხმება, რომ დიდი სჯნაქსარის წეს–განგება იმ დროს ყველასთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ივირონში 300-ზე მეტი მონაზონი ცხოვრობდა. მათ ბევრი რამ სჭირდებოდათ, სულიერი და მატერიალურიც. წინამძღვარს, მამა ეფთჳმეს, ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინა და ეზრუნა მონასტრისა და ძმობისათვის – თავისი საქმისათვის, წიგნების სათარგმნელად, მხოლოდ ღამე იცლიდა – იგი ყოველთვის ყველასთვის სამაგალითო იყო.

მონასტერში მთავარი საქმე ღვთის ვედრებაა, მამა ეფთჳმე “მარადის ევედრებინ ძმათა, რადთა მოსწრაფე იყვნენ მისვლად ეკლესიად და წესიერად დგომად და მჭურვალედ ლოცვად” (ძეგლები 1967, 69, 1). მონაზვნები ჰბამავდნენ მამა ეფთჳმეს, რომელიც ყველას ასწრებდა ეკლესიაში მისვლას; იგი ამდლებულ ადგილზე იდგა და ყველა ხედავდა, რომ „თჳნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან იგი ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა“ (ძეგლები 1967, 69, 1).

ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ხმის ამოღება, გადალაპარაკება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. თვით მამა ეფთჳმე, ვინმესთან საქმე რომ ჰქონდა, გზავნიდა თავის მოწაფეს, რომელიც საჭირო ადამიანს უხმაუროდ გაიყვანდა სტოაში და იქ ეტყოდა მამის (ანუ წინამძღვრის) ბრძანებას. „ოდეს რადმე დიდი იყვის, თჳთ გავიდის შტოსა და დაიუბნის, ეკლესიასა კულა შინა ყოლადვე უბნობასა ვერავინ იკადრებდა“ (ძეგლები 1967, 70, 1).

ასეთივე წესი ვრცელდებოდა კედელსა და კვერთხზე მიყრდნობაზეც – ამაშიც მამას ჰბამავდნენ „მსგავსად ძალისა“. ჰაბუკები შუა ეკლესიაში ორკეცად და სამკეცად, ხელმოჭდობით იდგნენ და „ოდეს ჯერ-არნ, ეგრეთვე ორკეცად და სამკეცად დასხდიან“ (ძეგლები 1967, 70, 2). დეკანოზი ან მნათე, იმას, ვისაც

მიიწვევდნენ წიგნის წასაკითხად, წარდგომის სათქმელად ან სხვა რაიმე „სამსახურებელსა ეკლესიისასა“, გვერდით ამოუდგებოდნენ, თაყვანს სცემდნენ და ჩუმად ეტყოდნენ, ისიც თაყვანს სცემდა და წავიდოდა „თვსსა მსახურებასა“ (ძეგლები 1967, 70, 2).

მამა ეფთვმე დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ ღვთისმსახურებისას ყველა მოწესე ტაძარში ყოფილიყო და ლოცვა არ გაეცდინა. ამ წესის დარღვევა არავის ეპატიებოდა და არ დაუშვებდნენ. ამისთვის ზრუნავდნენ სპეციალურად განწესებული ადამიანები, **ეპიტირიტისები**. „ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს, კაცნი საღმრთონი და ღმრთის-მოშიშნი, ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი მისა ქუეშე, რომელსა წარავლინებნ სენაკებსა ძმათასა და მოიყვანებნ შინ დაშთომილთა“ (ძეგლები 1967, 70, 3). ვინც არ მოვიდოდა დაწესებულ დროს, განაკანონებდნენ. ამასთან, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ მათ, ვინც ყოველდღე ბევრს შრომობდა და ვერ ახერხებდა გამოძინებას, „დღისი იგი შრომადმათი ლოცვადვე დაუთუალის“ (ძეგლები 1967, 70, 3). შედარებით მსუბუქ მსახურებაზე მყოფთ, ვინც სენაკში დარჩებოდა, თუ ჭაბუკი იყო, ასჯერ მოადრეკინებდნენ მუხლს საკურთხეველის წინ, თუ ასაკოვანი და უძლური – იმ დღეს უღვინოდ, ხმელ პურზე ტოვებდნენ.

ლოცვის დროს უხუცესი ეპიტირიტისი ეკლესიის კართან იდგა, გასვლის მსურველებს მიზეზს ეკითხებოდა. თუ ძალიან აუცილებელი და საჭირო საქმე არ ჰქონდა, გასვლას ვერავინ გაბედავდა და ისევ მალე შემობრუნდებოდნენ ხოლმე (ძეგლები 1967, 71, 4).

ეკლესიაში შესვლისას როგორც მამა ეფთვმე, ისე ყველანი, მუხლმოდრეკით თაყვანს სცემდნენ კარის ღვთისმშობელს. ასევე, მამას, სადაც შეხვდებოდნენ, მდაბლად მოდრეკით მიაგებდნენ პატივს. თავად მამა ეფთვმეც არა თუ მხოლოდ საპატიო კაცთა, თვით ახალმოსულებსაც ქვემოდრეკით თაყვანს სცემდა და წყალობით მოიკითხავდა (ძეგლები 1967, 71–72, 7).

მამა ეფთვმე არაფერს უბრძანებდა იმ ძმებს, რომლებიც გულმოდგინედ ზრუნავდნენ თავიანთი სულისათვის, ზარმაცებსა და ახალმოსულებს კი ხშირად

ესაუბრებოდა, ასწავლიდა, ამხილებდა და ნუგეშს სცემდა. ჯელოსნებს¹² განსაკუთრებით ავალებდა, ახალმოსულებისთვის ყურადღება მიექციათ და არაფერი მოეკლოთ.

სერობის ლოცვის შემდეგ ძმებს უფლება არ ჰქონდათ, სენაკში ან მონასტერში სასაუბროდ შეკრებილიყვნენ. მათ ეპიტრიტისები დაარიგებდნენ, დამოდღვრავდნენ და თავიანთ სენაკებში გაუშვებდნენ. წინააღმდეგობას თუ ვინმე გაბედავდა, წინამძღვრის ბრძანებით ფიცხლად განაკანონებდნენ.

ახალგაზრდა ბერებს ერთმანეთთან საუბრისას, სიცილისა ან ხელის-მიყოფისას თუ წაასწრებდნენ, მაშინვე ამხელდნენ. იმავე ქმედების გამეორებისას მოახსენებდნენ მამას, რომელიც ამგვარად შემცოდეთ მძიმედ დასჯიდა (ძეგლები 1967, 72,7).

სასჯელი. ძმებს ზოგჯერ შეკამათებაც მოსდიოდათ ერთმანეთთან. წინამძღვარი მათ თავისთან დაიბარებდა. თუ დაემორჩილებოდნენ მის ბრძანებას, შერიგდებოდნენ, „მშვიდობაჲ ქმნიან“, დაარიგებდა და გაუშვებდა; თუ გულფიცხელნი დარჩებოდნენ, დაწესებული იყო, რომ ტრაპეზის დაგებამდე ვერ შევიდოდნენ და პურსა და წყალს მიიღებდნენ. მამა ეფთჳმეს მონასტერში არყოფნისას შემცოდეთ იკონომოსი ადებდა სასჯელს (ძეგლები 1967, 71, 6).

ასევე ძალიან მკაცრად რეაგირებდა მამა ეფთჳმე, თუ მტრის (ეშმაკის) ჩარევით, ძმები თავს ვერ შეიკავებდნენ და ხელჩართული ჩხუბი გაიმართებოდა, ზოგჯერ წვერთა დაგლეჯამდეც კი მიდიოდა საქმე. მამამ უწესო გულისწყრომა არ იცოდა, – აღნიშნავს გიორგი მთაწმიდელი, – ტკბილი და სასიამოვნო სიტყვით დაარიგებდა წაჩხუბებულებს ისე, რომ მათი ღირსება და თავმოყვარეობა არ შეელახა: „შვილნო, უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენტა წაიწყმედთ და მერმე მონასტერი უწესოდ გავა“ (ძეგლები 1967,72–73). ვინაიდან ღმერთმა მე დამადგინა თქვენს მსაჯულად, ახლა რომ უწვრთნელად მიგიშვათ, იცოდეთ, მას საუკუნესა მწარედ დაისჯებით. მე თუ ახლა მცირედდაგსჯით და თქვენ მადლობით მიიღებთ, მწამს, გამოიხსნებით საუკუნო განკითხვისაგან, – ასე დაარწმუნებდა მამა ეფთჳმე, მერე გამოიკითხავდა საქმის არსს, თუ ორივე ძმა იყო დამნაშავე, ორივეს დასჯიდა, თუ ერთი – ერთს. სასჯელის ზომაც დანაშაულის

¹² აქ: ვისაც მონაზონთა საკვებით, სამოსითა და მისთ. უზრუნველყოფა ევალებოდა. ზოგადად ჯელოსანი ანუ მოხელე არის თანამდებობის მქონე პირი.

სიდიდით განისაზღვრებოდა – თუ დიდი შფოთი მოხდებოდა, “დიდად წუართნის და უკუეთუ მცირე – მცირედ” (ძეგლები 1967, 72–73, 12).

დამნაშავეს სამამოს მიიყვანდნენ, იგი თაყვანს სცემდა ძმებს და დაწვებოდა. ერთი ძმა თავს უჭერდა, მეორე – ფეხებს, მესამე ღვედით სცემდა – ზოგს 40, ზოგს – 50 ან 60. სასჯელის მოხდის შემდეგ ძმა მუხლმოდრეკით თაყვანს სცემდა და შენდობას ითხოვდა მამისაგან. ზოგი დასჯილი ორი-სამი კვირა იწვა ლოგინში წყლულების მოსაშუმებლად; მამა ეფთვმე ჟამითიჟამად მონახულებდა, სიტყვითა და საქმით ანუგეშებდა, “სანუკვარსა წარსცემნ და კელოსანთა დაჰვედრის, რადთა ნუგეშინის-სცემდენ”; დასჯილები გულნაკლულნი და ნაწყენნი არ რჩებოდნენ, მიაჩნდათ, რომ ქრისტეს ხელით იწვრთნებოდნენ (ძეგლები 1967, 72–73–74, 12).

მოგვიანებით “ცემითა წურთად – თვნიერ დიდისა ჭირისა მამათა ჩუნთაგან განგდებულ იქნა“, სამაგიეროდ, უწესო, ურჩი და თავხედებისათვის არსებობდა საპყრობილები, სადაც მათ ხმელ პურსა და წყალზე ამყოფებდნენ “სწავლად სათნოებისა“ (გიორგი მთაწმიდელი 2017, 418).

ტრაპეზი. მამა ეფთვმე ყველაფერში ყველაზე დიდ მოთხოვნას საკუთარ თავს უყენებდა. კვირაში სამ დღეს – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, დიდი დღესასწაულების გარდა, თავის სენაკში, მზის ჩასვლის შემდეგ მხოლოდ პურსა და წყალს იხმევდა, სხვა დღეებში სატრაპეზოში მიდიოდა. თუ ლავრელი წინამძღვარი ან პროტი, ათონის არქიმანდრიტი, მოვიდოდა, მაშინ მამა ეფთვმეს სამყოფში ან სადმე სხვაგან მიართმევდნენ პურს, რომ სატრაპეზოს მიზეზით დრო არ დაეკარგვინებინათ ძმათათვის, „რამეთუ ფრიად მოხარკე იყვნენ ძმანი მაშინ შრომასა“ (ძეგლები 1967, 74, 13).

ნეტარი მამა ეფთვმე სიბერემდე ღვინოს არ სვამდა – ჟამის-წირვის ან დიდი რაიმე მიზეზის გარდა – მაგრამ ზრუნავდა სხვებისთვის, რომ ტრაპეზზე კარგი ღვინო ჰქონოდათ; წინასწარ თვითონ სინჯავდა ყველაფერს, მევაჟინესა და მზარეულს განსაკუთრებით არიგებდა: “შიშითა ღმრთისადათა იქმოდე, ძმაო, სამსახურებელსა შენსა და ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, არამედ ესრეთ გაქუნდინ, ვითარმცა ანგელოსთა ღმრთისა ჰმსახურებდი, რადთა სასყიდელი შენი არა წარგიწყმდეს” (ძეგლები 1967, 74–75, 14). როგორც წესი, ტრაპეზზე იკითხებოდა სულის მარგებელი წიგნები. საუბარი, სიცილი, გაღიმებაც კი დაუშვებელი იყო.

ზნობითი ცხოვრება. წესად ჰქონდა მამა ეფთჳმეს – როგორც ყველა სხვა მონასტერში – ტრაპეზზე საერთოდ არ ლაპარაკობდნენ – იშვიათად, თუ უცხო სტუმარი ჰყავდა, “ნელიად სიტყუაჲ მიუგის”. თუ რამე სჭირდებოდა, მოწაფეს მოიხმობდა და ჩუმად ეტყოდა. ასევე მეტრაპეზეები და ჳელოსნები ჩურჩულით ამცნობდნენ ერთმანეთს, თუ რამე სჭირდებოდათ, ასევე სატრაპეზოდ მსხდარი ძმებიც იღუმალ ანიშნებდნენ.

მეტრაპეზეს დავალებული ჰქონდა მამისაგან, თუ ვინმე ილაპარაკებდა ან იცინებდა ტრაპეზზე, მისი სახელით გაეფრთხილებინა; განმეორების შემთხვევაში კი გარეთ გაეყვანა – არავინ იკადრებდა წინააღმდეგობას – სანამ დამშვიდდებოდა და სახეს წესრიგში მოიყვანდა (ძეგლები 1967, 75, 16).

მამა ეფთჳმე მეტად გონიერი და თავმდაბალი ადამიანი იყო, ერთპიროვნულად, მონასტრის კრებულის ჩართვის გარეშე არაფერს წყვეტდა. თუ დიდი რამე იყო, სამეფო ან საერთო ათონური, ეკლესიაში გააცნობდა ძმებს ამ საკითხს; თუ სამონასტრო – სამჭედლო, სახუროვნო ან სავენახე – ამ საქმის მცოდნე მონაზვნებსეთაობირებოდა, სხვა, უფრო წვრილ საქმეებს იკონომოსთან ერთად აგვარებდა; მიუხედავად იმისა, რომ “ყოველსა საქმესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე, გარნა დიდითა მით სიმდაბლითა თჳსითა თჳნიერ კითხვისა არა რას იქმოდა” (ძეგლები 1967, 76, 18).

თავად მამაჲ სიბერის ჟამსაც არ შედიოდა არგნით ეკლესიაში, დაუძღურებულებს ნებას რთავდა, კვერთხზე დაყრდნობით დამდგარიყვნენ სტოაში, მეტადრე უძღურთ კი – სტოაშივე დამსხდარიყვნენ სკამზე, ღვთისმსახურებას კი ყველა უნდა დასწრებოდა.

ყველაზე მეტად მიუღებელი მამა ეფთჳმესთვის ტყუილი იყო, ამიტომ „მტკიცედ დაემოწმა“, რის სიმართლეშიც ზედმიწევნით დარწმუნებულნი არ იყვნენ, არ მოეხსენებინათ, შემცოდეთ მძიმედ განაკანონებდა და ამ მიზეზით ბევრი მონასტრიდანაც გააძევა, რომ კრებული მშვიდობით ყოფილიყო (ძეგლები 1967, 76, 20).

წინამძღვარი ძმათა სულიერი ზრდისა და წარმატებისთვისაც ფრიად ზრუნავდა, თვეში ორ-სამჯერ სულიერ საუბრებს უმართავდა და ისეთი მაღლით, რომ მსმენელებს ცრემლი მოსდიოდათ, ღმერთს მაღლობას სწირავდნენ და მის

სიტყვებს ქრისტესგან სწავლებად მიიჩნევდნენ: “ხოლო ასწავებნ მათ სიყუარულისთვის და სიმდაბლისა, სიმშვიდისათვის და უშფოთველობისა, მოთმინებისა და მსახურებისა და მოსწრაფედ მისლვისათვის ეკლესიად და სხუათა ყოველთავე წესთა კრებულისათა მხურვალედ აღსრულებისათვის”, თან ეუბნებოდა, ასე ვიშრომით, რომ ამ წმიდა ადგილას ჩვენი ყოფნა უშედეგო არ იყოს და ამოდ/უმადლოდ არ დავიხოცოთ (ძეგლები 1967, 76–77, 21).

ყოფა–ცხოვრება. მონასტერში მთელი ყურადღება სულიერი ცხოვრებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ამიტომ მონაზვნები ყოველგვარი „ჯორციელი საკმრისგან“ თავისუფალნი იყვნენ, ყველაფერი აუცილებელი ეძლეოდათ. ყიდვა, გაყიდვა, მოგება სულ მცირე რამისაც კი, მამის ბრძანების გარეშე „არ იკადრებოდა“, არც უკითხავად ვინმესთვის რამის ჩუქება არ შეიძლებოდა. თუ ვინმე გაბედავდა ამ მცნების დარღვევას, „ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანონის“. ბევრჯერ გვინახავს, საბეჭური იქნებოდა, შესამოსელი თუ კუნკული, ეზოში ცეცხლში დაეწვას, – ამბობს გიორგი მთაწმიდელი (ძეგლები 1967, 77, 22). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მონასტერში მიღებული იყო „კერძო საკუთრების სრული უარყოფის პრინციპი: შეიძლებოდა არსებულიყო მხოლოდ საერთო–სამონასტრო საკუთრება და მეურნეობა... ყოველივე ეს წარმოადგენდა იმ საფუძველს, რომელზედაც იყო აგებული ქართული მონასტრის წეს–წყობილება“ (ჯავახიშვილი 1965, 401).

მონასტერში მყოფთათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თავი შეიკავონ ზედმეტი ჭამა–სმისგან და ნაყროვანების ცოდვაში არ ჩაცვივდნენ. მამა ეფთჳმე ამ თემაზეც ხშირად საუბრობდა. არიგებდა ძმებს, მხოლოდ ტრაპეზს დასჯერებოდნენ. ეტყოდა: ვინც დამატებით რამეს მოითხოვთ და მე ან ჳელოსანი მოგცემთ, მარტო თქვენ იკმარეთ, სხვა ძმას ნულარ ჩაადენინებთ ცოდვას, თორემ ორივეს ბრალს ღმერთი თქვენგან იძევსო (ძეგლები 1967, 78–79, 23).

მონასტრის ძმებს არაფრის (თევზის, ღვინის) ყიდვა არ შეეძლოთ, გარდა ზეთისა, ისიც მხოლოდ მათ, რომლებიც მკითხველები ან გადამწერები იყვნენ და ამისთვის სჭირდებოდათ; სხვა შემთხვევაში, მამის უნებართვოდ თუ ვინმე ზეთს ან ღვინოს იყიდდა, ეზოში დაუღვრიდნენ (ძეგლები 1967, 79, 24). არ იყო წესი, კანდელიც კი აენტოთ ან ხატები დაესვენებინათ სენაკში. მხოლოდ ერთი ჯვარი ან ხატი ჳქონდათ დაბრძანებული, რომ ლოცვის დროს თაყვანი ეცათ და მთხვეოდნენ.

ყველას ძალიან უყვარდა წინამძღვარი, ცდილობდნენ, ისე ემოქმედათ, როგორც ის არიგებდა და გაეხარებოდა. დიდად უძლურთა გარდა, თავისთვის განსხვავებულ საჭმელს არავინ მოიძაბებდა. მამა რომ შევიდოდა სამზარეულოში და ცეცხლის პირას კოჭობს ნახავდა, თუ ეტყოდნენ, ავადმყოფის არისო, მიუშვებდა, ხოლო თუ ნაყროვანებით – უბრძანებდა, გარეთ გადაეღვარათ ან საერო¹³საჭმელში ჩაესხათ (ძეგლები 1967, 79, 25).

მონასტერში მიღება. მამა ეფთვმე, ისევე, როგორც წმ. გრიგოლი, დიდი ყურადღებით არჩევდა მონასტრის წევრებს. იმ პერიოდში მთაწმინდა დიდად პოპულარული, თავად მამა ეფთვმეც სახელგანთქმული იყო; ბევრი მდიდარი მოქალაქე მოდიოდა სხვადასხვა ადგილიდან მონაზვნად აღკვეცის სურვილით. მამა ეფთვმე მათ რამდენიმე ხნით დაიტოვებდა მონასტერში, განუსვენებდა, მერე კი ეტყოდა: თქვენ სახელოვანი კაცები ხართ, ჩვენ – გლახაკნი. საფასეს რომ მისცემთ ეკლესიას, მერე უშრომელად ყოფნა მოგინდებათ და რომ ვერ განგისვენოთ, შეწუხდებით, აქ კი „ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან და უკუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყვნენ, იგინიცა შეწუხდებიან“ (ძეგლები 1967, 78–80, 26). ბევრი გაისტუმრა ასე. მშრომელ, მდაბალ, უბრალო ადამიანს კი სიამოვნებით ღებულობდა და ამბობდა: „გრწმენინ, ძმანო, ამათი მირჩევნია შეწყნარებაჲ, ვირე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა“ (ძეგლები 1967, 79–80, 26).

მამა ეფთვმეს ღვაწლი. წმინდა მამას, იმის გარდა, რომ საკმაოდ ხალხმრავალი და დიდი მეურნეობის მქონე მონასტერს უვლიდა და ღამე წიგნებს თარგმნიდა, სხვა დიდი საზრუნავიც ჰქონდა: არც მთაწმინდის არქიმანდრიტი, არც სხვა მამასახლისები მისი ბრძანების გარეშე არაფერს აკეთებდნენ „და იშვიათი დღე გარდახდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე“ (ძეგლები 1967, 81, 27). ამასთანავე, ათანასი დიდმა მას მიანდო დიდილაჯრისთვის ზრუნვა, დახედვა და გაძლოლა, რაც ძალიან მძიმე და მრავალფერი საქმე იყო.

ხომ ასე მოუცლელი იყო დიდი ეფთვმე, მაგრამ მაინც ახერხებდა მონასტრის საერო¹⁴ საქმეში მონაწილეობას; როგორც სხვა ძმები, ისიც ეხმარებოდა ნავის გამოზიდვასა და ყველა სხვა საქმეში. განსაკუთრებით ვენახში მუშაობა უყვარდა,

¹³დაქირავებული მუშებისთვის მომზადებული საჭმელი.

¹⁴არასადღეთისმსახურო საქმეები.

ზვარი ახალნერგი იყო და მისი აჯოჯვა, ასარვა თუ სთველი დიდ შრომას საჭიროებდა.

მამის ასეთ დაუღალავ შრომას რომ ხედავდნენ, „ყოველნი იქმოდეს, არა უმძიმდა, არამედ უდრტუნველად და სიხარულით იქმოდეს” (ძეგლები 1967, 81, 28). შორეულ მთის სოფლებშიც ჰქონდა მონასტერს სახნავ-სათესი, სადაც საწვნე, დიკა და სელი მოჰყავდათ და სათიბებიც ჰქონდათ. იქაური მოსახლეობა შეწუხებული იყო ბულგარელებისაგან. მამა ექვთიმე იქ მომუშავეებსაც ხშირ-ხშირად აკითხავდა და სიტყვით, საქმით, საზრდელითა და სასმელით ანუგეშებდა (ძეგლები 1967, 81, 29).

დიდი წინამძღვარი ძმათა ზნეობის სადარაჯოზე იდგა და უფრო ხილდებოდა. იკონომოსს არიგებდა, უწვერული მუშები არ შემოეყვანა სამუშაოდ, ძმათათვის საზიანო იქნება, „ზოგთამე გონებითა ევნების და ზოგთა შეხედვითა... უმჯობეს არს, რომელ დაგუაკლდეს ათი და თხუთმეტი დრაჰკანი და ძმათა სავნებელი არაჲ შეემთხვოს” (ძეგლები 1967, 82–83, 30).

ასევე არ შეიძლებოდა მონასტერში უწვერულ ყრმათა მიღება; რომელიმე ძმას რომ მოეყვანა თავისი ნათესავი და „მამასაცა ჰნებავს, რადთამცა ისწავლეს სწავლაჲ და კელოვნებაჲ” (ძეგლები 1967, 82, 31), მაგრამ მონასტერში არ გააჩერებდა, გაგზავნიდა სოფელში, კარგ და გამოცდილ იკონომოსთან, იქ იზრდებოდნენ და როცა წვერით შეიმოსებოდნენ, მერე შემოჰყავდათ მონასტერში.

მამა ეფთვზე ძმებს უნერგავდა სწავლას, რომ „კრებულსა მყოფნი ამით სამითა საქმითა ცხოვნდებიან: სიმდაბლითა და მორჩილებითა და თვისისა ნებისა დატევებითა” (ძეგლები 1967, 82, 32), ამიტომ არავინ უკადრისობდა საჯორეში სამსახურს, უხაროდათ კიდევ.

წინამძღვრის თვალს არაფერი გამოეპარებოდა; ზრუნავდა, რომ ეკლესიაში ყველას გულმოდგინედ ელოცა და გონებითა და სულით ღვთისმსახურებაში ყოფილიყო ჩართული. თუ ვინმეს დაუდევრობას და სიზანტეს, ან ძილისკენ მიდრეკილებას შეამჩნევდა, მიზეზს გამოჰკითხავდა; თუ ეტყოდნენ, სენაკში ვიღვიძებ, აქ იმიტომ მეძინებო, დაარიგებდა: ეგ მტრის ხრიკებია, რომ „მცირისათვის დიდი დაგაჭირვოს. ეკლესიას მიმავალისა კაცისაგან ეძიებს ღმერთი, რადთა ფრთხილად და ღმობიერად დგეს. თუ ესე ვერ შეგიძლია, რადთამცა ეკლესიასაცა

იღვძებდი და სენაკსაცა ძილითა გაძღებოდე და აქა ნუ დაიძინებ, თუ არა, მძიმედ გაგკანონებ” (ძეგლები 1967, 82, 33).

მეკარე მონასტრისა. ყველა მოღწეული ტიპიკონიდან ჩანს, რომ მონასტერში მეკარედ ყოფნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მორჩილება იყო, მას ბევრი რამ ევალეზოდა: დაიცვას მონასტერი მომაბეზრებელ მრონინეთაგან, არ შეუშვას უწვერული და დედაკაცი, გაუნაწილოს ფული და საზრდო გლახაკებს, იცოდეს, ვინ როგორ მიიღოს და გაისტუმროს... ასე იყო ივირონშიც – მამა ეფთჳმე მეკარედ ყოვლად გამოცდილ, ფრთხილსა და სულიერ კაცს ნიშნავდა; მას მთელი რიგი მოვალეობები უნდა შეესრულებინა: უპირველესად, ეზრუნა, რომ მონასტრის კარს მოსული, მშიერი არავინ დარჩენილიყო – „ადგილისა მრონინე” მონაზვნები მას უნდა დაეპურებინა და გაეშვა; გლახაკი ერისკაცები, მამის ბრძანებით, კელრებს უნდა გაესტუმრებინათ, ამიტომ საკელროს კართან სულ ჭრელი ხალხი იდგა. უცხოები თუ მოვიდოდნენ, მესამე დღეს ჭამის შემდეგ მეკარე უჯმნიდა. „ესე კულა კართა ზედა შეკრებასა ანუ მონასტერსა შინა ანჯმანსა ანუ სენაკთა შინა უბნობასა ურგებსა რადთურთ არავინ იკადრებდა ყოლადვე” (ძეგლები 1967, 82–83, 34).

შრომის წესრიგი, ეპისტატი. ივირონს დიდი მეურნეობა ჰქონდა, მის გაძლოლას ბევრი ხალხი სჭირდებოდა; ბერები ყველაფერს ვერ აუდიოდნენ, ამიტომ გარემეთა დაქირავება უხდებოდათ. ამ საქმეს ეპისტატი, მუშათა უხუცესი, განაგებდა. მამაჲ ეფთჳმე ზრუნავდა, ეპისტატს არაფერი დაჰკლებოდა, რომ 30-40 მუშა არ მომცდარიყო და გასამრჯელო ტყუილად არ მიეცათ.

დიდი საერო საქმის დროს, როცა საქმე მოსწრებაზე იყო, მოსენაეთა (გიორგი მთაწმიდელი „მოსენაკეს“ ამ ფორმით წერს) მოწაფეებიც მუშაობდნენ – მამა ეფთჳმეს ბრძანებით, მათი საქმელი მზარეულს უნდა გაემზადებინა – თუ რაიმე აუცილებელი გასაკეთებელი არ ჰქონდათ, მამა ეფთჳმეს მოწაფენიც მათთან ერთად მუშაობდნენ. სხვებთან ერთად ხშირად გადიოდნენ მოსენაეებიც, მით უფრო, თუ მამაც იქ იმყოფებოდა (ძეგლები 1967, 83, 36). მონასტერში ყველას თავისი მოვალეობა ჰქონდა, ფუნქციები მკაცრად იყო განაწილებული და ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეესრულებინათ.

კელარი. აპოთიკი, ბოსტანი, წისქვილები კელარს ებარა, აგრეთვე, ხილის ბაღები – ზეთისხილის, ნიგვზის, ვაშლის... ამათგან ვისაც რა დასჭირდებოდა, კელარი გასცემდა იკონომოსსა და მამასახლისთან ერთად.

ხილი რომ სიმწიფეში შევიდოდა, კელარი ხშირ–ხშირად მოიხილავდა ხოლმე მეტოქთა, ათვალეიერებდა ხილნარს და არიგებდა იქ მყოფთ: ეკლესიას და ძმებს ძალიან სჭირდებათ ეს მოსავალი, რაც დაცვივა, მხოლოდ ის იხმარე და სხვას ნუ მოაკლებო და „ვერარას იკადრებდნენ უწესოსა საქმესა ქმნად, ყოველი კელარსა შევიდოდა და უხუებით ჰქონდა მისაცემელი სატრაპეზოს და სადაცა საჭმარ არს წარსაცემელად“ (ძეგლები 1967, 84, 37). კელარს დამხმარეები თუ დასჭირდებოდა, მონაზვნები ან ერისაგანნი, იკონომოსი უგზავნიდა.

წესი იყო, რომ საკელროში საჭმელს არ ამზადებდნენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა – თუ უცხოები მოვიდოდნენ ან მშრომელი ადამიანები სასწრაფოდ უნდა დაეპურებინათ. მაშინ ან ადგილზე მოამზადებდნენ საჭმელს, ან სამზარეულოდან მოიტანდნენ. თავად კელრები სატრაპეზოში სადილობდნენ, სადამოს კი, თუ რამე დასჭირდებოდათ, იქვე, შინ გამოიყენებდნენ (ძეგლები 1967, 83, 35).

იკონომოსი. იკონომოსს თავადაც ბევრი საზრუნავი ჰქონდა: მას უნდა განეგო საპარიკონომოსო, საწანგრო, საჯორე, სამჭედლო, ხურონი, კალაფატნი და მანდრინნი; მისი მისახედი იყო აგრეთვე ვენახი, ყურძნის მოვლა–დაბინავება.

წინამძღვრის შინ ყოფნის დროს ვისაც რა სჭირდებდა, მას მიმართავდა. იკონომოსს არავინ არაფერს სთხოვდა – რომც ეთხოვათ, მამასთან გაგზავნიდა – თუ მამა ეფთვმე შინ არ იყო, მაშინ განაგებდა იკონომოსი (ძეგლები 1967, 84, 38).

იკონომოსს დღეში შვიდი კრასოვული ღვინო ჰქონდა განწესებული. სადამოს ტრაპეზზე რომ დაჯდებოდა, ოთხ კრასოვულს მიართმევდნენ ხოლმე. თუ შინ არ იყო და ტრაპეზზე ვერ მივიდოდა, მამას ნაბრძანები ჰქონდა, საჭმელი ერთი თავი ეკეთებინათ, ხილი, ზეთისხილი და სხვა, რასაც ითხოვდა, მიეცათ. რასაც ვერ შეჭამდა და დარჩებოდა, საკელროსვე უბრუნებდა (ძეგლები 1967, 84–85, 39).

მაშინდელი წესით, რაც საჭმელთან იყო დაკავშირებული, ბერებისთვის განსაზღვრული, გაკუთილი იყო, ან ვინმეს დამატება უნდოდა – მამის ბრძანებით ძმებსა და კელოსნებსაც კელარი აძლევდა, სტუმრის გამასპინძლებაც მას ევალეობდა. სამაგიეროდ, ყველაფერი სხვა, რაც სჭირდებოდათ, იკონომოსს ებარა და მისთვის

უნდა ეთხოვათ და გამოერთმიათ: „გინა თუ მოგუნნი, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ ტყავი, გინა თუ საბლები, გინა თუ სელი, – ესევეთარი იკონომოსისგან ითხოვიან. და ესრეთ ყოველივე საქმე განწესებულად იყო და უმფოთველად იყვნეს ყოველნი“ (ძეგლები 1967, 85, 40).

მონასტრის სოფლებს რაც სარჩო–სახმარი სჭირდებოდათ, მთლიანად მონასტრიდან აძლევდნენ, რასაც ისინი თავად მოიწევდნენ და აკეთებდნენ, ყველაფერი მოჰქონდათ, ტოვებდნენ მხოლოდ იმას, რაც იქ მყოფთ დასჭირდებოდათ.

მამისაგან მოსენაკეებისთვის (სენაკში განდევილად, მარტო მცხოვრები) დაწესებული იყო, თუ პური მორჩებოდათ, არ ჰქონდათ უფლება, ვინმესთვის მიეცათ, ისევ კელრისთვის უნდა ჩაებარებინათ (ძეგლები 1967, 85, 42).

ისინი, ჩვეულებრივ, სადაც დღეებში თავ–თავისთვის მოსაგრეობდნენ, „ვითარცა უჯორცონი, ხოლო დღესასწაულთა და კვრიობათა ერთად აღასრულიან წესი ლოცვისაჲ და პირი ერთგან იქსნიან“ (ძეგლები 1967, 85–86, XX) და ესეც ტიპიკონით იყო განსაზღვრული.

უცხოთა შემოყვანა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ათონის ქართველთა მონასტერში უცხოთა შემოყვანის საკითხი, რაც საკანონმდებლო დონეზე იდგა. იოვანე–თორნიკემ აღმოსავლეთიდან ჩამოიყვანა ქართველი მონაზვნები, „სიმრავლე არამცირედნი, და ენება, რადთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“ (ძეგლები 1967, 49, VII). იცოდნენ ბერძნების ბუნება და მონასტრის მესვეურებს არ უნდოდათ მათი შემოშვება, მაგრამ მეურნეობა დიდი იყო, ყველაფერს ვერ სწვდებოდნენ და იძულებით ქირაობდნენ ბერძნებს, ამასთან, უწვევრული მუშები არ უნდა შეეწყნარებინათ, რათა „ძმათა სავნებელი არაჲ შეემთხვოს“ (ძეგლები 1967, 81–82, 30).

გიორგი მთაწმიდელი შემდეგ დანაწევრებით აღნიშნავს, რომ ეფთვმე მთაწმინდელის წინამძღვრობიდან გადადგომის შემდეგ ივირონში ძველი წესები უარესობისკენ შეიცვალა, მონასტერს დიდი განსაცდელი შეექმნა, რაც წმიდისა ღვთისმშობელისა და წმიდათა მამათა ჩვენთა მადლითა და ლოცვით დაიძლია, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

ისტორიული პირები: „იოანესა და ეფთვმეს ცხოვრებაში“ უამრავი ისტორიული პირია მოხსენიებული. უშუალოდ, ტიპიკონის ტექსტში – ათონზე

ტაძრის აგების დაწყებამდე მოსული აღდგომის დიაკონი ილარიონ კანანახი, რომლის იკონომოსობის დროსაც გასრულდა მონასტრის მშენებლობა და დიდ მამებს ძმად მიაჩნდათ. აგრეთვე, სომეხი გვრპელი, ჯოჯიკის მეგანძურთხუცესი, რომელიც მოინათლა არსენის სახელით და მისი დისწული, მსახური ბიძისა. კიდევ, ათანასე პერითურელი და მისი ვაჟი. თითოეულმა მათგანმა დიდი საფასე შესწირა ეკლესიას, ამისათვის მათ „შეუქმნეს გაკუეთილი“– დაუნიშნეს დამატებითი ულუფა – თვეში ერთი კოკა ღვინო, ერთი ყველი, სამი ლიტრი ზეთი და ერთი პური დღეში (ძეგლები 1967, 79–80,26). „იოვანეს და ეფთვმეს ცხოვრება“ კიდევ ბევრ სხვა ისტორიულ პირს იხსენიებს, მაგრამ არა უშუალოდ ტიპიკალურ ნაწილში, ამიტომ მათი აღნიშვნა საჭიროდ არ მივიჩნიეთ.

2.2.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან „იოვანე და ეფთვმე მთაწმინდელების ცხოვრების“ მიხედვით

სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი საინტერესოდაა წარმოდგენილი „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრებაში“. აქ თავიდან (თავი VI-VII, 47–54) მოთხრობილია ათონის ივერთა მონასტრის დაარსების ამბავი. იმ სამსახურისთვის, რაც ქართველებმა საბერძნეთის სამეფოს გაუწიეს, დედოფალმა თეოფანიამ და მცირეწლოვანმა უფლისწულებმა ბასილიმ და კონსტანტინემ („მეფეთა“) მისცეს „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რადთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“ (ძეგლები 1967, 47–48, VI) და ალბათ, ესეც იყო ერთ–ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც თორნიკე ერისთავი საბერძნეთის სამეფო კარის გადასარჩენად გაისარჯა. აქ მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ბერი იოვანეს სიტყვები: „ვინაძთგან ღმერთმან ღირს–მყო და სახე მონაზონებისად შევიმოსე, მე ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა“ (ძეგლები 1967, 45–46, V). ეს არის სხვა სიტყვებით გამოთქმული გრიგოლ ხანცთელის აზრი (იხ. აქვე, 51), რასაც საუკუნეების მანძილზე აქტიურობა არ დაუკარგავს და უფრო და უფრო მტკიცდებოდა.

ამავე თხზულებაში კიდევ მრავალი პასაჟია. ერთ–ერთია მამა იოვანე მთაწმიდელის აზრი: მან წინამძღვრობა თავის ვაჟს, სიბრძნითა და გონიერებით

გამორჩეულ ეფთვმეს ჩააბარა, მონასტრის განმგებლად და ეპიტროპად კი თვითმპყრობელი მეფენი განაწესა და ესიმიტომ, როგორც თვითონ ამბობს, რომ მწყალობელი ვინმე და ჯელის-ამპყრობელი საჭიროა... მათი წყალობითა და შეწევნით ავაშენე ლავრა, მათვე ჩავაბარებ... მთელ ქვეყანას სწყალობენ და ყველა გლახაკისთვის ზრუნავენ, მაგრამ მე უღირსს მაინც ყველაზე მეტად მიჩვენეს წყალობა... საძირკვლიდან დაწყებული, მათი დიდი ქველმოქმედებით ავაშენე ლავრაჲ ესე (ძეგლები 1967, 57-58, XII).

აქ ყურადღებას იქცევს მამა იოვანეს გონიერება, წინდახედულობა, მადლიერების გრძნობა... მიუხედავად იმისა, რომ მონაზვნებისთვის მთავარი ღვთის წყალობაა, მას არიან მინდობილნი, მთლიანად მაინც ვერ მოიკვეთდნენ წუთისოფელს, ამიტომ მამა იოვანემ დალოცა მონასტრის ძმები, უსურვა: ღვთის მცნებათა დასაცავად ილუაწეთ... გაქუნდეთ წინამძღვართა უზაკველი მორჩილება, ერთმანეთში მშვიდობა და ერთობა... მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი წყალობად თქუენდა „ადრნეს და უმეტეს და უმეტეს წარმატნეთ“ (ძეგლები 1967, 57-58, XII).

დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა საბერძნეთის მეფის კარზე ეფთვმე მთაწმიდელს. ათონის დიდ ლავრაში მიმდინარე ამბოხის გამოსამიებლად მეფე კონსტანტინემ მამა ეფთვმე დედაქალაქში მიიწვია, რათა მისგან გაეგო ნამდვილი ამბავი და სიმართლე, „რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული ჰქონდა მისა მიმართ ღირსებისა მისისათჳს“ (ძეგლები 1967, 89, XIII).

კონსტანტინოპოლში მეფემ დიდი პატივით მიიღო მამა ეფთვმე, გამოჰკითხა დიდი ლავრის საქმე. სანამ ყველაფერს მოაგვარებდნენ, კარგა ხანს მოუწია სამეუფო ქალაქში მამა ეფთვმეს დარჩენა, უაღრეს სიყვარულსა და სითბოს მიაგებდნენ, ხოლო როცა გარდაიცვალა (ჯორმა გადმოაგდო), მეფე დიდად შეწუხდა, მოიკითხა იგი; ასევე მოქალაქეები, დიდებულები, მთავრები და პალატისანი, რომელთაც მისი დიდი რწმენა და სიყვარული ჰქონდათ, მოდიოდნენ, ცრემლით ტიროდნენ და ემთხვეოდნენ მის ნეშტს (ძეგლები 1967, 89-91, XIII).

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა „იოანესა და ეფთვმეს ცხოვრებაში“ ჩართული (არატიპიკალური) ათონის ივერთა მონასტრის მოსახსენებლის შექმნის მიზანი, რასაც გაკვრით შევეხებით. მთლიანად ეს თხზულება დაიწერა იმიტომ, რომ, როგორც კ. კეკელიძე ამბობს, ათონის ბერძნები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართველები

გამოეძევებინათ ივირონიდან, წაერთვათ მათთვის ლავრა და მისი ქონება... გიორგისა და ათონელ ქართველებს უკეთეს საშუალებად მიუჩნევიათ ამ მაშენებელთა ცხოვრების აღწერა, რათა ის გამხდარიყო წერილობითი დოკუმენტი მათი უფლებისა ათონზე (კეკელიძე 1980, 231). ეს დეტალურადაა შესწავლილი ელენე მეტრეველის მიერ (მეტრეველი 1996). წარმოდგენილია ქართველთა გაჭირვებული მდგომარეობა ათონზე ეფთვმეს წინამძღვრობიდან გადადგომის, განსაკუთრებით კი გარდაცვალების შემდეგ. მომდევნო წინამძღვარმა გიორგიმ წესები შეცვალა და სხვა წესებისა და კანონების დამტკიცება უნდოდა. მამა ეფთვმემ იცოდა, რომ ეს საქმე მონასტერს დააზიანებდა, მაგრამ მშვიდობისმოყვარე და სიყვარულით სავსე იყო და არაფერში ჩარეულა. გიორგი წინამძღვარი ჯერ მეტად წარჩინებული და პატივცემული იყო მეფე რომანოზისა, მერე კი – ერთმა ღმერთმა იცის, რა მოხდა, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, – განდგომილება და ორგულობა დასწამეს, ექსორია–უყვეს და კუნძულ მონოვატზე გარდაიცვალა.

ბერძნებმა იპოვეს ჟამი, მოინდომეს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რომ ქართველები გამოეძევებინათ მონასტრიდან, მიიმხრეს ათონის მთის სხვა მონასტრები, საბერძნეთის დიდებულები და სასახლესთან დაახლოებული წარჩინებულები. უამრავი ჭირი და განსაცდელი დაატეხეს თავს ივირონს, სამგზის გამარცხეს და რაც რამ კარგი და საჩინო იყო, ყველაფერი წაიღეს ან გაანადგურეს, აგრეთვე განძი და კუმაში. რომ არა ღვთისმშობლის მეოხება და ჩვენი წმინდა მამების ლოცვა და მადლი, დღეს ჩვენი წინაპრების აშენებულ ამ მონასტერში ერთი ქართველიც აღარ იქნებოდა, – გულისტკივილით ამბობს მამა გიორგი (ძეგლები 1967, 93–94, XXV).

ათონზე აღმოჩნდნენ ქართველები, რომლებიც არ და ვერ დათმობდნენ თავიანთ მონასტერს – მამაჲ გრიგოლი, ნეტარი არსენი, რამდენიმე სხვაც – რომლებმაც დიდი ღვაწლი გასწიეს, მრავალი ჭირი გადაიტანეს: ზღვით და ხმელით მიდიოდნენ საქართველოში, რომ სავედრებელი წიგნები ჩამოეტანათ ბერძენი მეფეებისთვის; ბევრჯერ თვითმპყრობელთა წერილები კი ჩამოუტანიათ ათონზე, მაგრამ ბერძნებს აქედან მშიერი და ფეხშიშველნი გაუძევებიათ ზამთარსა და უამინდობაში, ისევ თხოვნით ან ღვთისმოყვარე კაცთა წყალობით მიდიოდნენ დედაქალაქში, შესტიროდნენ და ესამართლებოდნენ ბიზანტიის მეფეებს...

ამდენი გასაჭირის მხილველმა ღმერთმა უნუგეშოდ არ დატოვა სამართლის მამიებელნი, თავისი სახიერებით ქრისტეს მოყვარე მიქაელ მეფეს მოუღობო გული, მან დიდი ბჭობისა და გამოძიების შემდეგ წყალობით მოიკითხა მამა გრიგოლი და ღვთის ნებით კვლავ დაგვამკვიდრა ჩვენს ადგილ-სამყოფელში, – აღნიშნავს ავტორი.

ბერძნები, როგორც ჩანს, ვერ ურიგდებოდნენ დამარცხებას და რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე მიქაელი თესალონიკეში რომ ჩამოვიდა, კვლავ აბორგდნენ, „მთაჲ ყოველი აღძრეს“, დიდებულები მიიმხრეს და უნდოდათ, მეფისთვის პირველი, ქართველების სასარგებლო გადაწყვეტილება შეეცვლევინებინათ, მაგრამ ღმერთმა ჩაშალა მათი განზრახვა; რადგან მონასტერი ვერ წაიღეს, ახლა მოინდომეს მიეთვისებინათ მთავარი ტაძარი, რომლის მსგავსი არა თუ ათონზე, არამედ სხვა მრავალ ადგილზეც არ მოიპოვება, მაგრამ დედა ღვთისმშობელმა ჩვენ გვიბოძა ეს ტაძარი, „დაჯდა კუალად ქრისტეს-მოყუარე მიხაელ მეფე და ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიად და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებითა და სიმდიდრითა ჩუენ გვბოძა და ფრიადი წყალობად და სიტკბოებად მოგუფინა – მიაგენ ქრისტემან ათას წილად სულსა მისსა“, – მაღლიერებით ლოცავს გიორგი მთაწმიდელი (ძეგლები 1967, 93–98, XXV).

ტექსტის ამ სტრიქონებში დიდი ტკივილი და განცდა ეტევა – სიმწარე იმისა, რომ მართალი ხარ და გჩაგრავენ; შენია და გართმევენ; უცხო მიწაზე ადგილობრივები თავს გამეტებენ, შენი ქვეყანა კი ვერ გეხმარება. მართლა მხოლოდ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს მოწყალებას შეეძლო, გადაელახა ის დაბრკოლებები, რაც ათონის ქართველ მონაზვნებს დაატყდათ თავს. საინტერესოა ისიც, რომ თითქოს დამოუკიდებელი მთის ეკლესია-მონასტრების ბედის გადაწყვეტაში საერონი, კერძოდ, სახელმწიფო, აქტიურად ერევიან.

აქაც, ისევე, როგორც დიდი იოვანეს შემთხვევაში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მაღლიერების გრძნობა მეფე მიქაელის მიმართ. აქვე ვიტყვით, რომ დასახელებული არ არის არცერთი ის ბერძენი, ვინც ქართველებს ცუდად ექცეოდა; ავტორი მხოლოდ ქართველ წინამძღვარს, გიორგის ახსენებს (ძეგლები 1967, 97–98).

როგორც ვნახეთ, ნაწილობრივ, არასრულად მოღწეულ ტიპიკონებს, გრიგოლ ხანტელისას და ეფთვმე მთაწმინდელისას, ბევრი საერთო აქვთ:

ორივე ჩართულია სიტყვის გამორჩეული ოსტატებისა და დიდი მამების – გიორგი მერჩულისა და გიორგი მთაწმიდელის თხზულებებში, რომლებიც დიდი ისტორიული სიზუსტითა და ობიექტურობით გადმოსცემენ ისტორიულ სინამდვილეს, სახელოვან წინაპართა შრომასა და ბრძოლას ერისა და ეკლესიისთვის, მათ წვლილს ევროპულ კულტურასა და ისტორიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ხანცთაშიც და ათონზეც დიდი ყურადღება ექცეოდა ტიპიკონის განუხრელ დაცვას, როგორც ქრისტიანულ სათნოებათა მიღწევის საფუძველს; ტიპიკონის დამრღვევები ორივეგან განკანონდებოდნენ. მამა გრიგოლი ხანცთაში და მამა ეფთჳმე ათონზე ძმათათვის მაგალითის მიმცემნი იყვნენ მოუკლებელი ლოცვით, მარხვით, შრომით. განუზომელია ამ ორი მონასტრის დამსახურება ქართული ქრისტიანულ–მართლმადიდებლური ეკლესიისა და ლიტერატურის ისტორიაში.

დავიმოწმებთ აგრეთვე ე. ხინთიბიძის სიტყვებს: ქართული სასულიერო მწერლობა ჩამოყალიბდა, გაძლიერდა და მსოფლიო ასპარეზზე გავიდა ბიზანტიურ ლიტერატურასთან მჭიდრო ურთიერთობაში. ქართველმა მწერლებმა მიზნად დაისახეს, ამომწურავად ეთარგმნათ ბერძნულ ენაზე არსებული ძირითადი ქრისტიანული ლიტერატურა... ბიზანტიურ კულტურას ყოველთვის შემოქმედებითად უდგებოდნენ და თავისი წვლილი შეჰქონდათ უმდიდრეს ბიზანტიურ ლიტერატურაში (ხინთიბიძე 1982, 11).

თავი III

სრულად მოღწეული ქართული ქტიტორული ტიპიკონები

ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს სრული სახით შემორჩენილი სამი ტიპიკონი:

პეტრიწონის მონასტრისა – გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე, 1084წ.

ვაჰანის ქვაბთა –1214–27, სხვა თვალსაზრისით, 1125–30 წ.წ.

შიომღვიმის მონასტრისა – 1123 წლის ახლოს.

განვიხილავთ თითოეულს ცალ–ცალკე.

3. 1. 1. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი

პეტრიწონი, დღევანდელი ბაჩკოვო, სოფელია ბულგარეთში, როდოპის მთის კალთაზე, მდინარე ჩეპელარსკას ხეობაში. 1083 წელს სწორედ ამ მშვენიერ ადგილას განასრულა სამონასტრო კომპლექსის აგება ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა, სევასტოსმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ. იგი, წარმოშობით ქართველი, ძე ერისთავთერისთავის ბაკურიანისა – როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, გვარად ბაგრატიონი – ბიზანტიის იმპერიის დიდმოხელე იყო. როგორც თავად გვამცნობს ტიპიკონში, მსახურობდა საქართველოში, სომხეთში, სირიაში, იყო კარნუქალაქის (თეოდოსიოპოლის), ანისის, კარის (დღევანდელი ყარსის) თავადი (ქალაქის თავი)– სწორედ ამ დროს გადასცა გიორგი II–ს „კარის ციხე–ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“ (ქართლის ცხოვრება 1955, 212, 255) – დიდი დომესტიკოსი ჯერ აღმოსავლეთისა და შემდეგ დასავლეთისა და არსად არავითარი ბრალი და დანაშაული არ ერიცხებოდა, რაც ბიზანტიის კეისართა მიერ გაცემული ოქრობეჭდებითაც ჰქონია დადასტურებული (გეორგიკა 1963, 153–157; შანიძე 1986, 116–118)¹⁵.

¹⁵აკაკი შანიძემ ეს ტიპიკონი პირველად გამოსცა 1971 წელს (შანიძე 1971).

პეტრიწონის სამონასტრო კომპლექსში შედიოდა მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა და ორი პატარა – იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგისა, მონაზონთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, აგრეთვე მონასტრის გალავნის გარეთ, კლდიან ფერდობზე, საძვალე – ზემო სართულში ეკლესიაა, ქვედა სართულში – აკლდამა, სადაც პირველად დაკრძალეს მონასტრის აშენებამდე გარდაცვლილი გრიგოლის ძმა, აბაზ მაგისტროსი და შემდეგ, 1086 წელს – პაჭანიკებთან ომში დაღუპული გრიგოლ ბაკურიანის ძე. ისინი ამ საძვალის კედელზე არიან გამოსახულნი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ფრესკის მხატვრობა XIV საუკუნეში განუახლებიათ. უცვლელად, პირვანდელი სახით დღემდე სწორედ ეს ორსართულიანი საძვალეა შემორჩენილი. XVII საუკუნეში გადაუკეთებიათ ღვთისმშობლის ტაძარი. საბედნიეროდ, მის გუმბათზე აღმართულია ჯვარი, რომელსაც ქართული ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერა „ძლევაძ“ დღესაც ამშვენებს. შემორჩენილია აგრეთვე ღვთისმშობლის ხატი ქართული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ ის 1311 წელს ტაოელმა ძმებმა ათანასემ და ოქროპირმა მოაჭედინეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი პეტრიწონის სიძველეთაგან არის წესდება, ტიპიკონი, რომელიც მონასტრის ძმობას თავად ქტიტორმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა – კონსტანტინოპოლის წმინდა პანაგის მონასტრის წესდების მიხედვით, რომლის მონაზონთა მოსაგრეობა და ცხოვრების წესი სამაგალითოდ მიაჩნდა – და საკუთარი ხელმოწერით დაუმტკიცა 1084 წლის დეკემბერში.

ტიპიკონის შესავალში გრიგოლი აღნიშნავს, რომ მისი მამა, დიდი ერისთავთერისთავი ბაკურიანი ადრე გარდაიცვალა. დედამ მთელი ყურადღება რატომღაც ქალიშვილებს დაუთმო, მამულები მზითვად მისცა და ვაჟები, გრიგოლი და აბაზი, თითქმის ცარიელ–ტარიელი დატოვა. დაობლებული ძმები იძულებული გახდნენ, თვითონ ეზრუნათ საკუთარ თავზე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდანი შევიდნენ სამხედრო სამსახურში ბიზანტიის კეისრის კარზე და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, განსაკუთრებით გრიგოლმა. მან ძალიან დიდი ტიტული „სევასტოსი“ (ამაზე მაღლა მხოლოდ კეისარია) და დასავლეთის მთავარსარდლობა მიიღო; შეიძინა დიდი ქონება და მამულები ქვეყნის სხვადასხვა ადგილას; ძმებმა გადაწყვიტეს, თავიანთი სულების საოხად აეშენებინათ მონასტერი, რომელსაც მათი ქონება

სრულად უზრუნველყოფდა (ოჯახი არ ჰყავდათ). აქ უნდა დამკვიდრებულიყვნენ მხოლოდ ქართველები, რომელთა შორის ბაკურიანის ძენი მათთან ერთად სამხედრო სამსახურში მყოფ თანამებრძოლებსაც მოიაზრებდნენ. სამწუხაროდ, აბაზი ადრე გარდაიცვალა; ძმის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს არც გრიგოლს უცოცხლია; მან მარტო დააარსა მონასტერი, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავს, რომ ძმის სახელითაც მოქმედებს და მის ქონებასაც განკარგავს ამ წმინდა საქმისათვის.

პეტრიწონის მონასტრის ისტორიას იკვლევდნენ უცხოელი (გ. მუსეოსი, ლ. პტი (პეტიტი), ვს. ნიკოლაევი, დ. ლასკოვი და ქართველი მეცნიერები – ნ. მარი, შ. ნუცუბიძე, კ. კველიძე, ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, რ. სირაძე, თ. მესხი და სხვ.

3. 1. 2. ტიპიკონის ხელნაწერები და გამოცემები

პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ–ბერძნული ტექსტები მეცნიერულ დონეზეა გამოცემული და სათანადო მეცნიერული გამოკვლევებიც ახლავს. საკითხის სრულყოფილად შესასწავლად საჭიროდ მივიჩნით მათ შესახებ მსჯელობა.

პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონი შედგენილია ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად: „რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ და ჯერ არს, რათა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისჴმა–ჴყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა. ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა“ (შანიძე 1986, 120, 3).

იურიდიული ძალის მქონე, ბერძნულ ენაზე დაწერილი ტექსტის ერთი პირი შესანახავად დაიდო კონსტანტინოპოლში, წმ. პანაგის მონასტერში (სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი დაიკარგა), რომლის მოწყობის წესი დაედო საფუძვლად პეტრიწონის მონასტერს და წესდებასაც. მეორე ცალი ტიპიკონისა დასვენებული იყო თავად პეტრიწონში და „ნუოდეს ნუმცა განსრულ არს მონასტრისაგან ჩუენისა“ (შანიძე 1986, 120–121, 6). აქვე უნდა ყოფილიყო ქართულად დაწერილი ტიპიკონი, რომლის წელიწადში ოთხჯერ საჯაროდ წაკითხვა სავალდებულო იყო. პეტრიწონის მონასტრის კუთვნილი ქართულ–ბერძნული ტექსტი, რომელიც ერთ ყდაში იყო ჩასმული – ჯერ ქართული და მერე ბერძნული – და ერთ წიგნად შეკრული, XIX

საუკუნეში გადაიტანეს კუნძულ ქიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. პეტრიწონის მონასტრის წესდების შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა პ. ბეზობრაზოვმა რუსეთის სახალხო განათლების სამეცნიერო ჟურნალში 1887 წელს დაბეჭდილ სტატიაში (ბეზობრაზოვი 1887, 76-77). აქ დასახელდა რამდენიმე სამონასტრო წესდება, მათ შორის, პეტრიწონის წესდება. აღინიშნა ისიც, რომ მონასტერი ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ ააშენა ქართველებისთვის (გეორგიკა 1963, 011-12).

მონასტერში ინახებოდა აგრეთვე XVIII საუკუნეში ახალბერძნულ ენაზე თარგმნილი ტიპიკონის ტექსტი, რომელიც 1888 წელს გამოსცა გ. მუსეოსმა. ამას გარდა, ბუქარესტში აღმოჩნდა ძველი ხელნაწერიდან XVIII საუკუნეში გადაღებული პირი, რომელიც 1904 წელს გამოსცა ფრანგმა მეცნიერმა ლუი პტიმ (პეტიტი) (ჟურნალი „Византийский временник, XI ტ., დამატება N 1); კარგა ხანს სწორედ ეს ტექსტი იყო მეცნიერული კვლევის საგანი.

ეს ძველი რუსულად თარგმნა არუთინოვა–ფიდანიაძე 1978 წელს; პ. გოტიემ – ფრანგულად, 1984 წელს, რ. ჯორდანიმ – ფრანგულიდან ინგლისურად 2000 წელს (ცნობები დამოწმებულია ხ. თოდაძის ნაშრომიდან: თოდაძე 2013).

რაც შეეხება ქართულ ტექსტს: სოფიის სინოდალურ ბიბლიოთეკაში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გადაიტანეს პეტრიწონის ბიბლიოთეკის წიგნები, მათ შორის, ძველი დედნიდან გადმოწერილი ქართული ტიპიკონის ხელნაწერი, რომელიც, ჩანს, გადმოუღია ქართული ენის არმცოდნე პირს ასო–ასოდ, მიმსგავსებით. ტექსტში ბევრი შეცდომაა, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი არის დამადასტურებელი იმისა, რომ პეტრიწონის ტიპიკონის ქართული ტექსტიც არსებობდა და შემორჩა.

1933 წელს ეს ხელნაწერი უნახავს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს. 1954 წელს ეს ტექსტი გამოსცა და ლათინური თარგმანი დაურთო კათოლიკე მღვდელმა მიხეილ თარხნიშვილმა. პროფესორმა ისიდორე დოლიძემ „ქართული სამართლის ძეგლებში“ სწორედ ამ გამოცემის ქართული ტექსტი გადაბეჭდა (დოლიძე 1970, 35-104).

საქართველოს სსრ–ის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით პეტრიწონის მონასტრის სიძველეთა მოძიება–შესწავლის მიზნით 1949 წლის მარტში ბულგარეთში

გაემგზავრნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი შანიძე, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი და დოცენტი ოთარ გიგინეიშვილი. მათვე დაევაღათ, თუ მოახერხებდნენ რუმინეთში ჩასვლას, მოეპოვებინათ ახალი ცნობები ანტიმოზ ივერიელის შესახებ და მოემიებინათ ბესარიონ გაბაშვილის საფლავი.

ექსპედიციის წევრები იმყოფებოდნენ პეტრიწონის, ახლანდელი ბაჩკოვოს, მონასტერში, სადაც პირვანდელი სახით, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სამძალეა შემორჩენილი; სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში ნახეს ზემოხსენებული ქართული ტექსტი, რომელიც მონასტრის ისტორიის ძვირფასი წყარო იყო, მოგვიანებით მიაკვლიეს ბესიკ გაბაშვილის საფლავსაც რუმინეთის ქალაქ იასში¹⁶ (ბერძენიშვილი 1935).

ა. შანიძე თავის გამოკვლევაში წერს, რომ 1951 წელს სოფიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვსევოლოდ ნიკოლაევმა დაბეჭდა ორი გამოკვლევა ბულგარულად (რუსულ-ფრანგული რეზიუმეთი) ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში და იქიდან გაიგო, რომ ძველი ხელნაწერი ტიპიკონისა ქართულად და ბერძნულად დაცული ყოფილა კუნძულ ქიოსზე (შანიძე 1986, 21). ამასვე აღნიშნავს მ. თარხნიშვილი 1954 წელს გამოცემული პეტრიწონის ძველქართული ტექსტის წინასიტყვაობაში: ამავე ტიპიკონის სხვა ქართული ნუსხა მოიპოვება N1598 ხელნაწერში, რომელიც დაცულია კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში კუნძულ ქიოსზე, ხოლო მე ის ვერ მოვიპოვეო (გეორგიკა 1963, 013).

ა. შანიძემ დიდი მცდელობის შედეგად მოახერხა კორაისის სახელობის ბიბლიოთეკიდან მიეღო ფოტოპირები – ჯერ ბერძნულ, ხოლო მოგვიანებით ქართულ ენაზე.

ეს ბერძნული ტექსტი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XI–XII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებდეს, პარალელურ ქართულ თარგმანთან ერთად 1963 წელს გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა „გეორგიკის“ სერიაში (გეორგიკა 1963). ეს არის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ტექსტის მესამე (გ. მუსეოსისა და ლ. პტის შემდეგ), მეცნიერული, ყველაზე დაზუსტებული გამოცემა, დართული აქვს შესავალი, გამოკვლევა, ტაბულები და საძიებლები.

¹⁶ამჟამად საფლავი დაკარგულად ითვლება.

აკაკი შანიძის სიტყვით, პეტრიწონის მონასტრის „წესდება დიდად მნიშვნელოვანი ძეგლია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისათვის, არამედ XI საუკუნის ბულგარეთისა და საბერძნეთისთვისაც. აუცილებელია, მას ახლდეს თარგმანი ერთ–ერთ ფართოდ გავრცელებულ ენაზე, რაც საშუალებას მისცემს მკვლევარებს, იცოდნენ, რა სწერია შიგ“ (შანიძე 1986, 6), ამიტომ აკაკი შანიძემ თარგმნა ტიპიკონი რუსულად, დაურთო გამოკვლევა, ლექსიკონი, შენიშვნები, ტაბულები და ფოტოები. ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერიით ძველი ქართული ენის ძეგლების მე–13 ტომად სათაურით „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია“ (შანიძე, 1971). განმეორებით გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აკაკი შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულის IX ტომში (შანიძე, 1986). ამგვარად, გვაქვს მეცნიერულად გამოცემული, სანდო და სრულყოფილი ტექსტები პეტრიწონის მონასტრის ქართულსა და ბერძნულ ენებზე შედგენილი ტიპიკონისა, რომელსაც ახლავს ახალქართული (ბერძნულს) და რუსულენოვანი (ქართულს) თარგმანი და მეცნიერული აპარატი. ამ ნაშრომში ყველგან ვიმოწმებთ ა.შანიძის თორმეტტომეულის IX ტომისა და „გეორგიკის“ (ცალკე ამონაბეჭდი) მონაცემებს.

3. 1. 3. ქართული და ბერძნული ტიპიკონების შედარებითი

ტექსტოლოგიური დახასიათება

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონები, ცხადია, ერთი და იგივეა, მაგრამ არის განსხვავებანიც:

ქართულ ტექსტში 37 თავია, ბერძნულში – 36.

აკაკი შანიძის განმარტებით, „ქართულში მოიპოვება ბოლოს ერთი თავი, სადაც განსაზღვრულია, როგორ უნდა ედღესასწაულათ წელიწადში თორმეტი საუფლო დღესასწაული და იქ აშენებული სამი ეკლესიის წმიდათა ხსენების დღე

(ღვთისმშობლობა¹⁷, იოანეს თავის კვეთა და გიორგობა), ისიც, რამდენი დრაჰკანი უნდა მისცემოდათ ჟამის მწირველებს, ტაბლა როგორ უნდა დაგებულიყო და გლახაკთათვის როგორ უნდა ეზრუნათ. ეს თავი ამჟამად მხოლოდ ქართულ რედაქციაში მოიპოვება, ბერძნულში კი – არა“ (შანიძე 1986, 23).

მანვე აქვე აღნიშნა მთავარი რედაქციული განსხვავება ბერძნულსა და ქართულ ტექსტს შორის: ბერძნულში ნათქვამია, რომ ტიპიკონი სომხურადაც დაიწერა და ბაკურიანმა რომ დაამტკიცა თავისი მონასტრის წესდება, ხელი სომხურად მოაწერაო, ქართულში კი არაფერი მსგავსი არ მოიპოვება (შანიძე 1986, 23).

ეს ცნობა – სომხურად დაწერის შესახებ – არის როგორც გ. მუსეოსის, ისე ს. ყაუხჩიშვილის გამოცემულ ტიპიკონებში. გრიგოლ ბაკურიანის ძე ერთ–ერთი წარჩინებული დიდმოხელე იყო საბერძნეთის იმპერატორის კარზე და მისი თანამედროვე ისტორიოგრაფები მას გვერდს ვერ აუვლიდნენ, ამიტომ ცნობები მის შესახებ დაცულია ბერძნულ წერილობით წყაროებშიც; კერძოდ, ანა კომნინმა, ალექსი მეფის ასულმა, თავის „ალექსიადაში“ აღწერა მამის ცხოვრება და მოღვაწეობა; მოხსენიებულია ბევრი ისტორიული პირი, მათ შორის, გრიგოლ ბაკურიანის ძეც („ბაკურიანი“). აღნიშნულია, რომ იგი იყო დაბალი ტანის კაცი, მაგრამ გულადი მეომარი, ხოლო წარმოშობით ყოფილა სომეხთა ბრწყინვალე გვარიდან (შანიძე 1986, 19). მისი ეს ცნობა გადავიდა სხვა გამოკვლევებში. წესდების გამომცემელთაგან გ. მუსეოსი არ აკეთებს საბოლოო დასკვნას გრიგოლ ბაკურიანის ძის ეროვნული კუთვნილების თაობაზე, ლუი პტი კი 1904 წელს დაბეჭდილ თავის წიგნში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე სომეხი კი არა, გულმხურვალე ქართველი იყო.

თავისი შეხედულება გამოთქვა ნ. მარმა. მისი აზრით, გრიგოლ ბაკურიანის ძე ტაოელი ქალკედონიტი სომეხი იყო. ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ 20–30 წლის შემდეგ ქართველების გარდა, სომეხებიც მოსულან პეტრიწონში, რის გამოც წესდების შევსება გამხდარა საჭირო; ერევნელმა მეცნიერმა პარულირ მურადიანმა, რა თქმა უნდა,

¹⁷ უნდა იგულისხმებოდეს 28 აგვისტო (მარიამობა, მიძინება ღვთისმშობლისა) და არა ღვთისმშობლობა, 21 სექტემბერი, რადგან პეტრიწონის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. იხ. ტიპიკონის 37–ე თავის მე–15 მუხლი: „და მიცვალებასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, რომელ არს დღესასწაული წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა“... (შანიძე 1986, 122).

გრიგოლ ბაკურიანის ძის არაქართველობის სასარგებლოდ წარმართა მსჯელობა. ეს თემა ამოწურა და საბოლოო წერტილი დაუსვა ა. შანიძემ. პეტრიწონის მველქართული ტიპიკონის გამოცემის შესავალში სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელისა და, რაც მთავარია, პირვანდელი ტექსტის ცნობებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ სიტყვა „სომხურად“ მერმინდელი ჩამატებულია და თავიდან ტექსტში მსგავსი არაფერი ყოფილა. იგი, ასევე, ამტკიცებს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძემ ქართულსა და ბერძნულ ტექსტსაც ხელი ქართულად მოაწერა იმ დროისათვის მიღებული საბუთების დამტკიცების ფორმულის მიხედვით: „მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღ~ათა“ (შანიძე 1986, 31). მართლაც, გაუგებარია, რატომ უნდა მოეწერა ხელი ქართველ მხედართმთავარს ტიპიკონის ტექსტზე სომხური ასოებით, როგორც შემდეგ დროინდელ ჩამატებაშია აღნიშნული – „ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ, ე.ი. სათნო გრიგოლის და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ სომხური ასოებით“ („გეორგიკა“ 1963, 157) ან პეტრიწონელ მონაზვნებს, რომლებიც „ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა, რაში დასჭირდებოდათ სომხურენოვანი რამე ტექსტი“ (იქვე).

ახლა განვიხილოთ ძირითადი ტექსტი:

პეტრიწონის ქართული და ბერძნული ტიპიკონის ტექსტები ერთსა და იმავე შინაარსს შეიცავს – რამდენიმე განსხვავების გარდა, რომლებზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ – ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ. ტექსტს ვიმოწმებთ ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანიდან, „გეორგიკა“, „გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი“ (გეორგიკა 1963) და ა. შანიძის თხზულებათა ტომიდან (შანიძე 1986).

ტიპიკონის შესავალი გვაუწყებს, რომ ეს არის დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, უფალ გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილი ტიპიკონი, მის მიერვე დაარსებული პეტრიწონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისათვის (გეორგიკა 1963, 3. 1).

სამების ხსენების შემდეგ, იწყება საუბარი და წერა „ჩვენ მიერ ახლახან დაფუძნებული მონასტრის საკრებულოდ შესახებ...ამ მონასტერში არსებული მონაზვნების რიცხვის განსაზღვრისა და მცნებისა და კანონისა, რომელთაც ისინი ექვემდებარებიან სადიდებლად და პატივსაცემად ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა, შესახებ ადგილსამყოფელისა მის პეტრიწონად

წოდებულისა ციხისა შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებულნი არიან ყველანი ღმრთის განგებით და დახმარებით ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე, გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან (გეორგიკა 1963, 3, მუხლი 2). დავაფუძნე ღვთისმშობლის ტაძარი და მონასტერი ჩემი და ჩემი ძმის, მაგისტროს აბაზის განსასვენებლად, სახსრად და სახსნელად“.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს სულიერი მეგობრობა აკავშირებდა კონსტანტინოპოლის პანაგის უპატოსნესი მონასტრის მონაზვნებთან, მოსწონდა „მათი მონაზვნური წესი და მოქალაქობა“ და გადაწყვიტა, მათი „სახე და წესი“ გამოეყენებინა და განემტკიცებინა ახალ ეკლესიაში, „ყოველი საეკლესიო მიმდევრებით და მონაზვნური ცხოვრების და ქცევის წესით, რათა მათი მიბაძვით მოქალაქობდნენ ესენიც ღვთის განგებით“ (გეორგიკა 1963, 5, მუხლი 3).

„ჩვენ, ახლახან ამ წმინდა მონასტერში დამკვიდრებულნი, ქართველები ვართ, და ყოველგვარი მხედრული ცხოვრება გამოვლილი გვაქვს და ცხოვრების ჭირვეული გამოცდილება გვაქვს, ამჟამადაც ისეთ მოხერხებულ ადგილას ვცხოვრობთ, რომ მონაზვნური ცხოვრება არ უნდა გაგვიჭირდეს“ (გეორგიკა 1963, 5, 4).

„თუ ვინმეს პანაგის მონასტრის წესზე უფრო მეტი ფუფუნებით ცხოვრება მოუნდება, მშვიდობის გზა ჰქონდეს, ვინაიდან პანაგის წინამძღვარმა თავის მოწაფეებს უქადაგა, ევლოთ საშუალო გზით, „რამეთუ მუდამ მოლიპულია და ძალიან ძნელი ყოველგვარი გადახვევა“ (გეორგიკა 1963, 7, 5).

შემდეგ მოჰყვება შინაარსი პანაგის მონასტრის ტიპიკონიდან გადმოღებული წიგნისა, ხოლო მცირედი რამე, რაც საჭიროდ მიიჩნია, თავად დაუმატებია.

გრიგოლ ბაკურიანის ძე „მხედრობათა შინა აღზრდილი“ იყო, მაგრამ ჩანს, რომ განათლებული ადამიანი, დაკვირვებული ქრისტიანია, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვს, ამიტომ არ გაუჭირდებოდა, გაეთვალისწინებინა მონასტრისათვის საჭირო ყოველი წვრილმანი და ნათლად და გასაგებად გადმოეცა თავისი აზრი.

ტექსტს წინ უძღვის მიმოხილვა ანუ პინაკი წინამდებარე ტიპიკონში განხილული თავებისა, რათა ადვილად ჰპოვონ (საძიებელი თვისი)“ (გეორგიკა 1963, 7).

ვიწყებთ პირდაპირ თავების განხილვას:

იმის შესახებ, თუ როგორ აღიშენა წმინდა ესე მონასტერი იბერთა (მუხლი 5).
დასაწყისშივე გრიგოლ ბაკურიანის ძე აღნიშნავს, რომ ყველა ქრისტიანი და მორწმუნე მართლმადიდებელი მუდამ უნდა ელოდებოდეს სიკვდილს, ფიქრობდეს განკითხვის დღეზე და საჭიროა, ყოველი ძალ-ღონით იზრუნოს ამათ შესახებ, ვიდრე ტრიალებს სააქაო ცხოვრებაში და ყველანაირად ეცადონ, გონივრულად იცხოვრონ და იხსნან თავი იმ საშინელი და საუკუნო სატანჯველისაგან... სახარების წმინდა ხმის მიხედვით, და თითოეულმა მისცეს აქ ღმერთს სასყიდელი თავისი სულისათვის და როგორც ერთგვარი მიზეზი, მიანიჭოს ღვთის შეუდარებელ სიკეთესა და კაცთმოყვარეობას, რათა ამათ შეამთხვიოს, რათა თითოეულმა ქმნას სიკეთე ძალისაებრ თვისისა, და ამნაირი მოღვაწეობის წყალობით... თანამემკვიდრენი გახდნენ იმათი, რომელნიც ფლობენ საუკუნო ქონებას, და ქრისტეს მიერ მიიღონ მიტევება შეცოდებათა (გეორგიკა 1963,17–19,1).

ყოველივე ამის გამო, – ამბობს, – მე...გრიგოლ სევასტოსი და დიდი დომესტიკოსი, ფრიად ცოდვილი და ქრისტეს უღირსი მონა... ვარ მქონებელი სიცოცხლის ნაშთისა – მხოლოდ ჭეშმარიტი და მართლმადიდებელი რწმენისა, რომლისა ღირს ვიქმენ, რწმენისა ქრისტიანეთა, როგორც ეს გადმოცემული აქვთ ქართველებს, რომლებიც არიან ტომი თანახმიერი და თანაგვარი უმართლმადიდებელესი (მთელი სარწმუნოებრივი გადმოცემის მიხედვით) უღვთისნიერესი რომაელთა ტომისა და მათი ღვთაებრივი დიდი ეკლესიისა... ვიდრე დღემდე მოწადინე ვიყავ, ამეშენებინა ტაძარი უმშვენიერესი და მის გარშემო მონაზონთა თავშესაფარი, იქვე სამარხი ჩემი ცოდვილი ძვლებისა (გეორგიკა 1963,20–21, 2).

ეს ფრაგმენტი სარწმუნოებრივი (და ბევრი სხვა) თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ მოვიტან ქართული დედნის ტექსტსაც:

„მე, გრიგოლ... სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან, ფრიად ცოდვილმან და უღირსმან მონამან ქრისტესმან... ოდენ ღირს-ქმნულად ჭეშმარიტსა და მართლმადიდებელსა ქრისტიანეთა სარწმუნოებასა ქართველთასა, რომელთა–იგი

სწორად აქუს და განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა... წადიერებაჲ მაქუნდა პირველითგან და განვიზრახევდ... აღშენებასა ეკლესიისასა და მონასტრისასა სამარხოდ და განსასუენებლად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა“ (შანიძე 1986, 61–62, 2). აქ ტექსტი განსხვავებულია – თავისი ძვლებისთვის ეკლესიასა და მონასტერს მოიაზრებს და არა ცალკე სამვალეს, როგორც ეს ბერძნულ ტექსტშია.

მხოლოდ სიბერის ჟამს ღმრთის წყალობით გამოფხიზლებულს ღრმა ძილისაგან, სულიერი თვალით დაუნახავს თავისი ცხოვრების ამოება და წერს: ამიტომ მივმართე... ყველა ჩემნაირი შეცოდებულის შესავედრებელსა და დამხმარეს, ჩვენი ღმერთის ქრისტეს უმეტეს კურთხეულსა დედას, მარადის ქალწულსა მარიამს და უმანკო ღვთისმშობელს, აგრეთვე უმეტეს საკვირველსა და დიდებულსა წინამორბედს, ქრისტეს ნათლისმცემელს წმინდა იოანეს, ისევე, როგორც უბრწყინვალეს მთავარმოწამესა და ქრისტეს უზეშთაეს თანამოღვაწეს ღვთაებრივ გიორგის; ესენი გავიხადე ჩემს მეგზურებად და მოციქულებად ქრისტე ღმერთთან დღესა მას საშინელის განკითხვისასა... და ავაშენე მთელი გულითა და სულით, მრავალი შრომითა და დიდძალი ხარჯების გაღებით ეკლესიის გალავანი და მასზე სახლი ღმრთის დიდებისა, პატივად და სადიდებლად სამთა ამათ, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიე, უაღრესად საკვირველთა, (სახლი) საუცხოო და დიდად მშვენიერი ძალისაებრ ჩემისა და დროთა შესაფერისი... ფილიპოპოლის უფრო ჩრდილო მხარეში, ერთ მთავარ ხევში, იქ მდებარე იმ სოფლის საზღვარზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ პეტრიწოს, ხოლო მეტსახელად ვასილიკისი ჰქვია (გეორგიკა 1963,21–23, 3).

ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მომდევნო მუხლი, რომელშიც გრიგოლი თავის თავსა და დამსახურებებზე მოგვითხრობს; გულწრფელია, როგორც აღსარების დროს, მის სიტყვებში იგრძნობა დიდ ჭირვარამგამოვლილი კაცის სევდა და გულისტკივილი, რა გაჭირვება, ტანჯვა, განსაცდელი გამოიარა, როცა ამბობს, რომ მამულები მიენიჭა თვითმპყრობელი მეფეების სარწმუნო და პატიოსანი ოქრობეჭდით ნაცვლად მისი მრავალი დიდი სისხლდამღვრელი ბრძოლებისა და მსახურებისა, რომლებიც მან გასწია ჭაბუკური ასაკიდან დაწყებული ვიდრე აწინდელ სიბერემდე; არასოდეს არ დაუზოგავს თავისი სისხლი, არც მასთან მყოფი

ნათესავებისა, აგრეთვე არც მისი ხელქვეითი მრავალი ერისა, რომ კარგად ყოფილიყო მათი მეფობის ძალაუფლება, როდესაც ებრძანა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მხარეებში სამსახური გაეწია რომაული სახელმწიფოსთვის, ისე, რომ საშინელ ტყვეობაშიც ჩავარდნილა ბევრ ნათესავსა და ერთგულ მახლობლებთან ერთად... იშვიათად თუ ვინმე ქართველი საკუთარ სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა.. – ყველამ თავისი სისხლი დაღვარა ღვთიური ჯვარისა და საბერძნეთის მტერთა მახვილითა და ხელით (გეორგიკა 1963, 23, 4).

ძალზე საყურადღებოა ასევე ამ თავის ბოლო, მე-5 მუხლი: ახლა, როდესაც ღვთის შეწევნით გულის წადილი ავისრულე, ავაშენე წმინდა ეკლესიები, სენაკები და შემოზღუდული მონასტერი, გავბედავ და ვიტყვი, რომ არა სხვა რაიმე თანხებით ან რაიმე უსამართლობით, არც კიდევ ჩემი გლეხების შრომისა და სამსახურის გამოყენებით, რომლებიც წმინდა ეკლესიების აშენებაზე იწვალებდნენ ან მათ გარშემო ხსენებული მონასტრის აშენებაზე, არამედ ჩემი მართალი საკუთრივ შეძენილი შრომით და გარჯით მოხდა ეს (გეორგიკა 1963, 23, 5) ე.ი. გრიგოლ ბაკურიანის ძეს მონასტერი მხოლოდ თავისი საფასით აუშენებია, სხვისი კნინიც არაფერი ურევია, ჩემი გლეხებიც კი უსასყიდლოდ არ მიმუშავებია, არამედ ყოველივე მხოლოდ ჩემისაგან ნაქონებისა და სამართლად მონაგებისაგან ქმნილ არს (შანიძე 1986, 63, 5).

თავი მეორე, შესახებ საჩუქრებისა და შესაწირავთა, რაც შევწირეთ ჩვენ წმინდა ეკლესიას, რომელზედაც გვაქვს საუბარი (21 მუხლი). ამ თავში ჩამოთვლილია ის მამულები, ძვირფასი ხატები, შესამოსლები და „ყოველგვარი სხვა მოძრავი და თვით–მოძრავი“ ქონება, რაც გრიგოლ ბაკურიანის ძემ შესწირა თავის მიერ აშენებულ სავანეს. ეს თავი გვაწვდის ძალიან საინტერესო ცნობებს მონასტრის აშენების, ქტიტორისა და მისი ცხოვრების შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისეთი დიდი საქმე, როგორიც მონასტრის აშენებაა, გრიგოლმა მხოლოდ თავისი სისხლითა და პატიოსანი შრომით შეძენილი ქონებით მოახერხა და სხვისი არც შრომა და არც ფული არ გამოუყენებია. პირველ რიგში: მისცა და დაუმტკიცა მისდამი უწმინდესი ოქრობეჭდებით მონიჭებულ მამულთაგან... ის მამულები, რომლებიც ანგარიშდებულა უწმინდესი ოქრობეჭდებით და დამტკიცებულა... ფილიპოპოლის თემში მდებარე ციხე თუ სოფლად წოდებული პეტრიწოსი... მისითა ყანებითა;

აგარაკები იანოვა, ბაჩოკოვა, დობროლონგი, დობროსტანი, ბურსეოსი, ლალკუვა, ავროვა.... ციხითურთ მთელი მოცულობით და შემოსაზღვრული მამულებით, ძველი ქონებით და ყოველგვარი უფლებითა და ყველა შემოსავლით (გეორგიკა 1963 25 1). სოფელი სტენიმახი, იქ მის მიერ აგებული ორი ციხითურთ, აგრეთვე, მათი აგარაკებითურთ, სახელდობრ: ლიპიწონის, წმინდა ბარბალეს, მისი სოხასტერებითურთ: წმინდა ნიკოლოზის, წმინდა ელიას, წმინდა გიორგის, ასევე სოფელთან მდებარე აგარაკი “სრულად მათი მთელი ძველი მოცულობით და მამულებით, მათი ჩემ მიერ შემოწერილი საზღვრით, რომელიც გავავლე ვოდინის ციხესა და მათ შორის“ (გეორგიკა 1963, 25, 2). ამათ გარდა ციხე ვანისკა წყაროთი და თავისი ყველა სოფლით და აგარაკებით, „სამოვრებით და მთელი მათი შემცველი ძველი მამულებით“ (გეორგიკა 1963, 25–27, 3). ტოპოლინიწში მდებარე პრეტორიონი, სოფელი გელოვა მთელი მისი ზღვრითა და მამულებითა (გეორგიკა 1963, 27, 4). ვოლერონის თემში მოსინოპოლის ვანდის ადგილმდებარეობაში... ზაუწის პრასტინი მთელი თავისი საზღვრებით და ძველი მამულებით, ხოლო მოსინოპოლის ციხის შიგნით მის მიერ ნაყიდი სამოსახლო ადგილები... მისი აშენებული სახლები... წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი პაპიკიონის მთის ძირში, მისი ვენახებითურთ და ყანებითურთ, მთელი ადგილებით და ბაღებითურთ და ყველა დანარჩენი უძრავი ქონებით და მოსინოპოლის ციხის შიგნით მეტოქითურთ... (გეორგიკა 1963,27, 5) იმავე თემში... მინას პრასტინი და მასთან დაკავშირებული ყანებით და ყოველგვარი მიწებით... (გეორგიკა 1963,27, 6) პერიტეორიონის ციხის შიგნით მდებარე კარ–მიდამო... ყველა იქ არსებული შენობით და ყოველგვარი ქონებით (27, 7).

ყველაფერი ეს... „მივუძღვენი ამიერიდან ჩემს ქართულ მონასტერში არსებულ პეტრიწონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარს მთელი მათი ძველი საზღვრებით და მამულებით და ყველა უძრავი სამართალითა, აგრეთვე მათში არსებული უღლებითა, ისევე, როგორც მთელი იქაური ნათესებითა და ყოველგვარი სხვა მოძრავი და თვითმოძრავი რამეებითა და, საერთოდ, ყოველი შემოსავლითა და მათთან დაკავშირებული უფლებებითა“, – ამბობს გრიგოლ ბაკურიანის ძე (გეორგიკა 1963, 27–29, 8).

შემდეგ გრიგოლი მოიხსენიებს თავის ძმას, განსვენებულ აბაზ მაგისტროსს და მის ანდერძს: დაეწერა, რომ „სადაც ინებოს ჩემმა ძმამ გრიგოლმა თავისი

ეკლესიისა და მონასტრის აშენება, აგრეთვე საფლავისა, სადაც დაიმარხოს, იქ დაიმარხოს ჩემი გვამიც“... თავისი სულის ნაწილად დაეწესა თავისი სოფელი, რომელსაც პრილონგიონი ჰქვია (გეორგიკა 1963, 29,9). ძმის, აბაზ მაგისტროსის ანდერძისამებრ, გრიგოლ ბაკურიანის ძემ მისი ნემტი თავის მიერ აგებული მონასტრის სამკვალეში გადმოასვენა „შესაფერისი პატივით და სიყვარულით... როგორც ეს შეეფერება ჩემს მწველ მწუხარებასა და ტკივილს მისი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო... დავაწესეთ ზედმიწევნით მისი სულის სამსახურისთვის ყველაფერი, ყველაფერი დავანაწილეთ მისი სულის ხსნისათვის“... (გეორგიკა, 1963: 29,11) სოფელი „პრილონგიონი მისი ძველი ციხეებითურთ და მისი კუთვნილი აგარაკებითა, სასტუმროებითა და მთელი მისი საზღვრებითა და ძველი მამულებით და ყველა მისი ქონებითა“ მივეცით ეკლესიას, რომელშიც დასაფლავებულია... „და დავაწესეთ მისთვის სათანადო ლოცვა მრავალი და ჟამისწირვა“... (გეორგიკა 1963,29–31, 12). ასევე ჩემთვის ანდერძით ლელატის სახით დატოვებული პატიოსანი ოქრობეჭდით ბოძებული სოფელი ზრავიკი, „კესაროპოლითურთ... მისი ტბითურთ და სათევზეებითურთ და აგარაკითურთ, რომელსაც ეწოდება ლლავნონი... განვაწესე და მივეცი იმავე ხსენებულ ჩვენ მონასტერს და იქ მყოფ წმინდა ეკლესიას და სამარხს, სადაც იგი არის დამარხული, მისი სულის საცხონებლად“ (გეორგიკა 1963, 31,13). ქტიტორის მიერ ეკლესიისა და იბერთა პეტრიწონის მონასტრისადმი შეწირული ყველა ციხის, სოფლისა და პრასტინთა სახელები – ყველა აღნუსხულია პატიოსანსა და სარწმუნო ოქრობეჭედში, რომელიც მიეცა მონასტერს (გეორგიკა 1963, 31, 14). ამას გარდა, გრიგოლმა ეკლესიას გაუნაწილა თავისი ძმის დანატოვარი კიდევ ბევრი მამული, განძი, ფული, ვერცხლის ჭურჭელი, შესამოსელი და ყველანაირი სახმარი, აგრეთვე პირუტყვი (გეორგიკა 1963,31, 33,15).

ყველა მიწა და მამული გრიგოლ ბაკურიანის ძემ მონასტერს გადასცა მთლიანად, ყველაფრიანად, „საბატონო უღლებითა, გლეხებითა და მათი კუთვნილი ყოველგვარი ცხოველითა, ყოველგვარი მთიანი და დაბლობი მიწითა, აგრეთვე სამოვრებითა, სახნავითა და ვენახებითა, ყოველგვარი ხილნარითა, ნაყოფიანი და უნაყოფოითა, წისქვილებითა (წყლით საბრუნავი და ცხოველით საბრუნავი), ტბებითა და მათ გარშემო განლაგებული ხმელი მიწებითა, ციხეებითა და ყველა იქაური შენობებითა და ყოველგვარი მამულებითა, შემოსავლითა, რომელიც მოაქვს

იქაურ შიგნითა და გარეთა უძრავ, მოძრავსა და თვითძვრად ქონებას“ (გეორგიკა 1963,33,17). როგორც თვითონ მიუთითებს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს მონასტრისთვის შეუწირავს „პატიოსანი ხატები, ქრისტე მაცხოვრის და ყველა წმინდანის გამოსახულებანი, აგრეთვე, პატიოსანნი ჯვარნი ცხოველმყოფელი და ღვთიური ჯვარის პატიოსანი ნაწილებითურთ, აგრეთვე წმინდა სახარებები, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ენაზე“, ძვირფასი ქვებით შემკობილნი, „წმინდა ჭურჭელი წმინდისა ეკლესიისა, ბარძიმ-ფეშხუმები და საცეცხურები ვერცხლისა, სხვადასხვანაირი, ნაირნაირი ქორაკანდელები, შესამოსლები სამეუფონი ძვირფასნი, ტაძარში ჩამოკიდებულნი“, აგრეთვე მეფე ალექსისგან პაჭანიკებზე („პაწინაკები“) საკვირველი გამარჯვების შემდეგ მისთვის ნაბოძები მეფის შესამოსლები (33–35, 18), აგრეთვე მეფის ძმის ნაჩუქარიც (35, 19), კიდევ სხვა ძვირფასი შესამოსლები, აგრეთვე „ნაირნაირი და ყოველგვარი ჭურჭელნი შესამკობად და გასამშვენნიერებლად ეკლესიისა“... ფიცრის ხატები, რკინის სასანთლე და საცეცხურები „არა მცირედნი“ (გეორგიკა 1963, 35, 20). აქვე, 21–ე მუხლში აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ამ წიგნში დაწვრილებით აქვს აღწუსებული.

აქ ყურადღებას იქცევს მონასტრისთვის შეწირული უძრავი და მოძრავი ქონების სიუხვე, ის, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე დიდად ზრუნავს მონასტრისათვის და ყველაფერი პატიოსანი ოქრობეჭდებით დაუმტკიცა; ასევე, ტოპონიმიკა, რაც ფასდაუდებელია ბულგარეთის ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად.

თავი მესამე, იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ აგებული წმინდა მონასტერი თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისგან (3 მუხლი). პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი, ისევე, როგორც ყველა სხვა ქტიტორი და სასულიერო პირი, დიდად ზრუნავდა, რომ მისი სავანე ყველასგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, სრული ავტონომია და თავისუფლება ჰქონოდა და ყველაფერი იღონა ამისათვის – პირველ რიგში, უზრუნველყო მატერიალურად და გამიზნულად შეიტანა ეს თავი ტიპიკონის დასაწყისში. მისი შეხედულება ამ საკითხზე მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ ვიმოწმებთ ტექსტს: „ჩვენ... განვსაზღვრეთ, – რომ... მონასტრისთვის ბოძებული უძრავი, მოძრავი და თვითძრავი ქონება იქნება თავისუფალი და დაუმონებელი მასთან (ე.ი. მონასტერთან) ერთად, რომელიც არის თვითმფლობელი, თავის თავად მქონებელი თავის თავზე ბატონობისა, რომელიც არ ექვემდებარება არავითარი სახის

გადასახადს, არც სამეფოს, არც რომელიმე ღვთისმოყვარე მიტროპოლიტისას, ან ეპისკოპოსისას, ან სხვა რომელიმე საეკლესიო ან სამთავრო პირისას, ან რომელიმე ჩვენი შინაური ნათესავისას“ (გეორგიკა 1963, 37, 1).

აქვე გრიგოლ ბაკურიანის ძე განსაკუთრებით გამოყოფს ფილიპოპოლის მიტროპოლიტს. გრიგოლის მონათხრობს ეტყობა, რომ მათ კონფლიქტი უნდა ჰქონოდათ; იერარქს, შეიძლება არ სიამოვნებდა მის ეპარქიაში ასეთი მძლავრი მონასტრის დაფუძნება, ისიც არაბერძნის მიერ, – მისი მავნე ხელისგან თავისუფალი იყოს, არც მისგან იბატონებოდეს რამეში ისე, რომ ის სახელდებით არ იხსენიებოდეს ამ წმინდა ეკლესიის კვერეხში, – აღნიშნულია ტექსტში (გეორგიკა 1963,37, 2) და მინიშნებულია ქართული მონასტრის დამოუკიდებლობა.

„თავისუფალი არის აგრეთვე ყოველგვარ საერო მთავართაგან და მეთაურთაგან დიდიდან ვიდრე პატარამდე, როგორც ამას ყველანი აღნიშნავენ სამეუფო ოქრობეჭდში“, – ასკვნის მე–3 მუხლი (გეორგიკა 1963, 37).

ზრუნვა მონასტრის დამოუკიდებლობისათვის ყველა ქტიტორს ახასიათებს, განსაკუთრებით მძაფრად, სხვა ქვეყანაში, სადაც არის უცხოტომელთა მიერ ძალმომრეობისა და მითვისების საშიშროება, რისი მაგალითებიც მრავლადაა ჩვენს ისტორიაში. პარალელისთვის შეიძლება დავიმოწმოთ ათონის ივირონის მაგალითი, როდესაც წმ. ეფთჳმეს გარდაცვალების შემდეგ ბერძნებმა მოიწადინეს მისი წართმევა ქართველთათვის.

თავი მეოთხე, შესახებ ერთობით ცხოვრებისა, ესე იგი საზოგადოებრივად რომ იცხოვრონ და ყველა ძმას აეკრძალოს საკუთარ სენაკში განცალკევებით იზრუნოს ცხოვრებაზე (მუხლი 13). პირველივე მუხლში გრიგოლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მონასტერში მყოფმა ძმებმა უნდა „ერთობით იცხოვრონ გონივრულად და ბრძნულად“, უჯერებდნენ წინამძღვარს და ერთმანეთს და „ყველა ყველაფერში ურთიერთთან შეხმატკბილებულნი“ იყვნენ (გეორგიკა 1963, 39, 1).

ზოგადად, ქრისტიანები დიდ ყურადღებას აქცევენ ტრაპეზს – საკვების ერთად მიღება ზიარების ანალოგიაა – ასე იყო პეტრიწონშიც. გრიგოლი თავიდანვე ამბობს, რომ ტრაპეზი საერთო უნდა იყოს წინამძღვრისა და დანარჩენებისთვის (39, 2).

აკრძალული იყო საკუთრად, თავისი ნებით, რამე საქმიანობის წამოწყება ან ოთხფეხი ცხოველის შეძენა, სენაკში რაიმე საკვების შენახვა – ეს ეწინააღმდეგება ღვთის წინაშე დადებულ აღთქმას (გეორგიკა 1963,39, 3).

არ უნდა ჰქონოდათ ასევე წყლის ასადულებელი ჭურჭელი; არ შეიძლებოდა საკუთრად თავისთვის წვნიანი საჭმლის შემზადება, არც სხვისთვის რამის შეთავაზება (გეორგიკა 1963,39–41, 4).

უძლურებასა და მოხუცებულობას გაითვალისწინებდნენ და თუ ვინმეს ნამდვილად დასჭირდებოდა რამე, ამის მიხედვით გაიცემოდა განკარგულება (გეორგიკა 1963,41, 5).

მონაზვნად აღკვეცილი დიდებული ან ფუფუნებით მცხოვრები თუ მოინდომებდა, საკუთრად ჰყოლოდა მოწაფე ან მსახური, მას ამის ნებას არ მისცემდნენ, „რათა ნაცვლად სარგებლისა და შეძენისა დიდი ვნება არ მოუვიდეს და უწესოების მიზეზად არ გაუხდეს შრომისმოყვარეებს“ (გეორგიკა 1963,41, 6).

არ შეიძლებოდა ფარულად რამის შეძენა, არც სხვისგან მიღება ან მიცემა, თუნდაც ძალიან ღარიბიც ყოფილიყო (გეორგიკა 1963,41, 7) – რადგან ვინც ერთხელ უარყო საკუთარი თავი, იგი ღვთის სიმართლეს უნდა ემორჩილებოდეს, მხოლოდ წინამძღვრის სიმართლეს მიჰყვეს, „თუ არა, ჩაითვლება უკანონოდ და ძმობისთვის უცხოდ, და თუ ეს არ გამოსწორდა, გამევეებული იქნება ღვთაებრივი სავანიდან“ (გეორგიკა 1963, 43, 9–13). ასევეა ათონურშიც. სახარებისეული სწავლება – ნუ ზრუნავთ, რად ჭამოთ, რად სუათ, ანუ რად შეიმოსოთ – ყველა ქრისტიანს, მით უფრო მონაზონს, განუხრელად უნდა დაეცვა და ამ დებულების დარღვევა არავის ეპატიებოდა.

თავი მეხუთე, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს არჩეული წინამძღვარი და დამტკიცებული, და პირველი წინამძღვრის შემდეგ როგორ უნდა მოიწვიონ მონასტრის ამ სამსახურში და ამ თანამდებობაზე მეორე (11 მუხლი, ქართულში – 15). გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბევრი უშრომია, გულმოდგინედ გამოუძიებია ყველაფერი, გამოუკითხავს და დაუდგენია, რომ სწორი იქნებოდა, თავის სიცოცხლეში თავად მას დაენიშნა მონასტრის წინამძღვარი და თუ ის იქნებოდა წესიერი მის მიერ დადებული მცნების მიხედვით, სიკვდილამდე ეწინამძღვრა (გეორგიკა 1963, 45, 1). სწორედ ამგვარი წესი მოქმედებდა ათონზეც: იოანე მთაწმინდელმა ეფთვემს გადააბარა

წინამძღვრობა, ეფთჳმემ კი თავის შემდეგ გიორგი დანიშნა („იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“).

როგორც თვითონ ამბობს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბევრი რამ გამოუკვლევია. სანამ ტიპიკონის წერას შეუდგებოდა, ბევრი უფიქრია. ის „მხედრობათა შინა აღზრდილი“ მხედართმთავარი იყო, კარგად იცოდა, რამდენი რამ სჭირდება კაცს; ეტყობა, სასულიერო ცხოვრებაში გამოცდილ ადამიანებს ეთათბირა, უფრო მეტად, პანაგის მონასტრისას, მათ ტიპიკონსაც გამოიყენებდა სახელმძღვანელოდ და შექმნა შესანიშნავი წესდება, რომელშიც მონაზონთა ცხოვრების ყველა მხარე ზედმიწევნითაა გათვალისწინებული, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

პირველის, გრიგოლის დანიშნულის, შემდეგ ყველა სხვა წინამძღვარი გარდაცვალებამდე თვითონ ირჩევს თავის შემდეგ წინამძღვარს ძმების ჩარევით და დამტკიცებით და არა ნათესაობის ან მეგობრობის გამო (გეორგიკა 1963, 45,2).

თუ წინამძღვარი მოულოდნელად გარდაიცვალა და ვერ მოასწრო შემცვლელის დასახელება, მაშინ ურჩეულესი და გონიერი ძმები გამოირჩევენ ახალ წინამძღვარს მონასტრის ძმთაგან (გეორგიკა 1963, 47,5).

იმ შემთხვევაში, როცა წინამძღვარმა იცის, რომ მიდის უფალთან, იგი თავისთან შეკრებს მთელ ძმობას და გრიგოლის მიერ განსაზღვრული კანონით ყველას თვალწინ გადასცემს მას უფროსობას (გეორგიკა 1963, 47, 6).

წინამძღვრის დასაფლავების მესამე დღეს ახალი წინამძღვარი შეასრულებს პანაშვიდს ღამისთევით; მეორე დღეს, საღმრთო ლიტურგიის შესრულების შემდეგ, წარსდგება საკურთხევის წინ, ყოველი ძმა მოიყრის მუხლს მის წინაშე და ხელზე ეამბორება, შემდეგ გაიმართება უხვი ტრაპეზი (გეორგიკა 1963, 47, 7).

მე-4 მუხლში არის მცირე განსხვავება: ქართული ტექსტი ამბობს, რომ პირველი წინამძღვრის „განსვლის“ შემდეგ ექნება მეორეს ხელმძღვანელობის უფლება არა მხოლოდ „ამ მონასტრის ყველა დანარჩენი ძმების თანაბჭობით“, როგორც ბერძნულ ტექსტშია, არამედ საჭიროა „თანაგანზრახვა“ მონასტრის ხელისუფალთა და „რომელნი–იგი მოურნე სულისა მიცვალებულისაჲ მის იყვნენ“ (შანიბე 1986, 72.4).

მე-5 მუხლს ქართულ ტექსტში ემატება: **ძმების გამორჩეული წინამძღვარი ისე მიიღება, ვითომ მიცვალებულისგან იყოს გამორჩეული და დაყენებული** (შანიძე 1986, 72.5).

მე-8: ქართულშია: **ვაფიცებ და ვეტყვი პირველ წინამძღვარსა და მის შემდგომთ...** (შანიძე 1986, 73, 2). ბერძნულში – ვისაც წილად ხვდება წინამძღოლობა (გეორგიკა 1963, 47, 8).

ქართული ტექსტი შედგება 15 მუხლისაგან, ბერძნულში მხოლოდ 11 მუხლია, შემდეგ ბერძნული ტექსტი მთლიანია. ასევე, **ქართული ტექსტის მე-13 მუხლში დამოწმებულია ისაია, 6. 1 და იოზი 39. 7 მუხლები**, ბერძნულში – არა.

წინამძღვარს ევალება, კეთილგანწყობილად, უმარტივესი ქრისტესმიერი სიმართლით უძღვებოდეს სამწყსოს, არაფერი უღირსი და შეუფერებელი არ შეამთხვიოს. კარგად მოუარონ დოვლათს, რომელიც უშრომლად და გაურჯელად ერგოთ, „ამიტომ მათ მართებთ, მაღლობდნენ ღმერთს და ჩვენც მუდამ გვიგონებდნენ, როგორც მიზეზს მათი ასეთი სიკეთის მოვლინებისა“ (გეორგიკა 1963, 49, 8–9).

წინამძღვრად ვინც იქნება, უპირველეს ყოვლისა, „უნდა იყოს მაგალითი ყველაფრით და ყველასათვის თავისი ცხოვრების მიხედვით, განსაკუთრებით კი იმით, რომ არაფერი თავის საკუთრებად არ შეიძინოს, ვინაიდან ყველაფერი, რაც მონასტერშია, მისია და იმიტომაც, რომ ამნაირად უფრო მოიცლის ლოცვა–ღაღადებისთვის და სწავლა–მოდვრების საქმეში მტკიცე იქნება, ძმათა მიმართ ყურადღებიანი“ (გეორგიკა 1963, 51:53, 11).

გრიგოლ ბაკურიანის ძე ბოლოს აცხადებს, რომ მისი მონასტრის წინამძღვარს არ უნდა ჰყავდეს დიდძალი ნათესაობა და აკრძალულია ისიც, რომ წინამძღვრის რომელიმე ნათესავი იყოს მსახურად თვით მონასტერში, ან გარეთ, „სოფლებში და დანარჩენ მონასტრებში რაიმე საქმის აღმასრულებლად“ (გეორგიკა 1963, 53, 11). მოგვაქვს ქართული ტექსტიც: „**არა იყოს მონასტერსა ჩემსა წინამძღუარი, რომელსა თვსნი და ნათესავნი მრავალნი ესხნენ. დავაყენებ ამისგანცა, რაძთა არა დააყენოს წინამძღუარმან თვსთა მისთაგანი ჰელადად გინა მსახურად მონასტერსა შინა, გინა გარე სოფელთა ანუ პრასტინთა**“ (შანიძე 1986, 75, 15). იგი მიიჩნევს, რომ

წინამძღვარმა არ უნდა გამოიჩინოს მიკერძოება რომელიმე ძმის ან ნათესავის მიმართ, რასაც ვერ მოახერხებს, თუ მას ბევრი ახლობელი ეყოლება.

წინამძღვარი ასევე აირჩეოდა ათონზეც. ჩანს, ეს პრაქტიკა იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში. წინამძღვარი მონასტრისთვის ქრისტეს სიმბოლოა. ის ყოველმხრივ საუკეთესო უნდა იყოს, ამიტომ დიდი ყურადღებით უნდა გამოერჩიათ.

თავი მეექვსე, მონაზონთა რაოდენობისა და რიცხვის შესახებ, რათა ჩვენ მიერ დაწესებულ [რიცხვს] არ დააკლდეს, და იმის შესახებ, თუ მათგან რამდენი უნდა იყოს მომუშავედ და მსახურად (მუხლი 21, ქართულში – 22). გრიგოლ ბაკურიანის ძე აწესებს, რომ მონაზონთა რიცხვი იყოს ორმოცდაათამდე, გარდა თვით მამასახლისისა, და აფიცებს წინამძღვრებს, რომ არასოდეს დააკლდეს ამ რიცხვს; თუ სიკვდილის ან რაიმე სხვა საპატიო მიზეზით შემცირდება მონაზონთა რაოდენობა, „კვლავ იქნეს შევსებული ეს დადგენილი რიცხვი, რათა არასდროს არ შენეღდეს ღმრთის დიდება და მისადმი მიმართული ლოცვა, და საგალობელთა სახეც იყოს შესაფერისი და ლოცვასთან შეფარდებული, ღვთის შიშით შემკული და დაუკლებელი“ (გეორგიკა 1963, 55, 1–2).

ამ 51–დან ერთი, **წინამძღვარი**, „საჭიროა იყოს განსრულებული ყოვლითა ცოდნითა და შეგნებითა, სიკეთითა და ღვთის შიშითა და სიყვარულითა“ (გეორგიკა 1963, 55, 3).

ორნი დადგნენ **იკონომოსებად**¹⁸ – ერთი ფილიპოპოლის საზღვრებში, მეორე კი მოსინოპოლის მხარეში და სხვა მისქვეშეთ სოფლებში (გეორგიკა 1963, 55, 4).

ერთი იყოს **დეკანოზად** – „განსრულებული ცოდნითა და მქონე ზედმიწევნითი გამოცდილებისა ეკლესიის წმინდა საქმეებში, რომელიც არაფერს არ დააკლებს განაწესის ძველითგანვე დადებულ სჯნაქსარს“ (გეორგიკა 1963, 55–57, 5). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ძველითგან დადებული „სჯნაქსარი“ გულისხმობდეს უფრო ეფთხვე მთაწმინდელისეულ სჯნაქსარს, ვიდრე გიორგისას „დიდი სჯნაქსარი“ გიორგი მთაწმიდელმა 1042–44 წლებში თარგმნა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1083 წლისათვის უფრო ცნობილი ეფთხვეს ნათარგმნი „მცირე სჯნაქსარი“ იქნებოდა.

¹⁸ ასე თარგმნის ს. ყაუხჩიშვილი ბერძნულ სიტყვას ἐπίτροπος, რადგან ქართული ტექსტის შესაბამის ადგილზე იკონომოსი წერია და ასკვნის, რომ ἐπίτροπος ყოფილა სამეურნეო ვალდებულებათა მქონე პირი (გეორგიკა 1963, 55, სქოლიო).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ტექსტი მხოლოდ სვნაქსარს ახსენებს: ... „წესისაებრ სვნაქსარისა ადასრულებდეს ყოველსავე“ (შანიძე 1986, 76, 6). აქვე აღვნიშნავთ, რომ ბერძნულ ტექსტში ქართულის დეკანოზის ბადალია ἐκκλησιάρχης – ეკლესიარქი.

მღვდელნი, შემსრულებელნი წმინდა მღვდელმსახურებისა, იყვნენ ექვსნი (გეორგიკა 57, 6)

და **დიაკონნი** ორნი, რომლებიც ჩვეულებრივ დაეხმარებიან მღვდელმსახურთ (გეორგიკა 1963,57,7)

და სხვა **კერძო–დიაკონნი** ორნი, რომელნიც მოეხმარებიან წიგნის კითხვასა და კანანახობაში (გეორგიკა 1963, 57, 8).

ერთი მცოდნე და გამოცდილი, ღვთის მოშიში და მოყვარული მონაზონი უნდა განეწესებინათ **„მეჭურჭლედ და დოქიარად**, რომელმაც უნდა იზრუნოს ყოველგვარ სამღვდლო განძზე და მათ დაცვაზე“, უნდა აღრიცხოს შემოსავალი და გასავალი, „არა მარტო წმინდა მონასტრის უფროსთა წინაშე, არამედ წინაშე თვით უფლისა ჩვენისა ქრისტესი“ (გეორგიკა 1963, 57, 9).

დეკანოზს ემორჩილება **მნათე**, იგი განაგებს „საკმეველსა და ზეთსა, კერეონსა და ღვინოსა, ზედაშესა და ფქვილსა, რომლისგანაც, ჩვეულებრივ, სეფისკვერი ცხვება“...საუფლო და ტაძრის დღესასწაულების დროს, ეკლესიის მომსახურება რთულდება და წინამძღვარმა მას სხვა ძმებიც უნდა დაახმაროს (გეორგიკა 1963,57, 10).

მონასტერს სჭირდებოდა **კელარი**, რომელსაც იბერნი ტანუტერს¹⁹ ეძახიან. „ის მონაზონთა და მონასტერთა წესისაებრ უნდა იყოს უზაკველი და ერთგული და თავის განკარგულებაში ჰქონდეს როგორც პური, ისე შეჭამანდი და ყოველგვარი საკმაზი... და თვით გასცემდეს თავის დროზე და წესიერად ღვთის მოშიშობით“ (გეორგიკა 1963, 57, 11).

„სხვა იყოს ღვინის **მწედ**“ (გეორგიკა 1963, 59, 12), ქართულ ტექსტში – „და ერთი იყოს **მემარნედ–ვაჟინრად**, მოშიში ღმრთისაჲ მსახურებასა თვისა“ (შანიძე, 1986: 76, 13).

„სხვა კიდევ იყოს **მეტრაპეზედ**“ (გეორგიკა 1963, 59, 13)

¹⁹ ტანუტერის შესახებ გამოკვლევაში თამარ მესხმა დაადგინა, რომ ეს ტერმინი ბერძნულიდან მოდის (მესხი 2009, 651-664).

„ერთიც იყოს **მესტუმრედ**“ (გეორგიკა 1963, 59, 14)

„სხვა კიდევ იყოს მოხუცებულთა და სნეულთა **მომვლელად**, რომელიც მათზე ზრუნვას კარგად და გონივრულად შეასრულებს“ (გეორგიკა 1963, 59, 15).

„ხოლო სხვა იყოს **ზედამხედველად**“, რომელიც არჩეული უნდა იყოს მისი სიკეთისა და ღვთის მოშიშობის მიხედვით; მისი მოვალეობა იქნება, ჩამოიაროს ძმათა სენაკები და ვინც ჩამორჩენილან წმინდა შეკრებას და არ მისულან ცისკრის დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ „ლევიტელთა“-ს კითხულობენ, წაიყვანოს ისინი წინამძღვართან და ძმობის საბჭოში, რათა ჩვეულებისა და კანონისამებრ ყოველ მათგანს დაედვას კუთვნილი საკანონო“ (გეორგიკა 1963, 69, 16).

ქართულ ტექსტში: „და ერთი რჩეული და ღვთის მოშიშთაგანი იყავნ იპიტირიტად – ძმათა ზედამხედველად, რადთა იქცეოდის მონასტერსა შინა, და რომელნიცა ძმათაგან არა მოსრულ იყვნენ ეკლესიად ჟამსა ცისკრისა გალობისასა პირველ დაწესებულთა წართქუმისა, მათ სწავლიდეს და ასწრაფებდეს წარსვლად ეკლესიად, რადთა არა უდებ იყვნეს და სხუასა მისდა დაწესებულსა წინამძღვართაგან წესსა აღასრულებდეს“ (შანიძე 1986,76–77, 17). როგორც ვხედავთ, ქართულ და ბერძნულ ტექსტებში ზედამხედველთა მოვალეობები განსხვავდება, მაგრამ მთავარი – რომ მათ სენაკების ჩამოვლა და შინ დარჩენილების ღვთისმსახურებაზე მიყვანა ევალებოდათ – ორივეგან მკაფიოდ არის განსაზღვრული. ჩანს, მონასტერშიც იჩენს თავს ადამიანური სისუსტეები, რომ არაფერი ვთქვათ მტრის შეტევასა და ბრძოლებზე.

„ერთიც იყოს **მეპურედ** (გეორგიკა 1963, 59, 17)

ერთი კიდევ **მზარეულად** (გეორგიკა 1963, 59, 18)

ხოლო სხვა იყოს **მეკარედ**; თითოეულ მამათგანმა თავისი მოვალეობა (სამსახური) უნდა შეასრულოს გონივრულად, ყურადღებით, მზრუნველობით და დიდი გულმოდგინებით (გეორგიკა 1963, 59,19).

„ყველა დანარჩენნი ძმათაგან უნდა საქმიანობდნენ ეკლესიის მგალობლებლად, როგორც ღამის, ისე დღის მსახურების დროს... მონდომებით, სიამოვნებით და ზომიერებით“ (გეორგიკა 1963, 59, 20).

საყურადღებოა ბოლო, დასკვნითი მუხლი:

„ყველა ესენი უნდა იყვნენ ერთ–გონნი და ერთ–სულნი და ერთ–ნებანი, ყველანი მუდამ ღვთის მოშიშობით უნდა იყვნენ შეპყრობილნი, ერთმანეთისადმი სიყვარულით შემკულნი და მათი წინამძღვრის მიმართ მორჩილებაში მყოფნი სამსახურად და სარგებელად ჩვენ მიერ ხშირად ხსენებული უწმინდესი ტაძრისა და ნუმცა ვინ გაბედავს, ნურავითარი სახით, წინააღმდეგობა გაუწიოს ან შეეპასუხოს წინამძღვარს, რომელიც ზრუნავს წმინდა ეკლესიის საქმეზე, მონასტრის მოწყობაზე და წმინდა ძმების სულიერ მომსახურებაზე...“ (გეორგიკა 1963, 59–61, 21).

როგორც ვნახეთ, ასეთივეა მოთხოვნა ხანცთის მონასტერში და ათონზეც – სიყვარული და ერთიანობა ძმათა, მორჩილება ღვთისა და წინამძღვრისა.

მართალია, გვაქვს მინიშნება, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე კონსტანტინოპოლის წმ. პანაგის მონასტრის ტიპიკონს იყენებდა სახელმძღვანელოდ, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი დაკვირვებულობა, გულისხმიერება და სამეურნეო და სხვა საქმეების გაძლოის დიდი უნარი და გამოცდილება, რაც მან თავის სამხედრო და უმაღლეს თანამდებობებზე სამსახურისას დააგროვა.

თავი მეშვიდე, ჟამისმწირველთა შესახებ, თუ როგორ უნდა იქნენ ისინი არჩეული, ან როგორ უნდა შეასრულონ ღვთიური მღვდელმსახურება. ამ თავს ეტიტორი იწყებს იმით, რომ წინამძღვარი და ძმები ვალდებული არიან, დიდი გულისყურითა და ბეჯითი გამოძიებით აირჩიონ საღმრთო საიდუმლოთა შემსრულებელი მღვდელი, რომელიც უნდა იყოს უმწიკვლო და სათნო, უფლის მოშიში, რომ მან გამოგვითხოვოს ხსნა ჩვენი სულებისათვის.

თუ ამ დიდი რჩევის შემდეგ მაინც აღმოჩნდება „ვინმე ჟამისმწირველთაგან თავხედი და უხეში და უსირცხვილოდ დაუშვებს მომაკვდინებელ შეცდომას მღვდელმსახურების დროს“, უნდა ჩამოერთვას მღვდელმსახურების პატივი, ხოლო ის სხვაგან გაამწესონ მონასტრის გარეთ. თუ მოინანიებს, შეიწყალებენ და მონასტრის იმ ძმებთან ჩარიცხავენ, რომლებიც მღვდელმსახურებას არ ასრულებენ (გეორგიკა 1963, 61, 1,2).

ქართული ტექსტის ეს მუხლი ასე იკითხება:

„ხოლო უკუეთუ წარმდები ვინმე იპოოს მათგანი და სცთეს წესსა მას შინა მღვდლობისასა, დადუმენინ ეგვეითარი იგი მღვდლობისაგან... და გარეგან

მონასტრისა სოხასტერსა დაიწესოს და მიცემულისაებრ მისდა მამასახლისისა მიერ კანონისა ინანდეს და შენდობასა და წყალობასა ღირს იქმნას და ეგრეთა დაეწესოს დასსა მას თანა ძმათასა, რომელთა–იგი არა აქუნდეს მღვდლობაჲ“ (შანიძე 1986, 77, 2).

ბერძნული ტექსტის „თავხედს“ ქართულში ცვლის „წარმდები“ (უკუღმართი, თავხედი), რომლის ერთ–ერთი მნიშვნელობა თავხედიც არის, მაგრამ უფრო მრავლისმომცველი სიტყვაა და სრულად შეესაბამება კონტექსტს. იგივე შეიძლება ითქვას „სოხასტერთა შინა დაწესებაზე“ –სოხასტერი სადაყოლებლო, განდევილის საცხოვრისია და შესაფერი ადგილიგანკანონებული მონაწილისთვის.

ეს რომ არ მოხდეს, გრიგოლ ბაკურიანის ძე აფიცებს და სთხოვს ყველას, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მღვდელმსახურების შესასრულებლად უღირსი კაცი. გარდა ამისა, „ზედმიწევნით უნდა გამოიძიოთ, რომ შურით ან სიძულვილით ან სხვა სულის–მწყვნილი გრძნობით ვინმეს ჟამისმწირველთაგანს ცილი არ დასწამონ და უსამართლოდ არ გამოსწირონ... არამედ მათი საქმის გარჩევა იწარმოოს ჭეშმარიტი გამოძიებით“ (გეორგიკა 1963,61-63, 3). გრიგოლისთვის სამართლიანობა ერთ–ერთი პირველი ღირსებაა ადამიანისა.

ავტორი/ექტიტორი სამართლიანად და ღირსეულად მიიჩნევს, რომ მღვდელმსახური, რომელსაც ეკლესია ყველაფრით უზრუნველყოფს, ასრულებდეს წმ. საიდუმლო მსახურებას ექტიტორისთვის და მათი თხოვნით სხვებისთვისაც (ქართულ ტექსტშია „სასეფოდმცა წირვიდა“ ყოველდღე (შანიძე 1986, 78, 4), მაგრამ მღვდლების სარგებლობაზეც ზრუნავს და დააწესა, რომ დიდ საუფლო დღესასწაულებში ყველა ეკლესიაში გრიგოლისა და მისიანებისთვის ტარდებოდეს ჟამისწირვა, ასევე კვირას, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს. კვირის დანარჩენი სამი დღე – ორშაბათი, სამშაბათი და ხუთშაბათი – მღვდლებისაა და შეუძლიათ, ვისთვისაც ენებოთ, იმისთვის წირონ (გეორგიკა 1963, 63, 5)

როგორც „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონშიც ბოხოქრობს ვნებანი: ეკლესიაში არ წასვლა, ცილისწამება, მსახურების დროს გადაცდომები... ამ ძუნწი ნათქვამის მიღმა დიდი ადამიანური ტრაგედიები იმალება.

უსისხლო მსხვერპლის შეწირვა არის ქრისტიანობის უპირველესი საიდუმლო, რომლითაც ვეზიარებით ქრისტეს სისხლსა და ხორცს, შევალთ საუკუნო

ცხოვრებაში; ჟამისმწირველი მღვდელი მონასტრის ერთ–ერთი მთავარი წევრია, ამიტომ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც მაღალია.

თავი მერვე, შესახებ ტრაპეზის შემზადებისა და მსახურთა თავმდაბლობისა და დუმილისა (15 მუხლი). გრიგოლ ბაკურიანის ძე მოითხოვს, წესიერად შესრულდეს ტრაპეზი და მის მომსახურებასთან დაკავშირებული მისგან დადგენილი წესები. ვინც თავზე დგომით ემსახურებიან, უხმაუროდ უნდა იარონ, ხოლო ვინც სხედან, წყნარად ჭამონ (გეორგიკა 1963, 63–65, 1). ქართულ ტექსტშია: „რომელნი ზე დგანან მსახურებად ... გამოსვლასა მათსა მყუდროდ იქმოდის თვნიერ რეხუებისა ფერჯთაჲსა“ (შანიძე 1967, 78,1).

ვინ სად დაჯდება, წინამძღვარი განაწესებს; ის თვალ–ყურს ადევნებს, რომ შფოთი და უწესოება არ მოხდეს (გეორგიკა, 1963: 65, 2). ქართული ტექსტი ამ ადგილას ამბობს, **ერთმანეთის ზემო და ქვემო ჯდომა თავადმა ღმერთმა განაგოსო** – ალბათ, იგულისხმება, რომ წინამძღვრის მეშვეობით (შანიძე 1967, 78, 2).

ძმებმა არ უნდა შეურაცხყონ ერთმანეთი მონაზვნისთვის შეუფერებელი საქციელით – ეს მათ სულს ავნებს – პატივი სცენ მოყვასს და ამაღლდნენ სიმდაბლით, ვითარცა ბრძანებს უფალი (მ., 23, 12): „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (შანიძე 1967,78–79, 3).

ტრაპეზის დროს (და ყოველთვის და ყველაფერში) მტკიცედ უნდა იყოს დაცული დუმილი და წესი წიგნის კითხვისა (გეორგიკა 1963,65, 4).

ქტიტორი მოითხოვს, არ შეცვალონ მისი დადგენილი ყოველდღიური საჭმელების რაოდენობა წინამძღვრის სიძუნწის ან ვინმეს ახირების გამო. პური, ღვინო და ყოველდღიური საჭმელი ისე უნდა მოიტანონ, როგორც არის განსაზღვრული – ყველაფერი, მათ შორის, ყველიც, კვირაში ოთხჯერ (გეორგიკა 1963,65: 5).

არაფერი არ უნდა დააკლდეთ –მხოლოდ დიდი, აღდგომისწინა, შობისა და მოციქულთა მარხვების პერიოდში არის დაწესებული შეზღუდვა – წლის სხვა დროს არ მოაკლონ არც ღვინო – განსაზღვრულია ოთხი კრასოვული და სამი თავი საჭმელი. ყოველდღე სამჯერ მიირთვან (გეორგიკა 1963,67: 6). აღდგომა დღეს, ანუ კვირიაკეს, ტრაპეზი უფრო მდიდრული უნდა ყოფილიყო, ძმები წინა ღამეს უძილოდ ათევენ და დაღლილი და მშვიერი იქნებიანო – ჭეშმარიტად მამობრივი ქრისტიანული ზრუნვაა!

აღდგომიდან სულიწმიდის მოფენამდე და ქრისტეს შობიდან ნათლისღებამდე ოთხჯერ იყო პურისჭამა დაწესებული. ამ დღეებში სულიწმიდის მოფენამდე ტრაპეზზე დამატებით უნდა მოიტანონ ყველი და სხვა რამეც, რასაც ღმერთი მისცემს და კიდევ ორი კრასოვული ღვინო თითოეულ კაცზე (გეორგიკა 1963, 67).

ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება ქართულ ტექსტში: „და ეგრეთვე ზატიკთა შინა აღვსებისათა და ათორმეტთა მათ დღეთა ქრისტეს შობისათა სამისა საჭმლისაჲ ჯერ–არს ქმნაჲ, გინა ოთხისაჲცა, რაჲცა ღმერთსა მოენიჭოს. და მწუხრსა ყველი დაეგოს და თუ სხუად რაიმე დასაგებელი იყოს. და ორ–ორი კრასოვული იწდიოს მათ დღეთა შინა“ (შანიძე 1986, 79, 8). როგორც ვხედავთ, აქ ოთხჯერ ჭამაზე არაფერია ნათქვამი.

აქვე წერია, რომ წინამძღვარს აქვს უფლება, კიდევ დაუმატონ ტრაპეზს, რათა ნაყროვანი (გაუმადლარი) ძმების მწუხარება შეანელოს, ე.ი. მშვივრები არ დარჩნენ (შანიძე 1967, 79, 9). შეიძლება ითქვას, ყველა განხილულ ტიპიკონთაგან კვებას ყველაზე მეტი ყურადღება პეტრიწონში ექცეოდა.

თუ მონასტრის მამულებიდან ან ფერმებიდან რაიმე დამატებით შემოვიდოდა, ან ღვთისმოყვარე ადამიანები, წინამძღვრის ან ძმთა ნაცნობ–მეგობრები რაიმე საკვებს შემოსწირავდნენ, ყველაფერი კელარს უნდა ჩაბარებოდა და მას მოემზადებინა სუფრაზე გასატანად, ან თავად შემომტანი მიიტანდა ტრაპეზის დროს, რომ ყველას რგებოდა (გეორგიკა 1967, 68, 10).

პეტრიწონშიც სტუმარს დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ და ის აუცილებლად უნდა დაეპურებინათ. თუ ტრაპეზის დრო იყო, მასპინძელი მას თან მიიყვანდა; თუ ტაბლის დაგების დრო არ იყო, ან სტუმარს ეჩქარებოდა, კელართან უნდა წაიყვანოს და იქ სცეს პატივი, რადგან სენაკში სტუმრის მიღება მონაზვნის შესაფერისი არ არის (გეორგიკა 1967, 67–69, 11,12).

სტუმრად მოსული მონაზონთა მეგობარი სამ დღეს უნდა მოესვენებინათ, მეოთხე დღეს საგზალს გამოუწყობდნენ და გაისტუმრებდნენ (გეორგიკა, 1963: 69, 13).

თუ სტუმრად მოსული მეგობარი ავად გახდა, იგი უნდა დატოვონ მონასტერში, მოუარონ და გამოაჯანმრთელონ. თუ გარდაიცვლება, ლოცვით, გალობითა და ფსალმუნებით უნდა დაასაფლავონ, რათა მან სასყიდელი მიიღოს

დმრთისაგან (გეორგიკა 1963, 69,14, 15). ტრაპეზი ქრისტეს საიდუმლო სერობის, მის მიერ ხალხის დაპურებისა და ზიარების სიმბოლოა, ვინმესთან „პურის გატეხა“ მხოლოდ შიმშილის მოკვლას არ გულისხმობს, ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა მონასტრებში საერთო ტრაპეზს, დაუგვიანებლად მისვლას დანიშნულ დროს და კეთილკრძალებით ჭამას სულიერ წიგნთა კითხვის სმენისას. ამასთან, უცხოთა გამასპინძლება, სწულთა მიხედვა და მიცვალებულთა გაპატიოსნება ყველა ქრისტიანის ვალია, მით უფრო მონასტრისა – პეტრიწონშიც ეს კანონის დონეზე სავალდებულო იყო და სრულდებოდა.

თავი მეცხრე, შესახებ ძმათა სამოსლის ან მისი ფასისა, და თუ როგორ უნდა გაუნაწილოს იგი ძმებს წინამძღვარმა, და აგრეთვე შესახებ ფეხსაცმელებისა (3 მუხლი, ქართულში – 5).

გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბევრი უფიქრია იმაზეც, როგორ შეემოსა ძმები და ბოლოს გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა, მათთვის როქის მიცემა (ქართულად გაროქვა) – ფულის მიცემა, რომ თვითონ შეეძინათ, რაც სჭირდებოდათ. ამასთან მათ არ უნდა მოუხდეთ მონასტრიდან გასვლა, სიარული და ძებნა საჭირო ნივთისა, რომ არ მოსცდნენ წირვა–ლოცვას და ეკლესიის საქმეს (გეორგიკა 1963,71, 1).

მონასტრის მთელი ძმობა სამ დასად იყო დაყოფილი და იღებდნენ როქს (გასაცემელი). მამასახლისი შესამოსლისთვის უნდა იღებდეს 36 დრაჰკანს; ჟამისმწირველი ხუცები, ორი იკონომოსი, ეკლესიარქი, ჭურჭლის მცველი, რჩეული ძმები (ქართულ ტექსტშია: „**ჟამის მწირველნი მღდელნი და ორნი იგი დიდნი იკონომოსნი და დეკანოზი და დომიარი და სხუათა უთავესთა ძმათაგანნი**“... (შანიძე 1967, 81, 2). – ეს არის პირველი დასი და მიეცემათ ოცი დრაჰკანი სამოსლისათვის. მეორე დასშიც 15 სულია, მაგრამ რა ნიშნის მიხედვით არიან გამორჩეულნი ამ ხარისხში, არ აღინიშნება, თითოეული მიიღებს 15 დრაჰკანს. მესამე დასში 20 სულია და ისინი 10–10 დრაჰკანს მიიღებენ. მთელი როქის თანხა სრული სტამილონი გამოდიოდა – ბერძნულით „სრული სტამენონი“. ს.ყაუხჩიშვილი ტექსტის სქოლიოში წერს, რომ სტამენონი–სტამილონი რაღაც საზომის აღმნიშვნელი უნდა იყოს (გეორგიკა 1963,71). ა.შანიძე გამოკვლევას დართულ ლექსიკონში აღნიშნავს, რომ „სტამილონი“ უთუოდ იგივეა, რაც ათონის ქართველთა მონასტრის „სტამენონი“...

აქვე მოჰყავს რ. ბლეიკის ვარაუდი, რომ იგულისხმება თითქო წონით გაცემა და მიღება ფულისა (შანიძე 1986, 200).

თუ მონასტრის ყველა შემოსავალი სექტემბრის თვეში აიკრიფება, საჭირო იყო, მაშინვე მიეღოთ ძმებს თავიანთი შესამოსლის ფასი, მაგრამ მათ რომ არ დასჭირდეთ ქალაქში სიარული, რითაც მოსცდებიან ლოცვას და ეკლესიის საქმეს, გრიგოლ ბაკურიანის ძემ დაადგინა, რომ ფული დარიგდეს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, როცა ტაძართან, მონასტერთან გაიმართება პანაგირი (სახალხო დღესასწაული, ბაზრობის დღე), სადაც შეიძენენ ყველაფერს, რაც სჭირდებათ (შანიძე 1986, 81, 3). ამით მთავრდება ბერძნული ტექსტი. ქართული გრძელდება კიდევ ორი მუხლით. მე-4 მუხლი (გვ. 81) გვამცნობს, რომ რადგან ძმები სამოსს თავიანთი ფულით იძენენ, ნება აქვთ, ძველი („ნამუელავი“) ტანსაცმელი და ფული თავიანთი შეხედულებისამებრ მოიხმარონ. მე-5 მუხლში (გვ. 82) ნათქვამია: თუ დროთა განმავლობაში რომელიმე წინამძღვარმა ძმებს როქის ნაცვლად შესამოსელი მისცეს, მაშინ, პანაგიელთა წესის მეოთხე თავის მიხედვით უნდა იმოქმედონ და ნამუელავი მამასახლისს უნდა ჩააბარონ (შანიძე 1986, 81–82, 4–5).

აღვნიშნავთ, რომ ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში ძველი ტანსაცმელი ნახსენებიც არ არის.

მონასტრის წევრთა დაყოფა დასებად ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონშიც გვხვდება. არავითარი მინიშნება არ არის, ხომ არ არღვევდა ეს გარჩევა მონასტრის ერთიანობასა და კეთილგანწყობასა და სიყვარულს ძმათა შორის.

თავი მეათე, შესახებ სამი წმინდა მარხვისა და ამ მარხვათა წმინდად შენახვისა და ყოველდღე წყალობის ქმნისა ყველა გლახაკთა მიმართ (4 მუხლი). სამი წმინდა ორმოცდღიანი (ეს ციფრი მხოლოდ ქართულ ტექსტშია აღნიშნული) მარხვის დროს, შაბათ–კვირის გარდა, უღვინოდ და უზეთოდ უნდა იმარხონ. შაბათ–კვირას ზეთით შეზავებული საკვები და სანუგეშოდ ჭამის დროს სასმელია (ერთი კრასოვული) დაწესებული. ასევე, ყოველდღე მონასტრის კარიბჭესთან საკვები უნდა დაურიგდეთ გლახაკებს, რადგან მათი საშუალებით ვცხონდებით და მომავალში სიკეთეს მივიღებთ (გეორგიკა 1963, 73, 1).

დიდი მარხვის შაბათ–კვირას სამარხვო საჭმელია დაწესებული, თევზის გარდა, კრასოვულიც სრულად მიეცემათ, დანარჩენ 5 დღეს უზეთოდ უნდა

იმარხვონ, სამშაბათსა და ხუთშაბათს კი თითო კრასოვული უნდა მიირთვან (გეორგიკა 1963,73,2).

ქრისტეს შობის მარხვაში დღეში ერთხელ უნდა ჭამონ, მეცხრე ჟამზე (შოიმღვიმის მონასტრის ტიპიკონი აზუსტებს, რომ ეს დღის სიმოკლის გამოა დაწესებული). იმ დღეს, როცა „ღმერთი უფალი“ იგალობება, „ორ–ორი კრასოვული ეძლევათ შუადღისას და ერთი – საღამოს²⁰. სამ დღეს (ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს) აკრძალულია ზეთი“ (შანიძე 1986, 82,3).

ასევე სამ დღეს უზეთოდ უნდა იმარხულონ წმინდა მოციქულთა მარხვაში, ჭამონ დღეში ერთხელ, მეშვიდე საათს, მიიღონ ღვინო ორ–ორი კრასოვული, საღამოს კი ერთი (გეორგიკა 1963, 73, 4). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ ღვინოს სვამდნენ – ქართული ტექსტით „მწუხრი სერობასა“ (შანიძე 1986, 82,4).

ცხადია, მარხვა მხოლოდ საკვებისგან თავის შეკავებას არ გულისხმობს – მონასტერში ძლიერდებოდა ლოცვა, მღვიძარება და ქველისსაქმენი.

თავი მეთერთმეტე, შესახებ ჩვენი წმინდა ეკლესიის დღესასწაულისა, და დანარჩენი სახელგანთქმული ღირსშესანიშნავი დღესასწაულებისა და რჩეული წმინდანებისა, თუ როგორ ვიდღესასწაულოთ ბრწყინვალედ (4 მუხლი). დავაწესეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დიდი დღესასწაული თოთხმეტ აგვისტოს, მისი მიძინების დღეს, რომ გადაიხადონ მოწიწებით და ბრწყინვალედ (გეორგიკა 1963, 1).

ეგრეთვე დიდ წმინდა მოწამეთა და წმინდანთა მოხსენების დღე იყოს და ამ დროს გლახაკებს მიეცეთ წყალობა, ისევე, როგორც ყველა დღესასწაულებზე და მიცვალებულთა მოსახსენებელ დღეებში, რასაც არავითარ შემთხვევაში არაფერი არ უნდა დააკლდეს (გეორგიკა 1963, 75, 2). ქართულ ტექსტში ამ ადგილას „მიცვალებულთა მოხსენიება“ კი არ წერია, არამედ: **თითოეულ დღესასწაულზე არაფერი დააკლდეს იმ გასაცემელს, რაც ამ ტიპიკონის ბოლოს დაგვიწერია ცალ–ცალკე ყოველი დღესასწაულისთვის** (შანიძე 1985, 83, 2).

ყველაზე მეტად პატივცემული უნდა იყოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. გრიგოლ ბაკურიანის ძე ყველა თავის შემდეგ მომავალს აფიცებს,

²⁰ბერძნული ტექსტი: შობის მარხვაში „დღეში ერთხელ ჭამონ, ისიც მეცხრე საათზე, გარდა იმ დღეთა, რომლებშიც ვგალობთ „ღმერთი უფალი“ და სხვა; და ვსუათ ღვინო ორ–ორი კრასოვული“ (გეორგიკა 1963, 75,3). უზეთობა ერთნაირადაა. თუ ღვინოს ჭამის დროს სვამდნენ, ტრაპეზი ორჯერ ჰქონიათ, ქართული ტექსტით, ბერძნულით – ერთხელ.

არაფერი დააკლონ (მისგან) კუთვნილს, არამედ მეტად ბრწყინვალედ აღნიშნონ, ვინაიდან დიდ სიკეთეს შეემთხვევა და საღმრთო მადლს ეზიარება ყველა, ვინც საღმრთო დღესასწაულს პატივს მიაგებს და აღნიშნავს (გეორგიკა, 1963: 83,3), აგრეთვე თითოეული სხვა დღესასწაულიც ბრწყინვალედ უნდა აღნიშნოს – ეს ორივეგან ერთნაირადაა (შანიძე 1985, 83, 4; გეორგიკა 1963, 75, 4).

თავი მეთორმეტე, შესახებ ჩვენი წმინდა ეკლესიების განათებისა; თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს, და შესახებ ლოცვისა, რომ საჭიროა გულდადებით ლოცვა (13 მუხლი). ქტიტორი აწესებს, რომ დღე და ღამე გაუქრობლად ენთოს სამი კანდელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, ერთი – დიდ საკურთხეველში და ერთიც – საკურთხეველის წინ კანკელში მაცხოვრის ჯვარცმის წინ; ასევე ერთი კანდელი ნათლისმცემლის ხატის წინ, ერთი – წმინდა გიორგის ხატის წინ და სამი კანდელი – მონასტრის მაშენებელთა საფლავზე (გეორგიკა 1963, 77, 1).

ამ თავის მეორე მუხლი სხვადასხვა რედაქციითაა მოცემული ქართულ და ბერძნულ ტექსტებში. ბერძნული ტექსტი ამბობს, რომ ფსალმუნთა გალობის დროს ყოველ საათში ცისკარზე, წირვისა და საღამოს ლოცვის დროს ზემოხსენებულ კანდლებთან უნდა ენთოს სანთლები (გეორგიკა 1963, 77, 2). ხოლო ქართულში – ცისკრის ლოცვისას, სამხარსა და მწუხრზე და არა მხოლოდ ფსალმუნის გალობისას, ლოცვის დასრულებამდე (შანიძე 1985, 84, 2). ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ სანთლები უნდა ჩააქრონ, კანდელი კი გაუქრობლად ენთოს და ასე მთელი წლის განმავლობაში, ეს ორივეგან ერთნაირადაა.

თორმეტი საუფლო დღესასწაულის დროს „სამთა მათ ჟამთა ლოცვისათა“ მათი ხატების წინაშე კანდელი ლოცვის დასრულებამდე უნდა ენთოს (შანიძე 1985, 84, 3). ბერძნული – თორმეტი საუფლო დღესასწაულის წინ ყოველდღე ერთი კვირის განმავლობაში ლოცვის დასრულებამდე (გეორგიკა 1963, 77, 3). როგორც ვხედავთ, მცირე, მაგრამ მაინც განსხვავება, აქაც არის. ის, რომ ამ დღესასწაულთა დღეებში ეკლესიაში არსებული ყველა კანდელი უნდა ენთოს და ყველა სასანთლე სანთლით სავსე იყოს, ორივეგან ერთნაირადაა (გეორგიკა 1963, 77, 3).

გრიგოლ ბაკურიანის ძე მაინც გამოარჩევს ტაძრის დღეს – **უფრო უკეთ უნდა განათდეს ეკლესია**, (თუმცა, იქვე დასძენს, რომ ეს ასე უნდა იყოს სხვა საუფლო დღესასწაულებშიც), **გაიმართოს დღესასწაული გალობა–ფსალმუნითა და კმევით და**

მალიან მდიდრული ტრაპეზი დაეგოს, ღვთის მოცემული ყველაფერი [მიიტანონ სუფრაზე] (შანიძე 1985, 84, 5). ბერძნულში დღესასწაულს ემატება პანაგირი, რაც არც ქართულსა და არც ა. შანიძის ნათარგმნ რუსულ ტექსტებში აღნიშნული არ არის.

ამას მოსდევს დამოდღვრა, რომ საჭიროა ღვთის დიდებისმეტყველება და ლოცვა არის საღვთო ვალი, რაც უნდა გადაიხადონ უნაკლულოდ და უშეცდომოდ, ერთმანეთის შეწევნით, როგორც პანაგიის პატიოსანი მონასტრის ძმები ლოცულობენ ცისკრის, სამხრის (ჟამისწირვის), მწუხრის, სერობისა და დღის განწესებულ დროს, განსაკუთრებით საღმრთო საიდუმლოს შეწირვისას (შანიძე 1985, 84, 6).

იკრძალებოდა ასევე სწრაფით ფსალმუნთა გალობა: გუნდებმა აცადონ ერთმანეთს დამთავრება და მხოლოდ მერე დაიწყოს მეორე გუნდმა გალობა, როგორც დაწესებულია (შანიძე 1985, 84, 7), რასაც კატავასიას, ანუ გადასვლას უწოდებენ ლიტურგიკაში.

ამ მუხლს ქართულსა და ბერძნულშიც მოსდევს გაფრთხილება, რომ ამ მცნების დამრღვევთ მამათა წყევლა ელის (შანიძე 1986, 84, 8; გეორგიკა 1963, 79, 8). შემდეგი, მე-9 მუხლი გვამცნობს, რომ ეს გაფრთხილება ეხება არა იმათ, ვინც თავის მორჩილებას ასრულებდა, არამედ იმათ, ვინც შეგნებულად უსაქმურობენ, და ეს მონასტრული კანონის აშკარა გადახვევაა. ასევეა ქართულშიც.

აქვეა დარიგება, რომ მონაზვნები მუდამ უნდა იცავდნენ დუმილს, განსაკუთრებით ლოცვის დროს, არ ელაპარაკონ ერთმანეთს, სიცილი კი არა, გაღიმებაც უწესობაა, არც უნდა გაინძრნენ, რადგან ამით ეშმაკის საქმეს აკეთებენ (გეორგიკა 1963, 81, 10); არც უგულისყუროდ უნდა იყვნენ, არც ფეხს ინაცვლებდნენ, არამედ უძრავი სხეულითა და სულით ადიდონ ღმერთი (გეორგიკა 1963, 81, 11). ვინც ამ წესებს უგულებელყოფს, წმინდა მამების მიერ დაწესებული განკანონებით დაისაჯოს (გეორგიკა 1963, 81, 12);

საჭიროა, ასევე, კვირა-ძალის სიფხიზლით გათენება, ღამისთევა (გეორგიკა 1963, 81, 13).

ბოლო მუხლს ქართულში ერთვის, რომ ღამე ლოცვით, ფსალმუნებითა და წიგნის კითხვით უნდა გაათიონ (შანიძე 1985, 85, 13).

ტაძრისა და საუფლო დღესასწაულების განსაკუთრებულად საზეიმოდ აღნიშვნა და უაღრესი ყურადღებით ლოცვა დაწესებული იყო ყოველ ტაძარში,

განსაკუთრებით მონასტრებში – ამ დროს ადამიანი სიმბოლურად ღვთის წინაშე დგას, ესაუბრება და ამ მნიშვნელოვანი მომენტის შესაფერისადაც უნდა ეჭიროს თავი.

თავი მეცამეტე, შესახებ იმისა, რომ საჭიროა ყოველდღე ძმებმა აღსარებაში უთხრან წინამძღვარს მათ მიერ შეწყნარებული ზრახვანი, თუ რა ქმნეს მათ სიტყვით და საქმით (6 მუხლი, ქართულში – 7). წინამძღვარმა უნდა გამოიძიოს ყველას გულის ნადები და რაც უნდა შეწუხდეს ძმათა გულისსიტყვით, არ შეურაცხყოს ისინი, არამედ გამოჰკითხოთ, გამოასწორობინოს შეცდომები და განწმინდოს ყველანაირი სულიერი და ხორციელი ბიწისგან (გეორგიკა 1963, 81, 1).

ძმები ვალდებულნი არიან, გულწრფელად, ცოდვის გამო დამწუხრებულთა, გამოუცხადონ წინამძღვარს ყველა თავიანთი შეცდომა, არ წავიდნენ სხვასთან სააღსარებოდ, როგორც არანამდვილი შვილები, არ მოივერაგონ აღსარება. წინამძღვარმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ მათი აზრები, არამედ მათი საქმეების სიმტკიცე. „არა ჯერ–არს“ მონასტრის ძმებმა წინამძღვრის გარდა გული სხვას გადაუშალონ (გეორგიკა 1963, 83, 2).

მკაცრად არის დაწესებული, რომ არავინ უნდა იქცეოდეს საკუთარი სურვილით, წინამძღვრის უნებართვოდ; ვინც რაიმეს გააკეთებს თვითნებურად, თავის სიკვდილს გამოიწვევს, სხვებისთვის ურჩობის მაგალითი გახდება, თუ წინამძღვარს არ ეცოდინება მისი გულისთქმა, რადგან მას თვითონ, წინამძღვრის დაუხმარებლად, საკუთარი თავის გამოსწორება არ ძალუძს (გეორგიკა 1963, 83, 3). ადამიანმა არ იცის, რა არის მისთვის უკეთესი, რადგან ყველას თავისებური მიდრეკილება აქვს, ერთს ერთი რამე დაეხმარება, მეორეს – სხვა. სწორედ ამას სჭირდება საუკეთესო წინამძღვრული შერჩევა, მან იცის, როგორ წარმართოს ძმები ღვთის გზაზე (გეორგიკა 1963, 83, 4).

თუ ძმა ურჩია (თავნებობს) და საკუთარი სურვილის მიხედვით მოქცევა უყვარს, არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს თავისი მამის, წინამძღვრის ერთგულ შვილად. ის თავისი ნებით შორდება მამის სამკვიდრებელს და ღვთიურ აღიარებას. ვინც მცირეში არ არის სარწმუნო და მორჩილი, დიდ საქმეშიც მცდარი იქნება და თუ მოინდომებს, წავიდეს (გეორგიკა 1963, 83, 5), სიტყვისაებრ მოციქულისა, „უკეთუ ურწმუნო იგი განეყენებოდეს, განეყენენ“ (კორ., 7, 15).

ყველაზე ცუდი ვნებაა, თუ თავისი წინამძღვრის ურჩი შეუფერებლად საუბრობს მის წინააღმდეგ. ასეთი უნდა გააძევეთ კრებულიდან, რათა გულარძნილების მაგალითი არ მისცეს სხვებს და ვაცბოროტად არ გადაიქცეს (გეორგიკა 1963, 85, 6).

ამით მთავრდება ბერძნული ტექსტი, ქართულში კი არის კიდევ ერთი მუხლი, რომელიც გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის, როცა წინამძღვარი უბრალო მონაზონია, მღვდელი არ არის და არ იცის სჯულის კანონები. „შეკრვა და განჯსნა“ მხოლოდ მღვდელს ხელეწიფება, ამიტომ საჭიროა, **წინამძღვარმა მღვდელთაგან გამოარჩიოს საუკეთესო მოღვაწე და სჯულის მეცნიერი სულიერ მოძღვრად, რომ ძმებმა წინამძღვრის ნაცვლად მას გაანდონ თავიანთი გულისსიტყვები და შეცდომები** (შანიძე 1985, 86, 7).

აღსარება ქრისტიანული ცხოვრების ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლოა, იგია დასაბამი გადარჩენისა და უკვდავებისა. როგორც ღმერთმა იცის ჩვენი გულისნადები, ასევე უნდა გადავუმალოთ გული წინამძღვარს, რომელიც სიმბოლურად მისი სახეა დედამიწაზე და მასაც ისევე უსიტყვოდ უნდა ვემორჩილებოდეთ, როგორც უფალს ჩვენსას.

თავი მეთოთხმეტე, შესახებ ხელსაქმისა და შრომისა, და რომ მუშაობის დროს უნდა ვიფსალმუნოთ (4 მუხლი). აღნიშნულია, რომ ფიზიკური საქმის კეთების დროსაც ადამიანი არ უნდა მოსცდეს ფსალმუნთა გალობას – ხელით საქმე აკეთონ, პირით კი ფსალმუნი იგალობონ – როგორც ბასილი დიდი ბრძანებს, ეს არის საიდუმლო და სასიამოვნო საკმეველი ღვთისათვის (გეორგიკა 1963,85, 1).

თიხისა და ოქროს ჭურჭელშიც ისხმება სითხე, ასევე წინამძღვარს დიდი სიბრძნე სჭირდება, რომ ყოველი ადამიანი მისთვის შესაფერი სიმართლის გზით შეიყვანოს სამოთხეში (გეორგიკა 1963, 85–87, 2). მან ერთი უნდა შეაქოს, მეორე – დატუქსოს, მესამე – ამხილოს და ეს ზომიერად და შესაფერის დროს უნდა გააკეთოს (გეორგიკა 1963,87, 3). ისინი, ვინც ჯერ ზნეობრივად საკმაოდ მტკიცენი არ არიან და გულწრფელი სინანულიც აკლიათ, ფიზიკურად უნდა შრომობდნენ, რადგან ძალაუნებურად ასე მაინც დავუახლოვოთ ღმერთს: „სული საქმისმოყვარე ახლოს არის ღმერთთან და ადრე მიაღწევს განკურნებას“ (გეორგიკა 1963, 85–87, 4).

ადამიანი ჯერ უფრო ადვილ, ფიზიკურ შრომას უნდა შევაჩვიოთ, რათა შემდეგ გონებით ლოცვა და ღმერთთან საუბარი შეძლოს. „სასუფეველი ღვთისა იიძულებს“ (მ., 11, 12). ამიტომ წინამძღვარმა ყოველ ცალკეულ ძმას მისთვის შესაფერი საშუალება უნდა მიუსადაგოს, ფიზიკური შრომა კი უნივერსალური საშუალებაა ცხოვებისათვის (გავიხსენოთ, ივირონში ბერებს შრომა ლოცვად ეთვლებოდათ).

თავი მეთხუთმეტე, შესახებ იმისა, რომ ძმები არ წავიდნენ მონასტრის გარეთ ან არ გავიდნენ მონასტრიდან წინამძღვრის ბრძანების გარეშე (მუხლი 17). ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ტიპიკონის შემდგენლისათვის, რაც ივარაუდება იქიდან, რომ საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. ამ თავში განხილულია რამდენიმე საკითხი:

1. მათ, ვინც არ იცავენ სიმშვიდეს, არ უნდა მისცენ თავიანთ ნებაზე სიარულის უფლება – კანონის ძალით უნდა დაიყოლიონ, შინ დარჩნენ (გეორგიკა 1963,87, 1). ბაკურიანის ძე ბრძანებით მოუწოდებს წინამძღვარს, რომ ისინი განწვრთნან სხვა საქმეში უწესობისა და ურჩობის გამო და ასწავლონ, წესიერად იქცეოდნენ (გეორგიკა 1963,87, 2).

გონიერი სამწყსოს მწყემსი ვალდებულია, არ გადალახოს დადებული საზღვრები, შეცდომილნი განაკანონოს სინანულად, თანაგრძნობით ზრუნავდეს მათთვის, რომ ღვთის სამსჯავროში არ აღმოჩნდნენ (გეორგიკა 1963,87, 3).

2. მონასტერში იერარქია უმკაცრესად უნდა ყოფილიყო დაცული; მონასტრის წინამძღვრის ყოველი ბრძანება არის კანონი და ისე უნდა ემორჩილებოდნენ, როგორც ღვთიურ კანონს, არ შეესიტყვონ და არც არაფერი მოიმოქმედონ მის წინააღმდეგ – ეს ურჩობის, თავისუფლებისა და უწესობის გამოვლენაა, რასაც მოსდევს შფოთი, ისპობა მორჩილება და კეთილსჯა და მოიწევა სამართლიანი სასჯელი მასზე, ვინც ასე იქცევა (გეორგიკა 1963, 8, 4).

გრიგოლ ბაკურიანის ძე ამბობს, ღვთის კეთილი ნებით, არ მინდა მათზე (მონასტრის ძმებზე) მთავრობდეს სხვა ვინმე, არც მორჩილების წესი დაირღვეს. მონაზონმა წინამძღვარს უნდა უთხრას მხოლოდ ორი სიტყვა: „ვცოდე, მამაო, მომიტევე!“. ამ კანონის მორჩილებს ექნებათ მშვიდობა და წყალობა (გეორგიკა 1963,89, 5).

მართალია, ქტიტორს არ უნდა, მაგრამ თუ რომელიმე ძმათაგანი იმხილება, რომ არ სურს კანონის ფარგლებში ცხოვრება, არამედ საპირისპიროდ იქცევა, წინამძღვრის მხილებას მკაცრად, საკანონოს – თავისთვის უსარგებლოდ მიიჩნევს, მის წინააღმდეგ ბრძოლას გამართავს (ეშმაკეული სენით შეპყრობილი) და არ გამოსწორდება პირველი, მეორე და მესამე გაფრთხილებისა და განკანონების შემდეგ – იგი უნდა მოიკვეთოს და ჩამოშორდეს ღვთის სამწყსოს (გეორგიკა 1963, 89, 6).

სულის მნე, წინამძღვარი, ვალდებულია, თვალ–ყური ადევნოს, მოთმინება გამოიჩინოს და გამოსცადოს (ძმები), საუკეთესო გამოარჩიოს და განაშოროს ბოროტისაგან, არ გამოეპაროს იოტისოდენი ცოდვაც კი, რომ მცირე საფუარმა მთელი ცომი არ ააფუოს (გეორგიკა 1963, 89–91, 7).

ბოლო ორი წინადადება არის პავლეს ეპისტოლეების პერიფრაზი: „ყოველივე გამოიცადეთ, და უკეთესი იგი შეიკრძალებთ, ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განემოვრენით“ (I თეს., 5. 21–22);

„არა უწყითა, რამეთუ მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული ადაფუნის?“ (I კორ., 5, 6).

3. ძალიან არ იწონებს ტიპიკონის ავტორი არსებული წესებიდან არანაირ გადახვევასაც: თუ ვინმე თვითნებურად დაიწყებს დიდ თავშეკავებას, ეს იქნება შეურაცხყოფა მამათა მიერ გამოცდილებით დადგენილი წესისა – ჭემმარიტი, სწორი, საშუალო გზით სვლა, როგორც მოკვეთა საკუთარი სურვილისა, რაც გადმოგვეცა– და შეცდომაა (დაუშვებელია), რადგან თვითრჯული ადამიანი გამოუცდელი და არამტკიცეა და ყოველთვის შეცდება (გეორგიკა 1963, 91, 8).

დაუშვებელია სხვათა დასანახავად თავგამოდება და ლოცვა, როცა ცდილობენ, დაარწმუნონ მხილველნი, რომ ისინი არ ჰგვანან სხვებს. ვინც წინამძღვრისა და მონასტრის ძმობის რჩევის გარეშე ასე იქცევა, მათ აცთუნებს და იპარავს ის, ვისაც ვებრძვით; როგორც მოციქული ამბობს, ვინაიდან არის სიბნელე და სინათლეს იჩემებს (შდრ. „რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ჯორცთა, არამედ... სოფლისმპყრობელთა მიმართ ბნელისა“. ეფეს. 6.12). ამას მიიჩნევს გრიგოლ ბაკურიანის ძე მაგალითად, რადგან პანაგიის წმინდა მონასტრის წესებით არიან გაწვრთნილი და იქიდან უნდა ისწავლონ სრულყოფილად მოქცევა (გეორგიკა 1963, 91, 9).

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ დამოკიდებულება ყველას მიმართ ერთნაირი იყოს – ყველა დაარიგონ, სწორ გზაზე დააყენონ, დაეხმარონ, არ დაუშვან მიწიერი შეცდომები. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს წინამძღვრის ბრძანებითა და გადაწყვეტილებით და ძმათა მეგობრობით ღმერთთან (გეორგიკა 1963,92–93, 10).

ტიპიკონის ავტორმა იცის, რომ საჭიროა, გონება დავიცვათ ბოროტი გულისსიტყვებისაგან და რომ გულიდან მოდის გზა ბოროტისა და კეთილისა. ბოროტი უარყოფთ და ვეშუროთ კეთილს, რომელსაც აქვს ნაყოფი კარგისა და კეთილისა, ანუ სიყვარული, მშვიდობა, სიხარული, სულგრძელება, გულკეთილობა და ა.შ. (გეორგიკა 1963,93, 11). (შდრ. „ხოლო ნაყოფი სულისაა არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება ... გალატ. 5.22).

სხვებისთვის საჩვენებლად თვითნებურად ვინც მოქმედებს, მათ ახლავთ საცთური, რომლის ბოლო უსაქმურობაა (შდრ. „რომელთაა აღსასრული წარწყმენდაა არს, რომელთაა ღმერთ მუცელი არს, და დიდებაა სირცხვლსა შინა მათსა“. (ფილიპ. 3.19). მას ექმნება დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რაც ძალიან მავნებელია. შეიძლება მხოლოდ გარედან მაყურებლებს ეგონოთ, რომ ეს სიკეთეა, სინამდვილეში არ არის სიკეთე. როგორც იტყვის წინასწარმეტყველი: „თუ ვინმემ მოიდრიკოს თავისი ქედი, როგორც რკალი, ან ქვეშ დაიგოს ძაძა და ფერფლი, არა ასეთი მარხვა გამოვირჩიო მე, არამედ მოუტეხე მშიერს შენი პური და უსახლკარო გლახაკნი შეიყვანე შენს სახლში; ტიტველს ჩააცვი და შენი თესლის ნათესავებს არ დაემალო“ (ესაია, 58, 5–7). (გეორგიკა 1963,93, 12).

კაცი იმდენადვე ამაღლდება, რამდენადაც დაიმდაბლებს თავს; იმდენად ამაღლდება, რამდენადაც იშრომებს. სიმდაბლე ასწავლის, როგორ უკეთ გამოიძიოს საკუთარი ნაკლი, ჩაიხედოს თავის გულში და განსაჯოს თავისი თავი. სწორედ ეს მიიყვანს მას განსვენებად (გეორგიკა 1963,93–95, 13). უნდა აღინიშნოს, რომ აქ ევანგელური სწავლების ასახვასა და გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

ღმერთის ნებას თუ შევასრულებთ, არა მხოლოდ საიქიო სიკეთით მოგვაგებს, არამედ სააქაოსაც კარგ გზაზე დაგვაყენებს. ჩვენ გვევალება, ყოველი კარგი ღმერთს მივაკუთვნოთ, მას ჩავაბაროთ ჩვენი სიცოცხლე და ის გვყავდეს გულსა და გონებაში (გეორგიკა 1963,95, 15), – გვარიგებს გრიგოლ ბაკურიანის ძე.

4. ამის შემდეგ მსჯელობს სახლის ტრაპეზის, მსახურთა წესიერების, საზოგადო კეთილმოწყობისა და ყველანაირი სამნეო საქმიანობის შესახებ, რომელიც მათ დააწესეს (გეორგიკა 1963,95, 16).

გრიგოლ ბაკურიანის ძეს სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ საეკლესიო წესები და მღვდელმსახურება ყველამ იცის, ამიტომ მოკლედ ამბობს, რომ სამღვდლო მსახურება უნდა სრულდებოდეს სიყვარულით, მღვიძარებით, სრულად, დღისით და ღამით უკლებლად, ღვთის მადლით მოცემული ნიჭით ყველა ენაზე თავისი ხმით ქრისტე მაცხოვრის მიერ უფლისა ჩვენისა (გეორგიკა 1963,95–97, 17).

თავი მეთექვსმეტე, დარიგება მონასტრის ეპიტროპოსთა შესახებ (2 მუხლი).
გრიგოლ ბაკურიანის ძე ბრძანებს და სურს, რომ ეპიტროპოსის თანამდებობაზე იყვნენ რჩეულნი და გამოცდილნი, აირჩიონ „უფრო სათნონი და ღვთისმოშიშნი, გინდა სასულიერონი იყვნენ, გინდა ან საერონი“; ძალაუფლება უნდა მიეცეს იმათ, ვინც მონასტრის ხელმძღვანელობისათვის პატივითაც და სულითაც უპირატესნი არიან (გეორგიკა 1963,97, 1).

წინამძღვარსა და ეპიტროპოსებს ევალებათ არა მხოლოდ შეურყევლად დაიცვან მონასტრის სულიერი მდგომარეობა დადგენილი წესების მიხედვით, არამედ იზრუნონ ხორციელ საჭიროებებზეც, რათა მონასტერში მყოფთ ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სჭირდებათ (გეორგიკა 1963, 97, 2).

ქართული ტექსტის ეს თავი განსხვავებულად იკითხება სათაურიდანვე:

„მოურნეთათჳს და მოლუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი“. ტექსტშიც: **ვამცნებ და ვასწავლი ძმათა, არ დატოვონ სამოწესეო ჩვენი „თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა, რომელ არიან განმგენი და აბარმადნი“** (აკაკი შანიძე ტერმინ „აბარმადს“ ვრცლად განმარტავს თავისი გამოცემის ლექსიკონურ ნაწილში (შანიძე 1985,139). აქვე აღნიშნულია, რომ ისინი, რჩეულნი და გამოცდილნი, უნდა დააწესონ ზედამხედველებად და განმგებლებად შინა და გარე, რაც ბერძნულ ტექსტში არ არის, ისევე, როგორც იკონომოსი და აბარმადი არ იხსენიება. საინტერესოა აგრეთვე ტერმინი „მოურნე“. ლექსიკონში ა. შანიძეს ის გატანილი აქვს „მოურავი სულისა“–ს წყვილში. ალბათ, მზრუნველის შინაარსით. „მოურნე – მზრუნველი, მეურვე“ – ასეა განმარტებული ი.აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც (აბულაძე 1973, 280).

თავი მეჩვიდმეტე, საჭიროა, შედგეს გეგმა და განჩინება საჭურისთა და მოყმე ჭაბუკთა შესახებ. როგორც ყველა სხვა ეკლესიასა და მონასტერში, პეტრიწონშიც აკრძალული იყო საჭურისებისა და უწვერული ყრმების შემოყვანა. გრიგოლ ბაკურიანის ძე აფიცებს მათ, ვინც მის შემდეგ იქნებიან წინამძღვრები და ეპიტროპოსები პეტრიწონისა, არავითარი საბაბით არ შეცვალონ ეს დადგენილება – არ წარიწყმიდონ სული, არ მოიწიონ სასჯელი ღვთისა (გეორგიკა 1963,97–99, 1–3).

უფრო ვრცლად ამ თავს ცალკე განვიხილავთ.

თავი მეთვრამეტე, შესახებ იმისა, რომ ეს ჩვენი მონასტერი თავისუფალი იყოს ყველა სახელმწიფო და მძლავრული ხელისაგან და სხვა ყოველგვარი გადასახადისაგან (11 მუხლი). ქტიტორს უნდა, რომ მათი წმინდა მონასტერი თავისუფალი იყოს ყველასგან, როგორც უცხო, ისე მათი ნათესავი პირებისაგან, ახლა რომ არიან და მერე, მათ შემდეგაც რომ იქნებიან, აგრეთვე ტაძრის მომსახურე ეპიტროპებისა და ყველა სხვათაგან. ნურავის ექნება ნება, შეაწუხოს ან რაიმე ზიანი ან ვნება მიაყენოს მონასტრის ქონებას, რათა მიითვისოს ან იქ მცხოვრებლები დააზიანოს რამენაირად (გეორგიკა 1963, 99–101, 1).

თუ ვინმე ჩვენი ნათესავი დარჩენილია ულელატოდ (შემოსავლის, წილის) გარეშე დავიწყების გამო და მოითხოვს წილს, – ამბობს გრიგოლ ბაკურიანის ძე, – ჩვენ შევაკავებთ ამ ბოროტი ზრახვისაგან და დაგვიწესებია, მიიღოს მხოლოდ 12 ფოლი ეპიტროპებისაგან, ვინაიდან მონასტერია ჩემი მემკვიდრე, როგორც არაერთხელ დავწერე, „ეს ყოვლად პატიოსანი მონასტერი ყველა მის გამგებლობაში არსებულქონებით ძღვნად შევწირე ღმერთს...იგი არის თვითთავადი და თავისუფალი ჩვენი შინაურების და უცხოთა... და ყოველგვარი პიროვნების ყოველი ხელისაგან“. აქვე წერს, რომ მისი სურვილია, მხოლოდ წინამძღვარსა და დანარჩენ ძმებს ჰქონდეთ გამგებლობა და ხელისუფლება (გეორგიკა 1963, 101, 2–3).

გრიგოლ ბაკურიანის ძე საშინელ წყევლას უთვლის ყველას, თავის ღვიძლ ნათესავს ან თვითმარქვიას, ვინც მისი ეკლესიისა და მონასტრის, ან მის კუთვნილ სოფლებში ან ციხეებში დასახლდება. ასეთი წყეულიმც იყოს ნიკეაში შეკრებილი 318 მამის სახელით და „გაგდებულ იქნეს ქრისტიანთა სარწმუნოებისაგან“ და ეკლესიას უფლება აქვს, ჩამოართვას, რაც ექნება მისგან მიცემული უძრავი და მოძრავი ნივთი (გეორგიკა 1963,103–105, 5).

თუ მოხდება ისე, რომ ამ მონასტრის წინამძღვარი ან ძმა მონიდომებს, გადალახოს ტიპიკონის წესები, მიითვისოს რამე მონასტრის ქონებიდან ან მას დაეპატრონოს, იგივე წყევლა მოიწიოს მასზე, გააძევონ მონასტრიდან და დაისაჯოს, როგორც გამცემი (გეორგიკა 1963,105, 7).

წყევლის უმადურებსაც – იმათ, ვინც აღზარდა, კეთილი უყო და არა იმიტომ, რომ ვალდებული იყო, არამედ ღვთის მცნების გამო და იმიტომ, რომ მათთან ბუნებითი (ფიზიკური) კავშირი აქვს (გეორგიკა 1963,105, 8).

აქვე კიდევ ერთხელ იხსენებს, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ხელცარიელი დარჩა (შევიდა სამხედრო სამსახურში), დადიოდა სომხეთში, იბერიაში, სირიასა და რომანიაში, ცდილობდა ცხოვრების კეთილმოწყობას; სახელისუფლო პატივი და მთელი ქონება შრომითა და სისხლით მოიპოვა. მის ნათესავებსაც ღვთისნიერი მეფეები გრიგოლისადმი კეთილგანწყობის გამო დიდად სწყალობენ და ამბობს, ვისაც რა ეკუთვნოდა, ჩემი საკუთარი სახსრებიდან მივეცი, ჩემი სულისთვისაც მიმიცია (გეორგიკა 1963,105–107, 9–10).

უნდა, რომ მისი წმინდა სავანე ახლაც და მომავალშიც ყველასგან და ყველანაირად თავისუფალი იყოს მისი მხრიდან და სხვების მხრიდანაც. თვით მეფისა და პატრიარქის მხრიდან, რაც დამტკიცებულია სარწმუნო და თაყვანისსაცემი ოქრობეჭდებით. მეტი აღარაფერი იყო საჭირო, მაგრამ მხურვალე და გაბედული თხოვნით მიუმართავს ბიზანტიის უძლიერესი მეფისათვის, დაემტკიცებინა მისი მონასტრის ქონება ურყევად და უზრუნველად ვიდრე აღასარულამდე ქვეყნისა (გეორგიკა 1963, 107–109, 11).

ქართულ ტექსტში ნახსენებია ახალი ოქრობეჭედი, რომელიც გრიგოლს მეფისთვის უთხოვია მეტი სიმტკიცისათვის (შანიძე 1985, 96,10). (საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობას ცალკე განვიხილავთ).

ტიპიკონის დამრღვევს, ვითარცა შინაგამცემელსა და მზაკვარს, მოეწევა ზემოწერილი წყევლა, დაისჯება და გაძევებული იქნება მონასტრიდან (შანიძე 1985,96, 11).

მონასტრის, მისი ქონებისა და ძმათა დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანია გრიგოლისთვის, რომ რამდენჯერმე აღნიშნავს ამ საკითხს

ტიპიკონში და ყველანაირად ცდილობს, უზრუნველყოს მისი შეუვალობა ახლაც და მომავალშიც.

თავი მეცხრამეტე, შესახებ იმისა, რომ თუ მონასტრის წინამძღვარი ან სხვა ვინმე მონასტრის სამსახურის შემსრულებელთაგან შეეცდება და უადგილოდ და დაუზოგავად გასწევს სხვადასხვა ხარჯებს, საჭიროა ასეთების გაძევება მონასტრიდან (2 მუხლი, ქართული – 4). თუ მონასტრის მეთაურები შეურაცხყოფენ ქტიტორის მიერ დადგენილ წესებს, სარგებლობის ნაცვლად ზიანს მიაყენებენ ძმებს, გრიგოლ ბაკურიანის ძე ბრძანებს, მონასტრის სიკეთითა და ცოდნით გამორჩეული, ასევე მოურნე მონაზვნები ერთსულოვნად შეეწინააღმდეგონ, გამოასწორონ ასეთი უჯეროება, რათა არ დაიშალოს ასეთ რჩეულ კაცთა სამკვიდრებელი, ხოლო თუ ვინმე მოითმენს ამგვარ მოვლენას და ხელს არ შეუშლის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვით დიდ გამობას მიიღებს თვით მაცხოვრისგან (გეორგიკა 1963, 109, 2).

ვინც აშკარად შეცდება, სამწყსოს მგლად მოევლინება და მონასტრის ქონებას უხეიროდ და დაუზოგავად დახარჯავს, მოსპობს და გაანადგურებს, ჯერ პირველად ტკბილად, ღვთის შიშით უნდა დაარიგონ, ხოლო თუ ასეთი ზრუნვის შემდეგაც არ გამოსწორდა, ძმები ერთსულოვნად უნდა შეთანხმდნენ და განაჩინონ მისი გაძევება და ასევე ერთობლივად უნდა გამოირჩიონ და დაამტკიცონ სხვა, ღირსეული ადამიანი (გეორგიკა 1963, 109–111).

ქართული ტექსტი ორჯერ მეტია, ორი მუხლი თითქმის ერთი შინაარსისაა, მცირე განსხვავებით გადმოცემული და ცალკე მუხლით თხოვნა და დაფიცებაა, „რათა არცა ერთითა რადთ სახითა და მიზეზითა არა უგულებელსყონ ჩუენ მიერ განწესებული ესე“ (შანიძე 1967, 97, 3).

ქტიტორი ზრუნავს იმისთვისაც, რომ მონასტერი დაცული იყოს არა მხოლოდ გარედან, არამედ მონასტრის წევრთა მხრიდან ზიანის მიყენებისგანაც. შემცოდეს მიეცემა გამოსწორების შანსი, უკუეთუ არა – გააძევებენ.

თავი მეოცე, იმათ შესახებ, ვინც მსოფლიონი არიან და წმინდა ეკლესიას შესწირავენ სახსრებს მიცვალებულთა მოსახსენებელი წირვისათვის და დარიგება, თუ ვისგან შეიძლება ეს სახსრები მიიღონ (2 მუხლი). ნათქვამია, რომ შემომწირველთაგან შეიძლება მიიღონ მხოლოდ ის სახსრები, რომელიც არ ავნებს მონასტერს, ემსახურება რწმენისადმი მორჩილებას და სასარგებლოა იმათი

სულისთვის, ვისთვისაც მოდის შეწირულება, და იმათთვისაც, ვისაც მოაქვს (გეორგიკა 1963, 111, 1).

სასიამოვნოა ღვთისთვის, რომ იყოს ნამდვილი ნაყოფიერება. აღნიშნულია აქვე, რომ ცალკე თავშია ჩამოწერილი, რა როგორ უნდა გაკეთდეს (გეორგიკა 1963, 111, 2).

თავი ოცდამეერთე, ბრძანება, გაცემული ჩვენ მიერ ძმათა მიმართ შესახებ ჩემი მოხსენიებისა და ჩემ მახლობელთა მოხსენიებისა, და შესახებ აღაპისა და ძმათა პურისჭამისა იმ დღეს, როდესაც ჩვენ მოვიხსენიებით, და შესახებ ქრისტეს–მიერთა ძმათათვის ფულის დარიგებისა და მთლიანი წყალობის გაცემისა მათ მიმართ (12 მუხლი).

გრიგოლ ბაკურიანის ძე შესავალშივე ამბობს, რომ მან და მისმა ძმამ აბაზმა გადაწყვიტეს, თავიანთი სულების საოხად აეშენებინათ მონასტერი, რომელსაც მთელი თავიანთი ქონებით უზრუნველყოფდნენ. აბაზი ადრე გარდაიცვალა, გრიგოლმა კი უამრავი დრო, ენერგია და სახსრები გაიღო თავისი მიზნის განსახორციელებლად და, ბუნებრივია, რადგან „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისასა“, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმოდა თავისი და ძმის სულის მოხსენიებას გარდაცვალების შემდეგ; იგი შეახსენებს თავის თანამედროვეთ და მონასტრის მომავალ მკვიდრთ თავის გარჯასა და დამსახურებას, სთხოვს, არ დაივიწყონ, მუდამ იხსენიებდნენ ლოცვებში, გარდაცვლილი კი პატივით, ლოცვითა და ქველმოქმედებით მოიხსენიონ. იმ დღეს უნდა გაიმართოს განსაკუთრებით უხვი ტრაპეზი, გლახაკებსა და მის მოსახსენებლად მოსულთ „განუყონ“ (დაურიგონ) ფული, რა თქმა უნდა, მონასტერსა და მის მეტოქიონებში გაიმართოს ჟამისწირვა, ტაძარში აინთოს ყველა კანდელი და ყველა სასანთლე სავსე იყოს სანთლებით.

განწესებულია ნეტარი და კეთილად ხსენებული მაგისტროს აბაზის მოხსენიება მისი გარდაცვალების დღეს, 20 სექტემბერს. დაიგება ბრწყინვალე ტრაპეზი კარგი საჭმელებით, დამატებით მიეცემათ ძმებს ორ–ორი კრასოვულიღვინო. ჟამისმწირველმა ძმებმა (ყველამ) როგორც მონასტერში, სოხასტერებში, აგრეთვე სოფლებსა და პრასტინებში, ციხეებსა და ჩვენი წმინდა მონასტრის მთელ სამფლობელოში, იმ დღეს აბაზისთვის სწირონ.

იმ დღეს ქრისტეს–მიერ ძმებს (გლახაკებს) მიეცეთ 72 დრაჰკანი.

ლამისთევისა და ჟამისწირვის შემდეგ ქრისტეს–მიერ ძმებსა და სხვა იქ მოსულ სტუმრებს აბაზის სულის სახსენებლად კიდევ დაურიგდეთ 24 დრაჰკანი (გეორგიკა 1963, 113, 1).

ამის შემდეგ გრიგოლ ბაკურიანის ძე მსჯელობს იმაზე, რომ ყოველმა კაცმა თავისი საქმისა და შრომის მიხედვით უნდა მიიღოს გასამრჯელო. თქვენ, – მიმართავს მონასტრის ძმებს, – კარგად მიცნობთ, იცით ჩემი გარჯა, ნიჭი ღვთისა, რომელიც ჩემში მოქმედებდა; კარგად ვიცი, რომ გიყვარვართ და არ დაივიწყებთ ჩემს მოხსენიებას, ყველაფერს გააკეთებთ, რაც სავალდებულოა, ამასთან პატივით, გულმოდგინედ და რწმენით. ვევედრები იმათაც, ვინც ჩვენ შემდგომ იქნებიან, მოგვიხსენიოთ და არასოდეს არ დაგვივიწყოთ (გეორგიკა 1963, 115, 2).

კიდევ ერთხელ შეახსენებს ძმებს, მისი მოხსენებისას არ დაივიწყონ, რომ ეს მშვენიერი ტაძარი, მონასტერი, ყოველწლიური შემოსავალი და სხვა სახმარი მისი წყალობით აქვს მონასტერს უხვად და უკლებლად, ის არის მიზეზი მათთვის ყველაფერი ამის შექმნისა. და რომელ დღესაც მოხდება მისი, გრიგოლის, გარდაცვალება, იმ დღეს აასრულონ მისი სახსენებელი (გეორგიკა 1963, 115, 3).

ამ დღეს უნდაგაუნაწილონ ქრისტეს–მიერ ძმებს 72 დრაჰკანი; მონასტრის ძმებს გაუშალონ უხვი, ყველანაირი საქმლითა და სასმლით სავსე ტრაპეზი და ყველა იმას, ვინც მის მოსახსენებლად მოვა, ლამისთევისა და ჟამისწირვის შემდეგ დაურიგდეს კიდევ 24 ოქროს დრაჰკანი. თუ მის მიერ დაწესებულ ოქროს დრაჰკანთა რიცხვს ან სხვა სახმარს გადარჩეს რამე, ისიც მეორე დღეს დაურიგდეთ გლახაკებს (გეორგიკა 1963, 115, 4).

მონასტრის შემოსავლიდან თუ რამე გადარჩება, მისი ნახევარი გრიგოლის ხსენების დღეს წინამძღვართა და იკონომოსთა განაწილებით უნდა დაურიგონ გლახაკებს და მონასტრის სამსახურში მყოფ დაქირავებულ მუშებსა და გლეხებს. ამას მოსდევს გაფრთხილება, რომ ძმებმა ყველაფერი ეს უნდა გააკეთონ ღვთის შიშით და წმინდა გონებით, „ყველაფერი ეს დაცულ იქნეს უცვლელად, ურყევად და მტკიცედ და არაფერი ზემოთქმულთაგან არც ერთი საბაზით არ დაიშალოს“ (გეორგიკა 1963, 115–117, 5, 6).

გრიგოლ ბაკურიანის ძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი სულის საცხოვნებლად არ დაურიგონ გლახაკებს სხვათა მიერ შემოწირული დრაჰკანები –

ისინი ძმებისთვის შეინახონ, მისი სულისთვის შესაწირავი კი მონასტრის შემოსავლიდან უნდა იქნეს გაღებული (გეორგიკა 1963,115, 8).

ქტიტორთა სულის საცხოვრებლად ყოველდღე უნდა გაიმართოს ჟამისწირვა ფურნეში გამომცხვარი პურით, ე.ი. სეფისკვერით. ამათგან ორი მიეცეს მონასტრის გარეთ ავადმყოფებსა და სხვა უპოვართ – ერთი – გრიგოლის, ხოლო მეორე – მისი ძმის სულისათვის – ერთი კი ძმებს განეყოს. თუ ორი ჟამისწირვა შესრულდა, დაიდგმება სამი სეფისკვერი: გრიგოლის მამის, ბაკურიანის, თავად გრიგოლისა და მისი ძმის, აბაზის სულისათვის, და ყველა ეკლესიაში უნდა გაიმართოს წირვა მათი სულის ცხოვრებისათვის (გეორგიკა 1963,117, 9).

ტაძრის დღესასწაულზე ყველა მღვდელმა უნდა დააყენოს წირვა გრიგოლის, მისი ძმის აბაზისა და მათი მიცვალებული ახლობლებისათვის. გარდა ამისა, აღდგომას, ამაღლებას, სულიწმიდის მოფენის დღეს, შობას, ნათლილებასა და ყოველ საუფლო დღესასწაულზე გაიმართოს ჟამისწირვა გრიგოლისათვის. გარდა ამისა, შაბათ-კვირას იმართებოდეს ჟამისწირვა – მონაცვლეობით, ერთ შაბათს გრიგოლისთვის, მეორე შაბათს – აბაზისთვის. ჟამისმწირველმა მღვდელმა, წმინდა ზიარებას რომ მიაბრუნებს საკურთხეველში, ლოცვით უნდა მოიხსენიოს გრიგოლი და აბაზი, გამოითხოვოს შენდობა ღვთისაგან მათი მრავალი ცოდვისათვის, მას სხვა მღვდლებიც უნდა თანამოწმობდნენ. ასევე ცისკრისა და მწუხრის გალობის დროს სახელდებით მოიხსენიონ ორივე და თქვან: ღმერთმა შეუნდოს მამუნებლებს შეცოდებანი და ასე ყოველდღე (გეორგიკა 1963,119, 10).

დიდ ხუთშაბათს აღესრულოს სახსენებელი ნეტარისა და სახელოვანისა ბაკურიანისა, მამუნებელთა მამისა, ჟამისწირვის შემდეგ ბრწყინვალე ტრაპეზითა. დაურიგდეთ გლახაკებს 24 დრაჰკანი (გეორგიკა 1963,119, 11).

ბოლოს გრიგოლ ბაკურიანის ძე ძალიან დაღლილი და ადამიანურია, სთხოვს ძმებს: გაიხსენეთ, რამდენი გაჭირვება გადავიტანე გადამეტებული შრომის გამო თქვენი სიყვარულისათვის, რის სანაცვლოს მოგვაგებს უფალი იესო ქრისტე თქვენ, მომხსენებლებს და ჩვენ, მოხსენიებულებს (გეორგიკა 1963,119, 12).

ქართულ ტექსტში აღნიშნულია, რომ ტრაპეზი უნდა დაგებულყო წირვაზე მოსული გარეშეებისთვისაც (შანიძე 1985, 99, 4), რაც ბერძნულში არ იკითხება.

მეტად დაზუსტებულია ეკლესიის შემოსავლის განაწილების საკითხი: წლიური შემოსავლიდან ყველა ხარჯის დაფარვისა და გათვალისწინების შემდეგ, რაც დარჩებოდა, ნახევარი ისევ ეკლესიისათვის უნდა გადაედოთ – რაიმე მოულოდნელი ხარჯი რომ მოგვიხდეს – მეორე ნახევარი კი დაურიგდეს გლახაკებს, დავრდომილებს, მონასტრის მსახურებსა და მის გლეხებს. ეს უნდა გაანაწილონ წინამძღვარმა და გამგებლებმა აზარმადებისა და იკონომოსების თანხმობით (შანიძე 1986,100, 5).

არის განსხვავებული ნიუანსი ყოველდღე წირვის ნაწილში: აქ იკვეთება „სამი სეფისკვერი, უდიდროვნესი, რომელსა ანაფორაჲ ეწოდების“; უნდა ამოიკვეთოს ერთი – გრიგოლის სულისთვის, ერთი – მისი ძმისა და ერთი – მისი მამისთვის. ორი – ისევე, როგორც ბერძნულ ტექსტშია – მონასტრის კარზე მყოფ გლახაკებსა და უძლურებს დაურიგდება, მესამე – ევლოგიად ძმათა. სოხასტერთა ეკლესიებშიც აუცილებლად იკვეთება ერთი სეფისკვერი. „საკსრად სულთა „ჩუენთათჳს“ უფრო გრიგოლის მამასა და ძმასაც გულისხმობს, ვიდრე მარტო მას, და მოჰყვება დაფიცების ფორმულა, რომ მთელმა ძმობამ დაიცვას მათი სულის მოხსენიების წესი, რომ თვითონაც მოიპოვონ წყალობა ღვთისა (შანიძე 1985, 100–101, 9).

დაზუსტებულია, ასევე, რომ ერის ზიარების შემდეგ რომ შევა მღვდელი საკურთხეველში ბარძიმით, მაშინ იხსენიებს გრიგოლს და აბაზს, გამოითხოვს ცოდვათა მიტევებას მათთვის და ემოწმებიან არა მხოლოდ მღვდლები, ასევე ძმანი ყოველნი და ეგრევე ჰყოფენ ცისკარსა და მწუხრზე მოხსენიების დროსაც (შანიძე 1986,101, 10). როგორც ვნახეთ, ასევეა ბერძნულ ტექსტში.

დიდ ხუთშაბათს ქართულ ტექსტში გლახაკებისთვის განსაზღვრულია არა 24, არამედ 22 დრაჰკანი (შანიძე 1986, 101, 11).

მონასტრის აშენება, ყველაფრით უზრუნველყოფა და ქტიტორთა ყოველდღიური და გაძლიერებული მოხსენიების დაწესება ადასტურებს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, გულშემუსვრილი თავისი ცოდვების განცდით (დიდ მხედართმთავარს კაცის კვლაც შეაწუხებდა) და ყველაფერს აკეთებდა საკუთარი, მამის, ძმისა და ახლობლების სულის საცხოვნებლად.

თავი ოცდამეორე, შესახებ ამ წმინდა მონასტრის გარდაცვალებული წინამძღვრისა და დანარჩენ გარდაცვლილ ძმათა, თუ როგორ უნდა მოიხსენიონ ისინი წმინდა ჟამისწირვითა და ლოცვითა (2 მუხლი). გარდაცვლილ წინამძღვარს ყველა ძმამ პატივი უნდა სცეს საკმეველითა და სანთლით, შეასრულონ ფსალმუნი და გალობა – თუ მღვდელი იყოს, სამღვდელო წესით, თუ მონაზონი – მარტივად მისთვის განკუთვნილი წესით. მისი ხსოვნის აღსანიშნავად დარიგდეს 12 დრაჰკანი. ძმათათვის გამართონ ტრაპეზი შემატებული საჭმლითა და სასმლით. ყველა მწირველმა შეუსრულოს ჟამისწირვა. მესამე დღეს დაინიშნოს პანაშვიდი და ჟამისწირვა, ასევე მეორმოცე დღესა და წლისთავზე (გეორგიკა 1963, 119–121, 1).

ქართულ ტექსტშია „ყოველთა მღვდელთა და ძმათა“ პატივი სცენ. „მღვდელთა“ – ბერძნულში არ არის (შანიძე 1986, 101, 1), არც მეცხრე დღის პანაშვიდი. მეცხრე დღეს მიცვალებულის სულისთვის მსახურებას მხოლოდ ქართული ტიპიკონი აწესებს.

წინამძღვარსა და მონასტრის მონაზონსაც („ძმათაგანი“) პანაშვიდი და წირვა უნდა გადაუხადონ ღამის თევით მეშვიდე, მეცხრე და მეორმოცე დღის, აგრეთვე წლის შემდეგ (შანიძე 1986, 101–102, 1, 2).

გარდაცვლილი ძმა აგრეთვე გალობითა და ლოცვით უნდა დაასაფლავონ, მესამე დღეს შესრულდეს მისთვის ჟამისწირვა, აგრეთვე წლისთავზედაც (გეორგიკა 1963, 121, 2).

პეტრიწონში, ისევე, როგორც ყველგან, მიცვალებულებს დიდი პატივით ასაფლავებდნენ და იხსენიებდნენ.

თავი ოცდამესამე, შესახებ იმისა, რომ დედაკაცი არ შევიდეს ჩემს წმინდა ეკლესიაში... – და თავი ოცდამეოთხე, შესახებ იმისა, რომ არ იქნეს თანამდებობაზე დაყენებული ბერძენი ხუცესი ან მონაზონი...ამოკრებილი ცალკე გვაქვს გატანილი.

თავი ოცდამეხუთე, შესახებ იბერთა ნათესავებისა და ჩვენი ყმებისა, რომელნიც მონაზვნური წესის მისაღებად მოდიან, და თუ როგორ უნდა მიიღონ ისინი (3 მუხლი). ქტიტორთა სისხლით ნათესავებიდან თუ ვინმემ მოისურვა, მონაზვნური წესით იცხოვროს და ამ წმინდა მონასტრის საქმეებისათვის სასარგებლო და შემძლებელნი არიან, გრიგოლ ბაკურიანის ძე საჭიროდ და სასარგებლოდ

მიიჩნევს, მიეცეს მათ უპირატესობა გარედან მოსულთა წინაშე (გეორგიკა 1963, 123–125, 1).

თუ ისინი შორს არიან სამღვდლო წესისა და სათნო მოღვაწეობისაგან, საერისკაცო საქმეებშიც უუნარო და უქნარანი არიან და ვერ შეძლებენ გულსავსედ ემსახურონ სამღვდლო საქმეებს, არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ძალაუფლება, რადგან, ამბობს ავტორი, მინდა, დავაწესო ეს ადგილი მონაზონთა სამკვიდრებლად, რომ იგი იყოს ყოველნაირად თავისუფალი როგორც უცხოთაგან, ისე ჩემს მახლობელ ნათესავთაგან, სხვას კი არ ემორჩილებოდეს, „არამედ თვითთავადად იარსებოს მუდამ და ყოველთვის და თვითმფლობელად“ (გეორგიკა 1963, 125, 2).

ბაკურიანის ძეგთა ნათესავი, ყმა ან სხვა ვინმე იბერთაგანი თუ აღიკვეცება, ხოლო მონასტრის მონაზონთა რიცხვი დაკლებული იქნება, საჭიროა, იმათ მიეცეს უპირატესობა და ისინი შემოვიდნენ მონასტერში დაკლებულთა ადგილას დაწესებული რაოდენობის შესავსებად. მათ უნდა იცხოვრონ ამ მონასტერში დადგენილი წესებით, სხვა ძმებთან თანხმობით და ემორჩილებოდნენ წინამძღვარს (გეორგიკა 1963, 125, 3).

ქართულ ტექსტში მნიშვნელოვანი სხვაობაა: **თუ ასეთი სამონაზვნო ღვაწლში გამოცდილი, მცოდნე, გონიერი იყოს და მონასტრის გამგებლობა შეეძლოს, სამართლიანად მიმაჩნია, – ამბობს გრიგოლ ბაკურიანის ძე, – მათი გამორჩევა საწინამძღვროდ, ვიდრე უცხოთა და გარედან მოსულთა** (შანიძე 1986, 103, 1).

ამ თავის ბოლოს ქართულში წერია, აგრეთვე, რომ ძმათა რიცხვი არასოდეს არ უნდა შემცირდეს (შანიძე 1985, 104, 3). **მონასტერში ყოველთვის 50 ბერი უნდა მოსაგრეობდეს.**

გრიგოლ ბაკურიანის ძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს თავისი ნათესავებისა და ყმების – ზოგადად ქართველების – მიმართ და მიმაჩნია, რომ თუ მათ შემონაზვნება უნდათ, უპირატესობა უნდა მიეცეთ სხვებთან შედარებით და თუ შესაფერი უნარი ექნებათ, მონასტრის გამგებლადაც შეიძლება დაინიშნონ.

თავი ოცდამეექვსე, შესახებ იმისა, რომ იკონომოსნი და სხვა მსახურნი ანგარიშდებულნი უნდა იყვნენ წინამძღვრის მიერ, ხოლო წინამძღვარი ანგარიშს უნდა აბარებდეს ძმათა ერთობლიობას (7 მუხლი). გრიგოლ ბაკურიანის ძე დიდ ყურადღებას აქცევს დატიპიკონის მთელ ტექსტში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ

მონასტრის ქონება და შემოსავალი მხოლოდ ძმათა საჭიროებებს უნდა მოხმარდეს და უყარათოდ არ დაიხარჯოს – ამისთვის ჰყავს მონასტერს წინამძღვარი, გამგებლები, აბარმადნი და მსახურები, რომლებიც ყველაფერს თვალ–ყურს ადევნებენ. ქტიტორს მათი შემოწმებაც საჭიროდ მიაჩნია და წერს შემდეგს:

წელიწადში ორჯერ, სექტემბრის თვეში და აღდგომას, დიდი იკონომოსი ქვეიკონომოსსა და სხვადასხვა ხელისუფლების მქონე მსახურებს უმოწმებს ანგარიშს, ღვთის შიშით. და თუ აღმოჩნდებიან ჩამორჩენილნი, აიღებს მათგან საბუთს (გეორგიკა 1963, 127, 1).

დიდი იკონომოსი ანგარიშვალდებულია წინამძღვრის წინაშე, წარუდგენს მას ყველაფერს და მიიღებს მისგან საბუთს (გეორგიკა 1963,127,2).

წინამძღვარმა დანარჩენ ძმებთან შეთანხმებით, ღვთის შიშით, შემოსავალი უნდა ხარჯოს ეკლესიისა და მონასტრის საჭიროებისათვის და, რაც დარჩება, მონასტრის სასარგებლოდ უნდა გადაეცეს მეჭურჭლეს და მისგან მიიღოს საბუთი. ყოველი აღდგომის დღეებში წინამძღვარმა ანგარიში უნდა ჩააბაროს იკონომოსს, მეჭურჭლესა და ძმათა კრებულს (გეორგიკა 1963, 127, 3). თავის მხრივ, მეჭურჭლემ წელიწადში ორჯერ ანგარიში უნდა ჩააბაროს წინამძღვარსა და ძმებს (გეორგიკა 1963,127, 4). თუ ვინმე ამათგანს ანგარებით ფუჭად დაუხარჯავს საეკლესიო ქონება, საჭიროა, კვლავ შეავსოს და აღადგინოს დახარჯული, თანამდებობა კი მაშინვე დაატოვებინონ (გეორგიკა 1963,127, 5).

მაშინ, თუ საეკლესიო შემოსავალი იმაზე მეტი აღმოჩნდება, რაც ქტიტორს ჰქონდა განსაზღვრულ–დაწესებული, და ყველა გასაცემი გადახდილია, ნამეტი მთლიანად უნდა შეინახოს ეკლესიის სასარგებლოდ და მისი საჭიროებისათვის (გეორგიკა 1963,127, 6).

განისაზღვრება ტიპიკონით ისიც, რომ მონასტრის საფასე (გადანახული) ყოველთვის უნდა იყოს 10 ლიტრი, რომ გასაჭირის დროს მოიხმარონ, 10 ლიტრას გადამეტებულით შეიძინონ სამონასტრო მამულები (გეორგიკა 1963, 125–129, 7).

ქართულ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „ლოღარიას (იხ. ლექსიკონი) ქმნა“ და „აპოტიქსი“ და მეჭურჭლესთან ერთად დოშიარი; აგრეთვე „მეგანბური – რომელ არს დოშიარი“ (შანიძე 1985, 105, 3–4).

პეტრიწონს დიდი მეურნეობა ჰქონდა, მის მოვლასა და თვალ-ყურის დევნებას ბევრი ხალხი სჭირდებოდა. ისინი, ყველანი, ვალდებული იყვნენ, წერილობითი ანგარიში ჩაებარებინათ თავიანთი უშუალო უფროსისათვის, წინამძღვარი კი ვალდებული იყო, იკონომოსის, მეჭურჭლისა და ძმათა მთელი კრებულის წინაშე განემარტა, როგორ განკარგავდა მონასტრის შემოსავალს.

თავი ოცდამეშვიდე, შესახებ იმისა, რომ მიცვალებულნი მოხსენებულ იქმნენ წმინდა ჟამისწირვაში და სამღვდელო მსხვერპლშეწირვის დროს მოხსენებულ იქმნენ სულნი მათნი დაუცხრომელი ლოცვებით (5 მუხლი). პირველ მუხლში გრიგოლ ბაკურიანის ძე მოუწოდებს თავისი მონასტრის მამებსა და ძმებს, დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ჟამისწირვის საიდუმლოს და მუდამ იხსენიებდნენ მიცვალებულთა სულებს, როგორც ეს დაწესებულია და აქამდე სრულდებოდა. ეს ბრძანება შეურყევლად უნდა დაეცვა ყველა მორწმუნეს, განსაკუთრებით კი მონაზვნებს, რადგან იგი აქარწყლებს ეშმაკის ყველა ძალას.

შემდეგ ჩამოთვლილია, სად როგორ უნდა ილოცონ მიცვალებულთა სულებისათვის:

წმინდა ნათლისმცემლის ეკვდერში განწესებულია მღვდელი (გეორგიკა 1963, 129, 1) მუდამ და დაუცხრომლად მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად (გეორგიკა 1963,129, 2).

აგრეთვე შესრულდეს ყველა ძმათა სახსენებელი ღამისთევითა, მთელი ღამის განმავლობაში ფსალმუნთა გალობითა და ჟამისწირვითა (გეორგიკა 1963,129, 3).

ამასთან, თუ ვინმე გარეშემ რწმენით ძღვენი შემოსწიროს ან ქველმოქმედება გასწიოს მონასტრისათვის, თანხა გაიღოს – ყოველდღე, ან წლითი-წლად მოხსენიება უნდოდეს – ამათვის ხელაპყრობით ილოცონ და მოიხსენიონ ღვთიური მღვდელმსახურების საიდუმლოში (გეორგიკა 1963,129, 4).

თავი ბოლოვდება კვლავ ქტიტორის ბრძანებით, რომ ეს ყველაფერი ყველამ ურყევად და დაუცხრომლად უნდა დაიცვას მის შემდეგაც დასასრულამდე საუკუნისა (გეორგიკა 1963, 131, 5).

კიდევ ერთხელ აღინიშნება მიცვალებულთა განსაკუთრებული პატივი და ზრუნვა მათი სულების მოსახსენიებლად ახლა და საუკუნოდ.

თავი ოცდამერვე, შესახებ მოხუცთა და სენით შეპყრობილთა, თუ როგორ უნდა მოუარონ მათ და კარგად მოასვენონ (4 მუხლი). გაჭირვებასა და სიძნელეში, სიბერით ან ავადმყოფობით დაუძლურებულთადმი საჭიროა ზრუნვა და ნუგეშისცემა. ისინიც უნდა იყვნენ მომთმენნი, დაითმინონ უბედურება, არ ჩიოდნენ, არ მიეცნენ დრტვინვას, რომ მათ და მომვლელებმაც მიიღონ სასყიდელი სამართლიანი მსაჯულისგან, ქრისტე ღმერთისგან, რომელსაც სურს, გამოიჩინონ მოყვასთა მიმართ კეთილისყოფა, სიყვარული და სიტკბოება (გეორგიკა 1963, 131, 3).

ამასთან, წინამძღვარმა უნდა იზრუნოს მათი არა მხოლოდ ხორცის, სულისთვისაც, დამოდვროს ისინი და სიტყვითაც ჰკურნოს მათი სული (გეორგიკა 1963131,2). სწორედ ამისთვის იღვწის მონასტერი საქმით და სიტყვით, ეს ასიამოვნებს ღმერთს: აღვირახსნილნი მოათვინიერო, მემთვრალეთ თავშეკავება ასწავლო, მრისხანეთ – მოწყალება და სულგრძელობა, მკვებარებს – თავმდაბლობა (131, 3). ეს არის პირველი სიბრძნე, ხატი და მსგავსება ღვთისა, რომელმაც იკისრა ჩვენი უძლურებანი და აღგავა სნეულებანი (გეორგიკა 1963, 131, 4).

ქართული ტექსტით დაზუსტებულია, რომ ავადმყოფებზე უნდა ვიზრუნოთ და გავანებივროთ საჭმელ–სასმლით (შანიძე 1967, 106, 1).

მიხედვა ავადმყოფთა არის ერთ–ერთი მოწყალება ხორციელი, ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, განსაკუთრებით მონასტრებში. ასეა პეტრიწონშიც – სიბერითა და სენით დაუძლურებულებს სულიერი და ხორციელი საშუალებებით უვლიან...

თავი ოცდამეცხრე, შესახებ ჩემ მიერ აშენებული სამი სადგომისა, რომელთაც ჩვენ მიერ ეწოდება ქსენოდოხიონი, ასე დავაწესეთ (10 მუხლი). უცხოთშეწყნარება ერთ–ერთი უპირველესი ქრისტიანული სათნოებაა. საუკუნეთა მანძილზე ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომელთაც განსაზღვრული საცხოვრებელი არ გააჩნდათ და აქა–იქ სვლით და მათხოვრობით ირჩენდნენ თავს ან მომლოცველობდნენ. მათზე ზრუნვა ყოველი ქრისტიანის, მით უფრო, ეკლესია–მონასტრების მოვალეობაც იყო. გრიგოლ ბაკურიანის ძემაც „მენავეთათვის და მოგზაურთა“ სამი თავშესაფარი ააშენა და ყველაფრით უზრუნველყო.

ერთი სასტუმრო აშენებულია სოფელ სტენიმახის ქვემოთ. გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააწესა, რომ სოფელ სტენიმახის შემოსავლიდან ამ სასტუმროს

ყოველდღე მიეცეს ორი მოდი (ჩანახი, მ. ბერიძე) დიკა და ორი მეტრო ღვინო, საჭამანდისთვის – ცერცვი და მხალი. მას ემსახურება აგრეთვე წყლის წისქვილი და ამ სოფლის ერთი გლეხი, რომელიც სხვა სამუშაოსგან თავისუფალია: მოაქვს შეშა სასტუმროსთვის, უზიდავს წყალს... იგივე გლეხი უნაწილებს გლახაკებსა და მგზავრებს საზრდოს. ეს კაცი უნდა იყოს ღვთის მოშიში, გონიერი, ყველას თანაბრად ემსახურებოდეს. იგი მონასტრის მესამე დასის როქს იღებს (გეორგიკა 1963, 133,1).

სასტუმროში ბევრი საწოლი უნდა იდგას. მუდამ გახურებული იყოს ფურნე და თორნე, რომ ცუდ ამინდში მგზავრი გაშრეს, გათბეს და მოისვენოს (გეორგიკა 1963, 133, 2).

ავად თუ გახდება ვინმე, სამი დღე უნდა მოასვენო და მერე გაუშვა. თუ ვინმე მთლად დაუძლურდეს და ვერ შეძლოს მგზავრობა, გამოჯანმრთელებამდე უნდა დარჩეს (გეორგიკა 1963,133, 3).

სასტუმროს მახლობლად ბორცვზე უნდა აიგოს კოშკი, სადაც შიშიანობის დროს შეინახება ყველაფერი, რაც სასტუმროს სჭირდება, რომ ვერავინ მიიტაცოს (გეორგიკა 1963,135, 4).

არის კიდევ მეორე, მარმარის სასტუმრო ხიდის მახლობლად, მესამე სასტუმროც ზღვის ნაპირას, წმინდა ნიკოლოზის მონასტერთან – ისინი გრიგოლ ბაკურიანის ძემ ააშენა და დააფუძნა თავისი ნეტარი ძმის – აბაზის სულის საცხოვნებლად. ორივეგან მგზავრებს და გლახაკებს უნდა ემსახურებოდეს თითო გამორჩეული მონაზონი, რომლებიც იმდენივე გასამრჯელოს მიიღებენ, რამდენსაც სტენიმახელი (გეორგიკა 1963,135, 2).

მარმარის სასტუმროს სოფელ ზრავიკის შემოსავლიდან ყოველდღე მიეცემა ერთი მოდი დიკა და ერთი მეტრო ღვინო, და ერთი გლეხი მიამაგრონ, რომელიც ყველა საქმეს გაუკეთებს (გეორგიკა 1963,135, 6).

წმინდა ნიკოლოზის სასტუმრო სოფელ პრილონგის შემოსავლიდან მომარაგდება – მიეცემა ერთი მოდი დიკა და ერთი მეტრო ღვინო დღეში, წვნიანისთვის – ცერცვი და მხალი. იქაც ეყოლებათ ერთი გლეხი სხვადასხვა დავალების შესასრულებლად – აღნიშნულია, რომ უნდა უზიდოს შეშა და წყალი (გეორგიკა 1963,135, 7).

ბოლოს, გრიგოლ ბაკურიანის ძე ფიცით სთხოვს მონასტრის მომავალ წინამძღვრებს, ღვთის გულისათვის არაფერი, მათთვის დაწესებულთაგან, არ დააკლონ ამ სასტუმროებს. თუ ღვთის ნებით, შემოსავალი გაიზრდება, სასტუმროებიც უკეთესად მოამარაგონ, თუ არა, რაც დაუწესებია, ის სახმარი იყოს მუდმივი, მტკიცე და ურყევი (გეორგიკა 1963,135, 8,9). თუ ვინმე მომავალში შეცვლის დადგენილ სტუმართმოყვარეობის წესს, დიდ შეცოდებად ჩაეთვალოს და ჩვენი ცოდვების მზიდავი იყოს, – ამბობს ბოლოს ქტიტორი (გეორგიკა 1963,137, 10).

ამ თავში ყურადღებას იქცევს ის, რომ სტენიმახის სასტუმროს მხოლოდ ერთი გლეხი ემსახურება, შეშაც იმას მოაქვს, საზრდოსაც უნაწილებს და მონაზვნის გასამრჯელოსაც ის იღებს, როცა ორ დანარჩენ სასტუმროში მესტუმრე-მზრუნველი სიკეთით, გონიერებითა და სამართლიანობით გამორჩეული მონაზონია, გლეხი – მხოლოდ ეხმარება. შესაძლოა, გადამწერს გამორჩა – ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული არ არის.

ქართულ ტექსტში იხსენიება **სტენიმახში ერთი სარწმუნო მონაზონი მემწირედ და ერთი სხვა საქმისგან გათავისუფლებული, ხარ-ურმის მქონე გლეხი**, როგორც მარმარისა და ნიკოლწმინდის მონასტრის სასტუმროებში. გახურებული ფურნე და თორნე – **ზამთრის დღეებში** – არის ჩამატებული (შანიძე 1985, 107, 2). საყურადღებოა ნიკოლწმინდის სასტუმროს მისაცემელთაგან – დიკა ერთი მოდი, ღვინო – **საწყაული ერთი**, როცა სტენიმახისა და მარმარის სასტუმროებისთვის ერთ ლიტრას ასახელებს — ე.ი. ერთი ლიტრა ერთი საწყაულია, ზუსტად რამდენი, ვერ მოვიძიე. ი. აბულაძის ლექსიკონით – ლიტრა, დაახლოებით ერთი გირვანქა, სითხის საწყაო არ არის (აბულაძე 1973, 209).

საყურადღებოა განსხვავება ქართულსა და ბერძნულ ტექსტებს შორის სტენიმახის სასტუმროსთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს დიდი კაცთმოყვარეობა და უცხოთშემწყნარებლობა, რომელსაც გრიგოლ ბაკურიანის ძე იჩენს²¹.

თავი ოცდამეათე, შესახებ ჩვენი მონასტრის ჩემ მიერ დადგინებული პირველი წინამძღვრის, ესე იგი გრიგოლ მონაზონის სახსენებელისა სიკვდილის შემდეგ (3 მუხლი). გრიგოლ ბაკურიანის ძე წერს, რომ ადრიდანვე შეუყვარდა მამა

²¹გ.დილის გამოკვლევით, ყველა ეს იყო სრულიად უფასოდ და გამოთვლილია, რომ ამ სასტუმროებში წელიწადში 15–20 000 კაცი პოულობდა თავშესაფარს (გეორგიკა 1963, 09–10. **სქოლიო**)

გრიგოლი (ვანელი), რომელსაც სჯეროდა მისი, გულითადად ემსახურებოდა, ლოცულობდა მისთვის, ხელმძღვანელობდა მშენებლობასა და უვლიდა მონასტერს; ამიტომ განსაკუთრებული სიყვარული და თანალმობა დაიმსახურა (გეორგიკა 1963,137, 1).

გრიგოლ წინამძღვრის სიკვდილს ტიპიკონის ავტორი ძალიან დაუძწობდა. დაუწესებია, რომ მამა გრიგოლი მოიხსენიონ გრიგოლ ღვთისმეტყველის დღესასწაულის დღეს; ბრძანებს, რომ ამ დღეს ძმებს ყოველგვარი საქმელებითა და სასმელებით გაუმასპინძლდნენ; გლახაკებს დაურიგონ 6 დრაჰკანი; მისი გარდაცვალების დღეს, მესამე დღეს, ორმოცსა და წლისთავზე ყველაფერი შესრულდეს ისევე, როგორც ზემოთ წერია წინამძღვრის შესახებ (გეორგიკა 1963,137, 2).

თუ ხსენებული – ალბათ, ახალარჩეული – წინამძღვარი დაიცავს ყველაფერს, რაც ტიპიკონშია გაცხადებული, კარგად მოუვლის ძმობასა და მონასტერს, დალოცოს ღმერთმა! თუ არა, წყეულიმც იყოს და უცხო იყოს ჩვენი მონასტრისა და მისი ძმობისათვის (გეორგიკა 1963, 137–139, 3).

ქართული ტექსტიც აწესებს წინამძღვარი გრიგოლის გარდაცვალების დღეს, აგრეთვე, მესამე, მეცხრე – რაც ბერძნულ ტექსტში არ არის – მეორმოცედღეებსა და წლისთავზე დადგენილი მსახურების აღსრულებას (შანიძე 1985, 109).

ამ თავშიც, ისევე, როგორც სხვაგან, მიცვალებულთა მოხსენიებისას ქართული ტექსტი აღნიშნავს მსახურებას გარდაცვალების მეცხრე დღეს.

საყურადღებოა გრიგოლ ბაკურიანის ძის მადლიერება ადამიანის მიმართ, რომელიც მხარში ედგა და ერთგულად ემსახურებოდა კეთილ საქმეში.

თავი ოცდამეთერთმეტე, შესახებ ნორჩი ჭაბუკებისა, რა წრეში უნდა ტრიალებდნენ და იზრდებოდნენ, და როგორ უნდა სწავლობდნენ საღმრთო წიგნს (6 მუხლი). ტიპიკონის შემდგენლის განკარგულებით, ყველა ქრისტიანული წესის დაცვით, ჭაბუკები, რომელთაც სასულიერო სამსახურისთვის ამზადებენ, განწესებულნი არიან წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, იქ უნდა იზრდებოდნენ და სწავლობდნენ. მათთვის ზრუნვა და ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ერთ მოხუცებულ, სიკეთით სავსე და მცოდნე მონაზონს, რომელიც ასწავლის მათ საღმრთო წიგნსა და მღვდელმსახურებას წმინდა ნიკოლოზის ტაძარში. იგი

ღებულობს როქსა და თავის სახმარს უკლებლივ ისევე, როგორც დიდი მონასტრის მისი დასის ძმები (გეორგიკა 1963,139, 1).

ამ მღვდელმა კვირაში სამ დღეს უნდა აღასრულოს ჟამისწირვა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში: ერთ დღეს უნდა მოიხსენიოს მაშენებელთა მამა, ბაკურიანი, მეორე დღეს – მისი ღვიძლი ძმა ხოსროვანი, ხოლო მესამე დღეს – ამ ხოსროვანის შვილი ბაკურიანი (გეორგიკა 1963,139, 2).

გრიგოლ ბაკურიანის პემ დააწესა, რომ წმინდა ნიკოლოზის ამ მონასტერს დიდი მონასტრიდან ეძლეოდა მღვდელმსახურებისათვის საჭირო საკმეველი, ზეთი, სანთლები, სეფისკვერი და ზედაშე (გეორგიკა 1963,139, 3).

იმ მოხუცებულ მღვდელთან უნდა ისწავლოს ექვსმა ბავშვმა. თავიანთ საზრდოს, ყოველგვარ სამოსელსა და ყველაფერს, რაც სჭირდებათ, ისინი მიიღებენ დიდი მონასტრიდან და იყვენენ ნიკოლწმიდაში, სანამ არ განისწავლებიან და მიაღწევენ მღვდლობის ასაკს (გეორგიკა 1963,139–141, 4).

წვერი რომ წამოეზრდებათ, ვინც ღირსია, მღვდლობის ხარისხში ავლენ და კანონის მიხედვით, დაიდგინებიან მონასტერში სხვა მღვდლებთან ერთად ჟამისწირვის შესასრულებლად, თუ არ არის დაკლებული მღვდელთა განსაზღვრული გუნდი. ისინი მიიღებენ უკლებლივ ყველაფერს, რასაც ღებულობენ პირველი ჟამისმწირველები (გეორგიკა 1963,139–141, 5).

ვინც არ იქნება მღვდლობის ღირსი, განიძვეება თავისივე მიზეზით. ამასთანავე, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ჭაბუკთა რაოდენობა ყოველთვის ექვსი უნდა იყოს (გეორგიკა 1963, 141,6).

ქართულ ტექსტში განსხვავებულად იკითხება სათაური: „მოყმეთათვის დიაკონთა“... ბერძნულ ტექსტში აღნიშნული სეფისკვერის ნაცვლად აქ წერია „მხვმელი“ (იხ.ლექსიკონი). დამატებულია კიდევ, რომ ეს ჭაბუკები უნდა ჰასაკად მოვიდნენ, ანუ მღვდლობის ასაკიც უნდა შეუსრულდეთ (ჰასაკი – გარეგნული სახეა, ე.ი. გარეგნულად დაკაცებული უნდა იყოს) – მხოლოდ წვერის ამოსვლა არაა საკმარისი – რომ მღვდლად იკურთხნენ და დიდ ტაძარში დაეწესონ, რომც არ აკლდეს პირველად განსაზღვრულ მღვდელთა რაოდენობას. მათაც სრულად მიეცემათ ყოველივე ის, რაც ჟამისმწირველისათვის არის დაწესებული. ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი ბუნდოვანია: ... „დადგინდნენ მონასტერში დანარჩენ

მღვდლებთან ერთად ჟამისწირვის შესასრულებლად, თუ არ არის დაკლებული მღვდელთა განსაზღვრული გუნდი“ (გეორგიკა 1963, 139–141, 5).

ქართული ტექსტი გამართულია: “ზუცად იკურთხენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღვდელთა, თუცა თუ არა დაჰკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღვდელთასა“ (შანიძე 1986, 110, 5).

მღვდლობის ღირსი ვინც არ იქნება, გაუშვებენ – აღნიშნულიარ არის, რა მიზეზით და სად – მაგრამ ნიკოლწმინდაში ყოველთვის უნდა იყოს ექვსი მოსწავლე.

ამ საკითხზე, პეტრიწონის სასწავლებელთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესო გამოკვლევა აქვს ისტორიის დოქტორს, ქ–ნ თამარ ფარჩუკიძეს:

პატივცემული მეცნიერი გვამცნობს, რომ გელათის კარიბჭის ბარელიეფურ კომპოზიციაში პროფ. რ. სირაძემ (სირაძე 2003) წიგნისა და მზის სიმბოლოები ამოიკნო, სადაც მზე იესო ქრისტეს სიმბოლო, ხოლო წიგნი – ღვთისმშობლის ქრისტოლოგიური სახეა. ანუ „XI საუკუნიდან ქართულ სამონასტრო სივრცეში ჩნდება არქიტექტურული ფორმით გამოხატული ქრისტოლოგიური შინაარსის საგანმანათლებლო სიმბოლიკა“. ქალბატონმა თამარმა ღრმა კვლევისა და ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ გელათის ემბლემის პირველწყარო უნდა იყოს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის საგანმანათლებლო ემბლემა (ყეინაშვილი), რომელიც ჩვენამდე მოღწეულია გრაფიკული ჩანახატის სახით. გელათური (1106–1110 წწ.) ბარელიეფი იმეორებს პეტრიწონის (1083 წ.), თავისი წინამორბედის ფორმასადა შინაარსს და პეტრიწონის ემბლემის მოდიფიცირებულ, განვითარებულ ვარიანტს წარმოადგენს. წიგნი (ჩვენს შემთხვევაში გადამლილი) განსწავლულობის ზოგადსაკაცობრიო იდეის საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა და მაცხოვართან, მოციქულებთან და წმინდანებთან ერთად ქრისტიანულ ტაძრებზე გამოსახული სახარების სიმბოლოა. პეტრიწონის სემინარიის კარიბჭეზე გამოსახულია შუადღის მზე, გელათის ბარელიეფზე – „მზე ბრძანებისა“, ანუ ნაშუადღევის მზე. სიმბოლური სახისმეტყველებით რომ წავიკითხოთ, ეს ემბლემა გამოხატავს, ერთი მხრივ, საღვთისმეტყველო – წიგნი და მზე; მეორე მხრივ, მსოფლმხედველობრივ – იერუსალიმი და ათენი – კონცეფციას.

მეცნიერის მოკვლევით, თანადროული სივრცის განათლების სფეროში არ არსებობს პეტრიწონის ემბლემაზე ადრეული სიმბოლო. ქ–ნ თამარს მიაჩნია, რომ

საგანმანათლებლო სიმბოლოს იდეა უნდა მომდინარეობდეს ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პეტრიწონის აკადემიაში მოღვაწე იოანე პეტრიწის მსოფლხედვიდან, რაც ლოგიკურია პლატონის აკადემიასთან მიმართებაში. ნეოპლატონიკოსი ღვთისმეტყველის მოღვაწეობა გულისხმობდა ახალი ტიპის საგანმანათლებლო სასწავლებლის იდეასაც, რომლის განსახორციელება მოხდა კიდევ ორიგინალურ ემბლემაში.

საკითხის კვლევიდან გამომდინარე, ავტორი გამოთქვამს საფუძვლიან ვარაუდს, რომ ემბლემის ავტორი შეიძლება იყოს თავად იოანე პეტრიწი (ჭიმჭიმელი), მასვე, გელათის აკადემიის პირველ მოძღვართმოდღვარს, შეეძლო, საქართველოში ჩამოეტანა და განეხორციელებინა პეტრიწონის სასწავლო ცენტრში უკვე არსებული სიმბოლოს იდეა და დამაჯერებელი არგუმენტებიც მოაქვს საბუთად.

მეცნიერი ცოდნისა და რწმენის სინთეზის, სინათლის ესთეტიკის ვიზუალურ-გამომსახველობითი ტრადიციის სათავეს ეძებს ათონის ივირონში არსებული აკადემიის მსოფლხედვაში, რისი დამახასიათებელიც არის დროისა და სივრცის ცნებებით აზროვნება და იხსენებს პროფ. უსპენსკის მიერ 1840 წელს ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოტანილ ათონელ მონაზონთა დუმილის ემბლემას. მასზე გამოსახულია მზის დისკო ოთხი სამკუთხა სხივით, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიყვარული, სინათლე, იმედი და რწმენა; ათონელ ბერთა მისტიური აზროვნების გრაფიკული სიმბოლო საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ მისი შესაძლო კავშირი ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოებთან, რომლებიც, თავიანთი ბუნებით, რენესანსულია.

პეტრიწონის სიმბოლო, ერთი მხრივ, გადავიდა გელათის აკადემიაში, მეორე მხრივ, მომდევნო პერიოდის ევროპის უმაღლეს სკოლებს უკარნახა რწმენისა და ცოდნის ერთიანობის სიმბოლური მოდელირების შინაარსი. კერძოდ, იმჟამინდელი ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, პეტრიწონის ემბლემამ საფუძველი ჩაუყარა სწავლების პროცესთან ასოცირებული და შემდგომში განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკურ გამოსახულებებში ყველაზე გავრცელებული ნიშნების – წიგნისა და მზის გამოსახულების დამკვიდრებას.

კიდევ ბევრ საინტერესო საკითხს ეხება თამარ ფარჩუკიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეში (ისტორიის, არქეოლოგიისა და

ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 2018) გამოქვეყნებულ სტატიაში „პეტრიწონი 935 (პირველი ქართული საგანამანათლებლო სიმბოლოს ისტორიისათვის)“, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის გადმოვეცით, რაც ჩვენს თემასთან არის დაკავშირებული.

თავი ოცდამეთორმეტე, შესახებ ყანების ან მამულების გაცემისა ან გაყიდვისა მონასტრიდან ცალკე პირებზე (2 მუხლი). გრიგოლ ბაკურიანის ძე კრძალავს მამულების გაცემას და გაყიდვას და აწესებს, რომ არავითარ შემთხვევაში, არასოდეს უფლება არ ჰქონდეს პეტრიწონის მონასტრის წინამძღვარს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მონასტრების წესისამებრ, მისცეს რომელიმე ძმას რამე მონასტრის ქონებიდან ან საგლებო ადგილთაგან, არც სხვა მიწა, არც ბაღი და ვენახი, არც სხვა ამგვარი რამ ხსენებული მონასტრის კუთვნილთაგან, რათა არ დაირღვეს საუკეთესო ერთობა და თანხმობა ძმებისა (გეორგიკა 1963, 141, 1).

მით უფრო, არ შეიძლებოდა გაყიდვა. მაშენებელი ხაზგასმით წერს, რომ არ რთავს არც გაყიდვის, არც ვინმეზე გაცემის ნებას, სრულიად მტკიცედ და ღმრთისა და წმინდანების დამოწმებით; ასეთი რამ არც კი უნდა იფიქრონ, რომ რამენაირად გაიყიდოს რამე წმინდა მონასტრის კუთვნილებიდან რომელიმე პირზე, გარდა გლეხებისა, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, მონასტერს ემსახურებიან (გეორგიკა 1963, 141, 2).

ქართულ ტექსტში სათაურშიც და მერვე გამოყენებულია „საკარგავი“: „საკარგავისა არავისდა მიცემისათვის, არცა განსყიდისა“. გრიგოლ ბაკურიანის ძეს დასაშვებად მიაჩნია, მიწა საკარგავად (დროებით სარგებლობაში) მიეცეს მხოლოდ მონასტრის გლეხებს, რომლებიც ამისთვის თანა–ნადებს გადაიხდიან (შანიძე 1985, 111, 2).

თავი ოცდამეცამეტე, შესახებ იმისა, რომ მტკიცედ დაიცვან ხშირად ხსენებული და ღვთის შეწევნით ახალაშენებული ჩვენი ყოვლად პატიოსანი მონასტრის ტიპიკონური განაწესის წინამდებარე გუჯარი და რომ მისი შინაარსიდან, რაც ჩვენ მიერ არის დაწესებული, არაფერი არ შეიცვალოს ან გადასხვაფერდეს, ან რამენაირად შემცირდეს (1 მუხლი, ქართულში – 2). ამ თავში გრიგოლ ბაკურიანის ძე ღმერთს აფიცებს მის შემდეგ მომავალ წინამძღვრებსა და დანარჩენ ძმებს, მათ მრევლსა და ხელქვეითებს, და რისხავს, არ გაბედონ მონასტრისთვის მის მიერ დაწესებულის გადასხვაფერება, შეცვლა, გაუარესება, მისი განსაზღვრული

დებულებების უგულებელყოფა, ან ამ ტიპიკონის შეცვლა, რაიმეს გამოკლება ან გადაკეთება, მოსპობა, მოპარვა, მონასტრიდან გასხვისება და მის მიერ დადგენილის დაკლება – ამის ჩამდენს დასჯის ღმერთი, პასუხისგება მოუწევს ბაკურიანის ძევა ცოდვებისათვის ქრისტეს წინაშე განკითხვის დღეს (გეორგიკა 1963, 143).

ქართულ ტექსტს (თავი, 33) უფრო ვრცელი და ინფორმაციული სათაური აქვს: „კრძალვით დამარხვისათვის გუჯარისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ტიპიკონი, და რაფთა ეკლესიისა ჩუენისა დღესასწაულსა და სამთავე წმიდათა მარხვათა შემოსლვასა წარიკითხვოდის ტიპიკონი ესე საეროდ სრულებით“; ე.ი. მარიამობას, 14 აგვისტოს და ქრისტეს შობის, აღდგომის, ანუ დიდი მარხვის და მოციქულთა მარხვის დასაწყისში, წელიწადში ოთხჯერ ხმამაღლა კითხულობდნენ, სავარაუდოდ, ტრაპეზის დროს.

ქართულ ტექსტში უფრო ზუსტად წერია, ვინ შეიძლება მოინდომოს რამის შეცვლა: „წინამძღუარმან ანუ ძმათაგანმან ვინმე, ანუ—თუ სხუამან რამანცა გუარმან კაცმან“, და ასეთი ღმერთმა დასაჯოს (შანიძე 1986, 111, 1).

დამატებულია მეორე მუხლი: ვინც მოკრძალებით და შიშით დაიცვას წმინდა მამათაგან განწესებული ეს ტიპიკონი, ჩვენი დამტკიცებული განსაზღვრებანი, ღმერთმა აკურთხოს (შანიძე 1985, 111–112, 2).

ტიპიკონის საჯაროდ წაკითხვა, უმეტესად ტრაპეზის დროს, მიღებული პრაქტიკა იყო მართლმადიდებლურ მონასტრებში – ასეა პეტრიწონშიც – და მისი განუხრელი დაცვა მონასტრის წინამძღვრისთვის ყველა დროში სავალდებულო იყო.

თავი ოცდამეთოთხმეტე;სამღვდელო განძათვის და წმინდა პატიოსანხატათვის და ყოველგვარ პატიოსან იმ სამკაულათათვის, რომლებიც დაგვიმტკიცებია, შეგვიწირავს და მიგვიცია ჩვენ ხსენებული წმინდა მონასტრისათვის და აგრეთვე მის განკარგულებაში მყოფ მძოველ ცხოველთა და დანარჩენ ოთხფეხთათვის. გრიგოლ ბაკურიანის ძე ჩამოთვლის წმინდა ხატებს და სამკაულებს, რომელიც წმინდა მონასტერს შესწირა. უპირველესად აღნიშნავს მინანქრიან ორ ოქროს ხატს, რომლებშიც ჩაყოლებულია პატიოსანი ძელის ნაწილები. ქართულ ტექსტში არის „ხატნი ოქრომსანი შემეფტონითა“, აგრეთვე, ფერისცვალების დიდი მინანქრიანი ხატი; ღვთისმშობლის პატარა ხატი კარელი; მინანქრიანი თვლებიანი დიდი ჯვარი, აგრეთვე ჯვარი ვერცხლისა, სასარდლო წითელთვლებიანი

და ოქროთი მოჭედილი ხის ჯვარი იაგუნდის თვლებით; ხატი ჯვარცმისა კარედი, ქვისა; წმ. გიორგის ვერცხლით მოჭედილი ფერწერული ხატი; 27 ხის ხატი ფურცლოვანი და ერთი კანკელი 12 დღესასწაულის გამოსახულებით; წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს ხატები სარუთით და ვერცხლით მოჭედილი; ვერცხლის, მოოქროვილი, თვლებით შემკობილი ბარძიმ-ფეშხუმი; ასევე სხვა ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა 3 წყვილი. აგრეთვე ბარძიმი ოქროსი იასპით და მინანქრიანი; ვერცხლის სასაკმევლები, საცეცხლურები, წმ. ნაწილების ყუთი; ორი ვერცხლის ქორაკანდელი, ერთი მოოქროვილი; აგრეთვე წიგნები: ვერცხლით შეჭედილი, მოოქროვილი, ქართული ოთხთავი; კიდევ ოთხი სხვა სახარება; წიგნი ღვთისმეტყველი; წიგნი მრავალთავი; წმ. ბასილის „ითიკა“; ორი წიგნი ღვთისმშობლის ცხოვრება; „თთუენი“ სამი: სვინაქსარი ერთი; ორი სამოციქულო; წიგნი დავითნი ერთი; წიგნი, რომელიც შეიცავს წმ. სიმეონის საკვირველმოქმედებას; წმ, მაქსიმეს ორი, „კლემაქსნი“ ორი, ევხოლოგიონი ორი, რვა ხმათა საგალობელი ერთი, პარაკლიტონი ოთხთა ხმათა ერთი, წმ. ისააკის ერთი და ერთი გამოკრებული თთუენი. აქვე ჩამოთვლილია ის ტანსაცმელი, რომელიც შესწირა ეკლესიას: ოთხი სამეფო დურა, სკარამანგი, 5, ორი მოწეული ოქსიკატორი; ორი სკარამანგი; ოთხი წმინდა საკურთხევლის საბურავი; მღვდლის შესამოსლები; ომოფორები; 12 დიდი და 2 პატარა სპილენძის შანდალი; კანკელის მთლიანი შანდალი ერთი თავისი შანდლებითურთ; ორ-ორი კამაროვანი და პატარა შანდალი; 21 ტარიანი და უტარო დრაკონტარი (დროშა); 17 ქორა კანდელი; წყალკურთხევის ჯამები; სესტიონი, ჭიქის სასმისები და სხვადასხვანაირი კანდელები; გრიგოლ ბაკურიანის ძემ მონასტერს შესწირა აგრეთვე მუშა და მეწველი პირუტყვი: 110 ცხენი, 15 ვირი, 4 ფურკამეჩი და ორი ხბო, 47 უღელი მუშა საქონელი, რომლებიც მონასტრის მამულებშია დანაწილებული; 72 ძროხა და ხარი; 238 მეწველი ცხვარი, 94 ვერძი და 52 თხა (გეორგიკა 1963, 143–151).

თავი ოცდამეთხუთმეტე, ოცდამეთექვსმეტე, იმ ოქრობეჭდთა შესახებ, რომლებიც კონსტანტინოპოლის მაცხოვრის დიდ ეკლესიაში და პეტრიწონის მონასტერში ინახება; სახელმწიფოსთან ეკლესიის ურთიერთობის საკითხი პეტრიწონის წესდების მიხედვით. სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს გრიგოლ ბაკურიანის ძე. პეტრიწონის ტიპიკონში ეს საკითხი განხილულია მე-3 თავში, იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ

აგებული წმინდა მონასტერი თავისუფალია გადასახადისაგან (იხ. ზემოთ). კატეგორიულად წერია, რომ ეს მონასტერი არ ექვემდებარება არავითარ გადასახადს, არც სამეფოს, არც საპატრიარქოს, არც მიტროპოლიტისას, ან ეპისკოპოსისას, ან სხვა რომელიმე საეკლესიო ან სამთავრო პირისას, ან რომელიმე ჩვენი შინაური ნათესავისას... თავისუფალია აგრეთვე ყოველგვარ საერო მთავართაგან და მეთაურთაგან... როგორც ამას ყველანი აღნიშნავენ სამეუფო ოქრობეჭედში (გეორგიკა 1963, 37, 5–6).

ამ საკითხს ავტორი კიდევ ერთხელ უბრუნდება ტიპიკონის 35–ე თავში იმ ოქრობეჭედთა შესახებ, რომლებიც დაცულია კონსტანტინოპოლში, ღვთის (მაცხოვრის) დიდ ეკლესიაში და ჩამოთვლილია:

სამი ოქრობეჭედი ანატოლიაში არსებული ჩვენი მამულების შესახებ, ანუ ერთი – ანისის მხარისა, ხოლო მეორე ტაოს მხარისა და სხვა კიდევ ჩურმერისისა.

ორი ოქრობეჭედი ჩემი მამულების შესახებ, რომლებიც არმენიაკთა თემშია.

ერთი ოქრობეჭედი ქალბატონ ეფროსინეს მონასტრისა სოფელ ლივადიონში.

სამი ოქრობეჭედი კირ მიხაელისა, ჩემი მამულების შესახებ, რომლებიც მოსინიპოლში არის.

ორი ოქრობეჭედი დასტურად იმისა, რომ დიდ დომესტიკოსად მოღვაწეობის დროს ბრალი არაფერში მედება.

ერთი ოქრობეჭედი ვანისკას ციხე–სიმაგრისა და სოფელ ჩერვენის შესახებ.

ოქრობეჭედი ჩემს მამულებში ციხეების, სოფლებისა და მონასტრების აშენების შესახებ.

ოქრობეჭედი პეტრიწონის მონასტრის უფლებებისა, თვითმფლობელობისა და თავისუფლების შესახებ, აგრეთვე ჩემი მამულების მონასტრისთვის დამტკიცების თაობაზე.

ორი ოქრობეჭედი სპაზმატისა და პანკალიწის შესახებ.

ორი ოქრობეჭედი მამულების შესახებ ახრიდონში, სოფლებში სიკონი და ხარპეტიკიონი.

ოქრობეჭედი ხახულის მონასტრის სამღვდელო საქმეების შესახებ.

ოქრობეჭედი, რომლითაც დასტურდება, რომ მე მაქვს უფლება, გადავცე ჩემი მამულები თუნდაც სომხური სარწმუნოების ნათესავებსა და ყმებს.

ოქრობეჭდის პირი ფილიპოპოლის მამულების შესახებ.

კიდევ სამი ოქრობეჭდის პირი ფილიპოპოლის მამულების შესახებ.

ოქრობეჭდის პირი ჩემი თეოდოსიუპოლში მოღვაწეობის შესახებ.

სამეფო სიგელი ჩემი მამულების საგადასახადო სიიდან ამოღების შესახებ.

სამი პიტაკი გადასახადის მოკვეთის შესახებ.

პიტაკი ზმოლენის თემის შესახებ.

პიტაკი აია სოფიაში დაცული ჩვენი ოქრობეჭდებისა და და სხვა უფლებათა დასამტკიცებლად.

ზრავიკის ისოკოდიკონი (საგადახადო დავთარი) და ამ სოფლის მცხოვრებთა ხელწერილები.

სოფელ პრილონგის ისოკოდიკონი.

მოსინოპოლში ვარდანის ეზოსა და პაპიკიონში წმინდა გიორგის მონასტრის ნასყიდობის ქაღალდები.

ზმოლენის თემის საჩივრის გამო ჩატარებული შემოწმების საბუთები.

ფილიპოპოლის მამულების აღწერა.

მოსინოპოლის მამულების აღწერა, აგრეთვე იკონომოსის საბუთები სახელმწიფო გადასახადების შესახებ.

ბერძნულში შეწირულობათა ჩამოთვლას მოსდევს ბოლო, უსათაურო მონაკვეთი ტიპიკონის დაწერის თაობაზე... „წინამდებარე ტიპიკონი სრულიად პატიოსანი ჩვენი მონასტრისა, რომელიც არის პეტრიწონის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა, დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად 6592 წელს, დეკემბრის თვეში, მეშვიდე ინდიქტიონს (1084 წელი) და ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ, ესე იგი, სათნო გრიგოლის და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ, სომხური ასოებით და იერუსალიმის უწმინდესი პატრიარქის, უფალ ექვთიმეს მიერ დასამტკიცებლად და სარწმუნო– ყოფად ყველაფერ იმისა, რაც შიგ არის ჩამოწერილი... (გეორგიკა 1963, 157, 1).

დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის მონაზონნი ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; ამიტომ საჭიროა, ეს

ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც²² (გეორგიკა 1963,159, 2).

სიმტკიცე უნდა ჰქონდეს... საყოველთაო ბერძნულ დაწერილობას; „...მისი პირიც აგრეთვე დაიწერა და დაიდვა პანაგიის ყოვლად პატიოსან მონასტერში, რომელიც არის ღვთივ-დაცულ ქალაქში, რათა სამუდამოდ იქ იდვას და დაცულ იქნეს ამ მონასტერში“ (გეორგიკა 1963,159, 4).

თუ „...ვინმე... ეცდება, დაარღვიოს ამ ტიპიკონში დაწერილი წესები და მის დასაშლელად და მოსასპობად იმოქმედებს, პანაგიის ხსენებულ მონასტერში შენახული ტიპიკონი იქნება გამოჩინებული და მხილებული იქნება ის, ვინც გაბედა, ასეთი შეუფერებლობა ჩაედინას:ის დასჯილი იქნება, როგორც შეეფერება, აზღვევინებენ, თუ რამ შესცოდა, და მონასტრიდანაც გაძევებული; ეს ტიპიკონი კი კვლავ დაიდება პანაგიის ხსენებულ მონასტერში: სრულიადაც არ გვსურს, მის გარეთ ან ქალაქის გარეთ იქნეს გადატანილი ან გადამალული...“ (გეორგიკა 1963,159, 5).

„...ვაფიცებთ ამ მონასტრის (პეტრიწონის) წინამძღვრებს ან დანარჩენ ძმებს... ღვთისმშობლის სახელით, რათა ეს ჩვენი სურვილი ძალაში იყოს და დაცულ იყოს მასში ჩვენი მონასტრის ტიპიკონი და თუ ვინცობაა, დასჭირდებათ ვინმე გარემეს მიერ რისამე საცილოდ გახდომის გამო ამ ჩვენს მონასტერში დადებული ტიპიკონი, ის უნდა გადაიწეროს და ეს გადაწერილი შეამოწმონ წინამძღვარმა და ძმებმა და ისე წაიღონ და გადაუგზავნონ მათ, ხოლო პირველდედანი, როგორც ითქვა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაძრული მონასტრიდან“ (გეორგიკა 1963, 159–160, 6).

ამას მოსდევს გრიგოლ ბაკურიანის ძისა და იერუსალიმის პატრიარქის ექვთიმეს ხელმოწერები:

„(მე, გრიგოლ ბაკურიანი, პატიოსანი და დიდი დომესტიკოსი დასავლეთისა, ხელს ვაწერ საკუთარი ხელით პეტრიწონის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონს) (160,7).

მე, ექვთიმე, ღვთის წყალობით პატრიარქი იერუსალიმისა, ჩვენი ქრისტე ღმერთის წმინდა აღდგომის ქალაქისა, პეტრიწონის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელობის, დასავლეთის პატიოსანი და დიდი დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის

²²გრიგოლ ბაკურიანის ძეს რომ ხელი სომხურად არ მოუწერია და ეს სიტყვა მერეა ჩამატებული, ეს უკვე აღვნიშნეთ (შანიძე 1986, 23).

ქართული მონასტრის წინამდებარე ტიპიკონს ხელს ვაწერ საკუთარი ხელით“ (გეორგიკა 1963, 160, 7).

ამ საკითხს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა აკაკი შანიძემ. მან დაამტკიცა, რომ სომხურად დაწერისა და სომხურად ხელმოწერის ვერსია მერმინდელი ჩამატებულია (შანიძე 1985, 29–35).

ხელმოწერის საკითხი მნიშვნელოვანია, ამიტომ მისი შინაარსის შემცველ ქართულ ტექსტს მოვიტანთ სრულად (თავი ხ⁷ 36): თანაც დასაწყისში ტექსტები მცირედ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

„დამტკიცებისათვის და დამარხვისათვის წესისა ამის განგებისა (შანიძე 1986, 119–121).

1. დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატრონისა მონასტრისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავლეთისა მიდამოჲსა, მისა ბაკურიანისაჲდა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა, თუესა დეკენზერსა, მეშუდესა ინდიკტიონსა, დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდა მეთორმეტესა.

2. და ქუემოდთ წარიწერნეს კელითა ჩემითა ზემოხსენებულისა გრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონნი, ხოლო ბერძულნი ორნივე წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა წმიდისა პატრიარქისა იერუსალემელისა ღირსისა ეფთჳმესითა, დასამტკიცებლად და სარწმუნო ყოფად ყოვლისავე, რომელიცა ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს...

3. და ამისთვის დაიწერა ბერძულად და ქართულად, რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ, და ჯერ–არს, რაჲდა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისკმა–ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა. ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა, რამეთუ დასასრულსა საქმისასა ქუემო წარწერილი მას უპყრიეს.

4. და შეიქმნა სწორი ამისი და დაიწერა ეგრევე სახედ და დაიდვა პატიოსანსა მონასტერსა პანაგიისასა, რომელ არს ღმრთივ დაცვულსა ქალაქსა სამეუფოსა, რადთა უკუნისამდე მუნ დაიმარხოვს მასვე მონასტერსა შინა

5. და უკუეთუ სადა, – ვითარ–იგი მე არა მწადის, – წინამძღუართაგანი ვინმე მონასტრისა ჩუენისათად, ანუ სხუად ვინმე ძმათაგანი მაოჯრებელად ზემო კსენებულისა ამის მონასტრისა, გინა პრასტინთა მისთა ანუ საკმართა იპოოს და შეურაცხ–ყოფად ეცადოს, რომელი–რად ტიპიკონსა ამას შინა წერილ–არს, ანუ თუ მეზრ დაქსნად ამისა, გინა წარწყმედად ისწრაფოს, ტიპიკონი იგი, რომელი პანაგიის [მონასტერსა] ნამარხევად ძეს, გამოიჩინოს და ემხილოს ესევეითარსა მას, რომელმან ეგვევითარი იგი უსამართლოებად ყოფად იკადროს და ქმნას, და ჯეროვნად განიწუართოს. და რადცა დაეკლოს, ეზღვიოს მას და თვთ განიძოს მონასტრისაგან. და კუალად ტიპიკონი იგი დაიდვას მონასტერსა პანაგიისასავე, და არა მნებავს რადთურთით გარეგან მონასტრისა, გინა სამეუფომსა ქალაქისა განსლვად ამისი, ანუ თუ დამალვად.

6. რომლისათვის ვაფუცებ მამასახლისთა, რომელნი ყოფად არიან მონასტერსა ჩუენსა და მის თანა ძმათა ყოველთა თავადსა წმიდასა ღმრთისმშობელსა, რადთა დაიმარხოვს მათ მიერ ნებად ჩუენი და შჯულის–დებად ესე და ამასვე მონასტერსა შინა დამარხულ იქმნას ტიპიკონი ესე მონასტრისა ჩუენისად. და თუ ვისმე უწყმდეს გარე განღებად ამისი სასარჩლომსა რადსამე საქმისათვს, ამისგან, რომელ არს მონასტერსა ჩუენსა, სწორი მისი დაიწეროს და დაიმტკიცოს წინამძღურისა და ძმათაგან და წარიცეს, ვითა თავადივე ტიპიკონი და, ვითარცა ვთქუთ, ნუოდეს ნუმცა განსრულ არს მონასტრისაგან ჩუენისა თავადი ტიპიკონი.

7.მტკიცე: არიან: ზემო: წერილნი: ესე: ნებითა: ღმრთისადთა:

8. რვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან და არა არს მათ შინა აღმოკუეთილი და ნუცაღა ვინ იკადრებს აღმოკუეთად!“

როგორც ვხედავთ, ორივე, ქართულ და ბერძნულენოვან ტექსტში აღნიშნულია, რომ სიმტკიცე, იურიდიული ძალა ბერძნულ ტექსტს აქვს – ეს გასაგებიცაა, რადგან მონასტერი ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ნებისმიერი დოკუმენტი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი და სათანადოდ დამტკიცებული. სწორედ ამიტომ იერუსალიმის

პატრიარქის ექვთიმეს ხელრთვა–დამტკიცება აქვს მხოლოდ ბერძნულ ტექსტს, რომელთაგან ერთი პეტრიწონის მონასტერში ინახებოდა, მეორე კი კონსტანტინოპოლის პანაგის მონასტრის წიგნთსაცავში უნდა ყოფილიყო დაცული საკონტროლოდ²³. თავად გრიგოლ ბაკურიანის ძემ სამივე ცალს მოაწერა ხელი:

„მტკიცე: არიან: ზემო: წერილნი: ესე: ნებითა: ლ~ათა:“ – როგორც იმ დროს მიღებული დამტკიცების ფორმულა მოითხოვდა. ამასთან, ზემომოყვანილი დამტკიცება და კიდევ ერთი წინადადება – **„ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა“** – როგორც მეტად მნიშვნელოვანი, წითურით (სინგურით) იქნებოდა გამოყვანილი (შანიძე 1986, 31). ბ–ნ ა. შანიძეს ამ საკითხზე ვრცელი და მნიშვნელოვანი კვლევა აქვს, დადგენილია, რომ „დაიწერა... სომხურად“ მერმეა ჩამატებული, რომ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე ეროვნებით სომეხი იყო და ტიპიკონს ხელი სომხურად მოაწერა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული (შანიძე 1985, 29–36) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ტექსტი იერუსალიმის პატრიარქის ექვთიმეს ხელმოწერით მთავრდება, ქართულს – კიდევ მოსდევს ერთი (37–ე) თავი – როგორ უნდა იდღესასწაულონ თორმეტი საუფლო და სამი სხვა საჩინო დღესასწაული – „ათორმეტთა საუფლოთა და სამთა სხუათა საჩინოთა დღესასწაულთათჳს, თუ ვითარ დღესასწაულობდნენ“.

გრიგოლ ბაკურიანის ძე აწესებს და ამცნებს ყველა შემდგომ მომავალ წინამძღვრებსა და „სულისა ჩვენისა მოურავთა“, მის მონასტერში დამკვიდრებულებს, რომ ქრისტე მაცხოვრის საუფლო დღესასწაულებს უბრწყინვალესად დღესასწაულობდნენ: ღამის თევით, გალობით; ეკლესია შემკობილ–განათებული უნდა იყოს სანთლებითა და კანდელებით, საკმევლის სურნელებით; უნდა დაიგოს უხვი ტრაპეზი, გლახაკები უნდა დააპურონ და ქველისსაქმე მისცენ ბაკურიანის ძეთა და მათი მიცვალებულების სულთა სახსნელად. უფრო ზუსტად, უნდა გააკეთონ შემდეგი (შანიძე 1986, 121, 1):

²³ ენციკლოპედია „ქართული ენის“ სტატიაში „პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი“, აღნიშნულია, რომ „ერთი ბერძნული ცალი, როგორც იურიდიული დოკუმენტი, სამეფო კანცელარიაში იყო დაცული კონსტანტინეპოლში“ (ქართული ენა 2008, 374), რაც სინამდვილეს არ შეეფერება – ქართულ და ბერძნულენოვან ტექსტებში რამდენჯერმეა ნათქვამი, რომ პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნული პირი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს, „დაიდვა პატიოსანსა მონასტერსა პანაგისასა“ (შანიძე 2008, 374-375).

ხარებას, ქრისტეს შობას, მიგებებას, განცხადებას, ფერისცვალებას, ბზობას ყველა მღვდელმა ჟამი წიროს გრიგოლ ბაკურიანის მისთვის; გაიშალოს უხვი ტრაპეზი; გლახაკებსა და უძღურებს დაურიგდეს ათი დრაჰკანი; ჟამისმწირველ ექვს მღვდელს განეყოს ორი დრაჰკანი (შანიძე 1986,121–122, 2–7).

„ეს ექუსნი საუფლონი დღესასწაულნი ჩემ გრიგოლისთვის, ზემო ჳსენებულისა ამის მონასტრისა მაშენებლისათვის გამიჩენიან, რადთა ჩემთვის აღაჰსა ჰყოფდნენ ამით სახითა, – წერს გრიგოლ ბაკურიანის ძე საკუთარი დამსახურების (სამართლიანადაც!) შეგრძნებით (შანიძე 1986,122, 8) და აგრძელებს, რომ ასევე განაწესებს და დაამტკიცებს თავისი სანატრელი ძმის აბაზ მაგისტროსისთვის, კერძოდ:

დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, აღდგომას, ამაღლებას, სულიწმიდის მოსვლის დღეს ყველა მღვდელმა ჟამი აბაზისთვის („ძმისა ჩემისათვის“) წირონ; ტრაპეზი დაიგოს ბრწყინვალე, გლახაკებს განეყოს ათი დრაჰკანი; ექვს ხუცესს მიეცეს ორი დრაჰკანი (შანიძე 1986,122, 9–13).

21–ე და 31–ე თავებში უკვე ითქვა, რომ დიდ ხუთშაბათს აღესრულება ხსენება კეთილად მსახური ერისთავთერისთავის, გრიგოლისა და აბაზის მამის ბაკურიანისათვის; გაიმართება მისთვის ლოცვა და ჟამისწირვა. მონასტრის წევრებისთვის დაიგება უხვი ტრაპეზი; გლახაკებს დაურიგდეს ოცდაორი დრაჰკანი და მაშინაც მიეცეს მღვდლებს ორი დრაჰკანი (შანიძე 1986, 122, 14).

ბაკურიანისა და მისი სახლის წევრების მოხსენიება აღესრულება ნიკოლწმინდის სოხასტერში. აქ კვირაში ერთ დღეს შეიწირება ჟამი ბაკურიანისთვის, ერთ დღეს – მისი ძმის ხუასროვანისათვის და ერთ დღეს – ბაკურიანის ძმისწულის ბაკურიანისთვის (შანიძე 1986, 110, 2).

ღმრთისმშობლის მიცვალების დღეს – პეტრიწონის ეკლესიის დღესასწაულზე – (15/28 აგვისტო), იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს (11/27 სექტემბერი) და გიორგიწმიდობას (10/23 ნოემბერი) მონასტრის ძმებს დაურიგდებათ თორმეტ–თორმეტი დრაჰკანი, ჟამის მწირველებსა და ყველა ძმას თანაბრად (შანიძე 1986,122–123, 15).

თავი მთავრდება შენიშვნით („ჯერ არს უწყებად“): თუ ხარება დიდ ხუთშაბათს დაემთხვა, ექვსიდან სამმა მღვდელმა ბაკურიანისთვის წიროს, სამმა –

გრიგოლისთვის შესაბამისი ანაზღაურებით. რაც გლახაკთათვისაა დაწესებული სადღესასწაულოდ, ყველაფერი გაიცეს (შანიძე 1986, 123, 16).

ასევე მოხდეს, თუ ხარება დიდ პარასკევს, დიდ შაბათს ან აღდგომას დაემთხვევა (შანიძე 1986, 123, 16).

ტიპიკონის ტექსტი მთავრდება ღვთის ხოტბით: „დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა! და დიდება ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა!“

როგორც ვხედავთ, პეტრიწონის ტიპიკონი მნიშვნელოვანი წყაროა XI საუკუნის საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის შესასწავლად. გადმოცემულია ქართველ დიდებულთა, ბაკურიანისა და მისი ვაჟების, გრიგოლისა და აბაზის ცხოვრება, მათი შრომა და ბრძოლა ბიზანტიისათვის, რასაც თავად ძმები ბაკურიანის ძენი ქრისტესთვის სამსახურად მიიჩნევენ. ჩანს, რომ „მხედრობათა შინა აღზრდილი“ გრიგოლი, დიდი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გონიერი, დაკვირვებული, ქართველი პატრიოტი, თანამემამულეებზე მზრუნველი, საქმით ქრისტიანი, ღვთის მცნებათა აღმასრულებელი ადამიანი იყო.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს აწუხებდა ომებში მის მიერ დაღვრილი სისხლი, თავისი და ძმის სულის საოხად ააშენა და ყველაფრით უზრუნველყო მონასტერი, შესწირა დიდძალი ქონება და ტიპიკონით დაუწესა, მათი ცოდვების მიტევებისათვის ელოცათ. ამავე დროს ზრუნავდა გლახაკებისა და მოგზაურ–მომლოცველთათვის და მათ თავშესაფრად სასტუმროებიც ააგო. მონასტერთან არსებობდა ღვთისმსახურთა მოსამზადებელი სკოლა. ქტიტორმა იზრუნა, რომ მონასტერი თვითთმმართველი, ყველასა და ყველაფრისაგან დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოფილიყო.

ძმობის წევრებს ტიპიკონის განუხრელი დაცვა, გულმოდგინე ლოცვა, მაშენებელთა მოხსენიება ევალებოდათ. ზოგადად, დიდი პატივით, ყველა წესის დაცვით კრძალავდნენ მიცვალებულებს. არის მცირეოდენი სხვაობა ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის. (მაგ.: ქართულ ტექსტში ყველგან აღნიშნულია, რომ მიცვალებულს მეცხრე დღესაც უხდიან პანაშვიდს, ბერძნულში კი ეს დღე არ იხსენიება).

3.2. შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი

XII საუკუნის დასაწყისის შიომღვიმის მამათა მონასტრის ტიპიკონი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმენტია. ეს არის პალესტინის საბა განწმენდილის ტიპიკონის სვიმეონწმიდური (ანტიოქია, შავი მთა) რედაქცია, რომელიც დიდმა ქართველმა მოღვაწემ არსენ იყალთოელმა თარგმნა და მისივე ინიციატივით დავით აღმაშენებელმა სახელმძღვანელოდ დააწესა მის მიერ ახლად აშენებულ შიომღვიმის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში.

შიომღვიმის ტიპიკონი მთელ საქართველოში გავრცელდა, მაგრამ მთლიანად ვერ განდევნა მანამდე არსებული გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ (XIV-XV საუკუნემდე კიდევ გამოიყენებოდა), რისი კვალი განსახილველ ტექსტში იძებნება.

შიომღვიმის მონასტრის ისტორიის შესახებ. შიომღვიმის მონასტერი დააარსა წმ. შიომ, რომელიც VI საუკუნეში „ბრძანებითა ღვთისათა და წინამძღრობითა სულისა წმიდისაჲთა... ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლად მოივლინა“ (საბინინი 1882, 193) იოანე ზედაზნელსა და მის თორმეტ მოწაფესთან ერთად განსამტკიცებლად ქრისტიანობისა.

ასურეთიდან მოსული ბერები ჯერ მცხეთაში ცხოვრობდნენ, შემდეგ ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ ევლავიოს კათოლიკოსის კურთხევით, იქიდან კი მიაშურეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, საითკენაც მიუძღვებოდა კაცთმოყვარე ღმერთი. ნეტარმა შიომ მცხეთის მახლობლად ”ჰპოვა ჩრდილოთ კერძო მდინარისა მას დიდსა, რომელ არს მტკუარი, ქუაბი ყოვლად მცირე, რომელი კმა-ეყოფოდა მფარუჭლად სხეულსა მას მისსა, ამას შინა დაემკვიდრა მარტოობით” (ძეგლები 1971, 127). მისი დაუცადებელი ლოცვა, მღვიძარება, სამოცი დღე ყოვლად მიუღებლობა საზრდელისა და სასუმელისა... ღუაწლნი მისნი, რომელი მოიწეოდეს მის ზედა განსაცდელნი ეშმაკისანი” (ძეგლები 1971, 129), ცად აღიწია. მას გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იოანე ნათლისმცემელსა და ანგელოზებთან ერთად, კვერთხის შეხებით გააძლიერა, „მისცა ხელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისა მცირედი...“ (ძეგლები 1971,129). უთხრა, რომ ამიერიდან ჭამადი ზეციდან მიეცემოდა: „ნუღარა გეშინის ბრძოლათაგან ეშმაკისათა, რამეთუ გაქუს მდიდრად მაღლი ღმრთისა და იქმნეს უდაბნოდ ესე აღსავსე კაცთა მიერ ღმერთშემოსილთა,

რომელნი მობაძავ იყვნენ ცხოვრებასა შენსა და მაქებელ შენდა ეგოს იგი უკუნისამდე” (ძეგლები 1971, 129). მართლაც, წმ. შიოს გამოუჩნდნენ მიმდევრები, ძმობა სწრაფად იზრდებოდა. შიო განსწავლიდა მათ, მაგრამ ბოლოს შეუძნდა კაცობრივი საზრუნავი, გამოითხოვა კურთხევა მამა იოანესა და ქართლის კათალიკოსისგან, მონასტრის წინამძღვრად დანიშნა თავისი პირველი მოწაფე, ევაგრე, გამოემშვიდობა ძმებს, დაუტოვა 160 ღმრთივმშვენიერი სწავლა და ჩავიდა ღრმა მღვიმეში, სადაც მოგვიანებით განისვენა კიდევ. ამ დროს აქ უკვე 2 500 კაცამდე მოსაგრეობდა, აშენდა ეკლესიებიც.

შიომღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთ-ერთი გამომცემელი და მკვლევარი ვალერი სილოგავა აღნიშნავს, რომ იმთავითვე მაღალი იყო მონასტრის იურიდიული სტატუსი. VI-XII ს-ის დასაწყისამდე იგი ქართლის კათალიკოსის მფარველობაში იმყოფებოდა. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა სამეფო საკუთრებად აქცია, გამოიყვანა ყოველგვარი იურიდიული დაქვემდებარებიდან და მზრუნველად სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი პირი – მწიგნობართუხუცესი მიუჩინა. მონასტერმა მიიღო საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადების შეუვალობის პრივილეგიები (სილოგავა 2003, 10). სწორედ ამ დროს აშენდა შიომღვიმის მთავარი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დიდი ტაძარი და დაიწერა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, “უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტი”, რომელშიც აღნიშნულია: „მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვით სულიერმა ბერმან მოძღუარმან ჩემმან იოვანე, რაძთამცა წესსა ზედა სვიმეონ-წმიდისსა დავსხენ მონასტრისა მღვმისა წესნი, რომელი თვთ მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად: უცთომელი გზად, და წესიერი ცხოვრებად, და ანგელოზებრი მოქალაქობად, რაძთა ღმრთისათვს ოდენ განკუთვნილნი, მას მხოლოსა, თვნიერ საწუთოთაჲსა ზრუნვისა ჰზრახვიდენ და წინაშე ღმრთისა მეოხებად კადნიერ იყვნენ” (სილოგავა 2003, 120, სტრ. 36-41).

საბაწმიდური ტიპიკონი შიომღვიმიდან გავრცელდა მთელ საქართველოში. მანამდე ერთადერთი იყო გიორგი მთაწმიდელის ნათარგმნი „დიდი სვნაქსარი“, ე.ი. მთლიანი, სრული რედაქცია აია სოფიის ტიპიკონისა, რომელშიც შეტანილია ელემენტები სტოდიელთა სავანისა და ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკისა... კორნელი კეკელიძემ აღნიშნა, რომ სწორედ იგი განაგებდა ქართულ

სადვთისმსახურო პრაქტიკას მეთორმეტე საუკუნემდე, თუმცა საბოლოოდ ხმარებიდან გავიდა მხოლოდ XIV-XV საუკუნეებში (კეკელიძე 1980, 575-6). აქვე აღვნიშნავთ, რომ ახალი ტექსტის გამომცემლებს (კოჭლამაზიშვილი, გიუნაშვილი) მიაჩნიათ, რომ გიორგი მთაწმიდელის ტექსტი XVIII ს-შიც მოქმედებდა დაამას გვიანდელ ხელნაწერთა არსებობაც უნდა ადასტურებდეს.

ტიპიკონის ხელნაწერები და გამოცემა. შიომღვიმის ტიპიკონის დედანი არ შემორჩენილა. დღემდე მოღწეული ტექსტის შემცველი ხელნაწერები XIII-XVIII საუკუნეებისაა, უძველესი, ე.წ. „შიომღვიმის ტიპიკონი“ და უამრავი ფრაგმენტი XIII საუკუნის შუახანებისაა.

ტიპიკონის ბოლო გამოცემაში აღნიშნულია, რომ ყველა ეს ხელნაწერი... ერთნაირი შემადგენლობისა და ხასიათისაა, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან მკვეთრად გამოხატული რედაქციული თავისებურებებით, რომლებიც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს (ტიპიკონი 2005, 10).

საბაწმიდური ტიპიკონის ქართული ვერსიის შესწავლა დაიწყო კორნელი კეკელიძემ. მან თავის სამაგისტრო დისერტაციაში (კეკელიძე, 1908) დაწვრილებით აღწერა შიომღვიმის ხელნაწერი; მისი ანდერძ-მინაწერების საფუძველზე დაადგინა, რომ იგი გადაუწერიათ 1172 წლის დედნიდან 1247-69 წლებს შორის და გამოთქვა რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება. საბაწმიდური ტექსტის აღწერილობა და მოსაზრებები გამოაქვეყნეს ც. ჭანკიევმა, ე. გაბიძაშვილმა, ქ. შარაშიძემ, მაგრამ არსებითი ხასიათისა არ არის.

ამჟამად ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ჩვენი ღვთისმსახურებისა და სიტყვიერებისა გამოცემულია. 1990 წლიდან საბაწმიდურტიპიკონს სპეციალურად სწავლობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელგუჯა გიუნაშვილი. მან სრულად გადმოწერა 1247-1269 წწ. H1349 ხელნაწერის ტექსტი, მაგრამ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო კვლევა აღარ გაუგრძელებია. მისი წინადადებით ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ფილოლოგიის დოქტორმა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა; მან მოიძია საბაწმიდური ტექსტის ყველა ხელნაწერი, 18 ხელნაწერის მიხედვით კრიტიკულად დაადგინა ტექსტი, რომელიც საეკლესიო-პრაქტიკული დანიშნულებით გამოიცა შიომღვიმის ლავრის წინამძღვრის, არქიმანდრიტი

მიქაელის ინიციატივით 2005 წელს (ტიპიკონი 2005, 11-12). ტიპიკონის ტექსტს ყველგან ვიმოწმებთ ამ გამოცემიდან.

მისი სრული სახელწოდება ასეთია: „ტიპიკონი საეკლესიო მსახურისა და წესისა კეთილგანგებულისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა საბას ლავრისაჲ, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათაჲცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“.

წიგნში შეტანილია მდიდარი ტიპიკონური მასალა და ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული თხზულებები: განგებაჲ ღამისთევისაჲ (13-18); განსაზღვრებაჲ ღამისთევათა ყოვლისა წელიწდისათაჲ (18); მოთხრობაჲ შემოკლებული საეკლესიო მსახურისაჲ მონასტერთა იერუსალიმისათაჲ (19-26); სჯნაქსარი ათორმეტთა თუეთა წელიწდისათაჲ, რომელი დაიწყების სექტემბერით თვთ ვიდრე და დასასრულამდე აგვსტოსისა (27-98); განგებაჲ წმიდათა და დიდთა მარხვათაჲ, ვნების კვირისა და ზატიკის განგების ჩათვლით (99-135); განგებაჲ შაბათთა ყოვლისა წელიწდისათაჲ, რომელთა შინა იყოს საცსენებელი საჩინო მსახურისაჲ წმიდისაჲ და იგალობებოდის ღმერთი უფალი (136-138); თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობაჲ, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღმრთისამან გამოსაჩინებელი კეთილმსახურებისა შჯულთაჲ და დაქცევაჲ სიბოროტისა ბოროტადმსახურებათაჲ (139-144); გამოავლინენი თუეთანი სრულიად (145-154); გამოავლინენი ათერთმეტთა აღდგომისა საცისკროთა სახარებათანი (154-156); გამოავლინენი ყოველთა წმიდათანი, ვისთსცა გინდენ (156-157); გამოავლინენი მარხვათანი (158-161); კონდაკნი და ჯკონნი (162-176); ღამისთევასა შემდგომად ნეტარ-არიანთასა, ჯმაჲ და გუერდი (177); კუერექსი სავედრებელი (178); ყველიერისა ხუთშაბათსა ჯსენებაჲ საკვრველმოქმედისა წმიდისა მამისა შიომისი (179-180); იანვარსა 70 (იდ) წმიდისა მოციქულისა ნინომისი (181-188); საგალობელნი ღირსისა მამისა შიომისი (189-191); დიდებასა ზედა უფალო ღალატყავსა და სტიქარონთა ზედა, ვიეთთსცა გიჯმდეს მამათათს (192); საჯმელთათს და სასუმელთა და ვითარობისა და რაოდენობისა და სატრაპეზომსა წესიერებისა (193-197); ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის (198-201). წიგნს ერთვის ლექსიკონი და ღირსი მამა შიომღვიმელის ცხოვრების ყველა რედაქცია, „თხრობა სასწაულთათს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიომისთა და განგებაჲ ღირსისა მამისა შიომისი“.

2017 წელს გამოიცა „გიორგი მთაწმიდელის დიდი სჯნაქსარი“, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა გამოსაცემად. გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა შეუდარეს შიომღვიმის ტიპიკონს. მათი კვლევის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სიახლეებისა, კერძოდ, „გამოავლინეთა“ კომპლექტის შედარებამ შიომღვიმის ტიპიკონის ტექსტთან გვიჩვენა, რომ შიომღვიმის ტიპიკონის შემდგენელი სარგებლობს გიორგი მთაწმიდელის „გამოავლინეთა“ ფონდით, რადგან ტექსტები აჩვენებენ სრულ იდენტურობას, თუმცა რამდენიმე საინტერესო განსხვავებაც გამოვლინდა” (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი 2017, 020), რაზეც აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ტიპიკონის პირველი ტექსტი არის „განგება ღამისთევისა“. დასაწყისშივე გამოიკვეთება განსხვავება დედნის ტექსტთან მიმართებით – საბაწმიდური ტიპიკონით ღამისთევის ზარი მზის ჩასვლის შემდეგ უნდა დაირეკოს. აშიაზე არის რამდენიმე მინაწერი, რომელთაგან ერთ–ერთი გვეუბნება:

„ხოლო ჩუენ–არა ესრეთ, არამედ თვსსა ჟამსა ვჰრეკთ და სრულ–გჰყოფთ სამწუხროსა დიდებისმეტყველებასა და შემდგომად სრულიადისა შელამებისა კულად ვჰრეკთ ღამისთევისასა“... (13). განსხვავებაა მღვდლისა და დიაკონის შემოსვისა და გამოსვლის წესშიც. „თვსსა ჟამსა ვჰრეკთ...“ – „თვსსი ჟამი“ რომელია, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, სავარაუდოდ, მწუხრის ლოცვის შემდეგ, რასაც, ალბათ, ღამისთევა მოეხმებოდა.

აშიაზე შემდეგი მინაწერი გვამცნობს, რომ „თვსითა წესითა“ შეუდგენენ სტიქარონს ძირითად ტექსტში აღნიშნული ლოცვების გარდა(15). „თვსი წესი“ – საბაწმიდური ტიპიკონის შემოღებამდე არსებული, გიორგი მთაწმიდელის დიდი სჯნაქსარით დაკანონებული უნდა იყოს.

აქვეა მესამე მინაწერიც: ლიტანიის საგალობლის ნაცვლად შიომღვიმის მამები ამბობენ „ოჯითასა ... აღდგომისასა, რომელიცა ჳმა იყოს მსგეფსისასა”(16).

მნიშვნელოვანია ცალკე გამოყოფილი ტექსტი, „საჯმარ არს ცნობად“ – აღნიშნულია ღვთისმსახურების კერძო შემთხვევები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და ეს ასეა მთელ ტიპიკონში. ამავე რიგისაა: „ჯერ არს უწყებად“, „სათანადო არს უწყებად“, „შესწავებად საჯმარ არს“, „სათანადო არს ცებნად მმათაგან“, „საჯმარ არს ცნობად“... უცნობია, ეს რემარკები საბაწმიდური დედნიდან

მომდინარეობს თუ ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკის გათვალისწინებითაა შეტანილი ტექსტში თარგმნისას.

ასეთი შენიშვნები სხვა ქართულ და ბერძნულ სვინაქსარებშიც საკმაოდ დასტურდება.

განსაზღვრებად ღამისთევათა ყოვლისა წელიწდისათაჲ. დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ჩანს, რომ შიომღვიმის ლავრაში ყოველ კვირიაკეს ღამისთევა დაუწესებია არსენ იყალთოელს: „ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კვირიაკეთა ღამე ყოველ ღამისთევად, ნუვინ შეცვლის ამა წესსა“ (სილოგავა 2003, 132, სტრ. 103-4). მართლაც, ყოველი კვირის ღამისთევით შეხვედრის წესი უცვლელად დარჩა, შევიდა მონასტრის ახალ ტიპიკონში და დაემატა 17 საუფლო დღესასწაულის ღამისთევაც, სულ – 69.

საინტერესოა **„მოთხრობად შემოკლებული საეკლესიოჲსა განწესებისაჲ მონასტერთა იერუსალიმისათაჲ“** (19-26).

დასაწყისშივე ყურადღება გამახვილებულია იმაზე, ვითარ ჯერ-არს ფსალმუნთა გალობა მთელი წლისათვის. აქვეა მინაწერი აშიაზე, რომელიც ხსნის განსხვავებას. ხაზგასმულია ძალიან ბევრი საყურადღებო დეტალი. აღსანიშნავია, რომ ფსალმუნთა კითხვას და საერთოდ ღმრთისმსახურებას ეკლესიაში ხელმძღვანელობს ეკლესიარქი: „იტყვს ეკლესიარქი ექვსფსალმუნთა წყნარითა ჳმითა ნელიად, სასმენელად ყოველთა“ (20), „შემდგომად ამენისა მეყსეულად იწყებს ეკლესიარქი: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...“ (20). „ცნობად საჳმარ არს, ვითარმედ მონაზონსა, რომელსა ეკლესიარქისა მიერ ეწვოს თქმაჲ ფსალმუნისაჲ...“ (21) „... სხუასა აწუევს ეკლესიარხი და იგი იტყვს“ (22). მემწრეთა გალობის დროს (და საერთოდ, ლიტურგიაზე) წესრიგის დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა იმას და აღნიშნულია, რომ „ეკლესიარხსა უჳმს ამის ყოვლისათჳს ზრუნვაჲ“ (23). ეკლესიარქი ხელმძღვანელობდა მარჯვენა მხარის მგალობლებს: „საჳმარ არს ცნობად, ვითარმედ ეკლესიასა შინა მარჯუენესა ვიდრე მე ხოროსა აწუევს და ჳმართეებს ეკლესიარხი, ხოლო მარცხენესა – სხუად ვინმე, მისთჳს განჩინებული“ (25). ეკლესიარქი ღმრთისმსახურებისა და ტიპიკონის კარგი მცოდნე, ღრმად განათლებული, ძმათაგან პატივცემული და დაფასებული უნდა ყოფილიყო. იგი ითვლებოდა მონასტრის ხელმძღვანელად წინამძღვარსა და იკონომოსთან ერთად.

ტიპიკონის ამ თავში არის საინტერესო ყოფითი მომენტებიც: როცა ეკლესიარქი ექვსფსალმუნს ამბობს, „წყნართა ჳმითა ნელიად სასმენელად ყოველთა, მდგომარეობასა შინა სხუათასა, ხოლო ძმათაგანსა არავის უჳმს აღმოჳყულებად ანუ წანერწყუვად, ვიდრე დასრულებამდე ექვსფსალმუნთადას“ (20).

მეცხრე ჟამის გამოლოცვის შემდეგ მცირე ხნით გამოისუენებდნენ „სენაკთა თჳსთა“, შემდეგ ირეკებოდა ზარი, იკრიბებოდნენ ეკლესიაში, ხოლო „შემდგომად ცისკრისა გამოლოცვისა წარვალთ კელინთა ჩუენთა“ (25). იქ ამბობდნენ დაწესებულ ლოცვებს და „რადცა რამე გუაჳუნდენ წესად, კვრიელჳსონსა მ (40) და სრულ-ვჳყოფთ ლოცვასადა რომელთა ენებოს ცხოვნების, კელინთა თჳსთაგან არა გამოვლენ ვიდრე ჟამადმდე სარეკლისა და ეკლესიას შუკრებისა, არამედ რომელნიმე შექცეულ არიან კელთსაჳმარსა, რომელნიმე წიგნის კითხვასა, რომელნიმე ლოცვასა, მეცნიერებითა წინამძღუარისადათა, ხოლო მსახურად განჩინებულნი – მსახურებათა თჳსთა“ (25). მსახურებაში აჳ, სავარაუდოდ, სატრაპეზოში, სახაბაზოში და სხვა ამგვარი მორჩილება უნდა იგულისხმებოდეს.

აჳედან შეიძლება დავასკვნათ ისიც, რომ შიომღვიმეში, ისევე, როგორც ყველა სხვა ქართულ მართლმადიდებლურ მონასტრებში, დიდი ყურადღება ექცეოდა ძმათა ყოფის წესს და ყოველი წუთი მკაცრად განაწილებული და სასარგებლო საქმით დაკავებული უნდა ყოფილიყო.

ხაზგასმითაა აღნიშნული – „ჯერ-არს უწყებად“ – რომ სერობის ლოცვაზე „ღვთისმშობლისა გალობათა“ შემდეგ „კანდელაფტი მისცემს ძმათა წყალსა მიწყალესა ზედა... და შემდგომად გამოლოცვისა არღარა უჳმს ძმათა ურთიერთას უბნობად, არამედ წარსვლად სენაკთა თჳსთა, რადთა მოსწრაფედ აღდგებოდინ შუადამისა ლოცვასა. /ხოლო მოეცა ესეც წმიდათა მამათაგან, რადთა არავის აჳუნდეს ფლობად ტრაპეზსა ზედა ჳუელისა ანუ წანერწყვისა ანუ უბნობისა, თჳნიერ ჳირისა რადასმე“ (26). შიომღვიმის ტიპიკონში მცირეა დისციპლინური ნაწილი, ჩვენამდე მოღწეული სხვა ტიპიკონებისგან განსხვავებით, ამიტომ საღვთისმსახურო ტექსტში ჩართული ყოველი ასეთი მინიშნება მეტად ფასეული და მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, როგორ ცხოვრობდნენ მემღვიმე მამები.

განსხვავებული იკითხვისებით, აშიაზე მინაწერთა სიმრავლითა და ტექსტში ყურადღებამისაჳცევი ადგილების გამოყოფით გამოირჩევა „სჳნაჳსარი ათორმეტთა

თუეთა წელიწდისათაჲ, რომელი დაიწყების სეკდენბერით თვთ ვიდრე და დასასრულამდე აგვსტოსისა” (27-98).

სათვეო ნაწილი უძრავ კალენდარს ეფუძნება. ყოველი თვის დასახელების შემდეგ მითითებულია, რამდენი დღე აქვს, რამდენი საათია (ჟამი) დღე და რამდენი – ღამე. თითოეული დღე შეიცავს რამდენიმე წმინდანის ხსენებას. ამას მოსდევს მწუხრი, ცისკარი, სამხარი – ასე მოიხსენიება შიომღვიმის ტიპიკონში ჟამისწირვა – და ჟამები.

განსხვავება ყველაზე ხშირად არის საგალობელთა თქმის წესში: შიომღვიმეში „აკურთხევსის” შემდეგ „მეყსეულად ვიტყვთ უფალო ღაღატყავსა” (შიომღვიმის ტიპიკონი 2005, 27, 30, 33, 38, 41 (ორჯერ), 43, 44, 45, 48, 51, 52, 55, 61, 70, 72, 83, 85, 88, 89, 93, 96, 97).

20 სექტემბერს ტიპიკონით იგალობება „აწდა, ღმრთისმშობლისაჲ”, აშიაზე მინაწერი კი გვეუბნება: „ხოლო ჩუენ – კეთილ-არსთა [კეთილ-არსნი S]” (გვ. 50, 78). „ხოლო ჩუენ კეთილ-არსთა ვიტყვთ თვსითა წესითა“ (78).

რით ხელმძღვანელობდნენ შიომღვიმის ბერები საბაწმიდური ტიპიკონის შემოტანამდე, შეიძლება მიგვანიშნოს 8 სექტემბრის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტიპიკონმა. „სამხრად – ფსალმუნნი ნაცვალად მომიხსენენისა დასდებელთა - ჯმისა განძლიერდაჲსა 4 (ბ) და ღაღატყავისა დასდებელნი თქუნენ” (შიომღვიმის ტიპიკონი 2005, 31). აშიაზე მინაწერი კი გვამცნობს: „ხოლო ჩუენ მიერ ესე შეისწავე, ვითარმედ სადაცა და რომელსაცა დღესასწაულსა მომიჯსენესა ზედა მესამესა და მეექუსესა გალობისა დასდებელთა მოსცემდეს ტვპიკონი, ჩუენ მას დღესა კეთილ-არსთა ვიტყვთ თვსითა წესითა, ვითარცა მოსცემს განგებაჲ მთაწმიდელთა სჯნაქსრისაჲ, და ესე ესრეთ უწყოდე სრულსა წელიწადსა შინა და წმიდათა მარხვათა და ზატკითა”.

საფიქრებელია, რომ შიომღვიმის მონასტრის ძმები, საბაწმიდურ ტიპიკონთან ერთად, გიორგი მთაწმიდელის დიდ სჯნაქსარსაც იყენებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ყველა შენიშვნა, რაც საბაწმიდურ ტიპიკონს ახლავს, მხოლოდ სჯნაქსარულია, მაგრამ უმეტესობა, როგორც ვნახეთ, – „უწყოდე სრულსა წელიწადსა შინა და წმიდათა მარხვათა და ზატკითა” – აქედან უნდა იყოს.

ყველა განსხვავების ცალკე განხილვა აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არადა, ბევრი საინტერესო რამ ჩნდება. თუნდაც, შედარება თვენის კალენდარულ მონაცემებსა და თანამედროვე კალენდარს შორის²⁴. მაგალითად, 2 აპრილს შიომღვიმის კალენდარი უწესს ღირსი მამის, საკვირველმოქმედი ტიტუს მოხსენიებას. საქართველოს ეკლესიის 1992 წლის კალენდარში ამ დღეს მოიხსენებიან აგრეთვე წმ. მამა გიორგი მაწყვერელი, მოწამენი ამფიანე და ედესი (306) და პოლიკარპე (IX)... მსგავსი უამრავია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე დიდი დღესასწაულების ტიპიკონები – შობა, ხარება, ნათლისღება. მათ განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ.

14 იანვარს ტიპიკონის ზოგიერთ ხელნაწერში (მაგ.: სინური Sin.83, XII-XII ს.) წმიდა ნინოს ხსენება და განგება შეტანილი არ არის (აღწერილობა 1956, 67, სქოლიო).

დიდი ყურადღება ეთმობა 25 მარტის განგებას – „ხარებად უფროდსად წმიდისა ღმრთისმშობელისა“. მოცემულია მრავალი ვარიანტი იმის მიხედვით, რომელ დღეს ემთხვევა ხარება – შაბათს, კვირიაკეს, ლაზარეს შაბათს, „კვირიაკესა ბაიობისასა“, „დიდსა ორშაბათსა“, „დიდსა სამშაბათსა“, „დიდსა ოთხშაბათსა“, „დიდსა ხუთშაბათსა“, „დიდსა პარასკევსა“, „დიდსა შაბათსა“, „დიდსა კვირიაკეს აღვსებისასა“ ანუ „აღვსების ორშაბათსა“.

ტიპიკონში ხარების დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ განმარტებულია: „დღესასწაულისათვის ხარებისა საცმარ არს ცნობად, ვითარმედ არა თვნიერ მიზეზისა მოკსენებულ არს ჩუენ მიერ, თუ ვითარ ჯერ-არს განგებასა ხარებისასა გარდაცდად წმიდათა შინა მარხვათა და დღეთა დიდისა შვდეულისათა, და რამეთუ წესთა დიდისა ეკლესიისათა შედგომილთა და უცთომელისა სუნაქსრისა მარადის კსენებულისა ვიტყვ სტუდიელთა მონასტრისასა, და არა ხოლო მისთა, არამედ იერუსალემისაცა მონასტერთასა განვაწესენით ესენი, რომელთათვის ნუმცა ვის დაუკვრდების, თუ ვითარ შეცვალებულად დაგვწერიან აქა შინა წესნი ხარებისა დასდებელთა, გალობათა და საკითხავთანი. არამედ განიცადენ დღე, რომელსა დაემთხუეოდის იგი; ამისსა შემდგომად რაბამობად დღესასწაულისა მის დღისად განიცადენ...“ (შიომღვიმის ტიპიკონი 2005, 82).

²⁴ღვთისმსახურების წესები, მისი მიმართება ქრისტიანულ ეკლესიურ კალენდართან და თვით ეს კალენდარიც სამუდამოდ დადგენილი არასოდეს ყოფილა. თითოეულ ეპოქას, თითოეულ სასულიერო ცენტრს გარკვეული ცვლილება შეჰქონდა ღვთისმსახურების წესებში. ხანდახან იცვლებოდა საეკლესიო კალენდარიც და თვით საუფლო სადღესასწაულო სისტემაც (კოჭლამაზაშვილი 2006, 151).

შიომღვიმელები დიდი ეკლესიის, აგრეთვე მხოლოდ სტუდიელთა მონასტრის (კონსტანტინოპოლი) კი არა, იერუსალიმის მონასტრის განგებასაც ითვალისწინებდნენ, და არ უნდა გაგიკვირდეთ, გვმოდვრავენ, წარმოიდგინეთ – განიცადეთ, რომელ დღეს დაემთხვევა ხარება, შემდეგ კი თვით ამ დღის მნიშვნელობას დაუკვირდითო. ქართული ტრადიციით „დიდ ეკლესიად“ კონსტანტინოპოლის აია სოფია მოიხსენიება, როგორც მაგ.: გიორგი მთაწმიდელის დიდ სვინაქსარში (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი 2017, 012). ასეა, სავარაუდოდ, შიომღვიმის ტიპიკონშიც.

აქვეა აღნიშნული, რომ დიდი ეკლესიის, აია სოფიის სვინაქსარში ამოუკითხავთ („გვპოვნის“), რომ „ეგუტერთა შინა წმიდისა ღმრთისმშობლისათა იქმნების დაგებად და სრული ჟამისწირვად“, ხოლო თუ არ იქნებოდა ეკლესიაში ეკვდერი, საღმრთო შესაწირავის მომზადება, პროსკომიდია და სრული ჟამისწირვა ამ დღეს არ ტარდებოდა, არც მარხვის სხვა დღეს, დიდი ხუთშაბათის გარდა, არამედ „განგებად განახლებისა და აღსრულების“ (82).

ჩანს, იმ დროისთვის ქართველი მონაზვნები კარგად იყვნენ გარკვეულნი სხვა ქვეყნების (საბერძნეთი, პალესტინა) ღვთისმსახურების პრაქტიკაში და ფართო ლიტურგიკულ ლიტერატურაზეც მიუწვდებოდათ ხელი. რაც შეეხება ღვთისმშობლის ეკვდერში ჟამისწირვას, ხარება იმდენად დიდი დღესასწაული იყო, სხვა მნიშვნელოვან დღეს თუ დაემთხვეოდა, მისი ღვთისმსახურება ცალკე უნდა შესრულებულიყო.

განგებად წმიდათა და დიდთა მარხვათა (99-116). წმიდა და დიდი მარხვა – წმ. ორმეოცნი – წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის – აღდგომის შესახებდრად მზადების პერიოდია, ეფუძნება მოძრავ კალენდარს. მასში შედის მარხვისა და ზატიკის – აღდგომიდან სულიწმიდის მოფენამდე – პერიოდების ღვთისმსახურების წესი. ეს დრო შვიდეულებად იყოფა. იწყება დიდი მარხვის მოსამზადებელი კვირიაკეებით, მეზუერისა და ფარისევლისა და უძღვები შვილისა; მოსდევს მსახურება პარასკევისა მწუხრი, შაბათისა აღებაკრებისა, შაბათისა ყველითალებისა, კვირიაკესყველითალებისა; შემდეგ ექვსი შვიდეული, ვნების კვირა, აღვსება, ანუ აღდგომა და ზატიკი, თუმცა ტიპიკონში სათაურად მხოლოდ მარხვაა გატანილი. მარხვის ტიპიკონში ბევრად მცირეა რემარკები და განსხვავებული იკითხვისები –

მირითადად ნაკლებია ვარიანტების შესაძლებლობა, აქ განსაზღვრულია მუხლთდრეკის წესი და ეფრემ ასურის ლოცვის მნიშვნელობა. ეკლესიარქი წყვეტს, ყველიერის შაბათ-კვირას სათვეო საგალობელთაგან როდის რა გადაიხადონ (101).

მარხვის განგებაში „შესწავებად საჯმარ არს, ვითარმედ ერთსა დღესა წმიდათა მარხვათასა ყოვლად გამოწულილვით და გამოძიებით და ზედმიწევნით განვაწესებთ, რადთა იყოს იგი წეს და კანონ და საზღვარ სულიერ ქრისტეს მიერ, ღმრთისა ჩუენისა, ყოველთავე ნეშტთა დღეთა წმიდათა მარხვათასა” და ნიმუშად აღებულია პირველი კვირის ორშაბათი („ორშაბათსა (ა) შუდეულისა”, (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი 2017, 103). სულ დაწვრილებითაა მოცემული განგება ცისკრისა, როგორც სახელმძღვანელო მთელი მარხვისათვის – მღვდლის გამოსვლა, საგალობლები, კვრიელეისონი, ლოცვები, ასამაღლებლები, მუხლთდრეკა. „უწყებად ჯერ-არს, ვითარმედ ორშაბათთა წმიდათა მარხვათასა პირველსა ჟამსა ზედა კანონს არა ვიტყვთ “ (104). ამას მოჰყვება მესამე და მეექვსე, მეცხრე ჟამის განგება (104-105), „ჟამი სამწუხროდ” (106-107), „განგებად სერობისად” (107-108), „ღამისა ჟამნი” და „უფროდსღა სერობისად დიდი” (108).

დიდმარხვის პირველ კვირას ცისკარი გვიან იწყება: „ცისკრად ვპრეკთ მიმყოვრებით-რე, წინადღითისა მისთვის ნუგეშინის-ცემისა ძმათადას” (103). ეს ლიტურგიკული მოვლენა „დიდ სუნაქსარშიც” დასტურდება და, მ. დოლაქიძისა და დ. ჩიტუნაშვილის აზრით, სტუდიური ტიპიკონის თავისებურებად არის მიჩნეული (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი 2017, 016).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დიდმარხვის პირველ ორშაბათს ნამწუხრევს, „შემდგომად სრულყოფისა განახლებისა შევალთ ტრაპეზად და ვჰამთ ხმელად და ვსუამთ ჩირის წყალსა ანუ თაფლის წყალსა ანუ სხუასა რასმე ეგევითარსა. /ხოლო ხუთშაბათსა პირველისა მის შუდეულისასა ტრაპეზსა არა განვაღებთ ვიდრე პარასკევადმდე, არამედ მარხვით გარდავჰვლით. ხოლო პარასკევსა ვჰამთ ზეთითა ზავებულსა და ვსუამთ ღვინოსა, წმიდისათვს და დიდისა ქრისტეს მოწამისა თეოდორესსა” (107) – იგულისხმება თეოდორე ტირონი, რომელიც დიდმარხვის პირველ შაბათს მოიხსენიება.

ასევე, გათვალისწინებულია, რომ კათაკმეველთა კვერექსი და ლოცვა შუამარხვის ორშაბათიდან ითქმება.

ტიპიკონში ასახულია წინამძღვრის ვალდებულება იმის შესახებ, რომ დიდი სერობის დასასრულს, კურთხევის შემდეგ, წინამძღვარი მუხლს მოუდრეკს ძმათა, ითხოვს კურთხევასა და შენდობას. ასევე იქცევა მარცხენა სამჯრის უპირველესიც და ასე თითოეული. ამის შემდეგ ყველა ერთად მუხლს მოუყრის წინამძღვარს, მიიღებენ ლოცვას და წავლენ თავ-თავიანთ სენაკებში. „ესე უკუე წესი განგებისად სრულ-იქმნების ყოველთა დღეთა წმიდათა მარხვათასა სერობისად“, ამასთან ეკლესიარქი ყურადღებით უნდა იყოს („განკრძალვად უკმს“), რათა ისე წაიყვანოს მსახურება, რომ ჯერ კიდევ დღე იყოს, როცა სერობისას გამოილოცავენ („უწინარეს თუალის მოკიდებისა“ 109), – მითითებულია ტიპიკონში.

მარხვის ტიპიკონი საკმაოდ მკაცრი და დატვირთული იყო, დღე-ღამეში მონაზვნებს 300 მუხლდრეკა უნდა შეესრულებინათ, აგრეთვე „პალესტინეს ფსალმუნებად დავითისად სენაკთა შინა თვსთა, და შემძლებელნი უკუე სრულ-ჰყოფენ მას დღესა და ღამესა შინა, და რომელნიმე – სამგზის შუდელსა შინა (V), ხოლო რომელნიმე ორგზის და მუხლთმოდრეკასა ვჰყოფთ, ვითარცა თითოეულსა ძალისაებრ თვსისა განუწესოს წინამძღვარმან. ხოლო შუვადამისად ვილოცავთ „ნეტარ-არიანთა“ (109).

„პალესტინეს ფსალმუნება“ პირადი კანონის სენაკში შესრულებას გულისხმობს და ის საკმაოდ მკაცრი, ძმობის თითოეული წევრისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრული და სავალდებულო უნდა ყოფილიყო; მომდინარეობდა საბაწმიდური – პალესტინის – ტრადიციიდან. ყველა ეს წესი – ლოცვისა, წიგნის კითხვისა და საეკლესიო განწესებისა, „ეგრეთვე და მუკლთა მოდრეკათათვს, წმიდათა მამათა მიერ განწესებულთა“ – უკლებლივ ყველას უნდა შეესრულებინა, „თვინიერ სამართალისა მიზეზისა, რომელ არს უძღურებად ჯორცთად“ (109).

პირველი შვიდეულის პარასკევს წმიდა ზიარების შემდეგ წყალს სვამდნენ („ვირღუნით... წყლითა“. 109), ასევე ოთხშაბათს და მარხვაში ყოველთვის, პირველშეწირულის წირვისას ზიარების დროს. შემდეგ იტყვიან წმიდა და დიდი მოწამე თეოდორეს სამადლობელ გალობას, მიიღებენ სეფისკვერს („განიყოს განატეხი“, 110) და შევლენ ტრაპეზზე.

დიდმარხვის პირველ შაბათს ორი მინაწერია აშიაზე: ცისკრად წმინდანის საგალობლამდე „ჩუენ პირველად ყოვლადწმიდისა გალობასა ვიტყვთ. ...და ეგრეთღა – წმიდისა ორ-ორჯერ“ (110) და სამხრად, წმინდანის მესამე და მეექვსე საგალობლამდე „ჩუენ კეთილ არსთა ვიტყვთ თვისთა წესითა“ (110).

აქვე „უწყებად ჯერ-არს“, რომ „წმიდათა დიდთა მარხვათა“ თევზით მხოლოდ ორჯერ – დღესასწაულსა ხარებისასა და „კვირიაკესა ბაიობისასა“ ხსნილდება.

დიდმარხვის პირველ კვირას ღამისთევით ხვდებიან, ხოლომწუხრზე ფსალმუნებას არ უჩენს; ტექსტში რამდენიმე სხვა ადგილზეც არის მითითებები ფსალმუნური კანონის შესრულება-არშესრულების შესახებ – წარდგომები: „ნუ გარემიქცევ პირსა შენსა“... და „ეც მკვდრობად“... ყველიერის კვირიაკიდან მარხვის ყოველ კვირას რიგ-რიგობით ითქმება და „ამისაცა შესწავებად საკმარ არს“. კვირის მწუხრი ისე აღესრულება მთელი მარხვის განმავლობაში, „ვითარცა პირველ დაწერილ არს“ (110), ანუ როგორც პირველი კვირიაკისა და ეს შემდეგაც აღნიშნება; მესამე კვირიაკის მწუხრზე განგება ისევე აღესრულება, „ვითარცა პირველგარდასრულსა კვირიაკესა“ (112). ასევე შემდეგ კვირებშიც.

მოყვანილია კვირის სამხარი, მწუხრი, აქვე შაბათის ცისკარი (111). ასეთივეა განგება მარხვის ყოველი შაბათისა, თუ საჩინო დღესასწაული არ დაემთხვევა.

დიდმარხვის მესამე კვირას საგანგებოდაა აღნიშნული ჯვრის თაყვანისცემის წესი - „უწყებად ჯერ-არს“ (112) – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს. თაყვანისცემის შემდეგ პარასკევს ჯვარს დაკრძალავდნენ.

მეხუთე შვდღეულის ოთხშაბათს დიდთა გალობათა დასდებლების ნაცვლად „ჩუენ თვისსა კმასა და უფალო ღაღატყავად დაგვსხმან“ (მინაწერი აშიაზე, 113). ტრაპეზზე მიიღებდნენ ზეთით ზავებულ საკვებს და ღვინოს, რაც თითქოს მოულოდნელია, მაგრამ საზღაურია „შრომისათვის ღამისთევისა“ (113).

მეხუთე შვდღეულის ხუთშაბათს ცისკრად არაა ფსალმუნება: „ხოლო ჩუენ არ[ცა] მწუხრისასა ზედა ვფსალმუნებთ ამას დღესა“... (მინაწერი აშიაზე, 113). ხოლო თუ ამ დღეს ხარება დაემთხვა, სამშაბათს გადავიხდით დიდ გალობას, „ხოლო დღესასწაულსა – თვისსა დღესა წესისაებრ“ (113).

ცისკრის ზარი მეოთხე ჟამზე ირეკება, დღის საკითხავი გაყოფილია სამ კითხვად, მაგრამ აშიაზე მინაწერი გვამცნობს, რომ „ხოლო ჩუენ ორად განვჰყოფთ“

(მინაწერი აშიაზე, 114). ამგვარ შემთხვევაში მესამე ნაწილად წაიკითხავდნენ ხარების რომელიმე საკითხავს, რაც უნდოდათ.

მეექვსე შვდელის პარასკევს ცისკრად და მწუხრად ჩვეულებრივი განგებაა. მეექვსე შვიდელის შაბათი წმინდა და მართალი ლაზარეს შაბათად იწოდება, ამიტომ პარასკევს მწუხრზე მისი საგალობლებია ჩართული, რასაც შიომღვიმელები თავისებურად ასრულებდნენ: მხოლოდ მართალი ლაზარეს გერთა (დასდებელი, ტროპარი) ნაცვლად „ჩუენ კეთილ-არსთა ვიტყვთ“ (მინაწერი აშიაზე, 114).

შაბათსა წმიდისა და მართლისა ლაზარესსა ცისკარზე სახარება არ იკითხება, „თვნიერ ეკლესიისა წმიდისა ლაზარესსა“ (115). სამხრად ჩვეულებრივი განგებაა აღესრულება.

მწუხრის სახარებაზე მთხვევისას ძმებს წინამძღვარი ბაიას (ბზას) დაურიგებს, მეცხრე გალობაზე კი – სანთელს (115).

სამხარზე სათქმელი ფსალმუნების ნაცვლად იკითხება 114-ე, 115-ე, 117-ე ფსალმუნები ... სახარებად იოვანესი და მოსდევს იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. წირვის შემდეგ ტრაპეზზე თევზსაც ჭამდნენ: „იქმნების ნუგეშინისცემად ძმათა...“, რაც სასულიერო პირთა ღვწის საზღაურად აღიქმება.

„კვირიაკესა ბაიასათა მწუხრი უფალო დაღატყავსა უქცევთ ექუსთა მუხლთა ზედა“; მაგრამ არის განსხვავებაც, რასაც აშიაზემინაწერი გვაუწყებს: ჩვენც ექვს მუხლს ვუქცევთ, ოღონდ სამს დღისას და სამს დიდი ორშაბათისას, რომელიც გნებავთ... „ხოლო ტვპიკონი სტუდიელთად ექუსთა მუხლთა ზედა უქცევს [იგიცა], გარნა არარას[ს] იტყვს ბაიათასა, არამედ დიდისა ორშაბათისა სტიქარონთა“ (116). სავარაუდოდ, სტუდიელთა ტვპიკონში გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ უნდა ვიგულისხმოთ.

დიდმარხვის განგებას ბუნებრივად მოსდევს განგება ვნებათაა.

დიდი ორშაბათის ცისკარი. პირველ ჟამზე ფსალმუნი არ იკითხება, მესამე და მეექვსე ჟამზე – კი; იგივე განგებაა დიდ სამშაბათსა და ოთხშაბათს. იკითხება სახარება. ტექსტში აქვია ჩართული განმარტება, რომ მათეს, მარკოზის, ლუკას სახარებების წაკითხვა მთავრდება ორშაბათს. იოვანეს სახარება წაიკითხება მთლიანად დიდ ხუთშაბათს. სამივე თავი სრულებით წაიკითხება, ხოლო იოვანეს თავი – ანდერძამდე. „ხოლო ჩუენ ეგრეთ წარვიკითხავთ ოთხ სახარებასა, ვითარცა

მოსცემს განწესებად მთაწმიდელთა სჯნაქსარისად” (მინაწერი აშიაზე, 117), რაც ადასტურებს, რომ დიდი სვინაქსარი ამ ტიპიკონის შემოღების შემდეგაც ახდენდა გავლენას შიომღვიმელთა და, სავარაუდოდ, სხვა ქართული ეკლესია–მონასტრების ლიტურგიკულ მსახურებაზე.

დაწვრილებით არის მოცემული **დიდი ხუთშაბათის** მსახურებათა განგება: ცისკარი და მწუხრი. ეს ერთ–ერთი რთული ლიტურგიული დღეა და ყოველ დეტალს საგანგებო ყურადღება ექცევა.

ერის განტევების შემდეგ „გარეშე საუფლოთა ბჭეთა ეკლესიისათა” იდგმება „ფიალი წმიდისა საბანელისა”...დიდ ხუთშაბათს ფერხთბანის ეს რიტუალი არის სიმბოლო, გახსენება ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხის დაბანისა და მას ყოველთვის უპირატესი სასულიერო პირი – მონასტერში წინამძღვარი – ასრულებს. ითქმება დიდი კვერქსი, ფერხთბანის ლოცვა, მღვდელი იწყებს ფერხთბანის სახარებას, „და წარმოდგეს წინამძღვარი და ჰყოფდეს ყოველსავე, ვითარცა იტყოდის სახარებად...” (119). იწყოს მან „ბანად ფერჯებსა ძმათასა, მეკართგან ვიდრე ჰკონომოსამდე და ეკლესიარხად, ათორმეტთა კაცთა” (119). მათთვის ფეხის დაბანის შემდეგ მღვდელი დაასრულებს სახარების კითხვას, იტყვის ლოცვას.

ლოცვის დამთავრების შემდეგ ძმები ევლოგიად იცხებენ ფეხნაბან წყალს, შემდეგ გალობით „ზიარებითა საიდუმლოდთა” შევლენ ეკლესიად, „მიეცემის უკუე ძმათა განატეხიცა”. ჟამისწირვის დასრულების შემდეგ, შევლენ სატრაპეზოში გალობით „აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო”... მიიღებენ ღვინოს და ზეთით მომზადებულ საკვებს, თევზს – არა (120).

წესი და განგებად წმიდათა ვნებათა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა წმიდასა და დიდსა პარასკევსა. ღამის მეორე ჟამზე ირეკება ღამისა... ეკლესიარქი დაურიგებს ძმებს სანთელს... ცისკართან ერთად პირველჟამს არ გამოილოცავენ, არამედ როცა დადგება დღის პირველიჟამი, ირეკება მცირე ზარი, ძმები იკრიბებიან ეკლესიაში, ითქმება პირველი ჟამის სამი ფსალმუნი, დასდებენი, საწინასწარმეტყველო, სამოციქულო, სახარება... მეშვიდე ჟამზე ასევე მცირე [ზარი] ირეკება, ითქმება მესამე ჟამის სამი ფსალმუნი. მეექვსე ჟამი ილოცება მესამესთან, მეცხრე – მეექვსესთან. მეათე ჟამზე ირეკება და იწყება მწუხრი.

საყურადღებოა შენიშვნა, რომელიც ერთვის შიომღვიმის ტიპიკონის ამ მონაკვეთს: „სათანადო არს ცნობად, ვითარმედ არა გვსწავიეს პალესტინეს შინა წმიდასა ამას დღესა ქმნაჲ განახლებისაჲ. არცა სრულისა ჟამისწირვისაჲ, არცა განღებაჲ ტრაპეზისაჲ. არცა რას ვჰამთ ყოვლად რადთურთით. ხოლო უკუეთუ ვისმე ფრიადისა უძღურებისაგან ვერ ეძლოს ამისი ქმნაჲ, მიეცეს მას პური და წყალი შემდგომად მზისა დასლვისა, რამეთუ ესრეთ მოგვლებიეს განწესებასა შინა წმიდათა მოციქულთასა” (122). დიდ პარასკევს ისევ გვხვდება პალესტინური წესი, რომელიც არ უჩენს პირველშეწირულის წირვას („ქმნაჲ განახლებისაჲ“), არც სრულ ჟამისწირვას, არც სატრაპეზოში შესვლას, არის მძიმე დღე და მძიმე მარხვა.

როგორც ზემოთ ვთქვით, „პალესტინესა შინა” შეიძლება იყოს საბაწმიდური ტიპიკონი, მინაწერი აშიაზე კი გვეუბნება: „ხოლო ჩუენ სრულ-ვჰყოფთ განგებასა საღმრთოძსა განახლებისასა, ვითარ-იგი სხუათაცა დღესა წმიდისა ამის შუდეულისათა” (122). შეიძლება, გიორგი მთაწმიდელის სჯნაქსარის მიხედვით, საკუთარი ტრადიციით კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობი ტიპიკონის საფუძველზე პირველშეწირულის წირვას გადაიხდიდნენ, მაგრამ იმარხულებდნენ, მხოლოდ ძალიან მოხუცებსა და ავადმყოფებს, ვისაც შეიძლება ვერ აეტანა შიმშილი, მზის ჩასვლის შემდეგ პურსა და წყალს მისცემდნენ, რადგანასე წერია წმიდა მოციქულთა განწესებაში.

დიდსა შაბათსა ცისკარი. „დიდებაჲ მაღალთაჲ გრძელად. და შეიმოსოს მღდელი სრულად”. მინაწერი აშიაზე: „ხოლო ჩუენსა პირველით დაწყებისთანავე შემოსილი დგას მღდელი საკურთხეველსა ზედა...” (122). განსხვავებაა კიდევ ის, რომ „მოგუმადლენთაჲ“, რომელსაც ტიპიკონის ძირითადი ტექსტი კურთხევის წინ უჩენს, „ჩუენ შემდგომად მიწყალისა გვთქუამს” (მინაწერი აშიაზე. 123). ჟამებს მარტივად, კანონისა, გალობისა და მუხლთდრეკის გარეშე ილოცებდნენ.

წმიდასა და დიდსა შაბათსა მწუხრი (123) ირეკება დღის მეათე ჟამზე. ესეც განსაკუთრებული ლიტურგიული ღირებულების მქონე დღეა და, შესაბამისად, მცირეოდენი გადახვევები საერთო ტიპიკალური წესებიდან, ძირითადად, ლიტურგიული კომპონენტების გადანაცვლებები, შიომღვიმის ტიპიკონში დასაშვებადაა მიჩნეული. აქ საინტერესოა რამდენიმე მომენტი:

1. მღვდელი იმოსება თეთრი სტიხრითა და შავი ფელონით (რაც ჯვარცმული და აკლდამაში დასვენებული მაცხოვრის გლოვის სიმბოლოა), რომელსაც სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ, ალილუიას გალობისას აღსძარცვავენ და თეთრს ჩააცმევენ ნიშნად იმისა, რომ სიკვდილი იძლია – კაცობრიობა ხარობს. გალობისა და მათეს სახარების წაკითხვის შემდეგ მოჰყვება საკითხავები „შემდგომითი-შემდგომად კვერექსი, სამოციქულო, ალილუია, გუერდი; ამ გალობის დაწყებისას აღსძარცვავენ მღვდელს შავ ფილონს და თეთრს ჩააცმევენ. შემდეგ ჟამისწირვაჲ წმიდისა ბასილისი, რადგან ასეა დაწესებული ძველთაგანვე.

2. გამოლოცვის შემდეგ ძმებს ურიგდებათ განატეხი და პური და ღვინო იკურთხება.

3. ეკლესიარქი აქაც ყურადღებით უნდა იყოს, რომ ჟამისწირვა ღამის მეორე ჟამისთვის დასრულდეს. გამოლოცვის შემდეგ მონაზვნები არ გადიან ეკლესიიდან, სხდებიან მათთვის განკუთვნილ ადგილებზე, კელარი ჩამოურიგებს პურის ნაჭერს, ოთხ-ოთხ ლელვის ჩირს და თითო კრასოვულ ღვინოს. კანდილაფტი აანთებს კანდლებს, მერე გადის და რეკს.

4. გარკვეული მსახურების შემდეგ ყველანი გადიან შტოსა ეკლესიისასა. რჩება მხოლოდ კანდილაფტი, რომელიც აანთებს ყველა კანდელს.

5. წინამძღვარი არიგებს სანთელს.

6. მღვდელი იმოსება მთლიანად თეთრით, უკმევს ძმათა, ამბობს დიდებას, და იწყებს: „ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილი დათრგუნა და მყოფთა საფლავისათა ცხორებაჲ მოანიჭა”.

აღდგომის ამ საგალობელს აქვს მინაწერი აშიაზე: „ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავისა შინათა ცხორების მომადლებელი” (შიომღვიმის ტიპიკონი 2005, 124). ეს აღდგომის საგალობლის ყველაზე გავრცელებული ტექსტია მცირეოდენი ვარიაციით.

ასე, სხვადასხვა ვარიანტით არსებობდა და შემდეგ ჩამოყალიბდა ახლანდელი ყოველმხრივ მშვენიერი (ფორმითა და შინაარსით) საგალობელი აღდგომისა. ალბათ, მელოდია შენარჩუნებულია.

გალობისა და ღვთისმსახურების შემდეგ მღვდელი სახარებით ხელში დადგება აღსავლის კართან. იგალობება ქრისტე აღსდგა, წინამძღვარი ამბორს უყოფს

წმ. სახარებასა და მღვდელს, ასევე – თითოეული ძმა, წინამძღვარი წაიკითხავს იოანე ოქროპირის საკითხავს.

აქვე მითითებულია („უწყებად ჯერ არს“), როგორ უნდა ილოცონ ჟამნი და სერობისა დიდი კვირიაკიდან ახალი კვირიაკის შაბათამდე (124).

განგებად ზატიკისა ცალკე სათაურად გატანილი არ არის. გვხვდება ტექსტში შემდგომ: „ოთხშაბათსა შუა ზატიკისასა“ (129).

კვირიაკის მწუხრად ტიპიკონი უჩვენებს აღდგომის სამ სამარადისო სტიქარონს: „პირველ საუკუნეთა... და ორთა მოყუასთა მისთა და სამთა აღმოსავლურთა. დიდებად და სხვად აღმოსავლურივე“ (125).

წმიდა შვიდეულის ცისკარი, სამხარი და მწუხრი მოცემულია ორშაბათის განგებაში და მითითებულია („სათანადო არს ცნობად“), რომ „ესრეთ ილოცვების ცისკრისად ყოველთა დღეთა წმიდისა ამის შვიდეულისათა“ (125). გიორგი მთაწმიდელის „დიდ სჯნაქსარში“ ბრწყინვალე შვიდეულის დღეების საკითხავ-საგალობლები უფრო სრულადაა მოცემული, ვიდრე შიომღვიმისაში. იქაც აღნიშნულია, რომ შვიდეულის სხვა დღეთა ცისკარიც ისევე აღესრულება, როგორც პირველ დღეს (ორშაბათს). ამასთან, არ უჩვენებს შაბათის მწუხრის ღამისთევას (მ. დოლაქიძე, დ. ჩიტუნაშვილი 2017, 375–79).

შაბათის მწუხრი ღამისთევითაა, ამ დღიდან იწყება და ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე მწუხრზე იკითხება საქმე მოციქულთა.

„სამხრად ვიტყვთ ჩვეულებისაებრ ფსალმუნთა“ (127), ახლავს მინაწერი ამიაზე: „ხოლო ჩუენ – კეთილ-არსთა, თვისთა წესითა“.

სამხარს მოსდევს კვირიაკისა მწუხრი განმარტებით, რომ „ესრეთ იქმნების წესი სამწუხრომსა ლოცვისად ყოველთავე კვირიაკეთა წმიდათა ერგასისთასა; ხოლო დასდებელნი ოდენ უცვალებიან და ლიტანიისანი“ (127).

წესი ახალკვირიაკიდან ჯვართამაღლების შემდეგ კვირამდე. ზატიკის განგებისაგან მოცემულია განგება მეორე შვიდეულის ორშაბათისა; აღვსებითგან მესამისა კვირიაკისა, წმიდათა მენელსაცხებლეთა დედათად და იოსებ მართლისად; აღვსებითგან მეოთხისა კვირიაკისა, საბანელსა შინა პროვატიკისასა მდებარისა მის განრლუეულისად; ოთხშაბათსა შუაზატიკისასა „უწყებად ჯერ-არს, ვითარმედ

განგებად ესე განზოგებისად და წესი გალობისად რვა დღემდე გარდაიკდების”; „ხოლო ჩუენ – ოთხ დღე ხოლო” (მინაწერი აშიაზე, 129).

მეხუთისა კვირიაკისა სამარიტელისა; მეექვსისა კვირიაკისა შობითგან ბრმისა; სამშაბათისა მეექვსისა შვიდეულისა; ოთხშაბათისა მეექვსე შვიდეულისა; ხუთშაბათისა მეექვსე შვიდეულისა – აქ „სამხრად მომიკსენესა ზედა მესამე და მეექვსე გალობათა დასდებლების ნაცვლად მღვიმელნი იტყვიან კეთილ-არსთა” (წარწერა აშიაზე. 131); მეშვიდისა კვირიაკისა, წმიდა 318 ნიკიელ მამათა; მეშვიდე პარასკევისა მწუხრი. მოსდევს საღმრთო ლიტურგიის წესს და აგრეთვე სვინაქსარის მონაცემებს, მხოლოდ იქ ყველა დღის განგება ცალკეა (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი 2017, 379–400).

წმიდა მეერგასე კვირიაკისა, შაბათის მწუხრი ღამისთევით სრულდება; კვირიაკის აღდგომიდან სულთმოფენობამდე – 50-ე დღემდე, რაც კვირას ხვდება, მუხლმოდრეკა არ აღესრულება; ამ დღეს ეკლესია უჩენს სპეციალურ განგებას, რომლის დროსაც ლოცვები პირველად წაიკითხება მუხლმოდრეკით. ამიტომ მწუხრი ირეკება ადრე, „განგებისათვის მუხლმოდრეკისა” (133). მღვდელი იტყვის: „მერმეცა და მარადის მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ”; ძმანი მოიდრეკენ მუხლს, მღვდელი წაიკითხავს პირველ ლოცვას; შემდეგ ითქმება კვერექსი, ასამაღლებელი ლოცვისა, კვერექსი ხელგანპყრობითი; ასამაღლებლის შემდეგ მღვდელი იტყვის: „მერმეცა და მარადის მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ”; წაიკითხავს მეორე ლოცვას, ისევ კვერექსი, ასამაღლებელი. ისევ იტყვის მღვდელი: „მერმეცა და მარადის მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ”; წაიკითხავს მესამე ლოცვას... ლოცვის შემდეგ: შეგვეწიენ..... ყოვლადწმიდისაჲ..., ასამაღლებელი ლოცვისა, კვერექსი... ეს თანმიმდევრობა დაცულია სხვა ტიპიკონებში. დიდ სვინაქსარში შიომღვიმისაგან განსხვავებით დიაკვანი ამბობს მუხლმოდრეკით: „უფლისა მიმართ ვილოცოთ“, ყველანი იჩოქებენ, მღვდელი კითხულობს ლოცვას და ასე კიდევ ორჯერ მეორდება. რაიმე არსებითი განსხვავება არ ფიქსირდება.

ორშაბათისა მეერგასის შემდეგ „ცისკრად ჩუეულებისაებრ ფსალმუნებაჲ. გალობანი დღესასწაულისანი”... მინაწერი აშიაზე: „ცხად არს, ვითარმედ უქმნი, და

სულისა წმიდისანი, ჳმასა (ა), ორნივე ორ-ორჯერ“ (გვ.134). ცისკრის ლოცვაზე იგალობება თითო გალობა დღესასწაულისა და დღის წმინდანისა.

პარასკევსა მწუხრი და კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა. აქაც, შაბათსა მწუხრი იხსენიება დასდებელნი „აღმოსავლურნი სამნი“ (134). „აქებდითსა დასდებელნი აღდგომისანი ოთხნი, აღმოსავლური ერთი“. ყოველთა წმიდათა კვირიაკეს იკურთხება პური და იწყება კათოლიკე და პავლეს თოთხმეტ ეპისტოლეთა კითხვა, ასევე გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა. პირველი წიგნი იკითხება კვირამალისღამისთევათა, წმიდა ალვსების დიდ კვირამდე, ერგასში კი მოციქულთა საქმეს წაიკითხავენ (134).

„სამხრად მომიხსენესა ზედა დასდებელნი ჳმისანი და გალობათაგან ყოველთა წმიდათასა“. აშიაზე: „ხოლო ჩუენ – კეთილ-არსთა“ (გვ.135).

ყოველთა წმიდათა კვირის შემდეგ იწყება მოციქულთა მარხვა. „შესწავებად საჳმარ არს“, რამდენჯერაც დაემთხვევა ალელუია ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, „მარხვასა დღედ ვილოცავთ და ერთგზის ვჳამთ, შემდგომად სამწუხრომსა გამოლოცვისა. ხოლო ოდეს იყოს ღმერთი უფალი, ორგზის ვისერებთ დღესა შინა“ (135).

ტიპიკონში აგრეთვე შედის „განგებად შაბათთა ყოვლისა წელიწდისათად, რომელთა შინა იყოს საჳსენებელი საჩინომსა წმიდისად და იგალობებოდის ღმერთი უფალი“; „თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობად, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღმრთისამან გამოსაჩინებელი კეთილმსახურებისა შჳულთად და დაქცევად სიბოროტისა ბოროტადმსახურებათად“. გამოავლინენი: თუეთანი სრულიად; ათერთმეტთა აღდგომისა საცისკროთა სახარებათანი; ყოველთა წმიდათანი; მარხვათანი. კონდაკნი და ჳკოსნი; ღამისთევასა შემდგომად ნეტარ-არიანთასა, ჳმად (ა) გუერდი; კუერექსი სავედრებელი; ყველიერისა ხუთშაბათსა ჳსენებად საჳკრველთმოქმედისა წმ. მამისა შიომსი; იანვარსა 15(იდ) წმ. მოციქულისა ნინომსი; საგალობელნი ღირსისა მამისა შიომსი; დიდებასა ზედა, უფალო ღალატყავსა და სტიქარონთა ზედა, ვიეთთჳსცა გიჳმდეს მამათათჳს; საჳმელთათჳს და სასუმელთა; ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის. ტიპიკონის ამ ნაწილს მინაწერები არ დაერთვის, ისინი ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის და არ განვიხილავთ.

საჭმელთათვის და სასუმელთა და ვითარობისა და რაოდენობისა და სატრაპეზოთა წესიერებისა. ეს თავი არაა საბაწმიდური ტექსტის ორგანული ნაწილი, მას არ შეიცავს შიომღვიმური ხელნაწერი, არც საბაწმიდური ტექსტის სხვა ნუსხები; გვხვდება მხოლოდ ხუთ ხელნაწერში – გიორგი VIII-ის ასულის, ქეთევან-ქრისტინესეული (1511 წ.), მინიატურული (XVIII ს.), დოდორქის მონასტრისა (1715წ.), XVI–XVII საუკუნისა, ევგენი ჩხეტიძისეული ბედიის გულანი XVII–XVIII საუკუნისა – რომლებშიც ის შეუტანიათ გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვანაქსარიდან“. როგორც შიომღვიმის ტიპიკონის გამომცემლები წერენ, ბედიის გულანიდან გადმოღებული ეს ტექსტი ტიპიკონს დაურთეს „იმ რედაქციული თავისებურებების საჩვენებლად, რაც საბაწმიდური ტიპიკონის მნუსხველს შეუტანია „დიდი სვანაქსარის“ ტექსტში – რაც ძირითადად ტერმინოლოგიას ეხება: „ტაბლა“ ტიპიკონზე დართულტექსტში ზოგჯერ „ტრაპეზად“ შეუცვლიათ, „მნათე“ – „კანდელაფტად“, „ხუცესი“ – „მღვდელად“, „სენაკი“ – „კელინად“; ასევე, სამარხვო დღეების – ოთხშაბათისა და პარასკევის – შესახებ საღვთისმსახურო მითითებები ორშაბათზედაც გაუვრცელებიათ (ტიპიკონი 2005, 193, სქოლიო).

სამხრის ლოცვის შემდეგ, შიომღვიმელები სატრაპეზოში ერთად, გალობით მივიდოდნენ. მღვდელი აკურთხებდა, დასხდებოდნენ მშვიდად, თითო ტაბლასთან ცხრა–ცხრა. მეტრაპეზე საჭმელსაც მღვდლის კურთხევის შემდეგ დაალაგებდა, თითოეული კერძის გამოტანის შემდეგ იტყოდა, „უფალო, იესუ ქრისტე“ და მერეღა იწყებდნენ ძმები ჭამას.

აქ საყურადღებოარის დეტალები: „ეპიტირიტისი, რომელ არს დამხედვარი“, დადის მაგიდებს შორის და ძმებს დუმილისაკენ მოუწოდებს (ტიპიკონი, 2005: 193), რაც არც ერთ სხვა ტიპიკონში აღნიშნული არ არის. ასევე, ჭამის დამთავრებისა და ლოცვის შემდეგ ნამუსრევების აკრება თასით (მისორი). კურთხევის შემდეგ თავ-თავიანთ სენაკებში (კელინთა) მიდიოდნენ სერობის ლოცვამდე.

შიომღვიმეში მრავალი მონაზონი მოსაგრეობდა, მათი ტრაპეზის მომზადებასაც ბევრი ადამიანი სჭირდებოდა. ისინი, მსახურნი და შემწენი, დღესასწაულისა და ძმათა სიმრავლის გამო, ლოცვისა და მწუხრის შემდეგ, მაშინვე სხდებოდნენ (აწუევდეს) და ვინც სამხრად ემსახურებოდა, მწუხრზეც მათ უნდა ემსახურათ.

ბევრია ნათქვამი ღვინის შესახებაც: აღდგომის შვიდეულში სამ-სამ კრასეულს სვამდნენ სამხრად და ორ-ორს სერობად, მერე – ორსა სამხრად და ორსაც სერობად, წესისამებრ, თუ წინამძღვარმა არ დაუმატა.სერობად ჭამდნენ, თუ სამხრად საჭმელი მორჩებოდათ, რადგან სერობისთვის ახალი არ კეთდებოდა, და ორ-ორ კრასეულს იწდევდნენ.

წმიდა მოციქულთა მარხვაში ყველს არ იღებდნენ, თევზს – შაბათ-კვირას და დღესასწაულზე. კეთდებოდაორი საჭმელი: ერთი ზეთით, მეორე – ნიგვზით ან თაფლით შეზავებული. ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევს მხოლოდ ავადმყოფები სვამდნენ ღვინოს მამასახლისის ბრძანებით. კვირის სხვა დღეებში, სამხრად იტრაპეზებენ, თუ ცხრა-ჟამ, ორ-ორ კრასეულს შესვამენ (ტიპიკონი 2005, 196).

წმინდანის ხსენების დღეს და როდესაც ჟამი არ ითქმის და მუხლთდრეკას არ უჩენს, ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ტრაპეზზე თევზსა და ყველსაც გამოიტანდნენ (194).

საუფლო დღესასწაულებზე, წმიდათა ღვთისმშობლის, ნათლისმცემლის, ღვთისმეტყველისა და მთავარანგელოზთა ხსენების დღეს, რა დღეც უნდა იყოს, შეიძლება თევზის, ყველისა და ღვინის მიღება – სამი კრასეული სამხრად და ორი – მწუხრზე. სხვა დღეებში – ორ-ორი. ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევს ღვინო არ ისმება. მიიღებენ მხოლოდ ავადმყოფები მამასახლისის განკარგულებით, როგორც დაწვერეთ (194).

ქრისტეს შობის მარხვაში დღე მოკლეა, ამიტომ ტრაპეზი დღეში ერთხელ დაიგება, მწუხრის ლოცვის შემდეგ; იღებდნენ იმავე სააკვებს, რასაც მოციქულთა მარხვაში და ორ-ორ კრასეულ ღვინოს ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევის გარდა (194-195).

შაბათ-კვირასა და წმიდათა ხსენების დღეს. როცა „ღმერთი უფალი“ ითქმება, ორგზის იშლება ტრაპეზი და ორ-ორ სასმისს შესვამდნენ.

ამ მარხვაში მოდის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, წმიდათა ანდრიასა და ნიკოლოზის, წმიდა ევსტრატეს, წმიდა მოწამე ბარბარეს ხსენება, ანას მუცლადღება და სვინგელოზის ხსენება. თუ ეს დღესასწაულები დაემთხვა ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევს, როცა „ჟამთა დაცადებაჲ იქმნების“, ორჯერ დაიგება ტრაპეზი, მაგრამ უღვინოდ, რაც წინამძღვრის განკარგულებით შეიძლება შეიცვალოს (195).

თავისი დიდი მნიშვნელობის გამო ცალკე სათაურითაა გამოყოფილი თავი **წმიდათა და დიდთა მარხვათათჳს**. პირველ რიგში აღნიშნულია, რომ დიდ მარხვაში, შაბათ–კვირის გარდა, ტრაპეზი ერთხელ დაიგება.

დიდმარხვის პირველი კვირის ორშაბათსა და ოთხშაბათს სატრაპეზო არ გაიღება, ყველანი მარხულობენ, სნეულთა გარდა. სამშაბათსა და ხუთშაბათს ძმები შევლენ სატრაპეზოში და პურსა და მდუღარს იღებენ. პარასკევის მწუხრზე მოხდება სიწმიდის განახლება, შემდეგ შევლენ სატრაპეზოში და დაეგება მათ პური, ჩირის წვენი და მწნილი, ან რამე სხვა ამგვარი. შაბათ–კვირას კეთდება ზეთით შეზავებული ორი კერძი, ორჯერ გაიშლება სუფრა და თითო ჯერზე ორ–ორ კრასეულ ღვინოს ჩამოარიგებენ. აქედან მოყოლებული ტაბლა ჩვეულებრივად დაიგება (195).

დიდმარხვის სხვა შვიდეულებში ხუთ დღეს არ მიიღება ღვინო და წვნიანი. ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს ჭამენ ჳნდურის სირსვალს, უმ მხალსა და მწნილს; თუ იქნება, დამხალ ცერცვსაც; სამშაბათსა და ხუთშაბათს – ნიგვზით შეზავებულ ცერცვს ან მხალს, შაბათ–კვირას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველი კვირის განწესებაში, ორი საჭმელი გამოიტანება (195).

დიდმარხვაში მოდის სებასტიის ტბაში წამებულ წმიდა ორმოც მოწამეთა, ნათლისმცემლის თავის პოვნის დღესასწაული და მარხვის განზოგება, შუამარხვის ოთხშაბათი. ამ დღეებში შეიქმნება ზეთით შეზავებული ორი საჭმელი, ისმება ორ–ორი კრასეული ღვინო. თევზს მიიღებდნენ მხოლოდ ხარების დღესასწაულზე, მის მეორე დღეს – ზეთით შეზავებულ საჭმელს და სამ–სამ კრასეულ ღვინოს (195).

ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს პურს, ჳნდურ სირსვალს და წყალს მიირთმევდნენ, ხუთშაბათს – ზეთით შეზავებულ ორ საჭმელსა და სამ–სამ კრასეულ ღვინოს; დიდ პარსკევსა – უზეთოდ და უღვინოდ გადაივლიდნენ, მხოლოდ პური და უმი ან მოხარშული მხალი ჰქონდათ.

დიდ შაბათს ლოცვა იწყებოდა თერთმეტ საათზე და როცა ჟამს გამოილოცავდნენ, მაშინ წაიხემსებდნენ იმით, რაც ექნებოდათ. აკეთებდნენ სეფისკვერებს – წონით თვთონახევარი –ყველას თითოს აძლევდნენ; დაეგებოდა ხილის საჭმელი და სამ–სამი კრასეული ღვინო (195).

ეს არის ძმათა კრებულის საერთო ტრაპეზის წესი, თითოეულს კი თავისი ძალისა და გულმოდგინების მიხედვით შეუძლია სულიერი მამისა და წინამძღვრის კურთხევით მარხვისა და ლოცვის განსაკუთრებული ღვაწლი იტვირთოს (195).

მორჩილებაში მყოფთა საქმისა და ჭამის განსაზღვრა. პირველ რიგში ნათქვამია, რომ წმიდა მარხვის პირველ, ასევე ვნების კვირიაკეში ძმები ყველა საქმეს წყვეტდნენ საიმისოდ, რომ ყველა ლოცვას დაესწრონ ეკლესიაში, წიგნები იკითხოთ და თავი კრძალვით შეინახონ. არავინ გავა გარე საქმეზე. თუ აუცილებლად საჭირო რამე იქნება, წინამძღვრის ბრძანებით წავიდოდა რამდენიმე ძმა. იგივე წესი მოქმედებდა აღვსების შვიდეულში, განსაკუთრებით ოთხშაბათამდე, თუ, როგორც ითქვა, რაიმე გადაუდებელი საქმის გამო იძულებულნი არ გახდებოდნენ, დაეტოვებინათ მონასტერი.

დიდი მარხვის სხვა დღეებში გარე საქმეებზე განწესებულები პირველ დარეკვამდე წავიდოდნენ თავიანთი სამსახურის აღსასრულებლად. ვინც მონასტრის ახლოს შრომობდა, მწუხრს ეკლესიაში ესწრებოდნენ და ტრაპეზზეც შედიოდნენ, შორს წასულები კი სერობის ლოცვის დროს მოვიდოდნენ.

შემდეგ დაწვრილებითაა გადმოცემული რამდენიმე საკითხი:

1. მძიმე სამუშაოზე მყოფთა შრომა, კვება და დასვენება.

მჭედლებს, მეჯორეებს, ხუროებსა და ნავის მოქმედთ, თუ მუშაობდნენ, მეექვსე ჟამზე ეძლეოდათ პური და სამ–სამი კრასეული ღვინო, გარდა ორშაბათ–ოთხშაბათ–პარასკევისა – ამ დღეებში არავინ სვამდა ღვინოს, გარდა ავადმყოფებისა.

მონასტრის გარეთ სხვა საქმეზე გამსვლელებს, რომლებსაც დღეში ერთხელ ჭამა არ შეეძლოთ, ეძლეოდათ პური უღვინოდ, რათა წყალთან ერთად ეხმიათ. მათ ტრაპეზი მარხვის დამთავრების შემდეგ დაეგებოდათ.

მეჯორეებსა და მჭედლებს სამხრამდე („პირველ სამხრისა“) ეძლეოდათ პური და თითო კრასეული ღვინო. სადილად, როგორც მძიმე საქმეზე მომუშავეებს, ასევე – ნავის მოქმედთა და ხუროებს, თუ შრომობდნენ, ასევე მევენახეებს – სხვლის, ფურჩნისა და აჯოჯვის პერიოდში მხოლოდ სამხრად; ეგრეთვე საპურის მსახურებს, როცა აცხობენ („ოდეს ცომისა ჰქონდეს“); ყველა სხვა დანარჩენი კრებულის საერთო საკვებით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

იმ დღეებში, როცა წესი ერთხელ ჭამას უჩენს, გარე მშრომელებს პური ეძლეოდათ მწუხრის ლოცვამდე მათი მძიმე შრომის საზღაურად, ასევე მებაღეს („მემტილე“) და მებოსტნეს.

მაშინ, როცა ტრაპეზი ორგზის დაეგება, რაც ზემოთ ითქვა, მძიმე საქმეზე მომუშავეებს ტრაპეზის გარეშე არაფერი მიეცემათ.

სულმოკლეებს (ვინც შიმშილს ვერ იტანს) და უძლურებს წინამძღვრის ბრძანებით დაუდგინდებათ გამონაკლისი, მკურნალობის ისეთი წესითა და ნუგეშისცემით, რაც თითოეულისათვის არის საჭირო (196).

ყველაფრიდან ჩანს, რომ შიომღვიმის (და ზოგადად ქართულ) მონასტრებში ზრუნავდნენ, ძმებს ლოცვა, მარხვა, შრომა არ გასძნელებოდათ; ითვალისწინებდნენ თითოეული მათგანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას და ყველანაირად ეხმარებოდნენ, რომ გამოეღოთ უხვი „ნაყოფი სულისა“.

ამავე თავში გადმოცემულია კიდევ სამი საკითხი (რაც ერთგვარად მოულოდნელია), რომლებიც იწყება აღნიშვნით “უწყებაჲ ჯერ არს“. ესენია:

1. **ხარების დღესასწაულის აღნიშვნა.** მესამე ჟამზე ირეკება ძელი, ძმები შეიკრიბებიან წმ. ღვთისმშობლის ტაძარში, ილოცებენ მესამე და შუადღის ჟამებს, წაიკითხება საწინასწარმეტყველო – იმ დღეს კანონი არც ერთ ჟამზე არ იკითხება – ასევე ილოცავენ მეხუთე და მეცხრე ჟამს, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყებენ ლიტანიით მსვლელობას ღვთისმეტყველის ეკლესიამდე, ავლენ გალავანზე წმ. ღვთისმშობლის ეგვტერამდე. იქიდან დაბრუნებულები იწყებენ მწუხრის ლოცვას, რასაც მოჰყვება სრული ჟამისწირვა.

თუ ცუდი ამინდი, წვიმა („ჟღმუტი“) იქნება, ღვთისმეტყველის ეკლესიაში აღარ წავლენ, მოივლიან ნათლისმცემლისა და მთავარანგელოზთა ახლო მდებარე ეკლესიებს და ისევ დაბრუნდებიან ღვთისმშობლის ტაძრად.

ხარება თუ შაბათ–კვირას დაემთხვა, ლიტანიაზე ცისკრის ლოცვის შემდეგ გავლენ, ასევე – ბზობასაც, ნათლისმცემლისა და მთავარანგელოზის ეკლესიამდე.

აღდგომას („ავსებისა დღესა“) ასევე გაიმართება ლიტანია, მოივლიან ღვთისმეტყველის ტაძარს, კარავთა და ვენახთა და ეგუტერთა, და გარემოძს ყოველთა ადგილთა მონასტრისათა (196–197).

2. **აღსარებისათვის.** მონასტერში მყოფი ძმები ვალდებული არიან, თავიანთი გულისნადები და დაფარული საქმეები წინამძღვართან აღიარონ და მის მიერ დადებული ეპიტიმია მიიღონ, რადგან ასეა გადმოცემული მამათაგან. არ შეიძლება, მამასახლისის ნებართვის გარეშე შეინახონ დრაჰკანი, დრამა და თუდაც ფოლი, შეიძინონ და საკუთრად იქონიონ რაიმე ნივთი, რადგან ჩვენს წმინდა მამათაგან და დიდი ბასილისაგან სასტიკად არის აკრძალული.

ასევე სრულიად შუფერებელია მონასტრის ძმობის წევრისათვის ფარულად დატოვოს მონასტერი. თუ ვერ ჩერდება იმ ადგილას, სადაც აღიკვეცა, გაუმხილოს თავისი გულისნადები წინამძღვარს და თუ მართლა აუცილებელი მიზეზის გამო უნდა წასვლა, წინამძღვარი ჩააბარებს მას სხვა სულიერ მამასახლისს, ან სხვანაირად მოაგვარებს მის საკითხს, რომ მონასტრიდან ლოცვით და კურთხევით წავიდეს და არა უწესოდ და წყევით (197).

3. **სასჯელისათვის.** ჩვენთვის საინტერესოა მესამე, დისციპლინური საკითხი, რაც მონასტერში საპყრობილეთა არსებობას ეხება. იქ ამწყვედევდნენ და ხმელ პურზე ამყოფებდნენ ურჩსა და თავხედებს „სწავლად სათნოებისა“. წერენ, რომ ცემით წვრთნა უფრო ერისკაცებს შეეფერებათ და ამიტომ მონასტერში დასჯის ეს მეთოდი აღარ გამოიყენება, თუ არა რაიმე დიდი დანაშაულისთვის, მაშინაც დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რომ არ გადავამეტოთ, ამიტომ ამჯობინეს უწესოთა და ურჩთა საპყრობილეთი შეყენება და ხმელი პურის ჭამით „დამწყსად და განბრძობად“ (197). ამ თავშივეა საუბარი შესამოსელზე (197), რაც ცალკე გვაქვს გატანილი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შიომღვიმის მონასტერში იმსახურებოდა წმ. საბა განწმენდილის ლავრის წეს-განგების სვიმეონწმინდის მონასტერში გავრცელებული რედაქცია, ამასთან, ითვალისწინებდნენ გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარის, სტუდიელთა (კონსტანტინოპოლის) და იერუსალიმის მონასტრის განგებას, რაც ტექსტში ჩართული რემარკებითა და აშიაზე მინაწერებით დასტურდება. ცხადია, რომ იმ დროს ქართველი მონაზვნები კარგად იცნობდნენ მახლობელი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის საღვთისმსახურო პრაქტიკასა და ლიტურგიკულ ლიტერატურას. აგრეთვე, ირკვევა, რომ შიომღვიმის

მამებს, საერთო ლოცვის გარდა, ჰქონდათ პირადი სასენაკო კანონები, რაც საკმაოდ მკაცრი იყო, განსაკუთრებით დიდ, აღდგომისწინა მარხვაში.

3.3. ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი

ასპინძის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვარძიამდე ორიოდ კილომეტრში, მდებარეობს კლდეში გამოკვეთილი 16 იარუსად განლაგებული 200-მდე გამოქვაბული, ვაჰანის (XIV ს.–დან ვანის) ქვაბები. ვანის სამონასტრო კომპლექსში შედის, აგრეთვე, კლდეში გამოკვეთილი სადგომები, სამეურნეო სათავსები, თავდაცვითი ნაგებობები, წყალსადენის ნაშთები, სავალი გვირაბები, სამარხები, 6 ეკლესია, მათ შორის წმ. გიორგის ულამაზესი გუმბათიანი ტაძარი. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა აქ შემორჩენილი სამშენებლო და სხვა წარწერები და ფრესკის ნაშთები.

გამოქვაბული და სულიერი ცხოვრება აქ პირველად VII–IX საუკუნეებიდან უნდა გაჩენილიყო. IX–XI საუკუნეებში მონასტერი გაუფართოებიათ, გამოკვეთავთ წმ. გიორგის ეკლესია და ახალი სენაკები. ვანი 1191 წლამდე გურგენის ძეთა ფეოდალური გვარის სამფლობელო იყო, 1192–1204 წლებში მეფის კუთვნილებად იქცა, შემდეგ მონასტერი გადაუციათ თმოგველი ერისთავთერისთავებისათვის (გაფრინდაშვილი 2008, 199) და ამ მონასტერს მზრუნველად და პატრონად გამოსჩენია თმოგველთა საგვარეულო სახლის წევრი, ერისთავთერისთავი მხარგრძელი, სარგისის ძე, რომელმაც შესწირა დიდი მამულები და ქონება და დაუწერა ტიპიკონი, „ვაჰანის ქვაბთა განგება“, რომლის მიხედვითაც იქ მოსაგრე მონაზვნებს უნდა ეცხოვრათ. ტექსტში არ არის არავითარი მინიშნება, რომელი ქვეყნის ან მონასტრის ტიპიკონის მიხედვით არის შექმნილი, მაგრამ სავარაუდო პირველწყარო აუცილებლად ექნებოდა და, შესაძლოა, ეს იმ დროს საქართველოში გავრცელებული იგიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ ყოფილიყო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მონასტრის დამფუძნებლები, ეტიტორები, შემდგომად უფლის დიდებისა, იღვწიან საკუთარი ცოდვების მისატევებლად, ტიპიკონებში წერენ თავიანთ დამსახურებას და მონასტრის ძმებს ავალებენ, განსაკუთრებული ლოცვით, აღაპებითა და მოწყალების გაღებით ულოცონ და მოიხსენიონ.

საქართველოში არსებულ მონასტერთა ტიპიკონებიდან შემორჩენილია მხოლოდ შიომღვიმის მონასტრისა, სრული სახით, და ვაჰანის ქვაბთა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან დაზიანებულია.

„ძეგლი ვაჰანის ქვაბთა მონასტრისა“ პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ: (ჟორდანი 1896–1897). ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა (მუსხელიშვილი 1939); ეს ტექტია გადაბეჭდილი ქართული სამართლის ძეგლებშიც (დოლიძე 1970).

ვ. სილოგავა წერს, რომ ტექსტის დედანი – ჯოხზე დახვეული XII–XIII საუკუნის ნუსხურით დაწერილი გრძელი ეტრავტი – ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (სილოგავა 2008, 205). ვ. სილოგავა იზიარებს „ძეგლის“ ერთ–ერთი გამომცემლის, ლ. მუსხელიშვილის, აზრს, რომ ტექსტი თავდაპირველად შეიცავდა 15 ფურცელს, დაკარგულია 3 – ტექსტის 7 თავისაგან შესავალი, მეორე თავის ნაწილი, მესამე თავი მთლიანად, მეოთხე თავის ზანდუკი და პირველი სტრიქონები. ტექსტში წესდება მოიხსენიება, როგორც „ტკპიკონი“, „ანდერძი და „განგებად“, „განგებად და განწესებად“, „ანდერძი“, „ძეგლი და განგებად“, „განგებად“ (სილოგავა 2008, 205).

ამ ტიპიკონის პირველი თავი ზოგადი შინაარსისაა. მხარგრძელი ჰმადლობს ღმერთს, რომლის შეწევნითაც სრულ იქმნა მონასტერი და ამბობს, რომ დიდითა გულსმოდგინებითა და გამოკითხვითა აღუწერია განწესებად ესე, მღვთივ შუჭნიერებრისა წესი მონაზონებისაჲ. მას შეუსყიდია მონაზონთაგან „ორნატნი, აგარაკნი და ვენაჰნი“ (ჟორდანი 1896, 31) გადაუხდია, რამდენიც მოუთხოვიათ და ყოველივე ტრაპეზისთვის განუწესებია. აქვე წერს, რომ მონასტერში, როგორც წმ. მოციქულთაგან არის დაწესებული, ყოვლად დაუშვებელია „ვაჭრობა და მოფარდულობა“, რაც უცხოა და ეწინააღმდეგება სამოღვაწეო კანონს, რადგან არ შეიძლება ორთა უფალთა მონება, ვითარცა ხმობს სახარება: „ვერ ჰელ–ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (მ.6, 24; ლ.16, 13). ერთად მყოფ მართლმორწმუნე ძმებს ერთი გული და გონება უნდა ჰქონდეთ და იცოდნენ, რომ ყველაფერი საზოგადოა. აფრთხილებს ყველას, რომ არავინ იკადროს მონასტერში რაიმეს პირადად შეძენა, რათა არ მიიღონ ანანიას და საპფირას წყევლა და გეზის კეთრი (ჟორდანი 1896, 31).

ამას მოჰყვება მეორე თავის ზანდუკი, რიცხვსათვის მღვდელთა და დიაკონთა და მწირთაისად; როგორ უნდა აირჩიონ სულიერი მწყემსი და ხელისუფალნი, რომ არავის აქვს უფლება, იყოს სხვა მოძღვრის მოწაფე, არც თვითონ დაიმოწაფოს ვინმე, არც მონასტერში, არც გარეთ. ტექსტის ნაწილი არ იკითხება.

მხარგრძელის განწესებით, ვაჰანის ქუაბთა მონასტერში უნდა იყვნენ მღვდლები, მთავარ–დიაკვნები და მწირები, წმინდა და პატოსანნი, სულ 31, აქედან 24 მღვდელი და 7 დიაკონი ²⁵, მოციქულთა კრებულისა და წმიდა მამათა განწესებისამებრ. მწირად წოდებული მონაზვნები, ისინიც უეჭველად ღვთის მოშიშნი, რომლებმაც მთლიანად ღმერთს მიუძღვნეს თავიანთი ცხოვრება, ამსოფლიურ ღელვაზე მაღლა დადგნენ, აირჩიეს მონასტრის მსახურება, უყვართ ძმები და უდრტვინველად ემორჩილებიან თავიანთ მწყემსს, ლავრის მამას, წინამძღვარს – რიცხვით 20. მსახურნი –10, რომლებიც ტრაპეზსა, სამზარეულოსა და სახაბაზოში ყოველნაირ სამუშაოს ასრულებენ. შეიძლებოდა, ამაზე მეტი რაოდენობისდაწესებაც, მაგრამ ერისთავთერისთავ მხარგრძელს უნდოდა, ისინი ყოველმხრივ, სულიერად და ხორციელად უზრუნველყოყველაფრით, რომ მატერიალურ საჭიროებებზე არ ეფიქრათ და მარხვის, ლოცვისა და საღმრთო წერილის კითხვისთვის მოცალე ყოფილიყვნენ, ამიტომ საკმაოდ ჩაუთვლია ეს რაოდენობა და იბარებს, არავინ არასოდეს არც შეამციროს (ჟორდანიას 1896, 32).

შემდეგ მხარგრძელი განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს წინამძღვარი მონასტრისა. უპირველესად, ის ერთსულობით უნდა აირჩიონ მღვდელთა დასიდან, უნდა იყოს სიტყვით და საქმით სხვებზე უკეთესი და აღმატებული, დიდხანს ნაცხოვრები მონასტერში, „რომელსა ყოველნივე ერთკმობით ეწამებოდნენ“ (ჟორდანიას 1896, 32). მისი უბიწო ცხოვრების, სიკეთისა და სათნოების მოწმე ყველანი უნდა იყვნენ; ამასთან, უნდა შეეძლოს, იტვირთოს ამდენი ძმის სული; ჯეროვნად და დროულად იღვწოდეს, ჰკურნავდეს თითოეულის წყლულს სიტყვით და უფრო საქმით და ყველასთვის სიკეთისა და ღირსეულად ცხოვრების მაგალითი იყოს, როგორც დაწერილია (ეს მონაკვეთი ბევრ სახარებისეულ ციტატას შეიცავს); იესოასწავლის: ვინც თავის სახლს კარგად ვერ განაგებს, მას ღვთის ეკლესია როგორ უნდა ჩააბარო. მართლაც, ვინც წინააღმდეგ იქცევა, როგორ უნდა ასწავლოს სხვას

²⁵სავარაუდოდ, გამოცხადების 24 უხუცესისა და 7 ანგელოზის ანალოგიით. შდრ. გამოცხ. 4, 4–10; 5, 8; 8, 2; 11, 16; 19, 4.

კეთილად მოქალაქობა. – როგორც თავად უფალი ამბობს: „არა სამართლად ითქუას მისა მიმართ, მკურნალო, განიკურნე თავი თვისი“ (ლ. 4.23) – (შემდეგ ტექსტში სიტყვები არ იკითხება), უნდა შეეძლოს, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, სული თვისი დადოს თავისი ცხვრებისათვის სიტყვისაებრ უფლისა: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვს“ (ი. 10,11). ასეთი კაცი, თავისი თავის მკურნალი, დაიდგინებოდეს წინამძღვრად და სულიერ და ხორციელ მოძღვრად და მას ერთს ებარებოდეს მონასტერში მყოფ ძმათა სულები... შემდეგ ტექსტი აღარ ირჩევა (ქორდანია 1896, 32–33), ამას მოსდევს განკარგულება, რომ ყოველ ტრაპეზზე წიგნი იკითხებოდეს, როცა ძმები საზრდელს იღებენ, არავითარ შემთხვევაში არც ერთ დღეს არ გამოტოვონ წიგნის კითხვა და იმან უნდა წაიკითხოს, ვინც იმ კვირაში კანანახია. ტრაპეზის დროს აკრძალულია ლაპარაკი, ყველანი ერთად მყუდროებით საზრდელის მიღებისას უნდა მადლობდნენ ღმერთს, და თუ ვინმე დაარღვევს ამ წესს (აქ გამოტოვებულია, მაგრამ აზრი ასეთია), ერთი–ორ გზის მეტრაპეზემ გაიყვანოს, მაგრამ თუ ვინმე კვლავ გააგრძელებს თავხედობას, მოიკვეთონ და გააძევიონ მონასტრიდან (ქორდანია 1896, 33).

საჭიროა, ძმათა საზრდელი განსხვავებული არ იყოს, ძმების ტრაპეზზე ყველასთვის ერთნაირი პური, ღვინო და წვენი დაიგებოდეს მემხრეთათვის, მწირველთა და მწირთათვის (ტრაპეზი – სიმბოლო ზიარებისა). უხუცესი ძმებიც თავიანთი გემოთმოყვარებისა და ნაყროვანების გამო უკეთურობისა და ბოროტების მაგალითად არ უნდა იქცნენ სხვებისათვის, არამედ თითოეული საყოველთაო საზრდელს დასჯერდეს და არც არასდროს მოიტანონ განსხვავებული საკვები ტრაპეზზე, რაც, შესაძლოა, ძმათა ერთობაში განხეთქილების შემომტანი გახდეს. ყველაზე უმცირესსა და უდარესს სხვათა სწორად ერგება ერთი და იგივე საჭმელი, სასმელი და სხვა ყველაფერი. შეიძლება, იშვიათად სტუმართმოყვარეობის მიზეზით რაიმე საჭმლის შემომატება მოძღვრის ბრძანებით, ეს შესაფერისია და ძველი მცნებაა; უმასპინძლებენ იმ სტუმრებს, რომელთაც ქალი არ ახლავთ, უფრო ისეთებს, რომლებიც იშვიათად, ან შორიდან არიან მოსულები, რა თქმა უნდა, სალოცავად. შეიძლება დარჩნენ ერთი ან ორი დღე და მესამე დღეს უნდა წავიდნენ თავიანთი გზით. თუ დიდი და საპატიო სტუმარი მოვა – ეპისკოპოსი, აზნაური ან ვინმე საპატიო მონაზონნი – ამ წესით ტრაპეზით უმასპინძლონ; ხოლო შედარებით დაბალი

ხარისხის მონაზონს ან ერისკაცს, ვისაც არავისთან საქმე არ ჰქონდეს, გარდა ლოცვისა და ტრაპეზის გაღების ღირსი არ იყოს, მოძღვარმა და დეკანოზმა უმასპინძლონ, ისინი გაისტუმრებენ; თუ სტუმარი რომელიმე ძმის ნათესავი ან ნაცნობია და სალოცავად კი არა, სხვა საქმის გამო იყოს მოსული, იმან უმასპინძლოს, ვისთანაც საქმე აქვს, ხოლო მრავალმრონიეთა და მათხოვრებს მეკარე გაისტუმრებს; არავის აქვს უფლება, მონასტრის შიგნით სენაკებში იაროს (ჟორდანი, 1896: 33–34).

მესნეულე. საჭიროა, რათა ერთი გამორჩეული და ღვთისმოსავი მონაზონი მესნეულედ დაინიშნოს და ავადმყოფ ძმებს ემსახურებოდეს; ყოველდღე სამჯერ ნახოს, სატრაპეზოდან მათთვის დაწესებული საკვები მიართვას და გაუკეთოს სხვა ყველაფერი, რაც დასჭირდებათ ავადმყოფ და უძლურ ძმებს, უშურველად მიეცეთ და არაფერი მოაკლდეთ, რაც ჰქონდეთ და იშოვებოდეს (ჟორდანი 1896, 33–34).

სამოსი და საკვები. ამის შემდეგ ქტიტორი განსაზღვრავს ძმათა ტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხს; უმჯობესად მიუჩნევა, რომ მათ თვითონ შეიძინონ, რაც სჭირდებათ, ამიტომ დაუნიშნა საჩოხე ანუ სამოსის შესაძენი ფული.

ვაჰანის ქვაბთა მოსასტერში სულ სამოცდაერთი ბერი მოსაგრეობდა. იმის მიხედვით, ვის რამდენი საჩოხე და პურ–ღვინო ეძლეოდა, გამოიყოფოდა სამი დასი. წინამძღვარი, როგორც სულიერი მწყემსი, საჩოხედ ექვს დუკატს მიიღებს და ის, რა თქმა უნდა, არც ერთ დასში არ შედის.

დეკანოზსა და იკონომოსს მიეცემოდათ ოთხ–ოთხი დუკატი; **მგალობლებსა და მონასტრის პატრონთა თაყვანებულებს** – სამ–სამი; **მწირველებს**, რომელთაც მკითხველ–კანანახობა შეუძლიათ, **მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკსა და იპიტირიტისს** – ასევე სამი–სამი – ეს არის პირველი დასი; ხოლო მეორე დასის წევრებს, რომლებიც მხოლოდ მწირველები არიან – ორ–ორი. მესამე დასში შედიან **მწირნი**, მათ თითო ბოტინატი ან დუკატი ეძლევათ; **მსახურებსაც** სატანისამოსედ იმდენივე მიეცემათ, რამდენიც მწირებს, ბოტინატი ან დუკატი (ჟორდანი 1896, 34).

ასევე გაუჩინა პურ–ღვინოც, რომელსაც სხვადასხვა დასის წევრები განსხვავებულად იღებდნენ; მოძღვარს რვა გრივი პური, ოთხი წმინდა (ხორბალი), ოთხი ქრთილი (შემოდგომის ქერი) და სამი საპალნე (30 ჩაფი) ღვინო მიეცემოდა; დეკანოზისთვის განსაზღვრული იყო ექვსი გრივი პური, სამი წმინდა და სამი ქრთილი, და ორი საპალნე ღვინო; უთავადესი ძმებისთვის, რომელთაც საჩოხედ სამ–

სამი დუკატი ეძლეოდათ – პური ორი გრივი წმინდა, ერთი ქრთილი და თითო საპალნე ღვინო. მეორე დასის წევრებს, რომელთაც წირვის მეტი არაფერი შეუძლიათ, პური ორი გრივი წმინდა, ერთი ქრთილი და ერთიც ღვინო; მწირთა – პური ერთი წმინდა, ერთი ქრთილი და ღვინო – ოთხს ერთი საპალნე (ქორდანია 1896, 35). მსახურთა პურ-ღვინოზე არაფერია ნათქვამი. როგორც ითქვა, ისინი სატრაპეზოში, სამზარეულოსა და სახაბაზოში მუშაობენ, მაგრამ არ ჩანს, ერისანნი არიან, მორჩილნი თუ სამონაზვნონნი; არც ის, „მსახურება“ მათი მორჩილება იყო, მუდმივად ამ სამსახურს ასრულებდნენ, თუ ჰქონდათ მონაზნად აღკვეცის, სწავლისა და მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა – უფრო სავარაუდოა, ერისანნი არ იქნებოდნენ. სატანისამოსედ მათაც იმდენი მიეცემოდათ, რაც მწირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონში არის ერთ-ერთი პირველი წერილობით დადასტურებული ცნობა შესახებ იმისა, რომ ცოდნა მატერიალური შემოსავლის წყაროა – მღვდელს, რომელსაც წირვის გარდა „მკითხველ-კანანახობა“ შეუძლია, ანუ მედავითნეობა და გალობა იცის, საჩოხეცა და საზრდელიც მეტი ეძლევა.

მე-3 თავი არის შესახებ იმისა, რომ არავის ხელეწიფების ღვინით ან სხვა რამით ვაჭრობა, რამის სარგებლით გასესხება, მოძღვრის კურთხევის გარეშე მონასტრიდან გასვლა; მეშფოთეთა არყოფნისათვის, არა შესვლისათვის დედაკაცისა, გარდა ხელმწიფეთა, არაყოფისათვის დიაკონთასა; რა მიზეზით შეიძლება შეიცვალოს მოძღვარი, ან რატომ შეიძლება, გაძევებულ იქმნას ძმა მონასტრიდან.

მკაცრად იკრძალებოდა – როგორც ყველა სხვა მონასტერში – ღვინით ან სხვა რამით ვაჭრობა, თანხის სარგებლით და ვახშით გაცემა ერისკაცებსა ან გაჭირვებულებზე და ღარიბთა სისხლით გამდიდრება – ეს დიდი უწყესობაა, ანგარი სიბოროტისა და ვაჭრობის ბოლო ძალიან მძიმეა – მოტანილია იესოს ნათქვამი: „სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდების, ხოლო თქუნ გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა“. (შდრ. მ. 21,13; მრ. 11,17; ლ. 19,46; ი. 2,16). ჩამდენი ამისა დაიმკვდრებს კეთრსა გიეზისსა და იუდას სახრჩობელას. ვისაც ამხელენ ღვინის გაყიდვასა ან მევახშეობაში, მყის განიდევნოს მონასტრიდან, საბოლოოდ მოიკვეთოს და მის ადგილას სხვა დააწესონ (ქორდანია 1896, 35).

არაფერი ისე არ აღაშფოთებს და ამწარებს ერთსულოვან ძმათა კრებულს, როგორც შფოთიანი, ანჩხლი („მეშფოთე“) კაცი. მოციქული გვასწავლის, რომ „ყოველი სიმწარე და გულისწყრომად, რისხვად და ღალატად და გმობად მოისპენ თქვენგან ყოვლითურთუკეთურებით“ (ეფეს. 4, 31), „ვითარცა ჰმუწის წმიდათა“ (ჟორდანია 1896, 35) ანუ გვასწავლის, რომ ასეთი ადამიანები უნდა მოიშორონ, რადგან ერთი მათგანიც საკმარისია, რომ შეაშფოთოს ერმრავალი ქალაქი. თუ რომელიმე ძმა იკადრებს, აგინოს და შეურაცხყოს თვით ყველაზე უმცირესი ადამიანიც კი, ან წააქეზოს უწესრიგობის ჩასადენად და ამბოხებდეს სხვას, ასეთი მყისვე უნდა მოისპოს და განიდევნოს მონასტრიდან. თუ ვინმე მხარს დაუჭერს მეშფოთესა და მემთვრალეს, ისიც ისევე დაისჯება, როგორც თავხედი და დაუწყნარებელი. მწყემსი (წინამძღვარი) განიხილავს ამ საკითხს და თუ ორივეს ბრალი იქნება, ერთნაირად განაკანონოს. მეშფოთეს, მაგინებელსა და მემთვრალეს არ აქვს ადგილი და სამყოფელი მონასტერში და ძალიან საჭირო და გამოსადეგიც რომ იყვნენ ასეთი ადამიანები, უნდა გაიყვანონ მონასტრიდან, ღვთის სახლში მხოლოდ მშვიდნი უნდა დარჩნენ/მკვიდრობდნენ (ჟორდანია 1896, 35–36).

მიმოსვლისათვის. არც ერთ ძმას არ აქვს უფლება, მოძღვრის უკითხავად და დაუთხოვნელად წავიდეს სადმე, თავისი საქმისთვის, მონასტრის ან თუნდაც ქტიტორის სამსახურისთვის რომ სჭირდებოდეს. თუ საჭირო და აუცილებელი საქმე გამოუჩნდება ძმას, აუწყოს მოძღვარს, დაეთხოვოს, მისი ლოცვა–კურთხევა მიიღოს და რამდენი დღითაც გაუშვებს, მხოლოდ იმდენი დღე დაჰყოს მონასტრის გარეთ, არ გადააცილოს დროს, რომ ურჩად და უწესოდ არ მიიჩნიონ; ხოლო თუ ვინმე ამპარტავნებით ერთი ღამე მაინც თვითნებურად, წინამძღვრის ნებართვის გარეშე დარჩეს მონასტრის გარეთ, გაძევებულ იქნეს, როგორც თავხედი და თავისი ცხოვრების შეურაცხმყოფელი (ჟორდანია 1896, 36).

დედაკაცისა და უწვერულ ყრმათათვის. ამას მოსდევს სულიერ საფრთხეზე ზოგადი მსჯელობა და შემდეგ მკაცრი და კატეგორიული მოთხოვნა შესახებ იმისა, რომ ქტიტორი ზრუნავს წინასწარ, რომ ძმათა კრებულს ააცილოს, გაანადგუროს ყოველგვარი დაბრკოლების მიზეზები და აწესებს, რომ „ყოვლად ყოვლითურთ უვალ იყოს დედაკაცისაგან მონასტერი“ (ჟორდანია 1896, 36) და არავითარი მიზეზით არ შევიდეს ქალი, ხელმწიფეთა და მხარგრძელის სახლის წევრთა გარდა, თუ

გადაუდებლად აუცილებელი საქმე არ ჰქონდეს; მაშინაც მალე დატოვოს აქაურობა და როგორც უნდა დასჭირდეს, ღამე არასოდეს არავინ არ დარჩეს. არც ძმის სენაკში არ უნდა შევიდეს დედაკაცი, დედაც რომ იყოს. უაღრესად საჭირო საქმის გარდა, სხვა შემთხვევაში არც ჩვენი სახლის წევრი ქალის შესვლა შეიძლება მონასტერში. ასევე მცირეწლოვანი და უწვერული ჩვენი მონასტრის წევრი რომელიმე ძმის შვილი და ნათესავიც რომ იყოს, არ შეიძლება, შემოიყვანოს მონასტერში, არც დიაკონი უნდა გაიზარდოს იქ, არც უწვერული ყრმა (ჟორდანიას 1896, 36–37). (იხ. ცალკე თავი).

სახარებაში უფალი წინამძღვართა და მოძღვართა შესახებ ამბობს: „თქვენ ხართ მარინი ქუეყანისანი, უკუეთუ მარინი იგი განქარდეს, რაფთამე დაიმარინოს?“ (მ. 5,13) – პირველად თვით მწყემსი უნდა იყოს ყველასთვის მაგალითი და თავხედს ძლიერად ამხილებდეს: ვინც კურნებას მიიღებს, დაემორჩილება მოძღვრის დარიგებას, ამათ შეიწყნარებდეს, უკურნებლად დარჩენილნი კი უნდა მოიკვეთოს და გააძევოს, რათა მთელი კრებული არ დაავადდეს.

თუ რომელიმე მოძღვარმა ან დეკანოზმა ვინმეს ხათრით ან მოწონებით, ან კაცობრივი შებრალებით, ან დამნაშავესთან მეგობრობით უწესოდ მავალნი, ამ წესის შეურაცხმყოფელნი არ ამხილონ და არ განსწავლონ – რომ ან გამოსწორდნენ, ან დატოვონ მონასტერი – თვით მათ ჩამოერთვათ პატივი და მორჩილად შეირაცხოვნ. უკეთუ მონასტრის პატრონთა ორგულობა, ან ეკლესიისა და მონასტრის ქონების მითვისება, ან ქრთამის აღებით სიმართლის უგულვებელყოფა შეატყონ ვინმეს, მონასტრიდან სრულად გაძევებას იმსახურებს (ჟორდანიას 1896, 37).

თუ მოძღვარმა, დეკანოზმა ან იკონომოსმა სიზარმაცეს მისცენ თავი, სენაკებში სიარულსა და სმას მიჰყონ ხელი, არ აკეთებდნენ მონასტრის საქმეებს და აუცილებელი და საპატიო მიზეზის გარეშე რამდენჯერმე ზედიზედ არ მივიდნენ ლოცვაზე ან ტრაპეზზე შესვლა დაიზარონ, ასეთები წარიწყმედნ საკუთარ თავს და როგორ შეძლებენ, აცხონონ სხვები, ამიტომ მაშინვე უნდა ჩამოერთვათ ხარისხი და თუ კვლავაც გაიმეორებენ ამგვარ საქციელს, დაითხოვონ მონასტრიდან, რადგან განცხადებულად ამბობს ღვთის მოციქული, რომ ... „არცა ანგაჰართა, არცა მჰარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“. ღმერთმა არ ქნას, რომ აღმოჩნდეს ამგვარ საქმეთა მოქმედი ამ

მონასტერში, მაგრამ თუ ამხილონ ვინმე, მცირე, ანუ დიდი, შეუნდობლად გააძევონ, მაგრამ არა უცებ და ცხელ გულზე – გულმოდგინედ გამოძიებულ უნდა იქნეს მსგავსი ბრალდებები, რადგან ზოგჯერ ეშმაკი აღძრავს შურ-მტრობას და შეიძლება ადამიანსცილიც დასწამონ უბრალოდ. თუ გამოკვლევის შემდეგ ცილისმწამებელი გამტყუნდება, დიდად შეურაცხყოფილი და დამცირებული გააგდონ მონასტრიდან, მისი ქონება კი ძმებმა გაიყონ. საჭიროა, მოძღვარი დიდი ყურადღებითა და გონიერებით უდგებოდეს ამ განწყობას (ტიპიკონს) და საქმით აღასრულოს, რაც აქ წერია – მიუკერძოებლად ამხილოს ყველა გადახვევა, ხოლო თავად ყველასთვის კეთილი მაგალითი იყოს (ქორდანია 1896, 38).

მონასტერში მიღებისათვის ქრთამის აღებას მონასტრის დამფუძნებელი სასტიკად კრძალავს; თუ ვინმე სიხარბით შეპყრობილი („გადარეულებითა ვეცხლის მოყუარობისადათა“) მოძღვარი, იკონომოსი ან დეკანოზი ცხადად ან ფარულად აიღებს ქრთამს და დაუმტკიცდება, ხარისხი ჩამოერთვას, რადგან ვერცხლისმოყვარეობა არის ძირი ყოველი ბოროტებისა და სადაც ის აღმოცენდება, იქ კეთილი საქმის მოლოდინი აღარ უნდა გვექონდეს. მორჩილება და სიმდაბლე მოაქვს სათნო ცხოვრებას, ურომლისოდაც მონაზვნის ღვაწლი შეუძლებელია (ქორდანია 1896, 38).

ამ მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ვაჰანის ქვაბთა მონასტერში დამკვიდრებას ბევრი ადამიანი ესწრაფოდა და იქ მიღებისთვის ქრთამის გაღებასაც არ იშურებდნენ, რაც, სრულიად ბუნებრივია, მონასტრის დამფუძნებლის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ყოველი ძმა ვალდებულია, დაემორჩილოს თავის მწყემსსა და სულიერ მამას მთელი გულითა და ღვთის შიშით, აღასრულოს მონასტრის სამსახური, მორჩილება, რასაც უბრძანებენ და არ ჩავარდეს ურჩობის ცოდვაში. ვინც, თავნებობით ან ამპარტავნების ვნებით შეპყრობილი, ეურჩება წინამძღვარს, აეკრძალოს ტრაპეზზე შესვლა და არ მიეცეს დაწესებული სარგო, ხოლო თუ გააგრძელებს ურჩობას, გაძევებული იქნეს მონასტრიდან (ქორდანია 1896, 37–39).

თავი მეექვსე, სოფლის ხელისუფლად მონაზონთა არა დადგინებისათვის; არავის აქვს ნება, მამულოვნობით შეიძინოს სენაკი, ვენახი, გინდა რაიმე მსგავსი; ნაშვილებთა ძმად ვერ დაწესებისათვის; არავის აქვს უფლება წვეულებებზე

დასაღვეად სიარულისა. მკაცრად იყო აკრძალული მონასტრის სოფლებისა და მამულების მუდმივ განმგებლად მონაზვნის დადგინება, ნიშნავდნენ ერის კაცებს მოძღვრისა და მთელი კრებულის ბრძანებით. თუ ოდესმე ისეთი საქმე აღიძვრებოდა, რასაც მამულის მზრუნველი ერის ადამიანი ვერ მოაგვარებდა, დიდ იკონომოსს ევალებოდა, გაემართა. თუ იგი მოუცლელი იყო, მაშინ ყოველმხრივ გამოცდილ, პატიოსან, წესიერ, ასაკითა და გონებითაც მხცოვან ბერს გზავნიდნენ და არა მღვდელს ან დიაკონს – ისინი სულ მონასტერში უნდა ყოფილიყვნენ განკრძალულნი ღვთის სადიდებლად, რადგან წმიდათა წმიდაში შედიან და ქრისტეს სხეულს ეხებიან (ჟორდანია 1898, 39).

ამის შემდეგ ტიპიკონის ნაწილი წაჭრილია, – წერს თ. ჟორდანია, – და სავარაუდოდ აღუდგენია იქ მოხსენიებული ქტიტორის ოჯახის წევრთა სახელები: სარგისი, ძე სულკურთხეულისა მხარგრძელისა; დედა მისი ხათუთა და ძმანი სარგისისა. აშიაზე იკითხება XV საუკუნის მხედრული წარწერა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტს აქვს XIII– XVI საუკუნეების მინაწერები, სულ 23.

შემდეგ გადაკერებულ ახალ ტყავის ფურცელზე გრძელდება ტიპიკონის ტექსტი, რომელიც დასაწყისში ასევე ნაკლული უნდა იყოს. გრძელდება დამოძღვრა, რომ მონასტრის ძმები უნდა ერიდონ საეშმაკო გალობას (არაეკლესიურ სიმღერებს), უზომო ჭამა–სმას; დაწერილია: ნუ დათვრებით ღვინით, რაც არის სიბილწე და მსმელნი ცათა სასუფეველს ვერ მოიპოვებენ. ასევე, ცუდი სიტყვა არ გამოვიდეს თქვენი პირიდან, როგორც შეშვენის წმინდანებს და ნაყროვანებას, სიბილწის დედას, არ უნდა ჰქონდეს ადგილი თქვენ შორის. პირველი ხარისხი მოღვაწეობითი მოქალაქობისა არის მარხვა და კრძალულება, ამაზე უკეთესი არაფერია. ქტიტორი სთხოვს ყველას, არ იყოს მათ შორის უქმსიტყვაობა, ვნებული მეგობრობა და „ხდილობითი მოსუმურობა“, არამედ თითოეულმა თავის სენაკში კრძალულად შეასრულოს მისთვის განწესებული კანონი, მყუდროებით ევედროს და დიდება შესწიროს ღმერთს, „რომლითა მხოლოდ მხოლოსა მას მიეახლების, მიუახლებელსა“ (ჟორდანია 1896, 40).

თავი მეშვიდე, შესაწირავის გაყოფა. გარდაცვლილი ძმა თავის ქონებას თავისიანებს ვერ დაუტოვებს. ახალ მიცვალებულ ძმას ერთი ალაპი ტრაპეზით

გადაეხდება და იმ დღეს ყველა მღვდელი და დიაკონი უსასყიდლოდ შეიმოსება მისთვის.

წესია, რომ წირვის გადასახდელად შემოწირულ თანხას მწირველი მღვდლები გაიყოფენ და თანხის გამღებს ჟამს უწირავენ. რასაც ვინ ზოგადად ეკლესიას შემოსწირავს, იქიდან ნახევარს საეკლესიოდ გადადებენ საჭურჭლეში, მეორე ნახევარს მემხრენი (მგალობლები), მწირველნი და მწირნი თანაბრად გაიყოფენ და ერთად ილოცებენ შემომწირველისთვის (ჟორდანია 1896, 40).

მღვდელყოფილებსა და მთავარდიაკვნებს იმდენივე მიეცემათ, რამდენიც მღვდლებს. მატიანეში ჩასაწერად რასაც შემოსწირავენ, იმას მღვდლები და მწირნი თანაბრად გაიყოფენ (ჟორდანია 1896, 40–41).

არავის აქვს ნება, თავისი კუთვნილი ნივთები (ქონება) მონასტრიდან გაიტანოს, გარდაცვალების მოახლოებისას უანდერძოს ნათესავეებს და ოჯახის წევრებს („თვისთა“), რომელთაც ერთხელ უკვე განშორდა მონაზვნად აღკვეცის დროს. საჭიროა, მიცვალებულ ძმას ყველა მღვდელმა და დიაკონმა მესამე დღეს უსასყიდლოდ ჟამი უწიროს და აღაპიც გადაუხადონ – ტრაპეზი გაშალონ, ყველა ძმამ ილოცოს მისთვის და გამოითხოვოს ღვთისგან ცოდვათა მიტევება და შენდობა მისი სულისათვის (ჟორდანია 1896, 41).

გარდაცვლილი ძმის სულის საქმე მისი ანდერძის მიხედვით უნდა აღასრულონ, ხოლო თუ უანდერძოდ მიიცვალა, ყველაფერი მისი შუაზე გაიყოს, ნახევარი მაშინვე მის სულს მოახმარონ, ნახევარი – ეკლესიის საჭურჭლეში დაიდოს მისი სულისათვის (ჟორდანია 1896, 40–41).

მხარგრძელი დიდ ყურადღებას იჩენს თავისი სახლის აზნაურებისა და მსახურებისადმი, რომლებიც მონაზვნად აღკვეცის ღირსნი არიან და ითხოვენ, სავანეში მიიღონ. თუ ნამსახური და საპატიო აზნაურისშვილია, მწირველებში ჩარიცხონ და მათისარგოდაუნიშნონ, სხვებმა კი, ვისაც დიდი დამსახურება არ აქვთ, არ იკადრონ, მოითხოვონ მწირველებთან გატოლება – თუ მონასტერში მიღებისა და დამკვიდრების ღირსია, მწირთა თანა დაეწესოს ტანისამოსით, ოქროთი, პურიტ და ყველა საწესო საქმით (ჟორდანია 1858, 41).

საკუთრივ ტიპიკონის ტექსტის დამამთავრებელი ნაწილი კარგად არის შენახული: უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტეს მოწყალებითა და წმ. გიორგის

შეწევნით “მიწამან და მონამან მხარგრძელმან, დიდითა გულსმოდგინებითა, განგებად ესე აღვსწერე მონასტრისა ჩემისათჳს, რომელი ესე აწვე საქმით ქმნილ არს ყოვლითურთ ჩემ მიერ“ (ჟორდანია 1856, 41). უფრო მეტის შეძენის იმედიცმაქვს, – წერს მხარგრძელი, – ყველაფრით უნაკლულთა მონასტერი ჩემი... „რომელ ჩვენსა სამეფოსა აზნაურსა თჳსისა მონასტრისათჳს არავის დაედვას, ესრეთ სასოებად უდაბნოდ განწესებისად და სურვილით და წადიერებით, ზედამდგომელობად ყოვლითა განგებითა, ვითარ მე“ (ჟორდანია 1896, 42), – არცთუ სიამაყის გარეშე აღნიშნავს იგი და ევედრება მამებს, რომლებსაც მის დაარსებულ მონასტერში დამკვიდრება სურთ, მტკიცედ დაიცვან მისი ანდერძი და განგება და მომავალში დამკვიდრებულებმაც არ შემოიტანონ ერის ჩვეულებანი, უნაკლოდ დაიცვან განგება ესე და ვინც ეცრუოს, და რაც ამას შინა განწესებულნი, ტრაპეზის უხვი სახმარნი, საყოველღეოდ განკუთვნილნი, სატანისამოსედ დანიშნული, სასტუმროდ მოცემული პური და ღვინო შეამციროს ან არ გასცეს, გარდა ამისა, ვინც სიხარბით მოიმარაგოს რაიმე, ტიპიკონით განწესებულისა და დაწერილის გარდა, ქვემო დაწერილი წყევის ქვეშ იყოს და ღვთის დაუსრულებელი რისხვა დაატყდეს: „და ვინცა ესე განგებად და განწესებად უდაბნოდსა ჩუწნისად, დიდითა სასოებითა და წადილითა დაწერილი ჩუწნგან, ვინცა და რამანცა გუარმან ქრისტიანემან კაცმან, გინა უდაბნოსა შინა ჩემსა მყოფმან, რადაცა მიზეზისა მოღებითა შეცვალოს, შეცვალებულმცა არს სჯულისაგან ქრისტიანეთადასა და განურისხდებისცა ჭეშმარიტი ღმერთი“ (ჟორდანია 1896, 42)... – ამას მოსდევს მამის, ძისა და სულიწმიდის მართლმადიდებლური განმარტება და მათი სახელით შეჩვენება ... „კრულმცა არს, წყეულმცა არს, შერისხულმცა არს სამგუამოვნებით აღსაარებულისა და ერთღთაებით ქადაგებულისა და ღმერთად ჭეშმარიტად თაყუანის საცემელისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა მადლითა (ჟორდანია 1896, 42)... ძალითა და მადლითა ყოველთა წმიდათა ზეცისა ძალითა... ქეროვიმთა, სეროვიმთა, საყდართა, უფლებათა, ხელმწიფებათა, ძალთა, მთავრობათა, მთავარანგელოზთა... მადლითა ზენათა განწესებათა, მღდელმთავრობითთა, ოცდაოთხთა მღდელთა და შჳდთა დიაკონთა ... და მე, სულკურთხეულისა სარგისის შვილსა, და შვილთა ჩემთა და მომავალთაცოდვანი და ბრალნი მიეკადებიან სასჯელისა დღესა“ და ღვთისმშობლისა და ღვთის მგომობართა თანაბრად დაისჯებიან (ჟორდანია 1856, 43).

საშინელ წყევლას მოსდევს დალოცვა იმათი, ვინც მტკიცედ დაიცავს და შეასრულებს ამ განგებას: „ძემან ღმან და ყოვლად წმიდამან მშობელმან მისმან, ყოველი გაგებული საღთოდ და საკაცოდ მათი, დაამტკიცოს აქა და საუკუნესა, აწ“ (ჟორდანიას 1896, 43).

ვაჰანის წმ. გიორგის მონასტრის ტიპიკონის ეს ნაწილი თითქმის ზუსტად ემთხვევა მეფეთა სიგელ–გუჯრების აგებულების ერთ მონაკვეთს, რომელიც სიგლის მნიშვნელოვანი ნაწილია და ი. ჯავახიშვილმა „ბრალთგადამხდელობა და კურთხევა“ უწოდა: „ეს არის ... იმ სასჯელის ჩამოთვლა და ბრალთა გადამხდელობა–მზღვევლობა, რომელიც უნდა საბუთში აღნიშნული განგებულების მშლელსა და მქცეველს თავს დასტყდომოდეს... ამ ნაწილს სახელად ჰქონია: „წყევლა–შეჩვენება მომშლელთათვის...“ ხშირად ბრალთგადამხდელობას დართული ჰქონდა ლოცვა–კურთხევა იმათთვის, ვინც საბუთს დაამტკიცებდა და მის ასრულებას ხელს შეუწყობდა“ (ჯავახიშვილი 1926, 108–111). როგორც ჩანს, ყველა ოფიციალური დოკუმენტის შედგენისას ასეთი წყევლა–შეჩვენების ჩართვა აუცილებელი იყო და სრულად შემონახულ სხვა ტიპიკონებშიც არის შეტანილი.

ეს განგება წელიწადში სამჯერ უნდა წაეკითხათ ტრაპეზის დროს: ერთხელ თევდორობას, დიდი მარხვის დასაწყისში, მეორედ – სულთმოფენას, მესამედ – ჯვართამაღლებას და ვინც დააკლოს და სრულად არ წაიკითხოს, ზემოთ დაწერილი წყევლის ქვეშ იყოს. ამ წესის, ისე, როგორც მთელი ტიპიკონის, შესრულების ვალდებულება, მომავალზეც ვრცელდებოდა და თუ ოდესმე დადგენილ დღეებში ტიპიკონი საჯაროდ არ წაიკითხებოდა, იმ დროს მოღვაწე მოძღვრებს, დეკანოზებსა და ხელისუფალთაც უკვე ნახსენები წყევლა და განკანონება ელოდათ (ჟორდანიას 1856, 43). ეს ძველი მთლიანად უნდა გაეცნო („წარეკითხვოდეს“) მონასტერში დამკვიდრების მსურველ მონაზონსაც. თუ გულით დაეთანხმებოდა და სიხარულით იკისრებდა მისი წესების შესრულებას, მონასტრის ძმობის წევრად ჩარიცხავდნენ, თუ არა, შეუძლია, მიბრძანდეს („ლოცვა აქუს და კურთხევაჲ“. ჟორდანიას 1896, 43).

ცალკეა გამოყოფილი მონასტერში **შესვლის წესი**. ზღუდე–გალავნის დიდი კარი დიდ მარხვაში მხოლოდ ხარებას უნდა გახსნილიყო, პატარა („ცოტათა“) კარით უნდა ევლოთ; დიდი ჭიშკრით მხოლოდ ხელმწიფე ან დიდებული შემოვიდოდა. ქრისტეს შობისა და მოციქულთა მარხვაში – დიდ ჭიშკარს შაბათ–კვირასა და

დღესასწაულზე გააღებდნენ; წლის დანარჩენ დღეებში – სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათ-კვირას; ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს დიდი კარი დაკეტილი უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ხელნაწერში დატოვებულია 11 სმ. სიგანის ცარიელი ადგილი – მონასტრის დამფუძნებლის, მხარგრძელის ხელრთვა-დამტკიცებისათვის, რაც არ არის. ამას მოსდევს სხვა ხელით, გაკრული ნუსხურით შესრულებული ხელრთვა გიორგი ქართლის კათოლიკოსისა, 11 სტრიქონი:

„† უფალო: იცხო: ქე: ღო: ჩნო: რომელისამიერ: სროლ იქმნების ყოველი: ჩუწნდა: მონიჭებოლი: მადლი: მინდობითა შენითა: დავსწერ სიმტკიცესა წდისა ამის: მონასტრისასა: ჩუწნ: ქრისტეს მიერ ქკზი: გი: რომელი: ძეგლად ყოველთა მონასტერთაცა: კმასაყოფელარს: სადიდებელად ღთისა: და სალოცველად ექსა მხარგრძელისათვს: ნომცა დაიკსნებიან: წესნი ზემოწერილნი ესე: და ნომცა შემოვალს: უდებებად: განმრყუნელი: კეთილთად: ყლთა აგარაკ: სო: ფელთა: მაწყენარნი უსამართლოდ: წყევასამცა: შინა არიან: – და ყოველნი მკნედ მოლუაწნი: და აღმასროლებელნი: ამის: ძეგლისანი: აკურთხნეს ღმერთმან: და წმიდამან: დედაქალაქმან“ (ქორდანია 1896, 44). კათოლიკოსი გიორგი გახლავთ გიორგი IV, 82-ე პატრიარქი, რომელიც საქართველოს ეკლესიას 1225–30 წლებში განაგებდა.

პატრიარქის ხელმოწერა ახლავს პეტრიწონის ტიპიკონსაც, რათა, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „საბუთებს ამით მეტი სიმტკიცე მისცემოდა და წყევალ-კრულვის შიშთ მათი დარღვევა ვერავის გაეებდა (ჯავახიშვილი 1926, 112).

დათარიღება. ვიცით რა ქართლის კათოლიკოსი გიორგის პატრიარქობის წლები, უკვე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ „ძეგლი ვაჰანის ქვაბთა“ შეიქმნა 1225–30 წლებს შორის (ტალახაძე, სილოგავა). მონასტრის დამფუძნებლის, მხარგრძელის ოჯახის წევრების ვინაობის დადგენა- გამოკვლევის საფუძველზე, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ტიპიკონის ტექსტში, ძეგლის პირველი გამომცემელი თ. ქორდანია ასკვნიდა, რომ იგი დაწერილია 1212–1227 წლებში. ლ. მუსხელიშვილი, რომელიც მუშაობდა ამ ტექსტზე და 1939 წლს გამოსცა კიდევ, 1204–34 წლებით ათარიღებდა. ამ აზრს იზიარებს ი. დოლიძეც. კათალიკოსი გიორგის ზეობის წლების დადგენის შემდეგ ვაჰანის ქვაბთა განგების დათარიღების საკითხი

შეიძლება უკვე საბოლოოდ დაზუსტებულად მივიჩნიოთ – იგი 1225–30 წლებს შორის არის დაწერილი.

ვანის ქვაბების შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორს, შესანიშნავ მეცნიერსა და მკვლევარს ბატონ მერაბ ბერიძეს. წიგნში „ტაძრები და სახელები“ იგი ვრცლად მიმოიხილავს ვანის ეტიმოლოგიას, მისი გავრცელების გეოგრაფიულ არეალს, ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმას, რაც გვხვდება ქართულ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში...

ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას და ლ. მუსხელიშვილი წერდნენ, რომ ვაჰანის ქვაბებთან არის დაკავშირებული ხარაგაულის რაიონის სოფელი ვახანის სახელი. „როდესაც თათრებმა გააუქმეს აქ ქრისტიანობა, რამდენიმე სიწმინდე (ხატები) იქაური ქრისტიანებითურთ გადმოვიდნენ იმერეთში და დასახლდნენ ჩხერიმელას სათაურში. ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თავისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი (აქიდან ვახანის ხეობა, ვახანის ციხე) და ახლად აშენებულ ეკლესიასაც ვახანის ქუაბი“ (ჟორდანიას 1896, 29–30). ამ აზრს ეთანხმება მ. ბერიძეც: „ვაჰანი უნდა იყოს ამოსავალი ხარაგაულის რაიონის სოფ. ვახანისათვის...ვაჰანისა და ვახანის სახელთა იგივეობაზე მიუთითეს თ. ჟორდანიამ და „ვაჰანის ქვაბთა განგების“ გამომცემელმა ლ. მუსხელიშვილმა: „ვაჰანი“ საქართველოში დღეს აღარსად ჩანს. მხოლოდ იმერეთში არის ვახანი, ვახანის ციხე და ჩხერიმელას შემდინარე ვახანის ხევი“ (მუსხელიშვილი 1939, 9).

„იმერეთის ვახანის ციხე, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა, წყაროებში დამოწმებულია 1650–52 წლებში, მისი უძველესი სამშენებლო ფენა ადრინდელი შუა საუკუნეებისა უნდა იყოს, თარიღდება XV–XVI ს.ს–ებით. ციხის შიგნით უხეში ქვით ნაშენი პატარა ერთნავიანი სამლოცველოა.

ვანის ქვაბებიდან წასულთა მიერ ვახანის დაარსებას ისტორიული საფუძველი აქვს მოძებნილი. 1551 წელს შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრების შემდეგ თურქთა გაბატონების გამო ეკლესია–მონასტრები შევიწროებისა და დევნის შედეგად ცარიელდებოდა, მღვდელ–მონაზვნები იმერეთსა და ქართლს აფარებდნენ თავს“ (ბერიძე 2010, 25–26).

ხარაგაულის რაიონში არის აგრეთვე სოფელი ვარძია. იმერეთის ვარძიის ეკლესია, გადმოცემით, აუშენებია თამარ მეფეს მესხეთის ვარძიიდან

გადმოსვენებული ღვთისმშობლის ხატის სახელზე, მის მეტოქად. წყაროებში იხსენიება XVII ს.–ის მეორე ნახევრიდან. შემორჩენილია 1777 წლის ლაპიდარული წარწერა. სოლომონ პირველმა 1783 წ. ვარძია გადასცა კვიპროსზე მდებარე წმ. კიკოს მონასტერს და XX ს.–ის ათიან წლებამდე ბერძენთა ხელში იყო“ (ბუბულაშვილი 2014, 188). აქ დღემდე ცხოვრობენ კვიპროსელ ბერძენთა გაქართველებული შთამომავლები. საბჭოთა პერიოდშიც კი ვარძიის ეკლესიაში²⁶ აღდგომის მესამე ორშაბათს ყოველთვის იმართებოდა ხალხმრავალი ხატობა. ამჟამად ეკლესია მოქმედია.

ვაჰანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი საყურადღებოა იმიტაც, რომ იქ ბევრი მნიშვნელოვანი წარწერა მოიპოვება.

ვანის ქვაბთა მამათა მონასტერი XIV საუკუნის ბოლოს დედათა ე.წ. სამყოფელი (ან – თავშესაფარი) გახდა. ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ეკლესიის კედლებზე მოთავსებულია მისი ბინადარი ქალების მიერ შესრულებული დაახლოებით 50–მდე მხედრული წარწერა, სავარაუდოდ, XV საუკუნის მეორე ნახევრისა. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა წარწერაში ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი, ორი, 1300–1301–ე სტროფი, ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტანის წერილიდან:

„ციხეს ვზი ეზო მაღალსა, თუაღნი ძლივ შემომაცდება,
გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან.
მაშიგან ორნი გუშაგნი ნაზადსა არ დასცდება,
მათსა შემბელსა დაჯოცენ, ცეცხლურებ მოედებიან.
ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სხვათა მებრძოლთა წესითა,
ნუცა მე მოკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა,
დამთმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა“.

„ტექსტი აშკარად წარწერილია ზეპირად, რის გამოც დამახინჯებულია, მაგრამ მისი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის დიდაა, ეს არის „ვეფხის-

²⁶ „სოფელში არსებული სამონასტრო კომპლექსი ... 1790 წელს აიკლო და გადაწვა ლეკთა დაქირავებულმა ჯარმა, რის შედეგადაც დანგრეული ძველი ეკლესიის ადგილზე ააგეს თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებული დიდი გუმბათოვანი ეკლესია. დასავლეთ მხარეს მინაშენისა და სამრეკლოს კედლებში ჩატანებული მოჩუქურთმებული ქვების მიხედვით ძველი მონასტრის ეკლესია XI-XX სს. განეკუთვნება“ (დვალი 1979, 316).

ტყაოსნის“ ერთ–ერთი უძველესი ჩანაწერი, რომელიც ორი საუკუნით უსწრებს ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს.

ვაჰანის ქვაბთა ეკლესიის კედლებზე კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი წარწერა და ლექსია შემონახული“ (ონიანი 2008).

ამ თემაზე მუშაობდნენ კ. კეკელიძე (კეკელიძე 1974), ვ. ცისკარიშვილი (ცისკარიშვილი 1954), შ. ონიანი (ონიანი 1959, 1960), ნ. სულავა (სულავა 2012).

ნ. სულავას მოჰყავს ვ. ცისკარიშვილისა და კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე წარწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიც, რომელიც მცირედ განსხვავდება შ. ონიანის აღნიშნული სტროფებისაგან და ასკვნის, რომ „ქალი, რომელიც იძულებით ჩანს შემონახვნიებული, შვებას სწორედ „ვეფხისტყაოსანში“ პოვებს და მისით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. იგი თავისი თავის გამოვლენას „ვეფხისტყაოსნით“ ცდილობს, საკუთარ ფიქრთა და განცდათა საუკეთესო გამომხატველად რუსთველის პოემას მიიჩნევს“ (სულავა 2012, 382).

ამრიგად, ვაჰანის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის წეს–განგება მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ჩვენამდე მეტ–ნაკლებად სრულად მოღწეული. მასში გადმოცემულია მონასტრის მოწყობის, მის წევრთა ჩაცმა–დახურვის საკითხები, ძმათა უფლება–მოვალეობანი, ლოცვის, ტრაპეზის წესები. დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორც ყველა მონასტერში, მონასტრის წინამძღვრისადმი მორჩილებას, წესების დაცვა ყველასთვის სავალდებულო იყო, არ შეიძლებოდა თვითნებურად მონასტრის დატოვება, დედაკაცისა და უწვერულ ყრმათა შეყვანა მონასტერში. საინტერესოა ისიც, რომ მონასტრის ძმები სამ დასად არიან დაყოფილი.

ვაჰანის მონასტრის მღვდლები და დიაკვნები სულ მონასტერში უნდა ყოფილიყვნენ განკრძალულნი, რადგან ქრისტეს სხეულს ეხებიან. გადმოცემულია მიცვალებული ძმის დაკრძალვის წესი, როგორ უნდა გაიყოს შესაწირავი, როგორ უნდა მიიღონ მონასტერში მხარგრძელის სახლის აზნაურები და მსახურები; ავტორი სიამაყით აღნიშნავს, რომ დააფუძნა ყველაფრით უნაკლულო მონასტერი, რომლის მსგავსი არავის გაუკეთებია. სთხოვს ყველას, მტკიცედ დაიცვან მის მიერ შემოღებული წესები. ღვთის რისხვით წყევლის შემცოდეთ და ლოცავს მათ, ვინც

განუხრელად შეასრულებს ამ განგებას. ტიპიკონის ტექსტს აქვს საინტერესო გვიანდელი მინაწერები.

თავი IV

ქართულ ტიპიკონთა საერთო მახასიათებლები

4.1. სამოხელეო ტერმინები ტიპიკონებში

ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ცხოვრებაში – ისინი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დიდი კულტურული და სამეურნეო ცენტრებიც იყვნენ. ერთ ჭერქვეშ ბევრი ადამიანის ცხოვრება გარკვეულ ორგანიზებას მოითხოვდა, საჭირო იყო ზრუნვა მათ სულიერ და მატერიალურ ყოფა-ცხოვრებაზე; სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გარკვეული ტექსტი, რომელსაც ქართულად წეს-განგება, ბერძნულად კი ტიპიკონი (τυπικόν) ეწოდება – ღვთისმსახურების ყველასთვის სავალდებულო წესი, წესდება. ამასთანავე ეს ტექსტები შეიცავს ბევრ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ ბერ-მონაზვნები, როგორ ატარებდნენ წირვა-ლოცვისგან თავისუფალ დროს; როგორ შრომობდნენ არსობის პურის მოსაპოვებლად, როგორ იკვებებოდნენ, იმოსებოდნენ, რა ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან; ხშირად, მშობლიური ქვეყნისგან შორს, როგორ დაუღალავად იღვწოდნენ მისთვის და სხვ.

ტიპიკონები შეიცავს ეკონომიკური და სამეურნეო ხასიათის ძალიან საინტერესო ცნობებს, ტერმინოლოგიას, იურისპრუდენციის მასალებს – როგორი იყო იერარქია მონასტრებში, სამოხელეო თანამდებობათა დასახელებას; ჩამოთვლილია საეკლესიო, წირვა-ლოცვის დროს სიწმიდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“), ძვირფასი თვლები, ზომა-წონის ერთეულები, ფულის დასახელებები, მნიშვნელოვანი ისტორიული პირების ბიოგრაფიული მონაცემები, გადმოცემულია ისტორიული მოვლენები და ა.შ.

ჩვენ მიერ განხილული ტიპიკონები, ნაწილობრივ მოღწეული გრიგოლ ხანცთელისა (IX ს.) და ექვთიმე მთაწმინდელისეული ათონის ივერთა მონასტრისა (1005–06 წწ.); სრულად შემონახულები: პეტრიწონის (ბულგარეთი), გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე (1084); შიომღვიმისა (არა უგვიანეს 1125 წლისა) და ვაჰანის ქვაბთა მონასტრის „მეგლი“ (1212–1227 წწ. – თ. ჟორდანიას; 1125–30 წწ. – ი. ტალახაძე) – მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს შეიცავს.

მონასტერში ძირითადი საქმიანობა წირვა–ლოცვაა, ამიტომ ტიპიკონებში მთავარი ყურადღება ლოცვითი კანონების ორგანიზაციას ეთმობა.

საერთო სურათი ასეთია:

განხილული ტიპიკონებიდან შიომღვიმის ტიპიკონში განსაკუთრებით ვრცელია საღვთისმსახურო ნაწილი, მცირე – დისციპლინური. დაწვრილებით არის განხილული წლის ყოველი დღის მსახურება: ჟამნების, ცისკრის, სერობის, მწუხრის, ლიტურგიის საკითხავ–საგალობლები, მსგავსება–განსხვავებანი სხვა ეკლესიების ტიპიკონებთან და სხვ.

დანარჩენი სამი მხოლოდ დისციპლინურ ნაწილს შეიცავს. პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა განგებაში გვაქვს განსხვავება – მათში მონასტრის ძმები დასებად არიან დაყოფილნი.

გრიგოლ ხანცთელისეული ტიპიკონი ამოიკითხება გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ათონის ქართველთა მონასტრის ექვთიმე მთაწმინდელისეული ტიპიკონის ნაწილი კი, 42 მუხლი, ჩართულია გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“. ავტორი მეტ ყურადღებას უთმობს ყოფითი საკითხების გადმოცემას, საღმრთო მსახურების შესახებ კი ამბობს (შეიძლება იმიტომ, რომ აქ ტიპიკონური ნაწილი ძირითადი თხრობის ერთ პასაჟს წარმოადგენს):

„და ვითარცა იყო ნეტარი მამაჲ ჩუენი ეფთჳმე სავსე ზეგარდმოდთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჳნაქსარსა სრულებით და დაუკლებელად“ (ძეგლები 1967, 69, XIX). დიდი სჳნაქსარის მოხმობით ყველასთვის ცხადი იყო, როგორ უნდა წარმართულიყო ღვთისმსახურება ივირონში.

ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში მონასტრის იერარქიული წყობა ერთნაირია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მკაცრად არის დადგენილი მისი თითოეული წევრის უფლება–მოვალეობა დიდიდან პატარამდე, მით უფრო – მონასტრებში.

პეტრიწონის მონასტერში ყოველთვის აუცილებლად ორმოცდაათი წევრი უნდა ყოფილიყო და არასოდეს დაკლებოდა. მონასტრის ძმები სამ დასად არიან

დაყოფილნი. მონაზონთა პირველ დასს მიეკუთვნებოდნენ ჟამის მწირველი ექვსი მღვდელი, ორი დიდი იკონომოსი, დეკანოზი, დოშიარი და სხვა უთავადესი მმათაგანნი, სულ თხუთმეტი სული. ისინი შესამოსლისთვის იღებდნენ ოც დრაჰკანს.

მეორე დასიც არის, აგრეთვე, თხუთმეტი სული „და აიღებდეს თვთეული ამათგანი დრაჰკანსა ათხუთმეტსა.

ხოლო მესამე დასი იყავნ რიცხვთ ოცი სული და თვთეული ამათგანი აიღებდეს დრაჰკანსა ათსა”. მონასტრის წინამძღვარი არც ერთ დასში არ შედის და ორმოც დრაჰკანს იღებს (შანიძე 1986, 81, 2).

ასევეა ვაჰანის მონასტერში, სადაც სულ სამოცდაერთი ბერი მოსაგრეობდა. პირველ დასში მოიაზრებიან დეკანოზი და იკონომოსი, რომელთაც საჩოკედ (ტანსაცმლის შესაძენად) მიეცემოდათ ოთხ-ოთხი დუკატი; მგალობლებსა და მონასტრის პატრონთა თაყვანებულებს – სამ-სამი; მწირველებს, რომელთაც მკითხველ-კანანახობა შეუძლიათ, მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკსა და იპიტირიტისს – „ესრევე სამ-სამი დუკატი; ხოლო მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხუად საკმრობად არაა შეეძლოს, ამათ ორ-ორი დუკატი აქუნდეს; და მესამისა დასისათა, ესე იგი არს, მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის; ხოლო მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს ბოტინატი და დოკატი” (ჟორდანიას 1896, 34). განსხვავებულად იღებდნენ პურ-ღვინოსაც: იკონომოსისა და დეკანოზისთვის განსაზღვრული იყო პური ექვსი გრივი: სამი წმიდაა (ხორბალი), სამი ქრთილი (შემოდგომის ქერი) და ორი საპალნე (30 ჩაფი) ღვინო. უთავადესი მმებისთვის, რომელთაც სამ-სამი დუკატი ეძლეოდათ, – ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და თითო საპალნე ღვინო; მეორე დასისათვის, რომელთაც წირვის მეტი არაფერი შეუძლიათ, პური ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და ერთიც ღვინო; მწირთა – პური ერთი წმიდა, ერთი ქრთილი და ღვინო – ოთხს ერთი საპალნე (ჟორდანიას, 1896: 34). წინამძღვარს აქაც მეტი – ექვსი დუკატი საჩოხედ, რვა გრივი (ოთხი წმიდა და ოთხი ქრთილი) პური და სამი საპალნე ღვინო ეძლეოდა.

მღვდლებთან, დიაკვნებთან და მწირებთან ერთად, რომელთა განსაზღვრული რაოდენობა უნდა ყოფილიყო მონასტერში, აქვე ცალკეიხსენიებიან მსახურნი(10), „რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და სამზარეულოდსა და სახაზაზომსა სამსახურსა აღასრულებდენ” (ჟორდანიას 1896, 32). ესენი ერისანნი არიან, მორჩილნი

თუ სამონაზვნონი, არ ჩანს, არც ის, „მსახურება“ მათი მორჩილება იყო, მუდმივად ამ სამსახურს ასრულებდნენ, თუ ჰქონდათ ბერად აღკვეცის, სწავლისა და მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა – უფრო სავარაუდოა, რომ ერისაწინ არ იქნებოდნენ. სატანისამოსედ მათაც იმდენივე მიეცემოდათ, რამდენიც მწირს: ბოტინატი და დოკატი, მათთვის განკუთვნილ პურ-ღვინოზე კი არაფერია ნათქვამი.

მონასტრის უპირველესი ხელისუფალია წინამძღვარი, მამასახლისი, მამად, რომელსაც ნიშნავს მონასტრის ქტიტორი – ეს უფრო თავიდან, როდესაც სავანე ახალაშენებულია და პირველი წინამძღვარი უნდა დაინიშნოს – ასე მოხდა პეტრიწონსა და ივირონში; ან ასახელებს წინა იღუმენი – ექვთიმე მთაწმიდელისა და, პეტრიწონის ტიპიკონი; ან ირჩევს მონასტრის ძმობა – ვაჰანი და პეტრიწონი – თუ წინამძღვარი უეცრად გარდაიცვალა და შემცვლელის დასახელება ვერ მოასწრო. მონასტრის წინამძღვარს ყველა სიტყვის შეუზღუბებლად უნდა ემორჩილებოდეს.

მეორე ადგილზე მონასტერში წინამძღვრის შემდეგ მოიაზრებიან იკონომოსი და ეკლესიარქი–დეკანოზი. იკონომოსი შეიძლება ორი (ან მეტიც) ყოფილიყო. პეტრიწონის ტიპიკონში ჩაწერილიცაა: „და ორნი იყვნენ იკონომოსად ზედა სოფელთა“ (შანიძე 1986, 76, 5). სხვაგან რაოდენობა მითითებული არაა. ათონზე იკონომოსს საკმაოდ დიდი მოვალეობები ეკისრებოდა: საპარიკონომოსოდ და საჯორე და სამჭედლოდ და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენაჭნი და მენავენი – ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს...ოდეს შინა არნ, რადცა ვის ეკმარებინ, თვთ მამასა მოაწესენის... ოდეს კულა შინა არა არნ, მერმე გააგებნ იკონომოსი“ (ძეგლები 1967, 84, 37). წინამძღვრის არყოფნის შემთხვევაში მას შემცოდეთა განკანონებაც ხელეწიფებოდა. იკონომოსს ეთათბირებოდა წინამძღვარი მონასტრის საქმეებზე. მას ებარა სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების საწყობიც; „...გინა თუ მოგუნი, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ ტყავი, გინა თუ საბლები, გინა თუ სელი, – ესევითარი იკონომოსისგან ითხოვიან“ (ძეგლები 1967, 85, 40). მისთვის დღეში შვიდი კრასოვული ღვინო იყო განწესებული. ეს ტიპიკონი იცნობს პარიკონომოსსაც – იკონომოსის მოადგილეს (ძეგლები 1967,69–70, 1).

ამ მხრივ განსხვავებული სურათია პეტრიწონის ტიპიკონში. ცალკე, მეთექვსმეტე თავი არის „მოურნეთათვს და მოლუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი“ (შანიძე 1986, 91). ამ თავში ნათქვამია, რომ

მონასტერი, „სამოწესეოდ ჩუენი“, არასოდეს დარჩეს ეპიტროპოსთა და იკონომოსთა გარეშე, „რომელ არიან განმგენი და აბარმადნი“ და შინ და გარეთ გამოცდილნი უნდა დააწესონ ზედამხედველად და განმგებლად (შანიძე 1986, 91–92, 1). ბერძნულ ტიპიკონში თავის სათაურშივე მხოლოდ ეპიტროპოსია მოხსენიებული. ეპიტროპოსად და იკონომოსად შეიძლება ყოფილიყვნენ სასულიერონი ან საერონიც, სათნონი და ღმრთისმოყვარენი. ისინი არიან „განმგენი და მოურნენი“ მონასტრისა, უპირატესნი პატივითა. მათ ევალებოდათ, რომ მონასტერში მყოფთ არ ჰკლებოდათ არაფერი პირველსაჭიროების საგანთაგან. წელიწადში ორჯერ დიდი იკონომოსი ანგარიშს ითხოვდა სხვა იკონომოსებისა და მსახურებისგან და აპოტიქსს (საბუთს) აიღებდა (შანიძე 1986, 104, 1). ბერძნული ტექსტის 26-ე თავი, „შესახებ იმისა, რომ იკონომოსი და სხვა მსახურნი ანგარიშდებულნი უნდა იყვნენ წინამძღვრის მიერ, ხოლო წინამძღვარი ანგარიშს უნდა აბარებდეს ძმათა ერთობლიობას“, იცნობს ქვეიკონომოსებსა და „სხვადასხვა ხელისუფლების მქონე მსახურებს“, რომლებმაც ანგარიში უნდა ჩააბარონ დიდ იკონომოსს (გეორგიკა 1963, 125-127).

შიომღვიმის ტიპიკონში იკონომოსი ნახსენები არ არის, რადგან იქ ცოტა წერია ბერების ყოფა-ცხოვრებაზე, იკონომოსი, იგივე ეპიტროპოსი კი უფრო „ხორციელ საჭიროებათა შესახებ“ ზრუნავს.

ვაჰანის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერში „დეკანოზი და იკონომოსი“ იერარქიულად წინამძღვრის შემდეგ საფეხურზე იდგნენ და სამოსისთვის ოთხ-ოთხი დუკატი ეძლეოდათ. ამავე ტექსტში ნათქვამია: თუ მონასტრის სოფელსა და მამულში ისეთი საქმე მოხდეს, „რომელ ერის კაცითა არ გაიმართვოდეს და დიდი იკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან“ (ჟორდანი, 1896: 39), მხცოვანი და გამოცდილი ბერი გაგზავნონ. „დიდი იკონომოსი“ ცალკე თანამდებობა იყო, სხვა ადამიანებს ხელმძღვანელობდა, თუ „იკონომოსს“ ნიშნავს, არ ირჩევა, არც მისი მოვალეობებია განსაზღვრული.

მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალი, წინამძღვრის შემდეგ, იკონომოსთან ერთად, არის ეკლესიარქი, საეკლესიო ღმრთისმსახურების განმგებელი მონასტერში. შიომღვიმის ტიპიკონში, რომელიც მთელი წლის ლიტურგიკულ მასალას წარმოგვიდგენს, მასზე ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი. კერძოდ: ეკლესიარქი მართავს მარჯვენა ხოროს, უნდა კარგად იცოდეს საგალობლები და საკითხავები, მან

უნდა წართქვას ჟამის კანონები და ექვსფსალმუნნი; მიუთითოს მგალობელსა და წიგნის მკითხველს, ვინ, როდის, რა უნდა თქვას. დამისთევს ცისკარზე იწყებს „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა“... ვნების კვირის პარასკევს განუყოფს სანთელს ძმათა (ტიპიკონი 2005, 120). ეკლესიარქი ზრუნავს წესრიგზე მემჭრეთა შორის; მან უნდა მიაქციოს ყურადღება იმასაც, რომ სანამ ეკლესია გალობს, არავინ შევიდეს, – ეს უწყობაა – არამედ შტოსა შინა იდგნენ.

ორჯერ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „უკმს ეკლესიარხსა განკრძალულად მოწონად ჟამისად“ (ტიპიკონი 2005, 123), რომ ჟამისწირვა ღამის მეორე ჟამზე დასრულდეს. დიდი სერობაც დაღამებამდე, სანამ თვალი ხედავს, უნდა გამოილოცონ („უწინარეს თვალისა მოკიდებისა“ (ტიპიკონი 2005, 109).

ძველ ქართულ წიგნებში ეკლესიარქის ბაძლად დეკანოზი მოიხსენიება. ასეა “იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში”. იქ ”დეკანოზი აწუევნ... გინა წიგნის კითხვასა, გინა წარდგომასა” (ძეგლები 1967, 70, 2).

ერთი დეკანოზი მსახურობდა პეტრიწონის მონასტერში, “მეცნიერ ყოველსა განგებასა ეკლესიისასა, რადთა წესისაებრ სჯნაქსარისა აღასრულებდეს ყოველსავე” (შანიძე 1986, 76, 6). აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება გიორგი მთაწმიდელისეული “დიდი სჯნაქსარი”, რომელიც მან 1042-44 წლებში, პეტრიწონის აშენებამდე ორმოცი წლით ადრე თარგმნა. შეიძლება, ეს ორი დიდი ქართველი, გიორგი მთაწმიდელი და გრიგოლ ბაკურიანისძე, იცნობდნენ კიდევ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, გრიგოლ ბაკურიანისძეს კარგად უნდა სცოდნოდა ბერძნების მტაცებლური ბუნება, რომ მათ ათონის ქართველთა მონასტერზე ეჭირათ თვალი, ამიტომ შეიტანა თავის ტიპიკონში სპეციალური თავი: „არა დაწესებისათვის მონასტერსა ჩუენსა ბერძნისა ხუცისა მონაზონისა და თუ რა არს მიზეზი ამისი” (შანიძე 1986, 103).

დეკანოზს იცნობს ვაჰანის ქუაბთა განგებაც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეკანოზი და იკონომოსი პირველ დასში მოიაზრებიან. ქტიტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ მოძღვარმა, დეკანოზმა ან იკონომოსმა მეგობრობის ან სხვა რამე მიზეზით თვალი დახუჭოს ძმათა მიერ წესდების დარღვევაზე, არ ამხილონ და არ წურთნიდნენ, შემჩნეულნი იქნებიან ვერცხლისმოყვარეობაში, ქრთამს აიღებენ ან სენაკში ღვინის მსმელნი უგულუბელჰყოფენ მონასტრის საქმეს, ეკლესიაში ლოცვას დააკლდებიან ან ტრაპეზზე არ შევლენ, “ამათ წარუწყმედიეს თავი თვისი...

დაკლებულ იქმნეს თვისა პატივისაგან... და უკეთუ შემდგომად ამისასცა ეგე-
ვითარადვე იქცეოდენ, განიკადნენ მონასტრითცა” (ქორდანია 1896, 38). აქვე
მოიხსენიება დიდი იკონომოსი, მაგრამ მისი უფლება-მოვალეობები არ ჩანს, როგორც
აღვნიშნეთ.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხელე ქართულ
მონასტრებში არის ეპიტრიტისი, ესე იგი არს დამხედვარი.

მთაწმიდელთა ტიპიკონი გვამცნობს, რომ ორი ეპიტრიტისი ჰყავდათ,
„კაცნი საღმრთონი და ღმრთის-მოშიშნი”, ერთი უფროსი და ერთი უმცროსი „მისა
ქუეშე” (ძეგლები 1967, 70, 3). უმცროს ეპიტრიტისს ევალეობდა, მოევლო ძმათა
სენაკები და ღმრთისმსახურების დროს შინ დარჩენილები მოეყვანა ეკლესიაში.
ამასთან, ვინც მძიმე საქმეს ასრულებდა, მათ შრომა ლოცვად ეთვლებოდათ. თუ
ვინმე დაავიანებდა ცისკრის ლოცვაზე მოსვლას, დასჯიდნენ – ახალგაზრდებს
საკურთხეველთან ასჯერ მოადრეკინებდნენ მუხლს, ხანდაზმულებსა და უძლურებს
კი ამ დღეს უღვინოდ და უსაჭმლოდ დატოვებდნენ.

ლოცვის დროს უფროსი ეპიტრიტისი ეკლესიის კართან იდგა. თუ ვინმეს
რაიმე აუცილებლად საჭირო საქმე არ ჰქონდა, ვერავინ გაბედავდა ტაძრის
დატოვებას. გამსვლელი ეტყოდა ეპიტრიტისს მიზეზს, გავიდოდა და ისევ სწრაფად
შემობრუნდებოდა. ვინც დაყოვნდებოდა, უსაყვედურებდნენ, განმეორების
შემთხვევაში კი მასაც ხმელ პურზე ტოვებდნენ ან მუხლს ასჯერ მოადრეკინებდნენ
(ძეგლები 1967, 70–71, 3–4–5).

პეტრიწონის ტიპიკონის მეექვსე თავში – „რიცხვსათვის მონაზონთაჲსა,
რომელნი დავაწესენით, რაჲთა არა დააკლდენ, და მათგანთა ჳელისუფლად
დაყენებისათვის” (შანიძე 1967, 75) – მე-17 მუხლით იპიტრიტისის მოვალეობაა
განსაზღვრული. ბერძნული ტექსტის ამავე თავის მე-16 მუხლის ქართული თარგმანი
ასეთია: ზედამხედველი „არჩეული უნდა იყოს მისი სიკეთისა და ღვთის მოშიშობის
მიხედვით. მისი მოვალეობა იქნება, ჩამოიაროს ძმათა სენაკები და ვინც
ჩამორჩენილან წმიდა შეკრებას და არ მისულან ცისკრის დასაწყისში... წაიყვანოს
ისინი წინამძღვართან და ძმობის საბჭოში, რათა ჩვეულებისა და კანონისამებრ
ყოველ მათგანს დაედვას კუთვნილი საკანონო” (გეორგიკა 1963, 59, 16). “იოანესა და
ეფთჳმეს ცხოვრებაში”, რომელშიც ეფთჳმეს ტიპიკონია ჩართული, ვხედავთ, როგორ

ხორციელდებოდა ტიპიკონის წესები სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკაში, აქვე უფრო დაწვრილებითაა განხილული სხვა მუშაკთა მოვალეობებიც.

„ვაჰანის ქუაბთა განგებაში“ ეპიტირიტისი („იპიტირიტისი“) მოხსენიებულია პირველი დასის ძმათა შორის მეჭურჭლესთან, მეტრაპეზესა და კანდელაკთან ერთად. უფრო დაწვრილებით მისი მოვალეობები განხილული არ არის.

მხოლოდ მთაწმიდელთა ტიპიკონში მოიხსენიება „ეპისტატი, რომელ არს მუშათა უხუცესი“ (ძეგლები 1967, 83, 36).

ივირონს დიდი მეურნეობა ჰქონდა, მარტო მონაზვნები მის მოვლას ვერ აუვიდოდნენ, ამიტომ ადგილობრივ ბერძნებსაც ქირაობდნენ. სწორედ მათი „უხუცესი“, უფროსი არის ეპისტატი. მას ევალეობდა მუშების დაქირავება, სამუშაოზე განაწილება, თვალ-ყურის დევნება და კვება. ამასთან, მკაცრად უნდა დაეცვათ მამა ეფთჳმეს განკარგულება – უწვერული მუშები არ აეყვანათ, რომ მონასტრის ძმებს მათი შეხედვით რაიმე ვნება არ შემთხვეოდათ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამხელა სამუშაოებს აწარმოებდა მონასტერი: გარდა ამა თუ იმ მორჩილების მქონე ბერებისა, დაქირავებული 30-40 მუშისა, მოსენაეთა „მოწაფენი ყოველსავე სამსახურებელსა გავიდოდნან... მამისაცა მოწაფენი ძმათავე თანა წავიდნან მსახურებასა და უფროდსჯერ მოსენაენიცა ძმათა სათნოებისათვის ძმათავე თანა გავიდნან, უფროდს-და, ოდეს მამად მუნ იყვის“ (ძეგლები 1967, 83, 36). მამა ეფთჳმე, მიუხედავად მოუცლელობისა, მონასტრის საერო საქმეებშიც მონაწილეობდა, განსაკუთრებით ვენახში მუშაობა ჰყვარებია: „უფროდსნი დღენი ვენაქთა შრომასა შინა დაყვნან და ყოლადვე მამად მათ თანავე იყვის, თჳნიერ დიდისა მიზეზისა, ... გინა თუ ვენაქთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“ (ძეგლები 1967, 81, 28).

ყველა მონასტერში არიან ხუცესნი, დიაკონნი, მთავარდიაკონნი, კერძო-დიაკონნი, პირველი დიაკონთაჲ (შიომღვიმე), კანდილაფტუხუცესი (შიომღვიმე), მნათე-კანდელაკი, – აქვე აღვნიშნავთ, რომ პეტრიწონში მნათე დეკანოზს ემორჩილებოდა, მას ებარა საკმეველი, ზეთი და სანთელი, აგრეთვე საბარძიმე ღვინო და ფქვილი, რომლისგანაც სეფისკვერს აცხობდნენ (გეორგიკა 1963, 57, 10) – მგალობელი, მემკრე, მეფსალმუნე, კანანახი, მემკრე-კლერიკოსი, მედავითნე-მგალობელი (შიომღვიმე)... ეს საღვთისმსახურო-ლიტურგიკული განხრით.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ყოფითი საკითხებიც – კვება, ჩაცმა, სტუმარ-მომლოცველთა მიღება, წესრიგის დაცვა, მღვდელ-დიაკონთა აღზრდა, სწეულთა მოვლა, მეურნეობის გაძღოლა, „ფრიად მოხარვე იყვნეს ძმანი მაშინ შრომასა“ (ძეგლები 1967, 74, 13).

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მონასტრის მეკარეს. მთაწმიდელთა ტიპიკონით მეკარედ „ყოლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებნ“ (ძეგლები 1967, 82–83, 34). მას ევალებოდა მოხეტიალე („მრონინე“) მონაზონთა გასტუმრება დანაყრების შემდეგ, ასევე უცხოებისაც.

პეტრიწონის ქართულ-ბერძნულ, შიომღვიმისა და ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონებში მეკარის მოვალეობა განმარტებული არ არის.

ათონის ივერიელთა მონასტერში 300–ზე მეტი მონაზონი ცხოვრობდა, ყველას თავისი საქმე და მოვალეობა ჰქონდა და ასრულებდა. „და ესრეთ ყოველივე საქმე განწესებულად იყო და უმფოთველად იყვნეს ყოველნი“ (ძეგლები 1967, 85, 40). როგორც აღვნიშნეთ, სამეურნეო საქმეებს იკონომოსი და პარიკონომოსი, მისი მოადგილე, განაგებდნენ. კვების პროდუქტები და საკვლრო (საკუჭნაო) კელარს, მეკუჭნავეს ებარა, აპოთიკი, ბოსტანი, წისქვილები, ხილი, ზეთი და სხვა საკვები პროდუქტი მის ხელთ იყო. იგი აძლევდა მზარეულსა და მევაჟინეს, რაც სჭირდებოდათ საჭმლის მოსამზადებლად. იყო, აგრეთვე, მეტრაპეზეც, რომელიც, სავარაუდოდ, ხელმძღვანელობდა სამზარეულოს და ჭამის დროს წესრიგის დაცვაც ევალებოდა. მის დამხმარეებად მოვიაზრებთ ხელოსნებს, რომელთაც, გარდა ამისა, წინამძღვრის დავალებით, ყურადღება უნდა მიექციათ და არაფერი მოეკლოთ ზარმაცთა და ახალმოსულთათვის, რომელთაც თვითონ მამაჲ ხშირად არიგებდა, ასწავლიდა, ამხილებდა და ანუგეშებდა (ძეგლები 1967, 72, 9). იგივე ხელოსნები ზრუნავდნენ დასჯილ დამნაშავეებზეც, მამის განკარგულებით (ძეგლები 1967, 72–73, 12). მიუხედავად იმისა, რომ მამა ეფთვმე კვირაში სამი დღე მხოლოდ პურსა და წყალს იხმევდა მზის ჩასვლის შემდეგ, ღვინოს კი მხოლოდ წირვისას მიიღებდა, თავად სინჯავდა ძმათათვის განკუთვნილ საჭმელ-სასმელს, ზრუნავდა, რომ საკვები ხარისხიანი ყოფილიყო, რადგან ძმები მარტო საერთო ტრაპეზზე იკვებებოდნენ და არაფერი უნდა დაჰკლებოდათ (ძეგლები 1967, 74–75). ივირონში მევაჟინეს

ევალეზოდა, ტრაპეზზე კარგი ღვინო გამოეტანა. მამა ეფთვმე თავად ამოწმებდა, რომ სასმელი ამმარებული ან მეტად წყალგარეული არ ყოფილიყო.

პეტრიწონის ტიპიკონი ხელოსნებს არ იცნობს, აქ დასახელებულნი არიან ერთი მემარნე-ვაჟინარი, ერთი მეტრაპეზე, ერთი მეპურე, ერთი მზარეული (შანიძე 1986, 76-77). ჰყავდათ ერთი მესტუმრეც. ასევეა ბერძნულ ტექსტშიც იმ განსხვავებით, რომ ვაჟინარის ნაცვლად ღვინის მწდეს ასახელებს (გეორგიკა 1963, 75-58). რაც შეეხება კელარს, ქართული ტექსტი გვაცნობს კელრის მოვალეობას: „...ერთი იყოს კელრად, რომელ არს ოსტიგანი, წესისაებრ მონასტრისა, უზაკუველი და ერთგული, რომელსა ჰქონდის ჯელსა თვისა პური და უხდური და საწუნე და ზეთი, თაფლი და სხუაჲ ყოველივე საზრდელი და თვთ წარაგებდეს შიშითა ღმრთისაჲთა” (შანიძე, 1986: 76, 12). ბერძნული ტექსტი განსხვავებულ იკითხვისს გვამღვეს: „...სხვა კიდევ იყოს კელრად, რომელსაც იბერნი ტანუტერს²⁷ ეძახიან” (გეორგიკა 1963, 57).

შიომღვიმის ტიპიკონში მხოლოდ კელარი მოიხსენიება სამჯერ (ტიპიკონი 2005, 16, 16, 193).

ვაჰანის ქვაბთა განგებაში მეტრაპეზე მხოლოდ წესრიგის დამცველად მოიხსენიება. ყველანი მყუდროებით უნდა იღებდნენ საზრდელს, უკუეთუ არა, დამრღვევი “მეტრაპეზისა მიერ... განყვანებულ იქნეს ტრაპეზით” (ჟორდანიას 1896, 33). მისი სხვა მოვალეობა – საჭმლის მომზადება, ტრაპეზის დაგება – აღნიშნული არ არის.

ყველა მონასტერში განსაკუთრებული იყო დამოკიდებულება უძღურთა და სნეულთა მიმართ. მთაწმიდელთა ტიპიკონში მათ შესახებ ნათქვამია, რომ მამა ექვთიმე, რომელიც ბერებისგან მოითხოვდა, ეკლესიაში წესიერად მდგარიყვნენ და მხურვალედ ელოცათ, თვითონ კი „თვნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან... ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა” (მეგლები 1967, 69, 1) და სიბერეშიც კი არგნით ტაძარში არ შედიოდა, უძღურებს ნებას რთავდა, ეკლესიის შტოში კვერთხზე დაყრდნობილნი მდგარიყვნენ, ძალიან დაუძღურებულნი სკამზეც დამსხდარიყვნენ (მეგლები 1967, 76, 19) და სამზარეულოშიც განსხვავებული საჭმელი მოემზადებინათ (მეგლები 1967, 79, 25).

²⁷ა. შანიძემ დაადგინა, რომ “ტანუტერი“ საერო თანამდებობა იყო და ეს სიტყვა ტექსტში გვიანდელი ჩანართია (ა. შანიძე 1986, 23–29). ამ საკითხზე საინტერესო გამოკვლევა აქვს თ. მესხსაც (მესხი 2009, 651-664)..

შეღავათებს უწესებს სნეულებს შიომღვიმის ტიპიკონიც. მარხვის პირველი შვიდეულის სამ დღეს ყველანი უზმოდ ატარებდნენ, ავადმყოფების გარდა (ტიპიკონი 2005, 195), რომელთაც ორშაბათ-ოთხშაბათ-პარასკევს მარხვისასაც ეძლეოდათ ღვინო, მათთვის წინამძღვრისაგან იყო „წესი განჩინებული, არამედ თითოეულისა ნებისაებრ თანა კურნებად მათი და ნუგეშინის-ცემა“ (ტიპიკონი 2005, 196).

სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ორი მონაზონი იყო „მეუძღურედ – მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებლად“ პეტრიწონში (შანიძე 1986, 76, 16); ბერძნულ ტექსტში ეს მუხლი ასეთია: „სხვა კიდევ იყოს მოხუცებულთა და სნეულთა მომვლელად, რომელიც ამათზე ზრუნვას კარგად და გონივრულად შეასრულებს“ (ყაუხჩიშვილი 1963, 59, 15).

მხარგრძელს, ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ქტიტორსაც, არ გამორჩენია მხედველობიდან ეს საკითხი და დიდ მზრუნველობას იჩენს ავადმყოფთა მიმართ: „...ყოვლად განკრძალული ერთი და ღვთისა მოშიში მონაზონი მესნეულედცა განჩინებოდის და უძღურ მყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს ყოველსავე საჭმარსა მათსა: დღითი დღე სამ გზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს, და საწესოსა მართუმიდეს ძმასა ტრაპეზით: და სხუად, რაღცა უჭმდეს სნეულთა და უძღურად მყოფთა ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით: და ნუმცა რაღ მოაკლდების საჭიროდ საჭმართაგანი, რომელიცა იყოს და იპოებოდეს“ (ჟორდანიას 1896, 34).

მონასტრებში ჰყავდათ მესტუმრენიც – მათი მოვალეობები ზოგ ტიპიკონში გაწერილიცაა. ათონის ივერთა მონასტერში ადგილის „მრონინე“ მონაზონთა მიღება-გასტუმრება მონასტრის მეკარეს, „ფრთხილსა და სულიერ“ კაცს ევალებოდა (მას შემდეგ, რაც დააპურებდნენ); ერისკაცები კელრის საზრუნავი იყვნენ და მის კართან ხალხი არ იღეოდა, – შენიშნავს წმიდა გიორგი მთაწმიდელი (ძეგლები 1967, 82–83, 34).

პეტრიწონის ტიპიკონით დადგენილია, რომ მონასტერს უნდა ჰყავდეს ერთი მესტუმრე (შანიძე 1986, 76, 15; გეორგიკა 1963, 59, 14). დაწვრილებითაა განხილული ყველა შესაძლებელი შემთხვევა, – როგორ უნდა მიიღონ სტუმარი, რომ არავინ არ უნდა გაუშვან მშვიერი, როდის და როგორ უნდა გაუმასპინძლდნენ... მერვე თავში – „ტრაპეზისა შემზადებისათვის და მსახურთა დუმილით და სიმშვიდით

მსახურებისათვის” (შანიძე 1986, 78-80; გეორგიკა 1963, 63-69) – ისიც კი გაწერილია, რომ ავადმყოფი სტუმარი მოარჩინონ და მერე გაუშვან, გარდაცვალების შემთხვევაში კი პატივით დაკრძალონ. გარდა ამისა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ სამ ადგილას ააშენა სასტუმრო („ქსენადოში“) მწირთა და მოგზაურთათვის, მზრუნველები დაუნიშნა და ყველა აუცილებლად საჭირო სახმარითა და საზრდელით უზრუნველყო.

„მრავალ მრონიეთა და მიწყითთა მთხოველთა“ ვაჰანის მონასტერშიც მეკარე „განისტუმრებდა“. ძმასთან კერძო საქმეზე მომსვლელს თვით დამხვდური უმასპინძლებდა; მოსალოცად შორიდან მოსულები მესამე დღეს უკვე უნდა წასულიყვნენ, საპატიო სტუმრებს ტრაპეზით მასპინძლობდნენ; ამ შემთხვევაში, მოძღვრის ბრძანებით, შეიძლება „სტუმართ მოყუარეობისა მიზეზითა იქმნას მომატება საქმელთა რაფთამე“, –რადგან ეს საჭიროა და ძველი მცნებაა, აღნიშნავს ავტორი (ქორდანია 1896, 33-34).

ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა ეკლესიაში მეჭურჭლე – განძეულობის მცველი, მნე. „იოანესა და ეფთვემეს ცხოვრებაში“ ის აღნიშნული არ არის. სავარაუდოდ, ამ მოვალეობას მნათე ასრულებდა. პეტრიწონის წესდებაში მას ცალკე მუხლი ეთმობა: „ცოდნით, გამოცდილებით, ღვთის მოშიშობით და სიყვარულით შემკული ადამიანი“ (გეორგიკა 1963, 57, 9) უნდა დაეწესებინათ „მეჭურჭლედ და დოშიარად ეკლესიისა, სამკაულთა და სიწმიდეთა და საწმართა და განძისა მცველად“, იქვეა აღნიშნული მისი კიდევ ერთი ვალდებულება – „საიდადთცა შემოვიდოდის, წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს“ (შანიძე 1986 76, 10).

შიომღვიმის ტიპიკონში მეჭურჭლე, განძთა მნე არ იძებნება. მხოლოდ ერთხელ, თვენში, 14 სექტემბრის, ჯვართამაღლების მსახურებაში აღნიშნულია, „გამოვიდეს მღვდელი საჭურჭლით“ (ტიპიკონი 2005, 34), ხოლო საჭურჭლე განმარტებულია, როგორც „სადიაკონე, რომელშიც ინახება სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელი“ (ტიპიკონი 2005, 212). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჭურჭელი სწორედ დიაკონს ებარა.

ვაჰანის ქვაბთა მონასტერში მეჭურჭლე ძმობის პირველი დასის წევრია, საჩოხედ სამი დუკატი, პური ორი გრივი წმიდა, ერთი ქრთილი და ერთი საპალნე ღვინო ეძლევა (ქორდანია 1896, 35-36). მისი მოვალეობები განსაზღვრული არ არის.

გარდა ამისა, ყველა მონასტერში არიან კიდევ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა, პრაქტიკულ საქმეს ასრულებენ: ხურო, მჭედელი, მეჯორე, მეწაღე... „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმიდელი ჩამოთვლის სახელოსნოებს: „საწანგროდ და საჯორედ და სამჭედლოდ და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენახნი და მენავენი“ (ძეგლები 1967, 84, 37).

შიომღვიმის მონასტერში მონაზვნები იყვნენ, აგრეთვე, მჭედელი, მეჯორე, ნავის მოქმედი, ხურო, მევენახე, საპურის მსახური, მემტილე, მებოსტნე, აგრეთვე მალვიძებელი, რომელსაც დიდმარხვის პერიოდში წინამძღვარი ნიშნავდა. მას ევალეობოდა, ღვთისმსახურებისას ეკლესია შემოეველო და თუ ვინმეს ჩაძინებულს ნახავდა, ფრთხილად გაეღვიძებინა: „ესევითარი ესე მალვიძებელი ყოველსა წელიწადსა მოღუაწე არს ძმათა ეკლესიად შემოკრებისათჳს“ (ტიპიკონი 2005, 25).

აუცილებლად ცალკე უნდა აღვნიშნოთ ერთი სამსახური: თუ შეიძლება ითქვას, ჳელოსანი – მთაწმიდის ტიპიკონში; მსახურნი და შემწენი შიომღვიმისა და „მსახურნი... რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და სამზარეულოსა და სახაბაზოსა სამსახურსა აღასრულებდნენ“ ვაკანში (ჟორდანიას 1896, 32). კონტექსტიდან გამომდინარე, ესენი უნდა ყოფილიყვნენ სასულიერო პირები, რომლებსაც საჭმლის მომზადება, ტრაპეზის დაგება და მომსახურება ევალეობოდათ. შეიძლება ეს მათი მორჩილება ყოფილიყო. შდრ.: პეტრიწონის ტიპიკონი (გეორგიკა 63. 8, 65): „ყველაფერი სრულიად ნათლად დავდეთ და ვთქვით მომსახურებულთა და მომსახურებელთა მიხედვით – როგორც იმათ შესახებ, რომლებიც პურის ჳამად სხედან, ისე იმათ შესახებ, რომელნიც მათ თავზე დგომით ემსახურებიან, აგრეთვე ზედამდგომელთა და მსახურთა კეთილწესიერებისა და სიმტკიცის შესახებ“; იგივეა ქართულ ტექსტშიც (შანიძე 1986, 78, 8, 1).

ჩვენ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილეთ ძირითადი საქმიანობა, რასაც მონასტრის მონაზვნები ეწეოდნენ, მათი უფლება-მოვალეობანი და ტერმინები, რომლითაც ეს მოვალეობები იყო განსაზღვრულ-განაწილებული და მონასტრის ტიპიკონშია ასახული. მათში კარგად ჩანს, რომ მოუკლებელი ლოცვა, ღვთისმსახურება და სათნოებათა კიბეზე ზეაღსვლა თითოეული ბერის უმთავრესი მოვალეობა იყო და მონასტრის ხელისუფალნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეს სვლა არ შეფერხებულიყო. გარდა ამისა, საყურადღებოა ტიპიკონში

მოთხრობილი მონასტრული ყოფა-ცხოვრების, კაცობრივი სისუსტის გამოვლენის დეტალები, მონასტრების აშენების ამბავი, ქართველ საერო და სასულიერო პირთა ბიოგრაფიისა და ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მრავალი სხვა საკითხი.

4.2. წირვა–ლოცვის დროს სიწმინდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“)

ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა –ქვეყნის გაქრისტიანებას მოჰყვებოდა ღვთისმსახურებისთვის აუცილებელი წიგნების თარგმნა, რაც, ბუნებრივია, მოითხოვდა მეტ განათლებულ ადამიანს, ეკლესია–მონასტრებთან ეწყობოდა სკოლები, მზადდებოდა წიგნები, ეუფლებოდნენ კალიგრაფის, მხატვრის, წიგნის მკაზმველის ხელობას. ასევე საჭირო იყო ლიტურგიისთვის აუცილებელი ნივთები ეკლესიაში – ხატები, სასანთლები, კანდლები...

„გრიგოლ ხანტელის ცხოვრებაში“ ეკლესიის იარაღები თითქმის არ იხსენიება.

„იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ VIII თავში (არატიპიკალური ნაწილი) აღნიშნულია, რომ იოვანემ და იოვანე–თორნიკემ, „ამათ ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა, დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი შეწირნეს დიდსა ლავრასა და ყოველთა მონასტერთა მთაწმიდისათა, რომელნი–იგი მას ჟამსა წუთლა გლახაკ იყვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ...მათ შორის „ძელისა ცხოვრებისა ნაწილი ვეცხლისა ბუდითა და ორნი ბარძიმნი დიდნი ვეცხლისანი და ფეშხუემი კოვზითურთ და ბრწყლით და ნაწილის შთასასუენებელით ვეცხლისადთ, და ესე ყოველნი ოქროცურვებულნი. საკურთხეველის შესამოსელი ოქრონემსული და მეორე ოქსინო“ (ძეგლები, 1967: 52). ჩამოთვლილია, აგრეთვე, წიგნები ოქროპირისა, წმიდისა ეფრემისნი, სწავლანი წმიდისა კვრილესნი, საწინასწარმეტყველო და მაკაბელთა, სადღესასწაულო, სტავრით შემოსილი ოთხთავი, ვეცხლისა ღილოკილოდთა და ჯუართა. ოქროცურვილი ვეცხლის სალიტანიე ჯვარი, მელაზმაგის ხატები, ჯვარცმის დიდი ცვლოიანი ხატი, დიდი ხატი ვედრებისა, გარდამოხსნა, თორმეტ მოციქულთა კანკელი, წმინდა დიდმოწამეთა ხატი,

ცვლიანი ხატები იოანე ნათლისმცემელისა და წმინდა ევსტრატესი, ალვა 100 ლიტრი... (ძეგლები 1967, 52–53).

ამ მხრივ საკმაოდ დიდ და საინტერესო მასალას შეიცავს პეტრიწონის ტიპიკონი. თავი 34–ე არის სამღვდელო განძათვის და წმინდა პატიოსან ხატათვის და ყოველგვარ პატიოსან იმ სამკაულთათვის, რომლებიც დაგვიმტკიცებია, შეგვიწირავს და მიგვიცია ჩვენ ხსენებული წმინდა მონასტრისათვის (გეორგიკა 1963, 143–151).

შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონშიც აღნიშნულია ეკლესიის იარაღები, არა ჩამოთვლით, არამედ იხსენიება ესა თუ ის ნივთი და ჭურჭელი. აქ საინტერესოა ერთი ნიუანსი, რაც კელაპტრის გაგებას ეხება. „მიიხუამს დიაკონი საცეცხურთა და გამოჰვლის წმიდათა კართა და აღიღებს მცირითა კელაპტრითა მნთებარესა სანთელსა, რომელი პირველვე განმზადებულ იყოს“ (ტიპიკონი 2005, 107). „განემზადებინ პირველვე საწიგნენი გარდაბურვილად სტავრაძთა, და დაიდგმიან წინა კერძო მათსა ორნი კერეონნი კერაპტარებითა და დაიდების ზედა წმიდაჲ სახარებაჲ ოთხთავი“ (ტიპიკონი 2005, 116–117). აქ „კელაპტარი“ ერთგან და „კერაპტარი“ მეორეგან – რასაც დღეს ჩვენ დიდ სანთლად, იგივე კერეონად მოვიაზრებთ – სასანთლე უნდა იყოს, რაც საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ზომისა (მცირე, საშუალო ან დიდი) მზადდებოდა. მოხმობილ მაგალითებში ეკლესიის იარაღებიდან იხსენიება აგრეთვე საწიგნე, სტავრა, სანთელი...

ტექსტიდან ჩანს, რომ შიომღვიმეში ჰქონდათ რკინის (მეტალის) ზარი და დიდი სარეკელი, რომელიც, სავარაუდოდ, ხისა უნდა ყოფილიყო. ღამისთვის განგების დასაწყისში ნათქვამია: მზის ჩასვლის შემდეგ მალევე კანდელაკმა თაყვანი–სცეს წინამძღვარს, ამის შემდეგ ავიდეს და „იწყოს რეკად მძიმესა ნელიად“, თან თქვას „ნეტარ არიან“ (ფს. 118). და მანამ უნდა რეკოს, სანამ ფსალმუნს ბოლომდე ჩაათავებს; მერმე წარვიდეს... ანთოს კანდლები და მოაკმიოს ეკლესია, გამოვიდეს და „ჰრეკოს რკინისა სარეკელსა და მერმელა დიდსა სარეკელსა“ (ტიპიკონი 2005, 13).

აქვე ვიტყვით, რომ განსხვავებით სხვა ტიპიკონებისგან, შიომღვიმეში მეტი დატვირთვა და სამსახური ჰქონდა კანდელაკს, რაც ჩანს თუნდაც ტერმინთა მრავალგვარობით. აქ იხსენიება კანდელაკი–მნათე, კანდელთა ამნთებელი (სამჯერ) –

კანდელაფტი, კანდილაფტი (შვიდჯერ) და კანდილაფტო-უხუცესიც კი (ერთხელ): „კანდელაფტი მისცემს ძმათა წყალსა მიწყალესა ზედა“ (ტიპიკონი 2005, 26).

დიდი შაბათის მსახურებაზე სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ აღანთებს კანდილაფტი კანდელთა და განვალს და ჰრეკს... მეცხრე გალობის შემდეგ ყველანი გავლენ სტოაში, ეკლესიაში დარჩება მხოლოდ კანდილაფტი და აანთებს ყველა კანდელს (ტიპიკონი 2005, 123).

საჩინო წმინდანის ხსენების დღეს, თუ შაბათი ემთხვევა და ღმერთი უფალი იგალობება, ალილუიასა ზედა კანდილაფტო უხუცესი ძმებს სანთელს ჩამოურიგებს. ასევე (ალბათ, იმიტომ, რომ სხვაგან ლიტურგიკული მსახურება არ აღიწერება) მხოლოდ შიომღვიმის ტიპიკონშია აღნიშნული, რომ შაბათის მსახურებაზე „წინამძღვარი მიიხვამს საცეცხურთა, ხოლო პირველი დიაკონთაჲ – სასაკუმეველესა“ (ტიპიკონი 2005, 138, ორგზის).

დიდმარხვის მწუხრზე სრულდება წინასწარშეწირული მსხვერპლის განახლების მსახურება. წმინდა მსხვერპლის შემოყვანის შემდეგ ... მიიხუამს მღვდელი პერეკელთა და დაჰბურავს წმიდათა შესაწირავთა (ტიპიკონი 2005, 107). „დაფარნა“ საერთოდ არ იხმარება და პერეკელიც ამ ერთ ადგილას გვხვდება.

შიომღვიმის ტიპიკონში გვხვდება აგრეთვე:

საბანელი, ფიალი – ნათლისღების წინა დღეს სრულდება წმიდა ბასილის ჟამისწირვა. ერის განტევების შემდეგ განვალთ ყველანი საბანელად სანთლითა და საკუმეველითა (ტიპიკონი 2005, 63).

მეხუთე შაბათის მსახურებაზე ერის განტევების შემდეგ შემოსილიმღვდელი, სანთლით და საცეცხურით ხელში, გავა ტაძრის საუფლო ბჭის გარეთ და დაიდგმება ფიალი წმიდისა საბანელისაჲ. ილოცავს, ძმები გალობენ, მათ შორის გერთა საბანელისათა (ტიპიკონი 2005, 119).

საწიგნე, სტავრა – დიდ ორშაბათს, მესამე ჟამის ლოცვისას წინასწარ ამზადებენ საწიგნეს „გარდაბურვილად სტავრაჲთა და დადგმიან წინა კერძო მათთა ორნი კერეონნი კერაპტარებითა და დაიდების ზედა წმიდაჲ სახარება ოთხთავი,“ (ტიპიკონი 2005, 116–117).

საჭურჭლე, ფეშხუმი, პატოსანი ჯვარი –დიდ მონასტრებში, სადაც სიწმინდის სამსახურებელი ბევრი ჭურჭელი იყო საჭირო, მათ შესანახავად სპეციალური სათავსი ჰქონდათ.

ჯვართამაღლებას სრულიად თეთრებით შემოსილი მღვდელი, რომელსა ეტვირთოს ფეშხუმით პატოსანი ჯვარი, გამოვა საჭურჭლით. გამოვიდეს საკუმეველითა და წინა უძლოდიან სანთლებითა (ტიპიკონი 2005, 34).

... ვითარცა სრულ–იქმნეს მეხუთე ამაღლებაჲ, დაუსუენებს მღვდელი პატოსანსა ძელსა ფეშხუმსა ზედა (ტიპიკონი 2005, 35).

ფელონი, ფილონი, სტიხარი –დიდ შაბათს აღსძარცონ მღვდელს შავი ფელონი და შეჰმოსონ თეთრი.

მეათესა ჟამსა დღისასა ვჰრევთ მწუხრისასა და შეიმოსების მღვდელი სტიხრითა თეთრითა და ფელონითა შავითა, და დავიწყებთ მწუხრისასა (ტიპიკონი 2005, 123).

მღვდელი პირველსა დიაკონთასა მისცემს წესისაებრ საცეცხურთა, დადგება წმინდა სალხინებლის წინაშე, ქუე შთამტევებელი ფილონისა (ტიპიკონი 2005, 138).

ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონი ნაკლულოვანი და დაზიანებულია, ამასთან, მხოლოდ ყოფით საკითხებს ეხება, მასში ლიტურგიკული ნაწილი თითქმის არ არის, ამიტომ მსგავსი ტერმინები ამ ტექსტში არ მოიპოვება.

4.3. ქალების, უწვერული ყრმებისა და ბერძენთა მონასტერში არ დაშვებისათვის

ტიპიკონებში ეს საკითხი განსაკუთრებული კატეგორიულობით არის დასმული, ამიტომ ცალკე გამოვყავით. ზოგადი სურათი ასეთია:

გრიგოლ ხანცთელისა და იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში დედაკაცის მონასტერში დაშვების საკითხი არ დგას – წმ. გრიგოლი მტრისა და ჭირისაგან გაუდაბურებულ კლარჯეთში ჩავიდა და ძნელად მისადგომ, კლდიან ადგილას დაემკვიდრა, ირგვლივ ტყეებში თითო–ოროლა განდეგილი თუ ცხოვრობდა, ათონის ნახევარკუნძულზე კი დედაკაცის ზღვიდან ხმელეთთან მიახლოებაც აკრძალულია.

ჭაბუკებს რაც შეეხება, ეფთჳმე მთაწმინდელის ბრძანებით, უწვერული მუშების დაქირავებაც არ შეიძლებოდა, რათა ძმებისთვის ვნება არ შეემთხვიათ (ძეგლები 1967, 81–82, 30). მამა ეფთჳმე თავად დიდად მოწადინებული იყო, რომ ახალგაზრდებს ესწავლათ და ხელობას დაუფლებოდნენ, მაგრამ მონასტერში არ აჩერებდა, მოშორებით, სოფელში გზავნიდა, სულიერ და გამოცდილ მოძღვართან; იქ იზრდებოდნენ და როცა წვერით შეიმოსებოდნენ, მერეღა მოჰყავდათ სავანეში (ძეგლები 1967,82, 31).

შიომღვიმის ტიპიკონში დედაკაცებისა და უწვერული ყრმების ტაძარსა და მონასტერში მისვლა–მოსვლაზე აღნიშნული არაფერი არ არის.

პეტრიწონის ტიპიკონში მე–17 და 23–ე თავები არის შესახებ იმისა, რომ „საჭიროა შედგეს გეგმა და განჩინება საჭურისთა და მოყმე ჭაბუკთა შესახებ“ (მე–17, გვ. 97–99) და „დედაკაცი არ შევიდეს ჩემს წმინდა ეკლესიაში, არც დედათა მონასტერი იქნეს დაარსებული ჩვენი სავანის საზღვრებში“ (გეორგიკა 1963,121–123).

საჭურისთა ანუ ე.წ. ყვერულთა და უასაკო ჭაბუკების შესახებ პეტრიწონის ტიპიკონი ამბობს, რომ წმინდა მამანი კრძალავდნენ მათ საეკლესიო საიდუმლოთა გამო, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ასევე დარჩეს სამუდამოდ და არავითარი მიზეზით, არაფრის გულისათვის არ ჩააბარონ ასეთს სამონაზვნო საქმე, რადგან ასეთი რამ უშვერება და უმსგავსოებაა (გეორგიკა 1963,96–97: 17, 1).

გრიგოლ ბაკურიანის ძეს მეტი დასაბუთებისათვის მოჰყავს სკიტში მყოფ მამათა სიტყვები: არ შემოიყვანოთ აქ მცირეწლოვანი ჭაბუკები, მათგან ბევრი ეკლესია წაიბილწა. იმისათვის, რომ მომავალ წინამძღვრებს არ ჰქონდეთ საცთური, სასტიკად კრძალავს: „არანაირი საბაბით არ დავრთავთ ნებას ასეთების შემოშვებასა და წესიდან გადახვევას“ (გეორგიკა 1963,99, 17, 2).

„ჩვენ შემდეგ“ ამ წმინდა მონასტერში დაყენებულ წინამძღვრებსა და ეპიტროპებს მსჯავრში იწვევს და აფიცებს მთელ ძმობას ქრისტესა და ღმრთისძმობლის სახელს, მისი ამ დადგენილებისა და მამათა მცნების გარეშე არ მიიღონ სხვა დადგენილება არავითარი საბაბით, – რომ არ წაიწყმიდონ სული, არ დაგმონ უდიდესი მამეული წესები და თავზე არ მოიწიონ ღვთიური მსჯავრი (გეორგიკა 1963,99, 17, 3). ქართული ტექსტი ამბობს იმასაც, რომ საქალაქო და

საერისკაცო კანონებითაც აკრძალულია საჭურისთა თანამდებობაზე დანიშვნა (შანიძე 1986, 92–93, 17, 3).

გრიგოლ ბაკურიანის ძე შეუვალა დედების საკითხშიც: კატეგორიულად წერს, რომ არ სურს მონასტერში გათხოვილი ქალი შევიდეს, არც ცოლიანი კაცი დასახლდეს მისსაზღვრებში. მხოლოდ ტაძრის დღესასწაულზე (15 აგვისტოს) დაიშვებოდა სალოცავად დედაკაცი, ისიც წირვის დამთავრებამდე (გეორგიკა 1963, 121–123, 2). აქვე ეხება „ნორჩ ჭაბუკებს“, რომ ისინი მონასტერში კი არა, მის ტერიტორიაზეც არ უნდა იმყოფებოდნენ, არამედ სადმე შორეულ სოფლებში ან აგარაკებზე (გეორგიკა 1963, 121–123, 2). იკრძალებოდა დედათა მონასტრის აგებაც პეტრიწონის საზღვრებში – როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ შემთხვევაში, მის კუთვნილ ტერიტორიაზე მცხოვრები ორი ქალის გამო. მათ არათუ დედათა მონასტერზე არ უნდა ეფიქრათ, ისინი საერთოდ უნდა გადაესახლებინათ სხვა ადგილას და კიდევ ერთხელ კატეგორიულად აცხადებს: „მე მოვითხოვ, რომ საყოველთაოდ შეუვალი იყოს ქალისთვის ჩვენი წმინდა მონასტერი და სამუდამოდ ასე დარჩეს „... და ვგმობთ, ვინც ამას დაარღვევს“ (გეორგიკა 1963, 121–123, 2).

ასევე მკაცრია ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონი: მონასტერში განუსვენებდნენ მხოლოდ იმ სტუმრებს, რომელთაც დედაკაცი არ ახლდათ (ჟორდანი, 33). სარგის მხარგრძელი აწესებს, რომ „ყოვლად ყოვლითურთ უვალ იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნურაღს მიზეზისათვის ნუ შევალს მას შინა, თვნიერ ჳელმწიფეთაჲსა: და ჩუენისა სახლისაჲთა, ისიც მაშინ, თუ აუცილებელი („თანაწარუვალი“) მიზეზი იყოს, ღამით დარჩენა ყოვლად გამორიცხულია, რაც უნდა უჭირდეთ. სენაკში ბერთან შესვლაც არ შეიძლება, დაიშვება მხოლოდ დედა, ისიც ცოტა ხნით. სხვისი, ჩვენი სახლის წევრიც რომ იყოს, დაუშვებელია დედაკაცის შესვლა მონასტერში (ჟორდანი 1896, 36).

ამასვე მოსდევს (როგორც პეტრიწონის ტიპიკონში), რომ არც დიაკონი და არც უწვერული ყრმა მონასტერში არ უნდა გაიზარდოს. არავინ არ უნდა იკადროს, თავისი ნათესავი, ძმა, შვილი, მცირე ასაკისა და უწვერული, რაიმე მიზეზით შემოიყვანოს მონასტერში. იმდენად მიუღებელი იყო ეს ამბავი, რომ თუ ვინმეს ამგვარ უზნეობაში ამხელდნენ – ტიპიკონს თუ გატეხავდა და ერთ ღამესაც კი

გაათევიანებდა მონასტერში მოზარდს – მასთან ერთად დაუყოვნებლივ გაამევებდნენ და მოიკვეთდნენ(ქორდანია 1896, 37).

ბერძნების მონასტერში შემოყვანის საკითხი აქტუალურია ათონსა და პეტრიწონში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს და გადაარჩინეს ბიზანტიის სახელმწიფო – მაშინდელმა ხელისუფლებმა დაუფასეს კიდევ – მერმე და მერმე მთაწმინდელ ბერძნებს დაავიწყდათ, უფრო სწორად, ქართველთა მონასტრის სახელმა და სიმდიდრემ მისი მითვისების სურვილი აღუძრათ და ყველაფერი დაავიწყდათ, მათ შორის, არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელი განსაცდელიც. გიორგი მთაწმიდელი აღნიშნავს, რომ თორნიკე ერისთავმა აღმოსავლეთიდან (საქართველოდან) მრავალი ბერი ჩამოიყვანა იმ მიზნით, რომ მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ მათი ახლად აშენებული მონასტრის მკვიდრნი – ეტყობა, კარგად იცნობდნენ ბერძნებს და ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი უბედურება – მაგრამ რახან ეს შეუძლებელი იყო, იძულებულნი გახდნენ, ბერძნებიც შემოეყვანათ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ყველაფერი სარჩო და სახმარი ზღვით შემოდის, ჩვენ კი საზღვაო საქმის გამოცდილება არა გვაქვს, ამიტომ იძულებული გავხდით, ბერძნებიც შემოგვეყვანა, – ამბობს გიორგი მთაწმიდელი (ძეგლები 1967, 49). სამწუხაროდ, მათი წინათგრძნობა გამართლდა, მალე ბერძნებმა დრო იხელთეს, შემოუტყეს, მართალია, მეფე მიქაელის დახმარებით მონასტერი ვერ წაართვეს, მაგრამ სამჯერ გაძარცვეს, დაარბიეს, დიდი უსიამოვნება მიაყენეს ქართველებს, შემდეგ, ქართული სახელმწიფოს დასუსტებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ, ამცირებდნენ და ა.შ. მაშინ კი დაიბრუნეს, მაგრამ არა მხოლოდ ივირონი, არამედ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და კიდევ მრავალი ჩვენი საზღვარგარეთული სავანე საბოლოოდ მათ ხელში აღმოჩნდა.

ცხადია, ათონის ქართველთა მონასტრის ისტორია კარგად ეცოდინებოდა ქართველ მხედართმთავარს, დასავლეთის დიდ დომესტიკოსს გრიგოლ ბაკურიანის ძეს. ალბათ ამიტაც იყო გამოწვეული მისი ტიპიკონის 24-ე თავი „შესახებ იმისა, რომ არ იქნეს თანამდებობაზე დაყენებული ბერძენი ხუცესი ან მონაზონი ამ ჩვენს მონასტერში და რა მიზეზით“. ახსნა ასეთია: ბერძნები მოძალადე, უპირო, ანგარნი არიან, მონასტერს რამე გაჭირვებას ან ვნებას შეამთხვევენ, ან ვინმე მოწინააღმდეგეს

მოიყვანენ, ან თვითონ მოინდომებენ მამასახლისობას, ან რაიმე საბაზით მონასტრის მითვისებას, რაც „ჩვენ ხშირად გვინახავს მათგან ჩადენილი ჩვენი ტომის გულუბრყვილობისა და გულმართლობის წყალობით“, ამიტომ ურჩევდა ყველას გრიგოლ ბაკურიანის ძე, არასოდეს მონასტერში არ შემოეყვანათ ბერძენი ხუცესი ან მონაზონი, ჰყოლოდათ მხოლოდ ერთი მდივანი, რომელიც წინამძღვრის წერილს გაგზავნიდა მთავრებთან და მათგან პასუხს დაიბრუნებდა (გეორგიკა 1963, 123).

4.4. ტანსაცმელი/სამოსი

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ სამოსზე თითქმის არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ერთგან, ჯავახეთის კრების ეპიზოდში, ბჭობად შეკრებილ მამებს ჰქონდათ ხილვა მამა გრიგოლისა, როცა „სამოსელი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრჯთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ, ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გვრგვნი სამეუფოდ პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“ (ძეგლები 1963, 287). წმ. გრიგოლმა აშოტ კურაპალატის სატრფოს „მისცა თვსთა ჯამლთა საბელი, რადთა სარტყლად შეირტყას“ (ძეგლები 1963, 297).

„იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ ერთგან გვხვდება ბერის სანიადაგო სამოსი – ჩოჯა, რამდენჯერმე – საბეჭური; კუართი – მღვდლისა და დიაკონის შესამოსელი წირვის დროს, ასევე, მოგვი, ჩაფულა, ტყავი, საბლები (ძეგლები 1967, 85, 40).

პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონებში ძმებს რა აცვიათ, აღნიშნული არ არის, მაგრამ ქტიტორები დიდად ზრუნავენ მონასტრის წევრთა უზრუნველობისა და უმოქნეობისათვის, ისინი დასებად არიან დაყოფილნი და საჩოხედ, ანუ სატანისამოსლედ სხვადასხვა რაოდენობის თანხა ეძლევათ (ჟორდანია 1896, 34).

პეტრიწონის ტიპიკონში ამ საკითხს ეძღვნება სპეციალური მეცხრე თავი: „შესამოსელთათვის, ანუ სამოსლისა ფასისა, თუ ვითარ ჯერ–არს განყოფად მამასახლისისაგან ძმათა და საჯამრობლისათვის“ (შანიძე 1986, 80–82).

ბერძნულენოვანი ტექსტის მეცხრე თავის სათაური ასე ჟღერს: „შესახებ ძმათა სამოსლისა ან მისი ფასისა, და თუ როგორ უნდა გაუნაწილოს იგი ძმებს წინამძღვარმა, და აგრეთვე შესახებ ფეხსაცმელებისა“ (გეორგიკა 1963, 69–73).

ამ მხრივ შედარებით მეტს ვგებულობთ შიომღვიმის ტიპიკონიდან. ცალკეა გამოყოფილი ქვეთავი „შესამოსლისათვის“: მონასტრის ხელისუფლება ზრუნავდა, რომ ძმებს ჰქონოდათ სადა, აუცილებელი სამოსი, კერძოდ: ორი ჩოხა ქვეშ (შიგნით) ჩასაცმელი და ორი ზედა; ერთი მილატონი, ორი კუკული და ორი საბეჭური – ერთი მცირე სამსახურებელთად (სამუშაოდ) და მეორე – უკეთესი, დიდი („უფროსი–რე“) საეკლესიო, რომელიც შაბათ საღამოს მწუხრის ლოცვაზე, კვირას ჟამისწირვისას და კვირის მწუხრზე უნდა ეტარებინათ; წირვაზე მღვდელს ემოსა სტიხარი და ფელონი – თეთრი ან შავი: ვნების კვირის შაბათს მწუხრზე გალობის დროს „მეცხულად აღსდგეს მღვდელი. აღსძარცონ მას შავი ფელონი და შეჰმოსონ თეთრი, და ზემდგომარე იყოს გალობასა შინა ამათ მუჯლთასა (ტიპიკონი 2005, 123). მონაზონი ვალდებული იყო, აუცილებლად ჰქონოდა „ვარიმანდი, ხაოედი საბეჭური; ფეხზე ჩასაცმელად – ერთი წყვილი მოგვი და ორი წყვილი ჩაფულა – ერთი საზამთრო წინდით ჩასაცმელი და ერთი საზაფხულო „დასაგებელი“ (ტიპიკონი 2005, 197).

„იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ (არატიპიკალური ნაწილი) ნახსენებია „ოქრონემსული სამოსი“, ასევე პეტრიწონის ტიპიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძე ჩამოთვლის ძვირფას შესამოსლებს – სამეუფო დურა ოქსიკატორი, ოთხი, რომელთაგან ერთი ოქრონემსულია. სკარამანგი მძიმე, მოწეული ოქსიკატორი, მღვდლის შესამოსლები, მარგალიტებიანი ხატით შემკული, სიმენტისა და აბრემუმის ომოფორები – რომელთა ნაწილი მეფეთა პირადი საჩუქარია მტერზე გამარჯვებების აღსანიშნავად, ნაწილი თვითონ შეიძინა და შესწირა ეკლესიას (გეორგიკა 1963, 33–35, 18–19–20; 147, 149). ძვირფას სამოსს სადღესასწაულო ღვთისმსახურების შესრულებისას იყენებდნენ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მონაზონთა სამოსი, განსაკუთრებით ადრეული შუასაუკუნეებიდან, იკერებოდა უხეში ქსოვილისაგან, რომელსაც „ძამა“ ერქვა და ტანსაცმელსაც ასე მოიხსენიებდნენ. მაგ.: შუშანიკს ძვირფასი პალეკარტის ქვეშ ძამა ემოსა. ძამა გვხვდება მონაზვნის სამოსლად „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაშიც“.

იმდენად, რამდენადაც მართლმადიდებელთათვის ზოგადად და, მით უფრო, მონაზონთათვის მთავარი საზრუნავია სული და არა მისი დროებითი სამყოფი ფიზიკური სხეული, ტიპიკონებში სამოსის საკითხს დიდი ყურადღება არ ეთმობა, მაგრამ იმისგან, რაც აღვნიშნეთ, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მონაზონთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი სადა და მოხერხებული უნდა ყოფილიყო, რომ სულიერ მამებს ლოცვისა და შრომის დროს თავი კომფორტულად ეგრძნოთ.

4.5. ზომა–წონისა და ფულის ერთეულები, ძვირფასი თვლები

ფულის სახელებზე საუბრობს ა.ხახანაშვილი წიგნის „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით“ წინასიტყვაობაში. იქ დასახელებულია: დრაჰკანი – დიმიტრატი, დუკატი, ვოტინიატი, პერპერატიმიხაილიტი; სტამენონი ალექსატი; სტავრო ვოტინიატი; დომისი; სსლიმანი; პროტოსარატი (დრაჰკანი); მოდი (დრაჰკანი); ამ სახელის ასახსნელად საკმარისია ვთქვათ, რომ დრაჰკანი (δραχμα) უდრის ჩვენებურ აბაზს (ზოგნი ადარებენ ფრანგულ ფრანკს). დრაჰკანი ატარებდა იმის სახელს, ვის დროსაც იყო მოჭრილი: მაგ.: ალექსატი – ალექსი კომნენისა, მიხაილიტი – მიხეილ ხელმწიფისა და სხვ. პერპერატი შეადგენს სულ წვრილ ფულს (1074 წ. ხელთნაწერი; VI).

გრიგოლ ხანცთელის გაჭირვებულ მონასტერში (თავიდან მაინც) სულიერი სიმდიდრე უხვად ჰქონდათ, ფული და ძვირფასი თვლები – არა.

„იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ მხოლოდ ვერცხლისა და ოქროცურვილი ვერცხლის, მელაზმაგისა და ცვილის ხატები და ოქრონემსული შესამოსლებია ნახსენები, ისიც ქართველმა მონაზვნებმა მთაწმინდის მონასტრებს დაურიგეს (ძეგლები 1967, 52–53). ასევე არატიპიკალურ ტექსტში აღნიშნულია, რომ თორნიკემ სკლიაროსის დამარცხების შემდეგ „უფროდს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე“ (ძეგლები 1967, 50) და ისე ჩააბარა ყველაფერი თავის სულიერ მამას იოვანეს, თავად „არცა თუ ფოლსა ერთსა უფალ იყო“ (იქვე). სამაგიეროდ, გრიგოლ ბაკურიანის ძეს აქვს სისხლის ფასად მოპოვებული დრაჰკანები, დუკატები, მონომახატები, სპეკტრატი (ექვსთავედი), მიხაილატები,

მტკიცე რომანატები, ოქროსა და ვერცხლის მინანქრიანი, ასევე იაგუნდის, იასპის, მარგალიტის თვლებით შემკული ძვირფასი ხატები (გეორგიკა 1963, 33. 16).

შიომღვიმის ტიპიკონში ფულის ერთეულები იხსენიება ბოლოს, აკრძალვით. აღნიშნულია, რომ მამათა მცნების თანახმად, მამასახლისის განზრახვისა და ნებართვის გარეშე არავის ჰკლევინებდა „განთვსებულისა საჭმრისა და ნართაულისა და შესაძინელისა და დრაჰკნისა და დრამისა, გინა ფოლისა“ მოპოვება, ქონება და შენახვა, რადგან ჩვენი წმინდა მამები და დიდი ბასილი ამას კატეგორიულად უარყოფენ (ტიპიკონი 2005, 197).

ვაჰანის წმიდა გიორგის სავანის დამაარსებელი მხარგრძელი თავისი მონასტრის მონაზვნებს საჩოხედ ანუ ტანისამოსის შესძენად დუკატებსა და ბოტინატებს აძლევდა (ჟორდანიას 1896, 34).

ზომა-წონის ერთეულებიც პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა მონასტრების ტიპიკონებშია მოხსენიებული.

გრიგოლ ბაკურიანის ძემ თავის მიერ აშენებულ სასტუმროებს ყოველდღიური საზრდო დაუნიშნა – ორი მოდი დიკა და ორი მეტრო ღვინო (გეორგიკა 1963, 133). აქვე აღვნიშნავთ, რომ მოდი და მეტრო, ოღონდ იქ „მეტრა“ – „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაშიც“ არის: დიდ ეკლესიას სხვა ყველაფერთან ერთად მისცეს „ნავი ხუთასისა მოდისაჲ“; საშუალო ეკლესიისთვის 8 სექტემბერს მიუციათ 14 ლიტრა განძი. დაურიგეს ასევე სხვებსაც, სხვადასხვა რაოდენობით, მაგრამ აღარ ჩამოვთვლით, მაგალითად კმარა (მეგლები 1967, 53).

ვაჰანის მონასტრის ძმობა სამ დასად იყო დაყოფილი და იერარქიის მიხედვით განსხვავებული რაოდენობის პური და ღვინო ეძლეოდათ:

I დასს – ექვსი გრივი პური და ორი საპალნე ღვინო;

II დასს – სამი გრივი პური და ერთი საპალნე ღვინო;

III–ს, მწირთა – ორი გრივი პური და ოთხს ერთი საპალნე ღვინო. (ჟორდანიას 1896, 35), ოღონდ საინტერესოა, ეს რამდენი ხნის ულუფაა. თუ წლის სარჩოა, პირველ დასს რაც შეეხება, ერთ კაცს, ისიც მონასტერში, სამი საპალნე ღვინო ნამდვილად უნდა ეყოს – სულხან-საბას მიხედვით, საპალნე 30 ჩაფია, გრივი – 22 ქსესტი (იხ. ლექსიკონი პარაგრაფის ბოლოში), – ესეც, ალბათ, საკმარისია ერთი სულისათვის, ექვს გრივსა და ორ საპალნე ღვინოსაც იმყოფინებ, მაგრამ ღვინოს თავი დავანებოთ,

ორი გრივი პური, მესამე დასის ულუფა, როგორც გინდა, მარხვაზე მყოფი კაცისთვისაც კი, ცოტა უნდა იყოს, თუ ერთი წლისთვისაა განსაზღვრული.

ამრიგად, ტიპიკონები თავიანთი თანადროული ყოფა-ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან. მონასტრის მესვეურები ზრუნავდნენ, რომ ძმობის წევრებს აუცილებელი არაფერი მოჰკლებოდათ, რაც მათი ხორციელად ჯანმრთელი არსებობისათვის იყო საჭირო. მონაზონთათვის ლოცვასთან ერთად მთავარი იყო, რომ თავიანთი შრომით მოეპოვებინათ პური არსობისა და შესწეოდნენ სხვებსაც - მწირთა, უპოვართა, შეჭირვებულთა დახმარება ტიპიკონებში სრულად იყო გაწერილი. ასევე, ზრუნავდნენ სწეულთა და უძღურთათვის, დიდი პატივით ემსახურებოდნენ შესვენებულებს; მკაცრად იცავდნენ იერარქიის, უფროს-უმცროსობის, საერო პირებთან ურთიერთობის წესებსა და ეტიკეტს.

დასკვნა

- ჩვენამდე მოღწეული ქართულენოვანი ტიპიკონები – 2 არასრული და 3 სრული – გვაცნობენ მონაზონთა ცხოვრების წესს, ამასთანავე თითოეული მათგანი ძვირფასი წყაროა ისტორიული, ლიტერატურული, ენობრივი და მრავალი სხვა თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღების შემდეგ მალევე უნდა დამკვიდრებულიყო. ქართველი ბერ-მონაზვნები კარგად იცნობდნენ თავიანთი თანადროული უცხოური ქვეყნების სამონასტრო ცხოვრებას, საღვთისმსახურო პრაქტიკასა და ლიტურგიკულ ლიტერატურას.

- ქართველი მონაზვნები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ზრუნავდნენ იმისათვის, რათა თავიანთ ქვეყანას ლოცვით შესწეოდნენ და მისი პოლიტიკური, ზნეობრივი, კულტურული განვითარებისათვისაც შეეწყოთ ხელი.

- სამწუხაროდ, შეუძლებელია, დაზუსტებით ვთქვათ, IX საუკუნემდე როგორი იყო ქართული მონასტრის ტიპიკონი, ნაწილობრივ ამაზე წარმოდგენას გვიქმნის ძველქართული არქიერატიკონი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასურელ მამებს, რომლებმაც დააარსეს მონასტრები საქართველოში, აუცილებლად ექნებოდათ გარკვეული სახელმძღვანელო წესი. ვიცით მხოლოდ, რომ VIII საუკუნემდე ქართული ეკლესია იერუსალიმურ, ქრისტეს საფლავის ტრადიციას მიჰყვებოდა, სავარაუდოდ, ძველქართული არქიერატიკონის მიხედვით, რაც ტიპიკონისწინა დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ მამა გრიგოლმა თავად მოიარა საბერძნეთის საჩინო ადგილები, ხოლო იერუსალიმში მიმავალ მეგობარს „დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემად“ (ძეგლები 1963, 264). ამ ცნობის სიზუსტეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მამა გრიგოლმა შეუჯერა იერუსალიმიდან მიღებული საბაწმიდის ტიპიკონი თავის მიერ საბერძნეთიდან ჩამოტანილებს, ყველაფერი ეს მოარგო ქართულ სინამდვილეს და ხანცთას დაუდგინა „წესი საღმრთოდ, ბრძენთაგან განუკითხველი“, რომელიც „ფიცხელ იყო ფრიად“, – როგორც აღნიშნავს მისი ცხოვრების ავტორი.

- ჩვენ მიერ განხილული ტექსტებიდან ვგებულობთ, რომ ქართველი მონაზვნები კარგად იცნობდნენ თანამედროვე ქრისტიანული სამყაროს მიღწევებს და ხელი მიუწვდებოდათ უკანასკნელ სიახლეებზე, იცოდნენ ბერძნული და არაბული ენები. გარდა ამისა, დიდი მამები ზრუნავდნენ არა მხოლოდ სასულიერო პირთა, მთელი ერის განათლებისთვისაც. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს იოანე ათონელი, რომელმაც დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დაუსახა თავის ვაჟს, მომავალ დიდ მთარგმნელს ეფთჳმეს და მას გადააბარა ივირონის ხელმძღვანელობა. მამა ეფთჳმემაც თავისი შეხედულებისამებრ დაუდო წესი და განგება ათონის ივერიელთა მონასტერს: საღვთისმსახურო, „ვითარცა წერილ არს დიდსა სჳნაქსარსა“, ხოლო ყოფითი – სტოდიელთა მონასტრის წესების მიხედვით, რომელშიც შეიტანა ათონური სამონასტრო ცხოვრებით მიღებული გამოცდილების ელემენტები, რაც ნაწილობრივ შემონახულია გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, რომელიც შემდეგ გავრცელდა სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებში.

- რაც შეეხება ქტიტორული მონასტრების სრულად მოღწეულ ტიპიკონებს: შეიძლება განვაცხადოთ, რომ მათ წეს-განგებას მონასტრის დამფუძნებელი საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენდა ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად. არსად ჩანს კვალი იმისა, რომ მათ ეკლესიის იერარქებს რაიმე შეუთანხმეს, თუ არ ჩავთვლით კათალიკოსების ხელრთვას, რაც ამ ტიპიკონების დაცვისა და სიმტკიცის გარანტი უნდა ყოფილიყო.

პეტრიწონის მონასტერს ტიპიკონი გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსტანტინოპოლში მდებარე ყოვლადწმიდა ღვთის-მშობლის პანაგის პატიოსანი მონასტრის წესდების მიხედვით. ტიპიკონის ბერძნულენოვანი საკონტროლო მეორე ეგზემპლარიც პანაგის მონასტრის საცავში დაიდო და უნდა შენახულიყო „უკუნისამდე ჟამთა“.

- ამ მხრივ საყურადღებოა „ძეგლი ვაჰანის ქუაბთა“; აქ არ არის არავითარი მინიშნება, რომელი ქვეყნის ან მონასტრის ტიპიკონის მიხედვით არის შექმნილი, მაგრამ სავარაუდო პირველწყარო აუცილებლად ექნებოდა და, შესაძლოა, ეს იმ დროს საქართველოში გავრცელებული გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჳნაქსარი“ ყოფილიყო.

- ტიპიკონები გვაჩვენებს, რომ მკაცრი იყო იმდროინდელი სამონასტრო ცხოვრების წესები, მაგრამ მონასტრის მესვეურები ზრუნავდნენ მონაზონთა ჯანმრთელობის დასაცავად, რომ მათ არ მოჰკლებოდათ არაფერი აუცილებელი, მათი ურთიერთობა უფალთან და საკუთარ თავთან ჰარმონიული ყოფილიყო; ითვალისწინებდნენ კაცობრივ სისუსტეებსაც და მათი დაკმაყოფილება კანონის დონეზე ტიპიკონში იყო გაწერილი.

- მონასტერში მთავარი წირვა–ლოცვა და ღმრთისადმი ვედრებაა, მაგრამ დიდი ყურადღება ექცეოდა შრომას. მეტიც, ვისაც ბევრი საქმე ჰქონდა და ძალიან იღლებოდა, მათ შრომა ლოცვად ეთვლებოდათ.

მონასტრებს დიდი მეურნეობა ჰქონდათ, იქ მრავალი სხვადასხვა ხელობის ადამიანი იყო საჭირო, ყველას უფლება–მოვალეობა და მორჩილებები მკაცრად იყო განაწილებული და დროზე და წესისამებრ სრულდებოდა.

ჩანს, აგრეთვე, რომ კაცობრივი სისუსტეებიც არ იყო უცხო მონასტრის წევრებისათვის, საჭირო ხდებოდა მათი წვრთნა, რასაც დიდი სიფრთხილით აკეთებდნენ, რომ სასჯელი სულისთვის მარგებელი ყოფილიყო.

- ჩვენს საკვლევ ტიპიკონებში სასულიერო პირებისათვის უმთავრესია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი, რაც ყველაზე მკვეთრად და კატეგორიულად არის გამოთქმული „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“: „სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჳელმწიფებასა ქუეშე არიან“ (მეგლები 1963, 269), მაგრამ მაინც უწევდნენ ანგარიშს ძლიერთა ამა ქვეყნისათა; ისინიც ყველანაირად მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ „ხორციელად“.

- საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეკლესია–მონასტრები ზრუნავდნენ ღვთისმსახურებისათვის სასულიერო პირების მოსამზადებლად. ათონზე მათ გამოცდილ მოძღვარს მიაბარებდნენ სადმე შორეულ სოფელში, პეტრიწონში კი არსებობდა სპეციალური სკოლა, რომელშიც მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობა არ უნდა შემცირებულიყო. მონაზონთა ცხოვრების ყველა წუთი გაწერილია, მათი მთავარი საქმე ღვთის დიდება, ლოცვა და შრომაა.

- ადამიანები ქრისტიანობის გავრცელების დროიდანვე ესწრაფვოდნენ ღმერთთან სრულ ერთიანობას და ამისთვის ტოვებდნენ სოფელს. ცალ–ცალკე ან ჯგუფად გადიოდნენ უდაბნოში, მაგრამ მხოლოდ ანტონი დიდისა და ღირსი

პახომის სახელს უკავშირდება მათი გაერთიანება და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება. ამასთან, ანტონის მონასტრები არის ლავრის ტიპისა, ანუ თითოეული განდევნილი ცხოვრობს ცალკე, თავისი შრომით ირჩენს თავს და საერთო ევექარისტიკაზე შეკრების უფლება მხოლოდ შაბათ-კვირას ეძლევათ; ამ დროს მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, პახომისა კი – ზოგადცხოვრებულთა ანუ კვინობიტური (κείνος βίος – ერთად ცხოვრება), რადგან მონაზვნები ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს.

- ანტონი დიდისა და ბასილი დიდის მოღვაწეობის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ მცირე აზიასა და პალესტინაში კვინობიზმი (ზოგადცხოვრებულთა მონასტერი) წარმოადგენდა სამონასტრო ცხოვრების ყველაზე სრულყოფილ ფორმას, რომელშიც ლოცვასა და შრომასთან ერთად მთავარი და მნიშვნელოვანი ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი მცნებისა და უპირველესი ქრისტიანული სათნოების – მოყვასის სიყვარულის საქმით აღსრულება იყო. ასევე ყველგან მნიშვნელოვანია სიყვარული და ერთიანობა ძმათა, მორჩილება ღვთისა და წინამძღვრისა.

- ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში მონასტრის იერარქიული წყობა ერთნაირია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მკაცრად არის დადგენილი მისი თითოეული წევრის უფლება-მოვალეობა დიდიდან პატარამდე, მით უფრო – მონასტრებში.

- უცხოთა გამასპინძლება, სნეულთა მიხედვა და მიცვალებულთა გაპატოსნება ყველა ქრისტიანის ვალია, მით უფრო მონასტრისა – ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში ეს წესები კანონის დონეზე სავალდებულო იყო და დიდი გულმოდგინებით სრულდებოდა.

- აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინამძღვარი, მამაჲ, მოუკლებელი ლოცვით, მარხვით, შრომით ყველგან, ყოველთვის, ყველაფრით, ყველასთვის მისაბამი და გამორჩეული უნდა ყოფილიყო – მას ყველაზე მეტი მოეთხოვება – და ეს ასეა ყველა ტიპიკონში, ანტონი დიდითა და ღირსი პახომით დაწყებული.

ასევე, წმ. პახომის დროიდან მოყოლებული, ყველა ტიპიკონშია აღნიშნული, რომ წინამძღვარი თვითონ გამოარჩევს თავის შემდგომს და ძმათა თანხმობით მას გადააბარებს უფლებამოსილებას; ამასთან, ქტიტორულ მონასტრებში პირველ

წინამძღვარს მაშენებელი ნიშნავდა. ყველგან დიდი ყურადღება ექცეოდა ტიპიკონის განუხრელ დაცვას, როგორც ქრისტიანულ სათნოებათა მიღწევის საფუძველს.

- აქვე აღვნიშნავთ, რომ მონასტრის დამფუძნებლები, ქტიტორები, შემდგომად უფლის დიდებისა, ზრუნავენ საკუთარი ცოდვების მისატევებლად, ტიპიკონებში წერენ თავიანთ დამსახურებას და მონასტრის ძმებს ავალებენ, განსაკუთრებული ლოცვით, ალაპებითა და მოწყალების გაღებით ულოცონ და მოიხსენიონ.

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ წარმოაჩინა ქართულენოვანი (ნათარგმნი და ორიგინალური) ტიპიკონების გავრცელებისა და ქართულ ეკლესია-მონასტრებში გამოყენების ტრადიცია და პროცესი, რამაც დაადასტურა ქართული ეკლესიის ტიპიკალური სისტემის სიახლოვე აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის (მართლმადიდებლურ) ტიპიკონებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წყაროები

1. ათონის კრებული 1901. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით, ა. ხახანაშვილის ქართული და მ. ჯანაშვილის რუსული წინასიტყვაობით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, სტამბა გრ. ჩარკვიანისა.
2. ბასილი დიდი 2015. „ასკეტიკონი“, გამოსცა ქეთევან მამასახლისმა, თბილისი.
3. გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონი (პეტრიწონის წესდება). 1963. გეორგიკა, ტ. V. გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
4. გიორგი მთაწმიდელი 2017. გიორგი მთაწმიდელი, დიდი სჯნაქსარი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მ. დოლაქიძემ და დ. ჩიტუნაშვილმა. თბილისი.
5. მუსხელიშვილი 1939. მუსხელიშვილი, ლევან, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბილისი.
6. ჟორდანია 1896. ჟორდანია, თედო, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “მეგლი” ვაჰანის ქვაბთა, ტფილისი.
7. შიომღვიმის ტიპიკონი 2005. ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, XII საუკუნის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა. თბილისი.
8. ძეგლები 1963/64. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1963/64.
9. ძეგლები 1967. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი.
10. ღირსი პახომი დიდი. ლინკი: <http://pravpokrov.ru/Articles/index/33481> (2020.28.05)

11. შანიძე 1986. შანიძე, აკაკი, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი. თორმეტ ტომად, ტ. IX. თბილისი.
12. ცხოვრება პახომი დიდისა. ლინკი: <https://omsk-eparhiya.ru/orthodoxbasics/jitiya/5/15.htm>
13. გიორგი მცირე 1946. ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. აკ. შანიძის გამოკვლევით, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

2 სამეცნიერო ლიტერატურა

14. აბულაძე 1973 - აბულაძე, ილია, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, „მეცნიერება“, თბილისი.
15. აბულაძე 1975 - აბულაძე, ილია, შრომები, ტ.1. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი.
16. აბულაძე 1964 - აბულაძე, ილია, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთადას“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა და „კაცისა აგებულებისათვის“, X-XIII საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი.
17. აბულაძე 1955 - აბულაძე, ილია, მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.
18. ბეზობრაზოვი 1887. Материалы для истории Византийской империи, 1. Неизданные монастырские уставы. ЖМНПР, 1887, т. 254, ноябрь, стр. 76-77.
19. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. 1935 „ძღვევა“, თბილისი.
20. ბასილი კესარიელი, 1983. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
21. ბერიძე 2010 - ბერიძე, მერაბ, ტაძრები და სახელები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
22. ბოლოტოვი 2018. В. Болотов, Лекций по истории древней церкви. в 4-х томах. Минск.
23. ბუბულაშვილი 2014 - ბუბულაშვილი, ელდარ., „ვარძის მონასტერი“, ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი.
24. გაბიძაშვილი 2006 - გაბიძაშვილი, ენრიკო, ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, არტანუჯი, ბიბლიოგრაფია, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი.
25. გაბიძაშვილი 2010 - გაბიძაშვილი, ენრიკო, შრომები, ტ. II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, თბილისი.
26. გარიტი, ჟერარ 1958 - Le calendrier palestino-georgien du Sianiticus 34 (X^e siècle). Edite, traduit et commente par G. Garitte. Bruxelles, (Subsidia hagiographica, # 30).

27. გოზალიშვილი 1965 -გიორგი გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბილისი.
28. დანელია 1987 - დანელია, კორნელი, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, ტ. 1, ნაწ. 1.
29. დანელია 1987 - დანელია, კორნელი, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, ტ. 1, ნაწ. 2, ტ. 2.
30. დვალი 1973 - დვალი, მანანა, სტატია „ვარძია“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4.
31. დვორკინი 2020.А. Дворкин, Очерки истории вселенской Православной Церкви, кн.1. Становление церкви. ПСТГУ. М.
32. დვორეცკი 1958.А. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Москва.
33. დოლიძე 1970 - დოლიძე, ისიდორე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი.
34. ესბროკი, მიშელ ვან 1975 - M. van Esrbroeck, Les plus anciens homeliaires georgiens. Etude descriptive et historique. Louven.
35. თარხნიშვილი 1960 - თარხნიშვილი, მიხეილ, M. Tarchnischvili, Zwei georgische Lektionarfragmente aus dem 5. und 8 Jahrhundert. Le Museon, t. 73. fasc. 3-4.
36. თეოფანე 1892. Епископ Феофан, Древние иноческие уставы.
37. თოდაძე 2013 - თოდაძე, ხათუნა, ქართული სამონასტრო ტიპიკონები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
38. ინგოროყვა 1954 - ინგოროყვა, პავლე, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი.
39. კაზანსკი 2020 -П. Казанский, Церковь в эпоху вселенских соборов. ПСТГУ, Москва.
40. კაკაბაძე, სარგის. 1924. საისტორიო ძიებანი, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი.
41. კახაძე 1947 - კახაძე, მიხეილ, ექუსთა დღეთაი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II (25), თბილისი.
42. კეკელიძე 1980 - კეკელიძე, კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1. თბილისი.

43. კეკელიძე 1960 - კეკელიძე, კორნელი, „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI.
44. კეკელიძე 1957 - კეკელიძე, კორნელი, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი.
45. კეკელიძე 1974 - კეკელიძე, კორნელი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. ეტიუდები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. 13, თბილისი.
46. კეკელიძე 1912 - კეკელიძე, კორნელი, К. С. Кекелидзе, Древнегрузинский архиеретикон. Христианский востокъ, серия, посвященная изучению христианской культуры народов Азии и Африки, т. 1, Вып. 3. გვ. 278–293. СПб.
47. კეკელიძე 1908 - კეკელიძე, კორნელი, К. С. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис.
48. კოჭლამაზაშვილი 2006 - კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე, ლიტურგიკის შესავალი; ლიტურგიკა - საეკლესიო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება (გვ.145-159) წიგნში: ღვთისმსახურების წესგანგებანი (ტიპიკონი, ნაწილი II, შეადგინა თაისი ტორონჯაძემ), თბილისი.
49. ლეები, ჰელმუტ 1970. Leeb H. Die Gesänge im Gemeingottesdienst von Ierusalem (von 5. bis 8. Jh.), Wien.
50. მარი ნიკო 1911- Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, СПб.
51. მესხი 2009 - მესხი, თამარ, „ტანუტერის“ ეტიმოლოგიისათვის. ქრისტიანულ-არქეოგრაფიული ძიებანი, 2, გამომც. „ახალი საქართველო“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, თბილისი.
52. მესხი 2015 - მესხი, თამარ, „პეტრიწონის წესდების“ ერთი ბუნდოვანი მონაკვეთის განმარტებისათვის, მრავალთავი, 24, თბილისი.
53. სრული საღმრთისმსახურო საწელიწადო ციკლის საგალობლები. შემდგენელი თაისი ტორონჯაძე, თბილისი.
54. მიხაილოვი 2004. Михайлов П. Св. Василий Великий. Православная Энциклопедия, т. 7, Москва.

55. მენაბდე 1992 - მენაბდე, ლევან, ძველი ქართული კულტურის კერები, ხელოვნება, თბილისი.
56. მენაბდე 1989 - მენაბდე, ლევან. ნაშრომი განძად დაშთების, თბილისი.
57. მეტრეველი 1980 - მეტრეველი, ელენე, უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. „მეცნიერება“, თბილისი.
58. მეტრეველი 1996 - მეტრეველი, ელენე, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი.
59. ონიანი 1959 - ონიანი, შერმადინ, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია – „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, N 7.
60. ონიანი 1959 - ონიანი, შერმადინ, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია – „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, N 8.
61. ონიანი 2008 - ონიანი, შერმადინ, „ვანის ქვაბების პოეზია“, ენცილოპედია „ქართული ენა“, თბილისი.
62. ონიანი 1979 - ონიანი, შერმადინ, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში. აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი.
63. ონიანი 2008 - ონიანი, შერმადინ, სტატია „ვანის ქვაბების პოეზია“. ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი.
64. პოსნოვი მ. 1991 - М.Поснов, история христианской церкви, Киев.
65. ჟორდანიას 1892 - ჟორდანიას, თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ.1. ტფილისი.
66. რენუ 1971 - A. Renoux, Le Codex armenien Jerusalem 121. 1. Introduction aux origines de la liturgie hierosolymitaine nouvelles. Nurnhout.
67. საბინინი 1882 - საბინინი, მიხეილ-გობრონ, საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად, გამოცემული მ. საბინინის მიერ, სანკტ-პეტერბურგი.
68. სალუაშვილი 2009 - სალუაშვილი, მ., „ვაჰანის ქვაბთა განგების“ დათარიღებისათვის, თბილისი.

69. სილოგავა 2003 - სილოგავა, ვალერი, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს ისტორიის წყაროები, 75. თბილისი.
70. სილოგავა 2008 - სილოგავა, ვალერი, „ვაჰანის ქვაბთა განგება“. ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი.
71. სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, 2005 - ახალი კოლექცია, ქართულ, ინგლისურ და ბერძნულ ენებზე. ათენი.
72. სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, 1, 1956 - სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1.
73. სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, 2, 1956 - სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 2.
74. სირაძე 1982 - სირაძე, რევაზ, „სახისმეტყველება“, თბილისი.
75. სკაბალანოვიჩი 2011 - Скабалланович М. Толковый типикон, Объяснительное изложение типикона, Москва.
76. სულავა 2018 - ნ. სულავა, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.
77. სულავა 2012 - სულავა, ნესტან, ჯავახეთის საღვთისმეტყველო ლიტერატურული ცენტრები. წიგნში „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“, თბილისი.
78. სულხან-საბა ორბელიანი 1949 - სიტყვის კონა, რომელ არს ლექსიკონი ქართული, თბილისი.
79. ტალახაძე 2009 - ტალახაძე, ირმა, ვაჰანის ქვაბთა განგება: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი.
80. Outtier, B. 1979 -Le iadgari sur papyrus et parchrmin... Sedi Kartlisa (Revue de Kartvelologie), vol. XXXVII, Paris.
81. იადგარი 1980 - უძველესი იადგარი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი.
82. ფარჩუკიძე 2018 - ფარჩუკიძე, თამარ, „პეტრიწონი 935 (პირველი ქართული საგანმანათლებლო სიმბოლოს ისტორიისათვის)“, საქართველოს

- მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია. 1, 2018, გვ. 230–240. თბილისი, 2018.
83. ქავთარია 1965 - მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა. თბილისი.
84. ქართლის ცხოვრება 1, 1955 - ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, განათლება, თბილისი.
85. ქართლის ცხოვრება 1959 - ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 2, განათლება, თბილისი.
86. ქაჯაია 1992 - ქაჯაია, ნინო, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი.
87. ქაჯაია 1981 - ქაჯაია, ნინო, ბასილი კაპადოკიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან: მრავალთავი, IX.
88. ქაჯაია 2018 - ქაჯაია, ნინო, საღმრთო ჟამისწირვის სახისმეტყველება. ტექსტები გამოსაცმეად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლიტურგიკულ ტერმინთა ლექსიკონი, საძიებლები და ბიბლიოგრაფია დაურთო ნინო ქაჯაიამ, გორისა და ატენის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავა) საერთო რედაქციით, თბილისი.
89. ღვთისმსახურების წეს-განგებანი (ტიპიკონი) 2004 -შეადგინა თაისი ტოროჯაძემ. ტ. 1, თბილისი.
90. ღვთისმსახურების წეს-განგებანი (ტიპიკონი) 2006 -შეადგინა თაისი ტოროჯაძემ. ტ. 2, თბილისი.
91. შანიძე 1944 - შანიძე, აკაკი, ხანმეტი ლექციონარი. თბილისი.
92. შანიძე 1923 - შანიძე, აკაკი, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III.
93. შანიძე 1971 - შანიძე, აკაკი, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია. გამოკვლევა. „მეცნიერება“. თბილისი.
94. შანიძე 2008 - შანიძე, მზექალა, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, ქართული ენა, ენციკლოპედია, შემდგენელი იზაბელა ქობალავა, რედაქტორი გუჩა კვარაცხელია. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის

- მთავარი სამეცნიერო რედაქცია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.
95. შატბერდის კრებული 1979 - შატბერდის კრებული. X ს. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, თბილისი.
96. შემანი 2014 - ევქარისტია, მთარგმნელები ო.ზოიძე, ფ. საყვარელიძე, თბილისი.
97. შემანი 2000 - Протоиерей А. Шеман — проповеди — беседы, изд. Паломник.
98. ცაგარელი, ალექსანდრე. 1888. Цагарели А. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. СПб (Православный Палестинский сборник, т.IV, вып. 1.
99. ცაგარელი 1889 - Цагарели А. Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПб.
100. ცისკარიშვილი 1954 - ცისკარიშვილი, ვასილ, წარწერები ასპინძის რაიონიდან – „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბილისი.
101. ჭელიძე 2005 - ჭელიძე, ედიშერ, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ; მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია. გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბილისი.
102. ჭილ–ეტრატის იადგარი 1977 - ჭილ–ეტრატის იადგარი. ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, ა. ჯიშიაშვილი. თბილისი.
103. ჭილლაძე 2016 - ჭილლაძე, დავით, VI-VIII საუკუნეების აღმოსავლური საღვთისმსახურო ტიპიკონების ისტორიიდან (საბა განწმენდილის ლავრის და თეოდოსი მონაზონის მონასტრის ტიპიკონები). გრაგნილი, IV, თბილისი.
104. ხახანაშვილი 1901 - ხახანაშვილი, ალექსანდრე, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, აღ. ხახანაშვილის წინასიტყვაობით, თბილისი.

105. ხინთიბიძე 1962 - ხინთიბიძე, ელგუჯა, ბასილი დიდის სადაურობისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომბე“, N 3.
106. ხინთიბიძე 1969 - ხინთიბიძე, ელგუჯა, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი.
107. ხინთიბიძე 1982 - ხინთიბიძე, ელგუჯა, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი.
108. ხინთიბიძე 1968 - ხინთიბიძე, ელგუჯა, ბასილი კაპადოკიელის „სამოდვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თსუ გამომც., თბილისი.
109. ჯავახიშვილი 1926 - ჯავახიშვილი, ივანე, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფილისი.
110. ჯავახიშვილი 1949 - ჯავახიშვილი, ივანე. ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია; მეორე გამოცემა, თსუ, თბილისი.
111. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი 2012 -ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო ლიტერატურული ცენტრები. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელაშვილმა. თბილისი.
112. ჯიქია 2004 - ჯიქია, ასმათ, IV-X საუკუნეების მონაზვნური ცხოვრების სურათები ძველ ქართულ მწერლობაში. წიგნში: რელიგიის ისტორიის საკითხები. თბილისი.
113. ჯორბენაძე 2022 - ჯორბენაძე, დედა დინარა, სამონასტრო წესდებები და ანდერძები, მთარგმნელი დედა დინარა ჯორბენაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი.

ლექსიკონი

აბარმადი – მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალი; გამგე, ეკონომოსი (მ. თარხნიშვილი).

აგარაკი – საყანე ადგილი.

ადლი – 2 წერთა – 101,15 სანტიმეტრი.

ავლინი – ეზო, კარ-მიდამო.

აზნაური – მაღალი წოდების კაცი, მემამულეთა კლასის წევრი.

ათორმეტი სახარება – ოთხთავიდან გამოკრებილი 12 საკითხავი, რომელიც იკითხება ვნების შვიდეულში, დიდი პარასკევის ცისკარზე.

აიაზმა – (ბერძნ. „სიწმიდე“) ნაკურთხი წყალი. იხ. დიდი აიაზმა, მცირე აიაზმა.

აკათისტო – (ბერძნ.) დაუჯდომელი; საგალობელი, რომელსაც, სხვა საგალობელთაგან განსხვავებით, მრევლი ფეხზე მდგარი ისმენს.

აკოლუთია – ακολυθια (ბერძნ. „თანმიმდევრობა“) ამა თუ იმ ღვთისმსახურების (მწუხრის, ცისკრის და სხვ.) წესი, რიგი, კანონი; განგება.

ალელუაჲ, ალელუდაჲ, ალილუია – (ებრ. „აქედით ღმერთსა“) ფსალმუნისა და სხვა ზოგიერთი საგალობლის მუხლებში ჩასართავი სიტყვა.

ამალლება უფლისა – საუფლო დღსასწაული, აღდგომიდან მე-40 დღეს. ამ დღეს მოიხსენიება იესო ქრისტეს ზეცად ამალლება.

ამბიონი – სამქადაგებლო; ქადაგების წარმოსათქმელად მოწყობილი შემალლებული ადგილი საკურთხევის წინ.

ამბოხებაჲ – არეულობა (სპარსულიდან).

ამენ – (ებრ. „ჭემმარიტად“) ლოცვებისა და ასამალლებლების დამაბოლოებელი სიტყვა, „დაბეჭდვა“.

ამპარტავნება – ცუდი, უგუნური სიამაყე.

ანალოგია – მაღალი მომცრო მაგიდა დახრილი ზედაპირით, რომელიც გამოიყენება საეკლესიო საკითხავი წიგნების დასასვენებლად; საწიგნე.

ანანია – სახარებაში მოხსენიებული პირი, რომელიც პეტრე მოციქულმა ვითომ წყევლით მოჰკლა. მისი მეუღლე იყო საპფირა, რომელსაც იგივე ბედი ეწია.

ანაფორა – 1. საღმრთო მსხვერპლის შეწირვა. 2. სამღვდლო პირთა განიერი და გრძელი ზედა შესამოსელი.

ანგაჰარება – ანგარება, სიხარბე, სიძუნწე. ანგაჰარებითი სიბოროტე – ანგარების მანკი. ანგაჰარი – ანგარი, ხარბი, ძუნწი. მოანგაჰარება (საჯმართა) – სიხარბის გამო შეძენა (საჯმართა).

ანდერძი – 1. საეკლესიო წესი, რომელიც სრულდება მიცვალებულის დაკრძალვისას. 2. იოანეს სახარების ის მონაკვეთი, რომელიც იკითხება დიდ ხუთშაბათს. მასში მოცემულია იესო ქრისტეს საუბარი საიდუმლო სერობაზე.

ანტიფონი – ერთ-ერთი საცისკრო საგალობელი; მისი სხვა სახელწოდებაა „აღსავალი“.

არგანი – მღვდელმთავრის კვერთხი

არქიდიაკონი – მთავარდიაკონი.

არქიელი – (ბერძნ. მღვდელმთავარი). მღვდელმთავართა (ეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტის) ზოგადი წოდება.

არქიეპისკოპოსი – მთავარეპისკოპოსი.

არქიმანდრიტი – არვეთ მთავარი; დიდი მონასტრის წინამძღვარი, მამასახლისი.

არშინი – 0,7112 მეტრი.

აპოტიკი – ხელწერილი.

ასამაღლებელი – მღვდელმსახურების დროს (წირვა, მწუხრისა და ცისკრის ლოცვები და სხვ.) უპირატესი მღვდელმსახურის მიერ მაღალი ხმით წარმოსათქმელი ფრაზა, რასაც უმეტეს შემთხვევაში მოსდევს მგალობელთა მიერ ნათქვამი „ამინ“.

აფსიდი, აბსიდი – ნახევარწრიული გეგმის მქონე, მეოთხედსფერული კამარით (კონქით) გადახურული სივრცე ეკლესიის ინტერიერში. ზოგიერთ ეკლესიაში ერთი აფსიდია, ზოგში – რამდენიმე. აღმოსავლეთის მხრის აფსიდში მოთავსებულია საკურთხეველი.

აღაპი – (ბერძნ. „სიყვარული“) ლოცვა და ქელები მიცვალებულის მოსახსენებლად.

აღდგომა ქრისტესი – უდიდესი და უმთავრესი საეკლესიო დღესასწაული.

აღება – მარხვის დაწყების წინ სახსნილო საჭმლის მიღება.

აღებანი – ხსნილი; საეკლესიო კალენდრის ის პერიოდი, როდესაც ნებადართულია ყოველგვარი საჭმლის მიღება.

აღვსებად – აღდგომის დღესასწაული.

აღკვეცა – მონაზვნის კურთხევის რიტუალი, როდესაც სრულდება თმის გადაპარსვა.

აღნადგინები – სარგებელი.

აღსავალი – 1. ამბიონის შუა ნაწილში ასასვლელი კიბე. 2. ანტიფონი; საცისკრო საგალობელი.

აღსავლის კარი – კანკელის შუა კარი, აღსავლის პირდაპირ.

აღსარება – მოძღვართან საკუთარი ცოდვების განდობა.

აღძრვად – აღელვება, აღშფოთება, შეგულიანება, წაქეზება. აღმძვრელი – ამაღელვებელი, შემაწუხებელი.

ახალკვირიაკე, ახალკვირა – აღდგომის შემდგომ პირველი კვირა; აღდგომის სწორი; თომას კვირა; კვირაცხოვლობა.

აჯოჯვა – შეყეღვა, გაფურჩვნა

ბაზილიკა – (ბერძნ. „სამეფო“) ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობათა უგუმბათო სახეობა; წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობა, სვეტების რიგებით გაყოფილი სამ ან ხუთ გრძივ ნაწილად (ნავად), რომელთაგან შუა, ჩვეულებრივ, გვერდით ნავეებზე მაღალი და განიერია.

ბათმანი: ირანული – 3 კილოგრამი, ოსმალური – 7,3 კილოგრამი;

ბარტყულა – მონაზვნის (აგრეთვე მღვდელმონაზვნის, არქიმანდრიტის, ეპისკოპოსის, პატრიარქის) თავსაბურავი, კუნკული.

ბარძიმი – ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ღრმა სასმისი. იხმარება ფეშხუმთან ერთად, უსისხლო მსხვერპლის შესაწირად.

ბერი – γέρον სულიერი მოძღვარი; აღსარების შემწყნარებელი და სულიერი წინამძღვარი.

ბზობა – დიდი საეკლესიო დღესასწაული; იერუსალიმად შესვლა იესო ქრისტესი.

ბისონი – სამღვდელთმთავრო შესამოსელი.

ბოტინატი – ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე III-ის მოჭრილი ოქროს ფული.

გაგებული – განგებული, გარიგებული.

გამართვა – დარიგება, მოწესრიგება.

განუხსნელი – წყევლამოუხდელი, კრულვაგაუხსნელი.

გამოლოცვა – ღვთისმსახურების ბოლოს წარმოსათქმელი ლოცვა.

განგება – აკოლუთია; მღვდელმსახურების წესი, რიგი, კანონი. დღე-ღამის განმავლობაში სრულდება რამდენიმე განგება: მწუხრის, ცისკრის და სხვ.

განკანონება – შემცოდე ადამიანისთვის კანონის (საეკლესიო სასჯელის) დადება მოძღვრის მიერ.

განმანათლებელი – „ექსპოსტილარიონი“; „გამოავლინე“; ცისკრის საგალობელი, რომელიც „გალობანის“ (ჰიმნოგრაფიული კანონის) შემდეგ სრულდება.

განატეხი – ნაკვეთი სეფისკვერი.

განახლება – პირველშეწირულის ლიტურგია, სიწმიდის განახლება.

განმგე – მმართველი, მნე, ეკონომოსი.

განტევება – (ძვ. ქართ. – „გაშვება“) ღვთისმსახურების ბოლოს წარმოსათქმელი სიტყვა, რომლითაც მღვდელი მეოხებისათვის მოუწოდებს სხვადასხვა დასის წმინდანებს; ამ ლოცვით დასრულდება ღვთისმსახურება და მღვდელი განუტევებს (შინ გაუშვებს) მრევლს. „განტევების“ სინონიმია გამოლოცვა (ამჟამად „ჩამოლოცვას“ ამბობენ).

განწესება – წესის დადება, განსაზღვრა, დადგენა.

განგებად მუხლთმოდრეკისა – განგება, რომელიც სრულდება სულიწმიდის მოფენის დღეს, მწუხრის ლოცვაზე.

განზოგება – განახევრება (დიდმარხვის, მაგალითად).

განძარცუვა – გახდა, განშიშვლება.

განჩინება – დაწესება, დაყენება, დადგინება, დანიშვნა.

გარდამავალი – კანონის ან წესის დამარღვეველნი.

გებად – ყოფნა, არსებობა; ეგებოდა – უნდა ყოფილიყო, ჯერ–იყო, ეკუთვნოდა.

გეზი, გიეზი, გეეზი – საკუთარი სახელი ვინმე კეთროვანისა.

გეჰენია (ებრ.) – ჯოჯოხეთი.

გიხაროდენი – დაუჯდომელი; ვრცელი, მრავალნაწილიანი საგალობელი, რომელშიც მრავალგზის მეორდება „გიხაროდენ“-ის შემცველი ფრაზები.

გვნად – ნელა.

გლისპობა – ურჩობა, უჯიათობა.

გოჯი – 4-4,5 სანტიმეტრი;

დაგება– საჭმელ-სასმლის მოტანა სუფრაზე.

დაგებად – მირთმევა, მიცემა.

დავითნი – დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა კრებული.

დასადებელი (დასდებელი) – ამა თუ იმ ფსალმუნში ან სხვა მრავალმუხლიან საგალობელში ჩასართავ თითომუხლიან საგალობელთა ერთობლიობა.

დასი – ჯგუფი, წოდება – მღდელთა. მეორე დასი, მესამე დასი.

დასხმა ხელთა – ხელთდასხმა, ქიროტონია, კურთხევა (მღვდლად, მაგ.).

დაუჯდომელი – (ბერძნ. „აკათისტო“) საგალობელი, რომელსაც მრევლი ფეხზე მდგარი ისმენს.

დაფარნა – ბარძიმ ფეშხუმის გადასაფარებელი ქსოვილი.

დაყენება (ტრაპეზის შესღვისაგან) – 1. დადგინება, დანიშვნა; 2. შეჩერება, აკრძალვა (ზიარების, მაგ.).

დაყუდებული – მარტო მცხოვრები, ასკეტი.

დაყუდება– განდევილობა, განცალკევება.

დეკანოზი – მღვდელმსახურთა საპატიო ტიტული.

„დიდება“ – „დიდების“ გალობა, მომლოცველობა.

დიდი სქემა – 1. სამონაზვნო შესამოსელი. 2. სამონაზვნო ცხოვრების უმაღლესი ხარისხი, რომელიც ასკეტური მოღვაწეობის წესების მკაცრ დაცვას მოითხოვს.

დიდი შვიდეული – ვნების შვიდეული; წმიდა შვიდეული.

დოქიარი - განძის მცველი

დუკატი – ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დუკას მიერ მოჭრილი ოქროს ფული.

დღიური – 0,39-0,5 ჰექტარი.

ეგუტერი, ეკვდერი – საჯამნო, სამლოცველო; ეკლესიის მახლობლად ან ეკლესიაზე მიშენებული მცირე ნაგებობა სალოცავად.

ეკლესია (ბერძნ. Εκκλησία) – 1. ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი შენობა; 2. მორწმუნეთა კრებული; საეკლესიოდ დადებად, საეკლესიოდ დამარხვად – საეკლესიოდ, საერთო საჭიროებისთვის შენახვა.

ეკლესიარქი – იხ. დეკანოზი.

ეპარქია – საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, ოლქი, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი, საეპისკოპოსო.

ეპისტატი - დაქირავებულ საერო პირთა ზედამხედველი

ეპიტროპი, ეპიტროპოსი -ἐπίτροπος -ზედამხედველი

ვახში – სარგებლის სარგებელი; მევახშეობა – ვახშის აღება.

ზატკი – 1. აღდგომა; აღვსება. 2. აღდგომის და მისი მომდევნო პერიოდის საღვთისმსახურო საგალობელთა კრებული.

ზედაშე – ზიარებისთვის განკუთვნილი წმინდა ღვინო.

თავადნი ძმანი, უთავადესი ძმანი – პირველნი, უპირველესნი, ღირსებით უფროსნი ძმანი, მონასტრის თანამდებობის პირნი, ე.წ. ჯელისუფალნი.

თავნობად – ყიდვა–გაყიდვა.

თანაწარუვალი – აუცილებელი, გარდაუვალი.

თევდორობა – თეოდორე ტირონის ხსენება. ეს დღე მოდიოდა დიდი მარხვის პირველი კვირის შაბათზე.

თუსი – ნათესავი; თუსებად – ნათესაობა.

თთუენი – საღვთისმსახურო ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც შეიცავს საგალობელთა განგებას (საგალობელთა სრულ რეპერტუარს) წლის თითოეული თვისა და რიცხვისათვის.

თუნგი – 4, 5, 6 ან 8 ლიტრი;

იერარქი – მღვდელთმთავარი.

იკონომოსი – მონასტრის მწე (მეურნეობის განმგებელი).

ინდიქტიონი – დიდი მოქცევა; 532–წლიანი საეკლესიო–კალენდარული ციკლი იულიუსის კალენდარში.

ისოკოდიკონი – საგადახადო დავთარი

ილუმენი – მონასტრის წინამძღვარი.

კანანახი – (ბერძნ. „კანონარქი“ – კანონის ანუ საცისკრო გალობის დამწყები); მგალობელთა ხელმძღვანელი.

კანდელაკი – მნათე (კანდელთა ამნთებელი).

კანდელი – ზეთის სანათური, რომელსაც ეკლესიებში ხატების წინ ათავსებენ.

კანკელი – ხატებით შემკული ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოჰყოფს ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან.

კანონი – ცხრა ნაწილისგან შემდგარი მრავალმუხლიანი საცისკრო საგალობელი.

კაპანი –ხევი.

კვირაცხოველი – თომას კვირა, ახალი კვირა; აღდგომის მომდევნო კვირა.

კვირიაკე – (ბერძნ. „საუფლო“) კვირა დღე, უფლის აღდგომის დღე.

კრძალულება – მოკრძალება, სიფრთხილე, რიდი; დათმენა, თავშეკავება;

განკრძალული – ფრთხილი, თავშეკავებული, დაცული.

კოდი – საშუალოდ, 4 ფუთი;

კოკა – 12 ლიტრი.

კრასოვული - სასმისი

კუმაში – ქსოვილი.

კუნკული – სამონაზვნო თავსაბურავი.

კურთხევანი – საღვთისმსახურო წიგნი, რომელშიც თავმოყრილია ნათლობის, ჯვრისწერის, მიცვალებულის ანდერძის, პანაშვიდის და სხვა საეკლესიო წესები.

ლავრელი - დიდი ლავრის წინამძღვარი

ლავსაიკონი – ასკეტურ საკითხავთა კრებული პალადი ჰელენოპოლელისა.

ლიტურგია – ჟამისწირვა; უსისხლო მსხვერპლის (პურისა და ღვინის შეწირვა).

ლიტურგიკა – მეცნიერება საღმრთო მსახურების თეორიული საფუძვლების, ჩასახვისა და განვითარების ისტორიის, საღმრთისმსახურო პრაქტიკისა და შესაბამისი ლიტერატურული ძეგლების შესახებ.

მამა, მამასახლისი – მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი.

მამულობით, მამულოვნებით – მოგება და ქონება მკვიდრად, მემკვიდრეობით.

მანძილი – 15,5 კილომეტრი;

მედავითნე – მეფსალმუნე, მგალობელი.

მევაჟინე, ვაჟინარი - ღვინის მწდე

მეტანია – (ბერძნ. „სინანული“) მუხლთმოდრეკა და ქედის მოხრა სინანულის ან ღმრთისადმი თავყვანისცემის ნიშნად.

მეფსალმუნე – მედავითნე, მგალობელი.

მოსენაე, მოსენაკე - ცალკე სენაკში მცხოვრები მონაზონი

მიტრა – მაღალ სამღვდელო მსახურთა (ეპისკოპოსთა, პროტოპრესვიტერთა, არქიმანდრიტთა) თავსაბურავი მღვდელმსახურების დროს.

მიტროპოლიტი – (ბერძნ.) დედაქალაქის ეპისკოპოსი.

მოციქული – ქრისტიანობის მქადაგებელი; მოციქულნი – ქრისტეს 12 მოწაფე; მოციქულთა (მარხვაჲ) – იწყება სული წმიდის მოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ და თავდება 29 ივნისს (12 ივლისსახლით).

მოდვარი – სულიერი ხელმძღვანელი; აღსარების მიძღები და სულიერი სამწყსოს განმკითხველი.

მსგეფსი – შვიდეული, შვიდი დღე, ერთი კვირა.

მტკაველი – 2 ციდა (სიგრძე გაშლილ ცერსა და ნეკს შორის) – 25,3 სანტიმეტრი;

მცირე აიაზმა – წყლის კურთხევის წესი, რომელიც ეკლესიის დღესასწაულებზე და სხვა დიდ დღესასწაულებზე სრულდება ლიტურგიის დაწყების წინ.

მცირე სქემა – 1. სამონაზვნო წესის პირველი საფეხური. 2. სამონაზვნო შესამოსელი.

მწირი – უდაბლესი ხარისხის, მესამე დასის მონაზონი, საკუთრივ მონაზონი, რომელიც არ სწირავდა და არც რაიმე თანამდებობას ასრულებდა მონასტერში („ძეგლი ვაჰანის ქუაბთა“).

მწუხრის განგება – სადღეღამისო ციკლის პირველი ღმრთისმსახურება.

ნათლისღება – 1. ერთ–ერთი საუფლო დღესასწაული, დაწესებული მდინარე იორდანეში იესო ქრისტეს ნათლისღების მოსახსენებლად. 2. ეკლესიის შვიდ საიდუმლოთაგანი; ქრისტეს ნათლის მიღება, გაქრისტიანება. 3. ქრისტეს ნათლის მიღება, გაქრისტიანება.

ნაოთხალი – 1/4 კოდი, რაჭაში – 8,10 კილოგრამი; რაჭაში – 8, 10 კილოგრამი.

ნიტრა – 10 კილოგრამი;

ოთხთავი – წმ. სახარების ძველი ქართული სახელწოდება, რომლითაც ოთხი მახარებლის (მათესი, მარკოზის, ლუკას და იოვანეს) წიგნები ერთ წიგნად, „ერთ სახარებად“ გაიაზრება.

ოლარი – სამღვდელო შესამოსლის ნაწილი; ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი.

ომფორი – მღვდელმთავრის შესამოსლის ნაწილი; მხრებზე შემოსახვევი.

ოყა – 1,36 კილოგრამი;

პანაგია – (ბერძნ. „ყოვლადწმიდა“) სამღვდელთმთავრო გულსაკიდი ხატი, ენკოლპიონი.

პარაკლისი – (ბერძნ. „სავედრებელი“) სავედრებელი გალობა ღვთისადმი მთელი ერის ან ცალკეულ ადამიანთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, წარმატებისა და გამარჯვებისათვის.

პროტი - მამასახლისი სხვა მონასტრის

ჟამისწირვა – წირვა, ლიტურგია, უსისხლო მსხვერპლის შეწირვა.

ჟამნი – სადღეღამისო საღვთისმსახურო ციკლის წეს–განგებათა ტექსტების შემცველი კრებული.

საბეჭური - მონაზვნის შესამოსელი

სამამო - წინამძღვრის სამყოფელი

საკურთხეველი – ოდნავ ამაღლებული, კანკელით გამოყოფილი ნაწილი ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც სრულდება მღვდელმოქმედება.

სანაწილე – წმიდა ნაწილთა (ზიარების, წმიდათა ძვლებისა და სხვ.) შესანახი კოლოფი.

სანუკვარი - ნუგბარი საჭმელი

საჟენი – 2,134 მეტრი;

სარტყელი – სამღვდლო შესამოსლის ნაწილი.

საყდარი –1. საეპისკოპოსო ან საპატრიარქო ტაძარი. 2. მაღალი დასაჯდომელი მღვდელთმთავრისათვის (საკურთხეველში).

საპალნე – აქლემის – 224-294 კილოგრამი, ცხენის – 147 კილოგრამი, ვირის – 65 კილოგრამი.

საწანგრო - ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო

სეფე, სეფისკვერი – სამეუფო პური, რომელიც იხმარება ლიტურგიაში საიდუმლოს შესასრულებლად.

სევასტოსი - ერისკაცის უმაღლესი წოდება ბიზანტიის იმპერატორის კარზე კეისრის შემდეგ

სვინაქსარი – მთელი წლის დღესასწაულთა კალენდრისა და თითოეული დღის შესახებ ტიპიკონური ცნობების შემცველი კრებული, რომელსაც ზოგჯერ ერთვის წმიდათა ცხოვრება–წამების მოკლე საკითხავები.

სოხასტერი – სადაყუდებულო; მცირე სახლი დაყუდებულ (განმხოლოებულ, სენაკში ჩაკეტილ) ასკეტთა მოღვაწეობისათვის.

სტიქარი, სტიხარი – კვართი; სამღვდლო და სადიაკვნო კაბა, გრძელი და ფართო-სახელოებიანი.

სტოვა, სტოა, შტო – ეკლესიაზე მიშენებული კარიბჭე.

სქემა – (ბერძნ. „სახე“) სამონაზვნო სამოსელი.

ტანუტერი -

ტიბიკონი, ტუპიკონი – τῦπιον განწესება, წესდება (ღმრთისმსახურებისა, სამონასტრო ცხოვრებისა).

ტრაპეზი – საკურთხევლის შუაში აღმართული ქვის (ან სხვა მასალის) მაგიდა, რომელზეც სრულდება საღმრთო მსხვერპლის შეწირვა ანუ ლიტურგია.

ფეშხუმი – ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ძირიანი თეფში, რომელზეც საღმრთო ლიტურგიის დროს ასვენებენ „ტარიგს“ – მაცხოვრის მოსახსენებლად ნაკვეთ სეფისკვერს.

ფუთი – 16 კილოგრამი;

ფილონი – ზეწარი; ზედა სამღვდლო შესამოსელი.

ქორეპისკოპოსი – სასახლის ეპისკოპოსი (მეფის, კათალიკოსის).

ქცევა – 3 600 კვადრატული მეტრი.

ქტიტორი – ამშენებელი ეკლესიისა ან მონასტრისა.

ჩაფი – 16 ლიტრი;

ჩოხა – სამონაზვნო ზედა შესამოსელი.

ცისკრის ლოცვა – ღვთისმსახურება, რომელიც გათენებამდე (ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე) სრულდება მონასტრებში, სამრევლო ეკლესიებში კი – გათენებისთანავე.

ძლისპირი – კანონის გალობათა საწყისი მუხლი – თითოეული გალობის სტროფთა რიტმულ-მელოდიური მოდელი.

წარმდები - მოვალე

წირვა – ჟამისწირვა, ლიტურგია.

წმიდა შვიდეული – ვნების შვიდეული; დიდი შვიდეული.

წყრთა – 51-52 სანტიმეტრი;

ხელადა – 2,3 ან 4 ლიტრი;

ხმევა, ხუმევა ხმარება, მეტაფორულად - ჭამა

ხელთდასხმა – სამღვდლო პირთა კურთხევა მღვდელთმთავრის მიერ, თავზე ხელების დაწყობით; ქიროტონია.

ხუცესი – მღვდელი.

ხელოსანი - მოხელე, რაიმე თანამდებობის მქონე პირი მონასტერში

ლექსიკონის შესადგენად გამოყენებულია:

ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ლევან მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბილისი, 1939.

აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი, 1986.

ჩვენი საუნჯე, ტ. 1, ძველი მწერლობა. თბილისი, 1960.

სრული საღმრთისმსახურო საწელიწადო ციკლის საგალობლები. შემდგენელი თაისი ტორონჯაძე, თბილისი, 2010.